ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ბოჩო შურღაია

# რუსეთის ჰიბრიდული ომი საქართველოში 1991-1993 წლებში და უკრაინაში 2014-2015 წლებში: ისტორიულ-შედარებითი ანალიზი

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი, პროფ. **თეიმურაზ პაპასქირი**

თბილისი
2023

# აბსტრაქტი


საქართველოში 1991–1993 წლებში განვითარებული მოვლენების, კერძოდ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტისა და აფხაზეთის ომის შესახებ არსებული მრავალი ლიტერატურის მიუხედავად, აღნიშნული მოვლენები დღემდე აქტუალურია და წარმოადგენს კვლევის საინტერესო ობიექტს. კონფლიქტის გამომწვევ მრავალ მიზეზთა შორის აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის როლი, რომელიც მის ხელთ არსებული რესურსებით ყველანაირად ცდილობდა ეთნიკურ ნიადაგზე გაჩენილი ადგილობრივი უთანხმოება ფართომასშტაბიან სისხლისმღვრელ კონფლიქტად გარდაექმნა.

წლების განმავლობაში ზემოაღნიშნულ მოვლენებზე საუბრისას, ქართველი პოლიტიკოსები და აკადემიური წრის წარმომადგენლები მუდმივად აპელირებდნენ კონფლიქტების მსვლელობისას სეპარატისტული რეჟიმების სასარგებლოდ რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ჩარევაზე, თუმცა არაქართული როგორც პოლიტიკური, ასევე სამეცნიერო საზოგადოება, აღნიშნულ კონფლიქტებში რუსეთის გამოკვეთილი ნეგატიური როლის მიუხედავად, მაინც ძირითადად მხოლოდ ადგილობრივ ეთნოკონფლიქტების კონტექსტში მოიხსენიებს მათ.

შესაბამისად, მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, ერთის მხრივ რუსეთის ჰიბრიდული ომის თეორიის განხილვა და მისი პრაქტიკული გამოვლინების საუკეთესო მაგალითის – უკრაინის კრიზისი აღმოსავლეთში 2014–2015 წლებში, ანალიზი და მეორეს მხრივ, აღნიშნული კონფლიქტის შედარებითი–ისტორიული ანალიზი საქართველოში 1990–იანი წლების დასაწყისში მომხდარ კონფლიქტებთან და გამოკვეთა, იყო თუ არა რუსული მოქმედებები ორივე შემთხვევაში იდენტური.

სადისერტაციო თემის ფარგლებში განვიხილე ახალი თაობის ომები, ჰიბრიდული ომის თეორია და რუსული ჰიბრიდული ომის საფუძვლები. ასევე, უკრაინის 2014–15 წლების და საქართველოს 1991–1993 წლების კონფლიქტები, მოვახდინე მათი შედარებით–ისტორიული ანალიზი და მეოთხე თავში წარმოვადგინე შესაბამისი დასკვნები მსგავსებებისა და განსხვავებების შესახებ.

# ABSTRACT

Georgia in 1991-1993, in particular the conflict in the Tskhinvali region and the war in Abkhazia, despite the numerous literature, are still relevant and are the interesting subject of research. Among the many causes of the conflict role of the Russian Federation is remarkable. With the resources at its disposal, RF tried in every possible way to turn the local disagreement on ethnic grounds into a large-scale bloody conflict.

Throughout many years Georgian politicians and scholars always stressed the importance of Russian involvement in the conflics to ancourage separatists, but despite such negative role of Russia, foreign politicians and scholars still discussed these sonflicts in the framework of local conflict.

Accordingly, the aim of dissertation paper is on the one hand to discuss Hybrid Warfare theory and one of its bright examples – Ukrainian Crisis in 2014-2015 , and on the other hand to make comparative-historical analyses of the above mentioned conflict with the 1990s conflicts in Georgia, so that to identify the identity of Russian activities in both cases.

In the framework of dissertation paper I discussed the wars of new generation, hybrid warfare theory and the roots and basics of Russian hybrid warfare. Also, I made a comparative – historical analyses of the conflicts in Ukraine in 2014-2015 and Georgia in 1991 – 1993 and in the fouth chapter I presented relevant conclusions, similarities and differencies.

# შინაარსი


აბსტრაქტი ..... i

Abstract ..... ii

შესავალი ..... 1

თავი 1. ჰიბრიდული ომის თეორია ..... 15

§1. ჰიბრიდული ომი ..... 15

§2. რუსული ჰიბრიდული ომი ..... 36

თავი 2. უკრაინის 2014-2015 წლების კრიზისი ..... 55

§1. ევრომაიდანი ..... 55

§2. ყირიმის ანექსია ..... 69

§3. კრიზისი უკრაინის აღმოსავლეთში ..... 86

თავი 3. საქართველო: კონფლიქტები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ..... 119

§1. ცხინვალის რეგიონი ..... 119

§2. აფხაზეთის ომი ..... 129

თავი 4. რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ გამოყენებული ჰიბრიდული მეთოდების მსგავსებები და განსხვავებები ..... 174

§1. რუსეთის ქმედებები უკრაინაში ..... 174

§2. რუსეთის ქმედებები საქართველოში ..... 193

დასკვნა ..... 211

გამოყენებული ლიტერატურის სია: ..... 215

# შესავალი

1938 წლის 12 მარტს გერმანულმა სატანკო შენაერთებმა გადალახეს ავსტრიის საზღვარი და დაიწყეს სვლა ვენისკენ. გენერალ გუდერიანის ყვავილებით შემკული ტანკები წინ მიიწევდნენ, არავის გაუწევია წინააღმდეგობა, მოტორიზებულმა შენაერთებმა დედაქალაქს მსხვერპლის გარეშე მიაღწიეს. ტანკების ვენაში შესვლისთანავე ჰიტლერიც ჩავიდა მშობლიურ ქალაქში, გამართა მიტინგი და შემდეგ – საზეიმო მიღება.[1] ერთ თვეში, გერმანული ჯარების მიერ დაკავებულ ქვეყანაში, ჩატარდა რეფერენდუმი ავსტრიის გერმანიასთან მიერთების შესახებ. ბიულეტენებზე, პასუხი „კი“ ზომაში სამჯერ დიდი იყო, ვიდრე „არა“.[2] 99,71% აქტივობის ფონზე, მოსახლეობის 99.73%-ის გადაწყვეტილებით გერმანია და ავსტრია გაერთიანდნენ.[3] მოვლენამ, რომელიც ავსტრიის „ანშლუსითაა“ ცნობილი ისტორიაში, გააოგნა მსოფლიო თანამეგობრობა. ერთმა სახელმწიფომ სულ რაღაც რამდენიმე დღეში უომრად დაიპყრო მეორე.

76 წლის შემდეგ, 2014 წლის 27 თებერვალს, გამთენიისას, მწვანე ფორმაში ჩაცმულმა, ამოსაცნობი ნიშნების არმქონე შეიარაღებულმა პირებმა, ყირიმში, ქ. სიმფეროპოლის რეგიონული პარლამენტის შენობა იერიშით აიღეს და რუსეთის დროშა აღმართეს.[4] „მწვანე კაცუნებმა“ შემდგომი 2 კვირის განმავლობაში ალყაში მოაქციეს უკრაინელთა სამხედრო ბაზები, დაიკავეს სხვადასხვა ობიექტები და ფაქტობრივად მთელ ყირიმზე დაამყარეს კონტროლი. 16 მარტს რეფერენდუმის კითხვაზე: „გინდათ თუ არა ყირიმი შეუერთდეს რუსეთს?“, 80%-იანი აქტივობის ფონზე, ამომრჩეველთა 96%-მა განაცხადა თანხმობა.[5] ერთ დროს ჰიტლერივით ჟურნალ „თაიმის“ მიერ წლის ადამიანად აღიარებულმა პუტინმა[6] ყირიმი ჰიტლერის

---

[1] Хайнц Гудериан. Воспоминания солдата. Москва: Вече, 2012, გვ. 52-54.

[2] Image of ballot paper at011938-zettel. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.sudd.ch/doku.php?lang=en&item=at011938-zettel.jpg.

[3] Gordon Brook-Sheperd. Anschluss The Rape of Austria. Toronto: Macmillan and company, 1963, გვ. 203-204.

[4] Harriet Salem; Shaun Walker; Luke Harding. Crimean parliament seized by unknown pro-Russian gunmen. 27 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/2014/feb/27/crimean-parliament-seized-by-unknown-pro-russian-gunmen.

[5] Crimea referendum: Voters 'back Russia union'. 16 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-26606097.

[6] Richard Stengal. Person of the year 2007: Choosing Order before Freedom. 19 December, 2007. უკანასკნელად

მიერ ავსტრიის ანშლუსის მსგავსად დაიპყრო. ოფიციალური რუსეთი თითქმის ერთი წელი უარყოფდა რუსი სამხედროების მონაწილეობას ყირიმის მოვლენებში, თუმცა ერთი წლის თავზე, ყირიმის მიერთებისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ ფილმში, ჩრდილოელმა ავტოკრატმა ოფიციალურად აღიარა „მწვანე კაცუნებისა“ და რუსი სამხედროების იდენტურობა.[1] ამავე დროს, განსხვავებაც არსებობდა. ჰიტლერის შემთხვევაში ყველაფერი სააშკარაოზე იყო გამოტანილი, ტანკების კოლონები მიიწევდნენ ვენისკენ, ვერმახტის შეიარაღებული ძალები ოფიციალურად იყვნენ ჩართულნი პროცესში, ყველამ იცოდა, რა უნდოდა ჰიტლერს და რა მოხდებოდა. პუტინის რუსეთის შემთხვევაში საქმე სხვაგვარად წარიმართა. „მწვანე კაცუნების“ გამოჩენამ დააბნია როგორც უკრაინა, ისე მსოფლიო საზოგადოება და როცა გააანალიზეს, თუ რა ხდებოდა, შედეგი უკვე დამდგარი იყო. ეს იყო რუსების მიერ კარგად, პროფესიულ დონეზე ორგანიზებული ოპერაცია, რომელიც რამდენიმე წელი იგეგმებოდა რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებში და ეტაპობრივად ხორციელდებოდა. რუსეთი მოპოვებულ წარმატებას არ დასჯერდა და სამხედრო მოქმედებები გააქტიურა უკრაინის აღმოსავლეთში, დონბასსა და ლუგანსკში, აამოქმედა რა მისი მარიონეტი სეპარატისტები, რომლებსაც აქტიურად უჭერდა მხარს როგორც სამხედრო ძალით, ასევე ფინანსურად. რუსეთმა შეძლო და რამდენიმე თვეში ჩამოშალა უკრაინის სახელმწიფო, ხელყო მისი ტერიტორიული მთლიანობა და წარმოქმნა კონფლიქტები საზღვრისპირა რეგიონებში, უკრაინაში გაჩნდა რამდენიმე ცხელი წერტილი, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა 2022 წლის 24 თებერვლამდე, რუსეთის მიერ უკრაინის სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე.

რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლისა და ნორმების აშკარა, უხეშ დარღვევასა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობის უკან სამხედრო მკვლევრებმა დაინახეს ომის წარმოების განსხვავებული, მათთვის უცხო მეთოდი და დაიწყეს მისი კვლევა. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო დადგა ახალი რეალობისა და გამოწვევების წინაშე. დაიშალა

---

ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე:
https://content.time.com/time/specials/2007/personoftheyear/article/0,28804,1690753_1690757,00.html.

[1] Putin reveals secrets of Russia's Crimea takeover plot. 9 March, 2015. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-31796226.

სოციალისტური ბანაკი და გაჩნდა იმედი, რომ ლიბერალური-დემოკრატია საყოველთაო ღირებულება გახდებოდა, შეიცვლებოდა მსოფლიო წესრიგი, ბიპოლარული სამყარო უნიპოლარული გახდებოდა და, როგორც ფ. ფუკუიამა ამტკიცებდა, ისტორია დასრულდებოდა და დამყარდებოდა „კანტისეული მშვიდობა“.[1] დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთში უთანხმოებას მშვიდობიანად, მოლაპარაკებების გზებით მოაგვარებდნენ, შესაბამისად გაქრებოდა საშიშროება კონვენციური ომების წარმოებისა და აღარ იქნებოდა დიდი არმიების საჭიროება. თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში დაიწყო შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია, თავდაცვის ბიუჯეტის, მძიმე ტექნიკისა და სამხედრო პერსონალის შემცირება. თავდაცვის სამინისტროებმა დაიწყეს გადაწყობა ახალი გამოწვევების წინააღმდეგ – საერთაშორისო ტერორიზმი, რომლის წინააღმდეგაც საკმარისი იქნებოდა მცირე შეიარაღებული ძალები, ნაკლები მძიმე ტექნიკა და ძირითადად პროფესიონალები, რომლებიც არაკონვენციური ტაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად მოემზადებოდნენ. მაშინ, როცა სამყაროს ეგონა, რომ კონვენციური, სახელმწიფოთაშორისი ომები აღარასდროს მოხდებოდა, არ დაირღვეოდა არსებული საერთაშორისო წყობა და საერთაშორისო სამართლის ნორმები, რუსეთი 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შემოიჭრა, 2014 წელს კი იგივე გაიმეორა უკრაინაში. მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა, ორივე შემთხვევაში რუსეთი არა სუფთა კონვენციური ომისთვის დამახასიათებელ მეთოდებს, არამედ გარკვეულ ნაზავს – ჰიბრიდს იყენებდა. აღნიშნულ საკითხს მიეძღვნა უამრავი პრესკონფერენცია, კვლევები და შეხვედრები. სხვადასხვა წამყვანი ქვეყნების სამხედრო უწყებებმა დაიწყეს აღნიშნული კონფლიქტების დეტალური შესწავლა, რაც შემდეგ მათი უწყებების დოქტრინებშიც აისახა. სწორედ ამ დროს მოიპოვა ამერიკელი გადამდგარი ოფიცრის – ფ. ჰოფმანის მიერ ჯერ კიდევ 2007 წელს გამოყენებულმა ტერმინმა – „ჰიბრიდული ომი“[2] პოპულარობა. 2014 წელს, იტალიელმა მკვლევარმა, მ. გალეოტიმ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის, ვლადიმერ გერასიმოვის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ეს იყო ე.წ „გერასიმოვის დოქტრინა“ და რუსეთს უკვე დოქტრინულ დონეზე გააჩნდა ახალი

[1] Francis Fukuyama. The end of History and The Last Man. New York City: Free Press, 1992, გვ. 281.
[2] Frank Hoffman. *Conflict in the 21st century: The rise of hybrid wars.* Virginia: Potomac institute for policy studies, 2007.

თაობის ომის წარმოების გეგმები, რომლებიც აქტიურად გამოიყენა უკრაინაში.[1]

აღსანიშნავია, რომ უკრაინაში 2014-2015 წლებში მიმდინარე პროცესები მსგავსებას 2000-2008 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ პოლიტიკასთან შედარებით უფრო ავლენს 1991-1993 წელს საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან, კერძოდ კი აფხაზეთის ომთან – რუსეთის მიერ კონტროლირებადი სეპარატისტები, რომლებსაც აქტიურად ეხმარებოდნენ როგორც ფინანსურად, ასევე სამხედრო ძალით. ეს სამხედრო ძალა დაუფარავად აწარმოებდა ოპერაციებს ქართული მხარის წინააღმდეგ. სახეზე იყო საინფორმაციო და ფსიქოლოგიური კამპანია ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ეკონომიკური და ფინანსური შეზღუდვები, ტერორი და ა.შ.

**საკვლევი თემის მიზანი.** საკვლევი თემის მიზანია 1991-1993 წლების საქართველოსა და 2014-2015 წლების უკრაინის შესახებ არსებულ განსხვავებულ წყაროებსა და მრავალფეროვან სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით მოხდეს აღნიშნული პერიოდის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი და გამოიკვეთოს რუსული ჰიბრიდული ომის წარმოების ის მეთოდები და აქტივობები, რომლებსაც რუსეთის ფედერაცია იყენებდა უკრაინისა და საქართველოს წინააღმდეგ.

შესაბამისად, წინამდებარე **ნაშრომის საკვლევი კითხვა** ფორმულირდება შემდეგნაირად:

ა) რა მსგავსებაა უკრაინასა (2014-2015 წლებში) და საქართველოში (1991-1993 წლებში) მომხდარ მოვლენებს შორის;

ბ) რა როლი ჰქონდა რუსეთს 1991-1993 წლების მოვლენების დროს;

გ) რა როლი ითამაშა რუსეთმა უკრაინაში 2014-2015 წლებში;

დ) გამოიყენა თუ არა რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ 1991-1993 წლებში ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელი აქტივობები.

**ნაშრომის ჰიპოთეზაა:**

1991-1993 წლების მოვლენების დროს, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა ჰიბრიდული ომის აქტივობები.

**დამოუკიდებელი ცვლადი:** რუსეთის მიერ გამოყენებული ჰიბრიდული

[1] Mark Galeotti. The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-Linear War. Worldpress, 6 july, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://inmoscowsshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/

აქტივობები.

**დამოკიდებული ცვლადი:** 1991-1993 წლების მოვლენები საქართველოში.

**ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები.** ნაშრომი ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 1993 წელს სოხუმის დაცემამდე და, ასევე, უკრაინაში 2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის თებერვლამდე განვითარებულ მოვლენებს – ევრომაიდანი, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და დონბას-ლუგანსკში სამხედრო კონფლიქტის დაწყება, 2015 წლის მინსკის მეორე ხელშეკრულების გაფორმება.

საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია ჰიბრიდული ომის თეორიის განვითარების გზა 1989 წლიდან 2015 წლამდე. გარდა ამისა, ასევე ყურადღება გამახვილებულია რუსეთის ჰიბრიდული ომის წარმოების საფუძვლებზე – 1812 წელს ნაპოლეონისა და მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტების წინააღმდეგ წარმოებულ პარტიზანულ ბრძოლაზე.

**ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა.** ნაშრომზე მუშაობისას ვიყენებ შედარებითი კვლევის მეთოდს, რომლის ფარგლებშიც განვიხილავ მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში ფართოდ აღიარებულ რუსული ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მაგალითს: აღმოსავლეთ უკრაინის კრიზისს 2014-2015 წლებში. აღნიშნულ კონფლიქტში რუსული ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელი აქტივობების გამოყოფა და სისტემატიზაცია დაგვეხმარება გავაანალიზოთ ის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში 1991-1993 წლებში. კვლევის ფარგლებში აქტიურად ვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდს, რაც გულისხმობს ქართველი და უცხოელი მეცნიერებისა და სამხედროების ნაშრომების, კვლევებისა და მემუარების ანალიზს. ძირითადად გამოვიყენე მეორეული და მესამეული წყაროები, ასევე პირადი ინტერვიუები აფხაზეთის ომში მონაწილე პირებთან.

**საკვლევი თემის აქტუალობა:** XXI საუკუნის მოვლენა, ჰიბრიდული ომი, სამხედრო ისტორიისა და ეროვნული უსაფრთხოების მკვლევრების, სამხედროებისა და პოლიტიკოსების ინტერესს წარმოადგენს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოების ფართო მასებშიც და ყოველდღიური საუბრის თემაა. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ახალი ომებისთვის დამახასიათებელი აქტივობების ფონზე, ომის წარმოების აღნიშნული მეთოდი ძალიან აქტუალურია საქართველოშიც. ასევე, ჩვენი ქვეყნის უახლესი

ისტორიის, კერძოდ, 1991-1993 წლების მოვლენებისა და რუსების როლზე ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს, რომელთა გარკვეულ ნაწილზეც ვეცდები ნაშრომის ფარგლებში ამომწურავი პასუხების გაცემას.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** აღნიშნული ნაშრომი იქნება მცდელობა განვიხილოთ საქართველოში 1991-1993 წლებში მომხდარ მოვლენებში რუსეთის როლი ჰიბრიდული ომის თეორიის ჭრილში და შევადაროთ იგი აღმოსავლეთ უკრაინაში გამოვლენილ რუსულ აქტივობებს. დღემდე სამეცნიერო წრეებში, დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩაღებული კონფლიქტების გაჩაღების გარდაუვალობის შესახებ, დომინანტურია ორი ძირითადი მოსაზრება: 1. ეს იყო პოსტსაბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელი ეთნიკური კონფლიქტი, რომელიც რუსეთის ფაქტორის გარეშე ვერ გაჩაღდებოდა;[1] 2. ეს იყო უშუალოდ რუსეთის სამხედრო მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ და ეთნიკური ფაქტორი მხოლოდ დამატებით როლს ასრულებდა.[2] ამრიგად, ნაშრომის ფარგლებში ვეცდები საქართველოს 1991-1993 წლების მოვლენები განვიხილოთ ჰიბრიდული ომის თეორიის ჭრილში, რაც წარმოადგენს აღნიშნული პერიოდის ახლებური ახსნის მცდელობას და, შესაბამისად, სიახლეს არამარტო ქართულ, არამედ საზღვარგარეთულ სივრცეშიც. ასევე, ნაშრომი მისცემს სამხედრო-პოლიტიკურ წრეებს შესაძლებლობას, აითვისონ აღნიშნული ომის განსხვავებული გამოცდილებები და გაითვალისწინონ როგორც დღეს არსებული და აქტუალური ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი საფრთხე რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ასევე, ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტებსა და სკოლებში, ასევე სამხედრო სასწავლებლებში, წარსული ომების გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ასევე, აღსანიშნავია, რომ უკრაინაში 2014-2015 წლებში განვითარებული მოვლენების შესახებ ქართულ სამეცნიერო სივრცეში არ არსებობს აკადემიური ნაშრომები. შესაბამისად, სადისერტაციო თემის ფარგლებში ვეცდები დეტალურად

---

[1] შოთა მალაშხია. კონფლიქტების ანატომია. თბილისი: ფორმა, 2011. Aleksei Zverev. "Ethnic Conflicts in the Caucasus 1988-1994". In In the Contested Borders in the Caucasus, edited by Bruno Coppieters. 1996.

[2] ბორის კვარაცხელია. რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და საერთაშორისო თანამეგობრობა. თბილისი: უნივერსალი, 2015. თამაზ ნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი: პირველი სტამბა, 2000. ბორის კვარაცხელია. რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და საერთაშორისო თანამეგობრობა. თბილისი: უნივერსალი, 2015.

აღვწერო რუსეთ-უკრაინის 2014-15 წლების ომი, საბრძოლო მოქმედებები და კონფლიქტის მიმდინარეობის სპეციფიკა.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავალისგან, ოთხი თავისგან (პირველი, მესამე და მეოთხე თავები ორ-ორი პარაგრაფისგან, მეოთხე თავში კი წარმოდგენილია სამი პარაგრაფი) და დასკვნისგან. ნაშრომი სრულდება გამოყენებული წყაროების, დოკუმენტური მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის სრული ჩამონათვალით.

**ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა.** საქართველოში 1991–1993 წლებში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტებზე მუშაობისას აქტიურად გამოვიყენე აღნიშნულ პერიოდში როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში გამომავალი პერიოდული პრესა: „საქართველოს რესპუბლიკა“, „დროება“, „იზვესტია“, „როსიისკაია გაზეტა“. აღსანიშნავია, რომ რუსული პრესის კვლევა ნაშრომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რამდენადაც საინფორმაციო სივრცე წარმოადგენს რუსული ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ ძალზე მნიშვნელოვან განზომილებას, სადაც ხდება როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური მიზნებისთვის სხვადასხვა სახის დეზინფორმაციისა და ცრუ ინფორმაციის გავრცელება. აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ლიბერალური ტენდენციების მატარებელი „იზვესტია“ და სამთავრობო გაზეთი „როსიისკაია გაზეტა“ იძლევა საშუალებას, გავეცნოთ იმ ძირითად საინფორმაციო გზავნილებს, რომელიც ვრცელდებოდა რუსეთის ფედერაციაში საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული რუსული მედია მეტნაკლებად ქართული პოზიციებიდან აშუქებდა აფხაზეთის კონფლიქტს, თუმცა, როგორც კი საქმე ეხებოდა სეპარატისტების მხარეს რუსეთის შეიარაღებული ძალების თანამონაწილეობას, აღნიშნული მედიასაშუალებები ერიდებოდნენ ხელისუფლების კრიტიკას და, პირიქით, მათ მიერ მოწოდებული ნარატივების გახმოვანებას ეწეოდნენ. შესაბამისად, აღნიშნული კონფლიქტის პერიოდში ზემოხსენებული მედიების მიერ გავრცელებული ინფორმაციის გაცნობა გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ თუ რა საინფორმაციო პოლიტიკას აწარმოებდა ოფიციალური მოსკოვი საქართველოსთან მიმართებაში, როგორ იცვლებოდა შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების ფონზე საქართველოსადმი დამოკიდებულებები და შესაბამისად, რა განწყობები შეიძლება ყოფილიყო რუსეთის მოსახლეობაში.

აფხაზეთის ომის მიმდინარეობისა და სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების შესახებ ყველაზე სრულყოფილი დოკუმენტური მასალა მოცემულია 1999 წელს პარლამენტის აფხაზეთის ომის საგამოძიებო კომისიის მიერ გამოცემულ წიგნში „აფხაზეთის ლაბირინთი“, რომელიც გვეხმარება 1992-1993 წლებში ქართული მხარის სამხედრო მოქმედებებისა და რუსულ–აფხაზური საბრძოლო ოპერაციების დეტალური და ქრონოლოგიური სიზუსტით აღდგენაში.

1991-1993 წლების პერიოდში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტებისა და დადგენილებების ამსახველი მასალა გამოყენებულია წიგნებიდან: „რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001)“ და „აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში: საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები, 1989-1999 წწ.“.

აფხაზეთის ომსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ საინტერესოა Human Right Watch-ის ორი მოხსენება, სადაც მოყვანილია უამრავი ფაქტი რუსების მონაწილეობისა აფხაზების და ოსების მხარეზე. აღნიშნული მოხსენებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს ნეიტრალური მხარის ჩანაწერებს, სადაც პირდაპირ და დაუფარავად არის გაჟღერებული, რომ რუსეთის ფედერაცია აფხაზებს და ოს სეპარატისტებს არამხოლოდ მძიმე ტექნიკით აიარაღებდა, არამედ რუსი სამხედრო მოსამსახურეები აქტიურად მონაწილეობდნენ სამხედრო ოპერაციებში. აღნიშნულ მოხსენებებში წარმოდგენილია ინტერვიუები რამდენიმე რუს მოქირავნესთან, საიდანაც ირკვევა, რომ მათი აფხაზეთში გადმოსროლის ოპერაციები რუსეთის სახელისუფლებო წრეების მიერ იგეგმებოდა/ხორციელდებოდა.[1]

**სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა.** ჰიბრიდული ომის თეორიის, უკრაინაში განვითარებული მოვლენებისა და აფხაზეთის ომის შესახებ არაერთი სამეცნიერო სტატია, კრებული და მონოგრაფია არის გამოცემული. ჰიბრიდული ომების კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2014 წლის შემდეგ უკრაინის აღმოსავლეთში დაწყებული კონფლიქტის ფონზე. ყირიმის ანექსიის, დონბასსა და

[1] Human rights watch. Georgia/Abkhazia: violations of the laws of war and Russias role in the conflict. Washington, 1995. Violations of Humanitarian Law and Human Rights in the Georgia the Georgia the Georgia-South Ossetia Conflict. New York, 1992.

ლუგანსკში რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებულმა სამხედრო და არასამხედრო მოქმედებებმა მსოფლიო ყურადღება მიიპყრო და მიეძღვნა უამრავი კვლევა.

ჰიბრიდული ომის თეორიის კვლევის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ყოფილი ოფიცრის ფრენკ ჰოფმანის სტატიათა ციკლი და წიგნი: „კონფლიქტი XXI საუკუნეში – ჰიბრიდული ომის აღზევება"; „ჰიბრიდული ომების გამოწვევები"; „ჰიბრიდული ომი vs კომბინირებული ომი".[1] აღნიშნული კვლევები გამოქვეყნდა უკრაინაში რუსეთის ჰიბრიდული მოქმედებების დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე, როგორც იმის განსაზღვრის მცდელობა, თუ როგორი იქნებოდა მომავლის ომები. შესაბამისად, წარსულის კონფლიქტებისა და ახალი თაობის ომების შესახებ არსებული უახლესი თეორიების ანალიზის შედეგად ფ. ჰოფმანმა ჩამოაყალიბა თეორია ჰიბრიდული ომის შესახებ, რომელიც შემდგომ წლებში კიდევ უფრო დაიხვეწა და განვითარდა.

ახალი თაობის ომების კვლევებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ოფიცრების მიერ 1989 წელს გამოცემული სტატია „ომის ცვალებადი სახე: მეოთხე თაობის ომისკენ"[2] და ერთ-ერთი თანაავტორის – ვ. ლინდის მიერ შემდგომში გამოცემული წიგნი „მეოთხე თაობის ომის სახელმძღვანელო", სადაც ავტორები განიხილავენ ვესტფალიის ზავის შემდგომ წარმოებულ ომებს, ყოფენ მათ სამ თაობად და მათი ევოლუციის ლოგიკიდან გამომდინარე განსაზღვრავენ თუ როგორი იქნება მეოთხე თაობის ომი, აღწერენ მის მახასიათებლებს, წარმოების პრინციპებსა და წესებს.[3]

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეცვლილმა უსაფრთხოების გარემომ სამეცნიერო წრეებში გამოიწვია მსჯელობები ომის ბუნების ცვალებადობასთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემა იდეალურად არის გადმოცემული ვან კრეველდის „ომის ტრანსფორმაციასა"[4] და კელდორის „ახალი და ძველი ომებში",[5] სადაც ავტორები მიმოიხილავენ 90-იან

---

[1] Frank Hoffman. "Hybrid vs Compound war". Armed forces journal, 2009. Hybrid Warfare and Challanges. Small War Journal, 2009.

[2] William S Lind, Keith Nightengale, Jhon F. Schmidtt, Joseph W. Sutton, and Gary I. Willson. "The Changing Face of War: Into the Fourth Generation." *Marine Corps Gazzete*, 1989.

[3] William S Lind and Gregory A Thiele. *4th Generation Warfare Handbook.* Kouvola: Castalia House, 2015.

[4] Martin Creveld. *The Transformation of War .* Free Press, 1991.

[5] Мэри Калдор. *Новые и старые войны. Организованное насилие в глобальную эпоху.* Москва: издательство института гайдара, 2015.

წლებში წარმოებულ ომებს და ამტკიცებენ, რომ ახალი თაობის ომები ტრანსფორმიდნენ და მათ აღარ ჰქონდათ საერთო ცნობილი პრუსიელი თეორიტიკოსის, ფონ კლაუზევიცის სამწევრა პრინციპებთან, რომელიც მან ჩამოაყალიბა ფუნდამენტურ ნაშრომში „ომის შესახებ“.[1]

ჰიბრიდული ომის თეორიის განხილვისას ერთ-ერთი საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს ტ. ჰუბერის ავტორობით გამოცემული წიგნი „კომბინირებული ომი – ფატალური კვანძი“, სადაც ავტორი გვთავაზობს „კომბინირებული ომის“ საინტერესო განმარტებას და მოცემულია აღნიშნული ტიპის ომის წარმოების ისტორიული მაგალითები.[2] აღსანიშნავია, რომ კომბინირებული ომი, როგორც ნაზავი რეგულარული და არარეგულარული ნაწილების სინქრონული მოქმედებისა ერთ საბრძოლო თეატრში ძალიან ახლოს დგას ჰიბრიდული ომთან. უნდა ითქვას, რომ 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებების დროს შესაძლებელია გამოიყოს ტ. ჰუბერის მიერ განსაზღვრული კომბინირებული ომისთვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტი.

რაც შეეხება ქართულენოვან ლიტერატურას ჰიბრიდული ომების შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ მწირი სამეცნიერო ლიტერატურა მოიპოვება. შეიძლება ითქვას, სახეზე გვაქვს ერთეული სამეცნიერო სტატიები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია 2020 წელს გამოცემული „ჰიბრიდული ომების ანატომია“, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ავტორების მიერ ჰიბრიდული ომის შესახებ გამოქვეყნებული სტატიების კრებულს. აღნიშნულ კრებულში მიმოხილულია საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე, მათ შორის ომის წარმოების ის ახალი გზები და მეთოდები, რომელიც გამოვლინდა უკრაინასა და სირიაში მიმდინარე კონფლიქტების დროს.[3] დასახელებულ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესოს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის ძალების პოლკოვნიკის ომარ ბეგოიძის სტატია „ჰიბრიდული ომის სამხედრო კომპონენტი“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის შესაძლებლობებისა და უსაფრთხოების გარემოს ანალიზის სამმართველოს უფროსის კახაბერ ესებუას სტატია „აფხაზეთის ომზე“.

[1] Carl Von Clausewitz. *On War.* Translated by Michael Howard and Peter Paret. Oxford: Oxford University Press, 2007; გვ. xxviii.

[2] Thomas M Huber. *Compound Warfare.* Leavenworth: U.S. Army Command and General Staff College Press, 2002.

[3] ჰიბრიდული ომების ანატომია. რედაქტორი თინათინ ხიდაშელი. თბილისი: პალიტრა L, 2020.

რუსული ჰიბრიდული ომების სამხედრო კომპონენტზე საუბრისას პოლკოვნიკი ბეგოიძე, ჰიბრიდული ომისთვის ტრადიციულ კონვენციურ და არაკონვენციურ ძალების ერთობლივ მოქმედებასთან ერთად, გამოყოფს ძალის დემონსტრირების კომპონენტს, რომელიც თავის მხრივ სამ შემადგენლად იყოფა: სამხედრო სწავლებები მოწინააღმდეგის საზღვრების სიახლოვეს, სამხედრო პროვოკაციები და მძიმე შეიარაღების სისტემების განთავსება ოპონენტების საზღვრებთან.[1] რაც შეეხება კახაბერ ესებუას, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველთაგანს, აკადემიურ სივრცეში, რომელმაც სცადა აფხაზეთის ომში რუსული ჰიბრიდული აქტივობების სისტემატიზაცია და იმ ფაქტორების გამოყოფა, რომლებზეც აკეთებდა აქცენტს რუსეთი აღნიშნული ომის მიმდინარეობისას. სტატიაში ჩამოთვლილია ის რამდენიმე განზომილება, რომლითაც ოპერირებს რუსული ჰიბრიდული ომი, კერძოდ: ისტორია, რელიგია, ეკონომიკა, სამხედრო, საინფორმაციო და კიბერგანზომილებები (თუმცა, ეს უკანასკნელი, გასაგები მიზეზების გამო, აფხაზეთის ომში არ იყო წარმოდგენილი). ავტორი რუსული ჰიბრიდულ ომისთვის დამახასიათებელ უნიკალურ თვისებად მიიჩნევს ე.წ. „სასოწარკვეთამდე მიყვანას“, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის ისეთ მდგომარეობაში ჩაგდებას, როცა იგი თანხმდება ნებისმიერ პირობაზე, ასევე სუსტი მხარის გაძლიერებასა და მშვიდობისმყოფელის როლის მორგებას.[2]

რაც შეეხება უკრაინაში 2013 წლიდან განვითარებულ მოვლენებს, აღსანიშნავია რომ ქართულ აკადემიურ სივრცეში თითქმის არ არსებობს ქართულენოვანი ლიტერატურა აღნიშნულთან დაკავშირებით, ამიტომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე მუშაობისას ძირითადად გამოვიყენე უახლესი ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა და მემუარები, როგორებიცაა: კონსტანტინ პლეშაკოვის “The Crimean Nexus: Putin's War and Clash of Civilizations“, გორდონ ჰანის “Ukraine Over the Edge“, “Imperial Gamble“, რიჩარდ საკვას “Frontline Ukraine“, “Ukraine Diaries“, ანდრეს ანსულდის “Ukraine: What Went Wrong and How to Fix It”, ლოურენს ფრიდმანის “Ukraine and the Art of Strategy”, მუნგო მელვინის “Sevastopol's Wars: Crimea

[1] ომარ ბეგოიძე. ჰიბრიდული ომის სამხედრო კომპონენტი. – წიგნში: ჰიბრიდული ომების ანატომია. რედაქტორი თინათინ ხიდაშელი. თბილისი: პალიტრა L, 2020, გვ. 91. უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის ომში რუსეთი ძალის დემონსტრირების მხოლოდ სამხედრო პროვოკაციების შემადგენელს იყენებდა – ბ.შ.

[2] კახაბერ ესებუა. ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ: აფხაზეთის ომის მაგალითი. წიგნში – ჰიბრიდული ომების ანატომია. რედაქტორი თინათინ ხიდაშელი. თბილისი: პალიტრა L, 2020, გვ. 341.

From Potiomkin to Putin" და სხვა. ასევე, მაიდანზე, ყირიმსა და დონბას–ლუგანსკში მიმდინარე მოვლენების ქრონოლოგიური და ფაქტობრივი აღწერისთვის გამოვიყენე როგორც ინგლისურენოვანი, ასევე უკრაინული და რუსული მედიაპორტალები: BBC, CNN, The Guardian, Aljazeera, Kievpost, РИЯ Новости და სხვა.

უკრაინაში 2014 წელს მიმდინარე კონფლიქტის რუსული ჰიბრიდული მოქმედებები შესანიშნავად აქვს განხილული ფილიპ კარბერს თავის ნაშრომში "Lessons Learned from the Russo-Ukrainian War" და, ასევე, სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის მიერ ორგანიზებულ „რუსეთის სამხედრო ფორუმის" ფარგლებში გაკეთებულ მოხსენებაში.[1] პოტომაკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ფ. კარბერი უკრაინული მხარის ინიციატივით და მიწვევით 2014 წელს რამდენჯერმე იყო ჩასული კონფლიქტის რაიონებში და ადგილზე სწავლობდა არსებულ სიტუაციას. იგი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც დადასტურებულად გამოყო რუსული სამხედრო ჩარევის ფაქტები დონბასსა და ლუგანსკში და აღწერა მათი სპეციფიკა, მოქმედების წესები და ლოგიკა. აღნიშნული მიმართულებით ასევე საინტერესოა ანდრეას რაჩი, რომელმაც თავის ნაშრომში "Russia's Hybrid War in Ukraine: Breaking the Enemy;s Ability to Resist" მიმოიხილა უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტი, მისი წინაპირობები და მოახდინა რუსული ჰიბრიდული ომის სისტემატიზაცია. დონბასსა და ლუგანსკში მიმდინარე სამხედრო ოპერაციების, გამოყენებული ტექნიკისა და შეიარაღების შესახებ, სამხედრო კომპონენტი და შემადგენელი დეტალურად არის მოცემული შემდეგ შრომებში: ჯონათან ფერგიუსონისა და იანსენ ჯონესის "Raising Red Flags: An Examination of Arms and Munitions in the Ongoing Conflict in Ukraine", მაიკლ კოფმანის, კატია მიგაჩევასა და ბრაიან ნიჩიპორუკის "Lessions From Russia's Operations in Crimea and Easten Ukraine", მაიორ ამოს ფოქსის "Battle of Debal'tseve: the Conventional Line of Effort in Russia's Hybrid War in Ukraine", მარკ გალეოტის "Armies of Russia's War in Ukraine", ანა მატვეევას "Through Times of Trouble" და სხვა.

აფხაზეთის ომის შესახებ არსებულ უამრავ სამეცნიერო ლიტერატურას შორის

[1] Phillip Karber. The Russian Military Forum: Russia's Hybrid War Campaign: Implications for Ukraine and Beyond. 10 March, 2015. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=8WA1rP5WGfY.

აუცილებლად გამოსაყოფია ზურაბ პაპასქირის მონოგრაფიები, მათ შორის „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“ და მისი რედაქტორობითა და თანაავტორობით 2021 წელს გამოცემულ ფუნდამენტურ ნაშრომი აფხაზეთის ისტორიის შესახებ – „აფხაზეთი საქართველოა“, რომელიც მოიცავს აფხაზეთის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. აღნიშნულ ნაშრომებში დეტალურად და ფართოდ არის განხილული 1990-იანი წლების აფხაზეთში მიმდინარე როგორც პოლიტიკური პროცესები, ასევე სამხედრო კონფლიქტი. ქრონოლოგიური სიზუსტით არის აღწერილი 1989-1993 წლების მოვლენები, რომელთა ღირსებას უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ ავტორი პირადად წარმოადგენს არა მხოლოდ მომხდარი მოვლენების უბრალო მონაწილეს, არამედ ერთ-ერთს იმ პირთაგან, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და აქტიურად იყო ჩართული ქართულ–აფხაზურ ურთიერთობათა ყოველდღიურობაში. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომებს ორმაგი სამეცნიერო ღირებულება გააჩნიათ.

აფხაზეთის ომთან დაკავშირებით აღსანიშნავია ასევე დაზმირ ჯოჯუას ნაშრომები: „აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონული ისტორიული პროცესის ასპექტები“ და „სოხუმის დაცემა“, სადაც ავტორი დეტალურად განიხილავს აფხაზეთის ომის სამხედრო კომპონენტს, მისი მიმდინარეობის თავისებურებებს და სპეციფიკას, გამოყოფს ჩრ. კავკასიური დაჯგუფებებისა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების როლს და ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერს მათ მოქმედებებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია დ. ჯოჯუას ინგლისურენოვანი ნაშრომი „Russia and The War of 1992-1993 in Abkhazia“, სადაც, შეიძლება ითქვას, ავტორი წარმოადგენს ერთ-ერთ პიონერს, რომელმაც აფხაზეთში რუსული მოქმედებების უკან დაინახა რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ჰიბრიდული ომის გარკვეული ელემენტები.

აფხაზეთის ომში რუსეთის სახელმწიფოს ჩარევის კვლევისას უმნიშვნელოვანესია თამაზ ნადარეიშვილის წიგნი „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც ავტორი, რომელიც ომის მიმდინარეობისას წარმოადგენდა აფხაზეთის უმაღლეს ხელისუფალს, სხვადასხვა საარქივო თუ საგამოძიებო ფაქტებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ აფხაზეთის ომი წარმოადგენდა რუსეთის

მიზანმიმართულ აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ.[1] ავტორს აღნიშნულ წიგნში მოტანილი აქვს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მასალა, რომელიც ცხადყოფს, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები კონფლიქტის მსვლელობისას წარმოადგენდნენ არა უბრალოდ ნეიტრალურ მხარეს, რომელიც ცდილობდა ორი დაპირისპირებული მხარის დაშორიშორებას, არამედ მხარეს, რომელიც უშუალოდ იყო დაინტერესებული საქართველოს მარცხით.

რუსეთის მიერ აფხაზეთში წარმოებული ანტიქართული სამხედრო ოპერაციების შესახებ საკმაოდ კარგ და სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა გერონტი გასვიანის „აფხაზეთის ომი“ და ბორის კვარაცხელიას „რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც მოცემულია საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედებების უამრავი ფაქტი.

აფხაზეთის ომზე მუშაობისას ასევე გამოვიყენე ისეთი ავტობიგრაფიული წიგნები, როგორიცაა იაგო მელაშვილის „თეთრი არწივის საარტილერიო დივიზიონი“ და გენერალ ჯიმშერ ზარიძის „იჩქარეთ სიკეთის ქმნა, ბატონებო“, სადაც ავტორები დეტალურად მოგვითხრობენ აფხაზეთის ომის პერიოდში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებებს, მათ გამოცდილებას, პირად განცდებსა და აღქმებს.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეშვეობით გამოვლენილი შედეგების გამოყენება შესაძლებელია უსაფრთხოების მკვლევრების, სამხედრო ექპერტებისა და საკითხით დაინტერესებული სხვა მეცნიერების მიერ. ასევე, დამატებითი ლიტერატურის სახით შესაბამის კურსებში საქართველოს უმაღლეს და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

**ნაშრომის აპრობაცია.** ნაშრომის ცალკეული ნაწილები სტატიების სახით გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში, ასევე, წარდგენილ იქნა დოქტორანტის კოლოქვიუმებზე.

[1] თამაზ ნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი: პირველი სტამბა, 2000, გვ. 110.

# თავი 1. ჰიბრიდული ომის თეორია

## §1. ჰიბრიდული ომი

ომი ადამიანის სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ძველი საქმიანობაა, რომელიც ათასობით წელს ითვლის. ომი, გარკვეული მიზნების მიღწევის მიზნით ჩადენილი ძალადობრივი აქტი, რომლის ბუნებაც არასდროს შეცვლილა, იგივე იყო საუკუნეების მანძილზე. ომის შესახებ სხვადასხვა ეპოქაში წერდნენ ბევრს როგორც პრაქტიკოსები, ასევე თეორეტიკოსები. ერთნი აღწერდნენ ომის საქმიანობას, უდგებოდნენ მას როგორც აუცილებელ ბოროტებას, ფიქრობდნენ მისი დახვეწისა და განსხვავებული გამოყენების გზების შესახებ, მეორენი კი ომს უდგებოდნენ მორალური პრიზმიდან, განიკითხავდნენ და განსჯიდნენ მას.[1] საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა ომის ხასიათი, ვითარდებოდა ტექნოლოგიები და იზრდებოდა ომის მიერ მოტანილი მსხვერპლი. ომი სპარტელებისთვის ცხოვრების წესი იყო, ათენელებისთვის კი აუცილებელი საქმიანობა. რომის ძლიერება მის სამხედრო ძალაზე იდგა და პარადოქსული ტერმინი – „თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის“ მათი სამხედრო–პოლიტიკური ცხოვრების იდეალური გამოხატულება იყო. თუ შუა საუკუნეების ევროპაში ომს მისდევდნენ მხოლოდ გარკვეული ფენის წარმომადგენლები, რომლებიც ომად აღიქვამდნენ ორი ან რამდენიმე სპეციფიკური ჯგუფის, ანუ რაინდების დაპირისპირებას ბრძოლის ველზე (სამართლიანობის სახელით და ერთმანეთზე ავრცელებდნენ ომის წესებს),[2] ვესტფალიის ზავის, როდესაც შეიქმნა ერი სახელმწიფოები და მათ მოახდინეს ძალადობის მონოპოლიზება, ასევე განსაკუთრებით საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, როცა ფრანგულმა სახელმწიფომ დააწესა ომის მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა და მან მასიური ხასიათი მიიღო. სწორედ ამ დროს, 200 წლის წინ, ყველაზე ცნობილმა სამხედრო თეორეტიკოსმა, კარლ ფონ კლაუზევიცმა, თავის ნაშრომში „ომის შესახებ“ მოგვცა ომის უნივერსალური, ყველაზე ციტირებადი განმარტება და შემოგვთავაზა ე.წ. „ომის სამწევრის“ გაგება. კლაუზევიცის მიხედვით, ომი არის „ძალადობრივი აქტი,

[1] სუნ-ძი. ომის ხელოვნება. ბათუმი: წიგნები ბათუმში, 2019. ნიკოლო მაკიაველი. მთავარი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010. Saint Augustine. The City of God. Translated by Marcus Dods. Moscow, ID: Roman Roads Media, 2015 William E Cairnes. Military Maxims of Napoleon. Skyhorse Publishing, 2016.

[2] Martin L Creveld. *The Transformation of War* . Free Press, 1991, გვ. 136.

რომლის მიზანიცაა მოწინააღმდეგეს თავს მოახვიო საკუთარი ნება. ომი ეს არის პოლიტიკის სხვა საშუალებებით გაგრძელება“. ომს აწარმოებს სახელმწიფო, ხალხის სახელითა და არმიის მეშვეობით.[1] ომში კი ყველაზე მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგის დამარცხების ხელოვნება, რადგანაც სამხედრო სფეროში ყველაზე მთავარი და უპირველესი ამოცანა მოწინააღმდეგის დამარცხებაა.[2]

პირველ მსოფლიო ომამდე, ომი ძირითადად ორ განზომილებაში მიმდინარეობდა, ხმელეთსა და ზღვაზე. მოსახლეობა ენდობოდა თავის ჯარს, ისინი თავიანთი არმიებისა თუ ფლოტის უკან თავს დაცულად გრძნობდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ძლიერი შეიარაღებული ძალები ჰყოლოდათ. ავიაციის გამოგონების შემდეგ კი ეს ყველაფერი შეიცვალა, მოსახლეობა ფიზიკური საფრთხის წინაშე დადგა, რადგანაც ახლა ჯარის უკან მდგარი ხალხი საავიაციო დაბომბვის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომამდე სამხედრო კონფლიქტებში თუ ძირითადად არმიები არმიების წინააღმდეგ იბრძოდნენ (არსებობდა გამონაკლისები, მაგრამ ძირითადი ტენდენცია ეგ იყო) მეორე მსოფლიო ომისას, აღმოსავლეთის ფრონტზე, გერმანული შენაერთები იბრძოდნენ ხალხის წინააღმდეგაც, შესაბამისად ომში ფსიქოლოგიური ფაქტორიც აქტიურად ჩაერთო. მოხდა ომის განაციონალურობა, რომელზეც რამდენიმე წლით ადრე წერდა გამოჩენილი პრუსიელი გენერალი ე. ლუდენდორფი თავის „ტოტალურ ომში”.[3] შესაბამისად, ხალხი უფრო და უფრო ჩაერთო ომში და რაღაც ეტაპზე სამხედროებზე მეტი საქმის კეთებაც კი დაიწყეს.[4] მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო სამხედრო სფეროში პროპაგანდის აქტიური გამოყენებაც, სახეზე გვქონდა მასშტაბური საინფორმაციო ომი. დაპირისპირებული მხარეები თავიანთი ნარატივების გასავრცელებლად იყენებდნენ რადიოებს, კინოებს[5], თეატრებს, სიტყვით გამოსვლებსა და პლაკატებსაც კი. მიმდინარეობდა კონტრპროპაგანდის წარმოებაც, მაშინ, როცა სტალინმა მოუწოდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობას წინააღმდეგობა გაეწიათ გერმანელებისთვის და

[1] Carl Von Clausewitz. *On War.* Translated by Michael Howard and Peter Paret. Oxford: Oxford University Press, 2007, გვ. Xxviii.
[2] Carl Von Clausewitz. *Principles of War.* Translated by Hans Gatzke. The Military Service Publishing Company, 1942, გვ. 6.
[3] Erich Ludendorff. Der totale Krieg. Munchen: Ludendorffs Verlag, 1936.
[4] Евгений Месснер. Хочешь мира, победи мятежевойну! Москва: Русский путь, Военный университет, 2005, გვ. 62.
[5] David Tenney Rosenblum. "Battle for the Minds: Use of Propaganda Films in Stalinist Russia and Nazi Germany." James Madison University, April 2019.

ყველაფერი გაენადგურებინათ, ნაცისტებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს პროპაგანდისტული პლაკატების გაკვრა, სადაც ასახული იყო, თუ როგორ წვავდა საბჭოთა ჯარისკაცი ყველაფერს. აღსანიშნავია, რომ ზუსტად იგივე მეთოდებით უპირისპირდებოდა საბჭოთა კავშირიც, რომელიც საპირისპიროდ ქმნიდა საბჭოთა გმირი ჯარისკაცის პოსტერებს.[1] მეორე მსოფლიო ომის დროს სახეზე გვქონდა პროპაგანდა სიტყვით და პროპაგანდა საქმით. საქმით ანუ როცა გერმანელების მიერ განხორციელებული მოსახლეობის მასიური ტერორი შეიძლება ფსიქოლოგიური ომის კონტექსტშიც კი იქნეს განხილული.

მეორე მსოფლიო ომი იქცა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ და სისხლისმღვრელ ომად, სადაც მოქმედებები მიმდინარეობდა სამივე განზომილებაში. სახეზე იყო მოწინააღმდეგის არამხოლოდ ფიზიკური განადგურება, არამედ მათზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც. სამიზნეს წარმოადგენდნენ არა მხოლოდ შეიარაღებული ნაწილები ან გარკვეული გეოგრაფიული ობიექტები, არამედ მოწინააღმდეგის მშვიდობიანი მოსახლეობაც. მეორე მსოფლიო ომის დასრულებამ, ბირთვული იარაღის გავრცელებამ და ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის შექმნამ შედეგად მოიტანა ის, რომ მსოფლიოში დაისადგურა სიმშვიდემ, მცირე გამონაკლისების გარდა, აღარ ხდებოდა დიდი სამხედრო კონფლიქტები. დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებამ განსხვავებული სახე მიიღო. ცივი ომის განმავლობაში ძლიერ სახელმწიფოებს შორის აღარ გვხვდებოდა კონვენციური ომები, თუმცა მათი ადგილი დაიკავა ე.წ დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებმა.[2]

ნახევარსაუკუნოვანი საერთაშორისო მშვიდობის ფონზე ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე ოფიცერმა ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე რამდენიმე წლით ადრე, წამოაყენა თეორია მეოთხე თაობის ომის შესახებ. სტატიაში ისინი აღნიშნავდნენ, რომ მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცის ამოცანაა მოემზადოს ომისთვის, ამისთვის კი უნდა იცოდეს, თუ რა სახის საომარ მოქმედებებში მოუწევს მას მონაწილეობის მიღება. დღევანდელ ომებში აგებს ის, ვინც ვერ შეძლო წარსულის გამოცდილების გააზრება და მომზადება ახალი

[1] Artemis Design. The Art of War. Volume 3. The Soviets (A collection of 135 Soviet World War Two propaganda posters). Independently Published, 2020; Mark Edele. "Paper Soldiers: The World of the Soldier Hero according to Soviet Wartime Posters." Jahrbücher für Geschichte Osteuropas, Neue Folge, Bd. 47, no. 1, (1999), გვ. 89-108. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: http://www.jstor.org/stable/41050286.
[2] Martin L. Creveld. *The Transformation...*

ომისთვის. ავტორები ამტკიცებდნენ, რომ მესამე თაობის ომი მოქმედებაში შევიდა 1918 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასასრულისკენ, შესაბამისად, ისინი ფიქრობდნენ, რომ უკვე უნდა დაწყებულიყო ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორი იქნებოდა მეოთხე თაობის ომი.[1]

ავტორთა ჯგუფმა ომის განვითარება დაყო ოთხ კატეგორიად. საწყის წერტილად მათ აიღეს 1648 წელი, როცა დასრულდა 30-წლიანი ომი ევროპაში და დაიდო ვესტფალიის ზავი.[2] ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჩამოყალიბდნენ ერი-სახელმწიფოები, რომელთა ხელშიც გადავიდა მონოპოლია საომარ მოქმედებებზე. მანამდე, რომის იმპერიის არსებობის შეწყვეტის შემდეგ, როცა სახელმწიფოს ბოლოჯერ ჰქონდა მოპოვებული ომის წარმოების მონოპოლია, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ომით, როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაზე დაკავებული იყო ყველა, ვისაც კი ხელი მიუწვდებოდა შესაბამის სამხედრო რესურსებზე: სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები, კლანები, ბანდები, ბიზნესკორპორაციები, რელიგიური ორგანიზაციები, დიდებულები, მეფეები. იყო შემთხვევები, როცა სახელმწიფოებს უპირისპირდებოდნენ რელიგიური ორდენები ან ბიზნესკორპორაციებიც კი.[3] შესაბამისად, როცა სახელმწიფოს ხელში გადავიდა ძალადობაზე მონოპოლია, იწყება პირველი თაობის ომების ეპოქა.

პირველი თაობის ომი იყო რიგოვანი და ხაზოვანი ტაქტიკის პირმშო. ახალი ტიპის მუშკეტებმა და ხაზოვანმა ტაქტიკამ არმიებს საშუალება მისცა ცეცხლის ძალის მაქსიმალიზაცია მოეხდინათ. ხრახნლულიანი იარაღით ჯარისკაცებმა შეძლეს ეფექტიანი ცეცხლის წარმოება. პირველი თაობის ომი იყო ფრანგული რევოლუციური სულის გამოძახილი და სავალდებულო ჯარისკაცის დაბალი საბრძოლო წვრთნის დონის ამსახველი. აღნიშნულ ეტაპზე ომის წარმოების ოპერატიული ხელოვნება არ არსებობდა და სამხედრო წარმატებები დამოკიდებული იყო ინდივიდებზე და მათ სამხედრო გენიაზე.[4] მსგავს პიროვნებად პირველი თაობის ომში მოგვევლინა ნაპოლეონი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო პირველი, რომელმაც სცადა მანევრული

[1] William S Lind, Keith Nightengale, Jhon F. Schmidtt, Joseph W. Sutton, and Gary I. Willson. "The Changing Face of War: Into the Fourth Generation." *Marine Corps Gazzete*, 1989: 22-26, გვ. 22.
[2] William Lind and Gregory A Thiele. *4th Generation*.., გვ. 12.
[3] Antony Wild. The East India Company: Trade and Conquest from 1600. London: HarperCollins, 2000.
[4] Lind, et al. The Changing Face.., გვ. 23.

ელემენტების შემოტანა საომარ მოქმედებებში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. სწორედ ნაპოლეონის ომების შესწავლისა და ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად შექმნილი უახლესი ტექნიკის გამოყენებით შეძლო ლეგენდარულმა პრუსიელმა, გერმანიის იმპერიის არმიის მთავარსარდალმა ჰ. ფონ მოლტკემ ომის ხელოვნების ახალ საფეხურზე აყვანა. პირველი თაობის ომში დამკვიდრდა ბრძანების კულტურა, რომელიც იყო ომის მოგების წარმატების საიდუმლო. სწორედ ამ დროს დაიწყო იმ განსხვავებული ელემენტების მასიურად წარმოება, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს სამოქალაქო პირსა და ჯარისკაცს – უნიფორმა, წოდებები, მისალმება და ა.შ.[1] XIX საუკუნის ბოლოსკენ ტექნოლოგიურმა სიახლეებმა – ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მავთულხლართები, გაუმჯობესებული ხრახნლულიანი თოფი, მასიური არაპირდაპირი ცეცხლი, რკინიგზის გამოყენება სწრაფი მობილიზაციისა და დიდი შენაერთების გადასროლისთვის, ხაზოვანი ტაქტიკა აქცია სუიციდურ აქტად, შესაბამისად სამხედრო გონებებმა დაიწყეს ფიქრი თუ რა და როგორ შეეცვალათ.

მეორე თაობის ომი იყო პასუხი წინააღმდეგობაზე ბრძანების კულტურასა და სამხედრო გარემოს შორის. დიდი არმიების გაჩენამ გამოიწვია საბრძოლო თეატრის გაზრდაც, უმაღლეს მხედართმთავრობას უჭირდა მასიური არმიების კონტროლი, რადგანაც არ არსებობდა გეგმა, რომელიც პირველ შეტაკებას უძლებდა, შესაბამისად დაბალი რგოლის მეთაურებს უნდა ჰქონოდათ უნარი, ადგილზევე მოეხდინათ ორიენტირება და დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილებები. მეორე თაობის ომის განვითარებაში გვხდება ორი გზა, პრუსიული და ფრანგული. პრუსიული მოდელი, ჰ. მოლტკე უფროსის პირმშო, რომელმაც როგორც აღვნიშნეთ ნაპოლეონის კამპანიების შესწავლისას მანევრული ომის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. სარკინიგზო ხაზების განვითარებამ მისცა პრუსიელებს საშუალება სწრაფად მოეხდინათ ერთ კონკრეტულ მონაკვეთში თავიანთი მცირე ძალების კონცენტრირება და შეექმნათ კონკრეტულ უბანზე რიცხობრივი უპირატესობა მოწინააღმდეგესთან შედარებით, ეს კი აძლევდა მათ საშუალებას მოექციათ ისინი ალყაში, განეხორციელებინათ მასიური საარტილერიო შეტევა და გაენადგურებინათ/ეიძულებინათ დანებებულიყვნენ. სატელეგრაფო ხაზების განვითარებამ და პრუსიელთა მიერ მისმა მასიურმა

[1]William Lind and Gregory A Thiele. *4th Generation Warfare Handbook.* Kouvola: Castalia House, 2015, გვ. 12.

გამოყენებამ გერმანული არმიის მართვისა და კონტროლის საშუალებები გააუმჯობესა, თუმცა გერმანული მანქანის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი იყო შეიარაღებულ ძალებში ამოცანით მართვის კულტურის დანერგვა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გერმანელ ჯარისკაცებს საომარი თამაშებისას აძლევდნენ ისეთ საბრძოლო ამოცანებსა და შესაბამის ბრძანებებს, რომელთა შესრულება ბრძანებების დარღვევის გარეშე შეუძლებელი იყო, რითაც გერმანული გენერალიტეტი ცდილობდა დაენერგა ინიციატივის გამოჩენის კულტურა გერმანელ ოფიცრობაში. ფრანგული მოდელი კი ორიენტირებული იყო პოზიციურ თავდაცვაზე, ანუ რამდენიმე ეშელონიანი სანგრებისა და ტრანშეების ქსელზე, სადაც მთავარი იყო მოწინააღმდეგის შეტევების შეჩერება წინა ხაზზე და შემდეგ კონტრშეტევა. იყენებდნენ მასიურ საარტილერიო ცეცხლს და მოქმედებაში მოდიოდა ცნობილი ფრანგული მაქსიმა – „არტილერია იპყრობს, ქვეითები იკავებენ“. პირველ მსოფლიო ომში, შლიფენის მანევრული ომის გეგმის წარუმატებლობის შემდეგ გერმანული არმიაც მსგავს პრინციპზე გადავიდა: პოზიციური ბრძოლა, შეტევის წინ მოწინააღმდეგის პოზიციების მასიური საარტილერიო დაბომბვა და ე.წ. გამოფიტვის ტაქტიკა. უკვე პირველი მსოფლიო ომის ბოლოსკენ, გამომდინარე იქიდან, რომ გამოფიტვის ტაქტიკამ არ გაუმართლა პრუსიელებს და არც ინდუსტრიული ბაზა ეყოთ თავიანთი იდეების განსახორციელებლად, 1918 წელს მათ გადაწყვიტეს დაბრუნდებოდნენ პრუსიული ომის წარმოების ტრადიციულ მოდელს, უფრო შემტევს და მამაცს და კვლავ მანევრული ომის ტაქტიკით გადაწყვიტეს მცირერიცხოვანი ძალებით შეეტიათ მოწინააღმდეგისთვის და დაემარცხებინათ, თუმცა უშედეგოდ.

სწორედ 1918 წელს სახავენ ოთხი თაობის ომის აპოლოგეტები მესამე თაობის ომის დასაწყისად.[1] გერმანიის დამარცხებისა და მათი არმიის შემცირების შემდეგ, გერმანულმა სარდლობამ დაიწყო ახალი გზებისა და იდეების ძიება, რათა მცირერიცხოვანი ძალებით ჰქონოდათ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში დაპირისპირდებოდნენ აღმატებულ ძალას. გენერალ გუდერიანის მეთაურობით აქცენტი გაკეთდა მექანიზებულ ქვედანაყოფებზე და მივიღეთ ახალი თაობის ომი – ე.წ. „ბლიცკრიგი“ („ელვისებური ომი“). ბლიცკრიგის იდეა მდგომარეობდა

[1] Lind, et al. The Changing Face.., გვ. 23.

მოწინააღმდეგის დაცვის ხაზის გარღვევაში ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე და მტრის ტერიტორიის სიღრმეში გასვლაზე. მთავარი ამოცანა იყო მტრის საკომუნიკაციო და ლოჯისტიკური ხაზებზე დარტყმა, მართვისა და კონტროლის სისტემების მოშლა და მათ რიგებში ქაოსის შეტანა. მესამე თაობის ომების თავდაცვა კი იგეგმებოდა სიღრმეში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოწინააღმდეგის შეტყუება წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე და შემდეგ კონტრშეტევა,[1] რომლის აპოლოგეტად მეორე მსოფლიო ომის დროს გვევლინება გერმანელი ფელდმარშალი ე. მანშტაინი. ომის ამ თაობისთვის ძირითადი სამიზნე, როგორც ტაქტიკურ, ასევე ოპერატიულ დონეზე მოწინააღმდეგის ზურგია.

ზემოაღნიშნული სამი თაობის ომების ანალიზის შედეგად, ვ. ლინდი და თანაავტორები თვლიან, რომ არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც აუცილებლად იქნება წარმოდგენილი მეოთხე თაობის ომში: 1. **ამოცანით მართვა,** რადგანაც მეოთხე თაობის ომების დროს საბრძოლო თეატრი, სადაც საკუთარ ძალებს მცირე ჯგუფებად მოუწევთ მოქმედება, იქნება მოწინააღმდეგის მთლიანი ტერიტორია, ანუ ზურგი, შესაბამისად, წარმატება დამოკიდებული იქნება მეთაურის ინსტინქტებზე, ადვილად გაერკვეს შექმნილ ვითარებაში და სიტუაციის შესაბამისად მიიღოს ეფექტიანი გადაწყვეტილებები; 2. **დეცენტრალიზებული ლოჯისტიკა**. იმის გამო, რომ პატარა ჯგუფები იქნებიან ძალიან მობილურები, მათი შესაბამისი სისწრაფით მომარაგების უზრუნველყოფა ძალიან გართულდება ცენტრალიზებული ლოჯისტიკური უზრუნველყოფის არსებობის პირობებში; 3. **მანევრი**. ამ თაობის ომში ადამიანთა დიდი მასების გამოყვანა ერთიან საბრძოლო სივრცეში აღარ მოხდება, რადგანაც ეს ვერ მოიტანს შესაბამის ეფექტს, ასე რომ, მცირე ჯგუფების მანევრის უნარი იქნება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ომის მოგების გზაზე; 4. **მოწინააღმდეგის არა ფიზიკურად განადგურება, არამედ შინაგანი წინააღმდეგობის გატეხა.** მტრის საზოგადოების მიერ სახელმწიფო სისტემის მხარდაჭერის მორყევა, ქაოსი, შინაგანი დაპირისპირების, ოპოზიციის მხარდაჭერა, რაც, შესაბამისად, გამოიწვევს მტერი სახელმწიფოს დასუსტებას.[2]

მეოთხე თაობის ომის თეორიის მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ სხვაობა ომსა და მშვიდობას შორის გაქრება, აღარ იქნება გამოკვეთილი საბრძოლო მოქმედების

[1] Lind, et al. The Changing Face.., გვ. 23.
[2] Lind, et al. The Changing Face.., გვ. 24-25.

თეატრები და ფრონტის ხაზები, გაქრება განსხვავება სამხედროსა და სამოქალაქოს შორის. ერთ-ერთი წარმმართველი კომპონენტი ამ თაობაში ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ომი იქნება, რათა მოხდეს მოწინააღმდეგის საზოგადოების გონებებზე დაპატრონება და მათი მართვა. ამგვარად, წინა თაობების ომებისგან განსხვავებით მთავარი აქცენტი გაკეთდება არა ფრონტის წინა ხაზზე, ან მოწინააღმდეგის ზურგზე, სრულ ტერიტორიასა და საზოგადოებაზე, არამედ შეტევა მოხდება ერების კულტურულ იდენტობებზე და მთავარი მიზანი იქნება მათი ცვლილებები. მეოთხე თაობის ომებში დასავლური სახელმწიფოები სუსტდებიან, რადგანაც ამ ომისთვის დამახასიათებელი იქნება ტერორისტული ჯგუფების მოქმედება და მუდმივი ტერორისტული აქტები, მოწინააღმდეგე დასავლური საზოგადოების ძლიერ მხარეებს, დემოკრატიასა და თავისუფალ სამყაროს გამოიყენებს მათსავე წინააღმდეგ. ტერორისტები დიდი ქალაქების ქუჩებში უპრობლემოდ გადაადგილდებიან და იმ საზოგადოების ტერორიზებას მოახდენენ, რომელიც მის დაცვას ეცდება პირველივე შემთხვევაში. თავისუფალი მედია აქტიურად დაიწყებს მოწინააღმდეგის მოქმედებების გაშუქებას და მის მიერ შექმნილი ცრუ ინფორმაციების გავრცელებას შეუწყობს ხელს, რაც კიდევ უფრო დაარტყამს მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, შესაბამისად, მთავარი აქცენტები გაკეთდება სატელევიზიო შოუებზე, როგორც მასებით მანიპულირების ერთ-ერთ საშუალებაზე.[1] მეოთხე თაობის ომი სამივე დონეზე იქნება წარმოდგენილი და ასევე დაემატება არანაკლებ მნიშვნელობის ახალი დონეები – ფიზიკური, მენტალური და მორალური.[2] აღსანიშნავია, რომ ვილიამ ლინდის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დღესდღეობით მეორე თაობის ომია რელევანტური, რადგანაც ამერიკის არმიამ და საზღვაო ქვეითებმა ფრანგებისგან ისწავლეს ეს მეთოდი პირველი მსოფლიო ომის დროს/შემდეგ და დღემდე რჩება ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ომის წარმოების გზად, რაც აშკარად გამოჩნდა ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე სამხედრო კამპანიების დროს. ამერიკელებისთვის ომი ნიშნავს "putting steel on target". „არტილერია ჩაანაცვლა ავიაციამ, როგორც მასიური საცეცხლე ძალის წყარომ, თორემ დანარჩენი ყველაფერი პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ფრანგული მოდელივითაა. საზღვაო ქვეითების სამხედრო საბრძოლო ცენტრში, კალიფორნიაში,

[1] Lind, et al. The Changing Face.., გვ. 26.
[2] William Lind and Gregory A Thiele. *4th Generation..,* გვ. 14.

მხოლოდ სამფეროვანი დროშა და გენერალ მ. გამლენის სურათი აკლიათ. ზუსტად იგივე სიტუაციაა ფორტ ნოქსის საარმიო სკოლაში, სადაც ინსტრუქტორი კლასში შესვლისას ამბობს შემდეგს: „მე არ ვიცი, რატომ უნდა გასწავლოთ ეს ფრანგული სისულელეები, მაგრამ გასწავლით!“[1]

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო საერთაშორისო თანამეგობრობაში გაჩნდა რწმენა იმის შესახებ, რომ დიდი კონვენციური ომები აღარ მოხდებოდა და წითელი გიგანტის დაცემა იყო იმის საფუძველი, რომ შეცვლილიყო ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები. იუგოსლავიის კონფლიქტის მაგალითზე ნათლად გამოჩნდა, რომ ახალი ტიპის კონფლიქტებში ცენტრალური ადგილი უჭირავს ორგანიზებულ კრიმინალს (ძალადობა ფინანსური სარგებლისთვის) და მასობრივად ხდება ადამიანის უფლებების დარღვევა.[2] შესაბამისად, მეოთხე თაობის ომის კონცეფცია ნელ-ნელა უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა არა მარტო დასავლურ სამყაროში, არამედ აღმოსავლეთშიც. ჩინეთის არმიის ოფიცრებმა, ქიაომ და ვანგმა, გააანალიზეს რა სპარსეთის ყურის კონფლიქტი, 1999 წელს გამოსცეს წიგნი „შეუზღუდავი ომი“,[3] სადაც ამტკიცებენ, რომ აღნიშნულმა კონფლიქტმა გამოაჩინა ომის სახეცვლილება.

ჩინელი ოფიცრების მტკიცებით, დღევანდელი ომები აღარ არის ჩაკეტილი ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში. აზიაში ან აფრიკაში მიმდინარე ომს გავლენა აქვს ევროპის ეკონომიკაზე, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, საზოგადოების ყოფაზე როგორც აწმყოში, ასევე მომავალში. ომი ყველას სახლში შედის ტელევიზორის ეკრანებიდან. თანამედროვე ომები აღარ წარმოებს მხოლოდ ბრძოლის ველზე, მისი მასშტაბები გაზრდილია, შესაბამისად, ახალი ომების მოგება ბევრად რთულ და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.[4] მათი აზრით, იდეაში საზღვრები არსებობს იმისთვის, რომ გარკვეული საგნების განსხვავება მოხდეს ერთმანეთისგან, მაგრამ თანამედროვე სამყაროში, სადაც ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული, საზღვრების მნიშვნელობა შედარებითია და ნელ-ნელა ქრება, შესაბამისად, თანამედროვე სამყაროში ომის მოსაგებად საჭიროა ლიმიტების გადაჭარბება, ანუ

---

[1] William Lind. "Understanding Fourth Generation War." *Military Review*, 2004: 12-16, გვ. 13.

[2] Мэри Калдор. *Новые и старые войны. Организованное насилие в глобальную эпоху.* Москва: издательство института гайдара, 2015, გვ. 30.

[3] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted Warfare.* Beijing: PLA Literature and Arts Publishing House, 1999.

[4] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 179.

საზღვრების მიღმა გასვლა. ამგვარად, მნიშვნელობა არ აქვს საზღვრების სახეს, არის ის ფიზიკური, სპირიტული თუ ტექნიკური, არ აქვს მნიშვნელობა, რა ჰქვია მათ – ლიმიტები, საზღვრები, წესები, კანონები, მაქსიმალური ლიმიტები თუ ტაბუებიც კი, მათი დარღვევის გარეშე ახალი თაობის ომებში წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ომის ენაზე საზღვრები გულისხმობს იმას, თუ სად არის ბრძოლის ველი და სად არ არის, რა არის იარაღი და რა არ არის, ვინ არის ჯარისკაცი და ვინ არ არის, რა სხვაობაა სახელმწიფოსა და არასახელმწიფო აქტორს ან ზესახელმწიფოს შორის. საზღვრების რღვევა ასევე მოიცავს ტექნიკური, სამეცნიერო, თეორიული, ფსიქოლოგიური, ეთიკური და სხვა სახის საზღვრებსაც, ანუ ყველაფერს, რაც ზღუდავს საომარ მოქმედებებს გარკვეულ არეალში.[1] აუცილებლად აღსანიშნავია, რომ „ზღვარს მიღმა გასვლა“ არ ნიშნავს შეზღუდვების არარსებობას, რადგანაც შეუძლებელია ულიმიტოდ ყველაფრის მოცვა. ლიმიტის ნებისმიერი გადაჭარბება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. ასე რომ, „ზღვარს მიღმა გასვლა“ თავისთავად არ ნიშნავს „ულიმიტობას“. ეს არის კონკრეტული საზღვრების მიღმა გასვლა, მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმართულებით და დასახული მიზნის მისაღწევად იძლევა არსებული, ლიმიტირებული შესაძლებლობებისა და საშუალებების სხვადასხვა კომბინაციების შექმნის საშუალებას.[2]

აზიელი ოფიცრების აზრით, წარსულის ომებში ომის წარმოების ისეთი სხვადასხვა საშუალებების გამოყენება, როგორიცაა შეიარაღება, საბრძოლო წყობა, ტაქტიკა და სხვადასხვა საბრძოლო საშუალებები, ხდებოდა საბრძოლო სივრცის ლიმიტირებულ ფარგლებში. მსგავსი ტიპის კომბინაციების ვიწრო გაგება კი დღევანდელ სამყაროში არასწორი და კონტრპროდუქტიულია, რადგანაც მას, ვისაც უნდა, რომ მოიგოს თანამედროვე ან მომავლის ომები, სჭირდება მის ხელთ არსებული ომისთვის აუცილებელი ყველა რესურსის კომბინირება და ომის მათი საშუალებებით წარმოება. თუმცა, იდეაში არც ეს არ არის საკმარისი. მან მათი კომბინირება უნდა მოახდინოს „გამარჯვების წესების“[3] მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც, თავის

[1] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 180.

[2] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 181.

[3] „გამარჯვების წესი“ – ავტორებს ეს ტერმინი შემოაქვთ, მაგრამ აღნიშნავენ რომ არ არსებობს ერთიანი გაწერილი წესები, თუ როგორ შეიძლება გამარჯვების მოპოვება. თვით გამარჯვებული მხედართმთავრებიც კი, ვინც ხვდებოდა რომ გარკვეული წესების შესრულების შედეგად მათ მოიპოვეს გამარჯვება, ვერ იქნებოდნენ დარწმუნებულები იმაში, რომ ის რამაც ერთხელ მოაპოვებინა გამარჯვება, სხვა ბრძოლებშიც მოაპოვებინებდა. თუმცა, ნებისმიერი პერიოდისთვის არსებობს რაღაც პრინციპები,

მხრივ, არ არის საკმარისი გამარჯვებისთვის, რადგანაც „გამარჯვების წესების“ ზედმიწევნით შესრულებაც კი არ იძლევა ომის მოგების გარანტიას. ომის მოსაგებად აუცილებელია ზღვარს მიღმა გასვლა, რომელიც აღნიშნულმა ავტორებმა ჩამოაყალიბეს როგორც ომის წარმოების ახალი მეთოდი: „მოდიფიცირებული კომბინირებული ომი, რომელიც არღვევს ყველანაირ შეზღუდვებს“.[1]

„შეუზღუდავი ომის“ ავტორები გამოყოფენ რამდენიმე შესაძლო კომბინაციას, რომელთაგანაც პირველი არის ზეეროვნული, საერთაშორისო კავშირები. დღევანდელ სამყაროში სახელმწიფოზე გავლენას ახდენენ ყველა დონის (როგორც რეგიონული, ასევე მსოფლიო) და მასშტაბის პოლიტიკური ორგანიზაციები და ისეთი არასახელმწიფო აქტორები, როგორებიცაა სავაჭრო, რელიგიური, ჯანდაცვის, სამშვიდობო და სხვა ორგანიზაციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეული სახელმწიფოები, ისეთებიც კი, რომლებიც ამჟამად დომინირებენ, თანამედროვე სამყაროში ვერ შეძლებენ მხოლოდ თავიანთი ძალების ხარჯზე გავლენების გაზრდას/შენარჩუნებას, შესაბამისად, მომავალი წარმატებული პოლიტიკის საწარმოებლად მათ სჭირდებათ ზეეროვნული, საერთაშორისო კავშირების დამყარება. ეს წარმოადგენს თანამედროვე ომების წარმოების ყველაზე ძლიერ კომბინაციას.[2]

მეორე სახის კომბინაცია მოიცავს სხვადასხვა, ტრადიციულ და არატრადიციულ საბრძოლო სივრცეთა გაერთიანებას. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და გლობალიზაციის გავლენით პოლიტიკას, კულტურას, ეკონომიკას, დიპლომატიას, რელიგიასა და სამხედრო საქმეს შორის ზღვარი წაიშალა. ასევე, ომის წარმოების ტრადიციულ მეთოდებს დაემატათ ისეთი არატრადიციული სივრცეები, როგორიცაა  საინფორმაციო, საფინანსო, სავაჭრო, ფსიქოლოგიური.[3]

მესამე ტიპის კომბინაციაა ზესაშუალებების კომბინაცია, რომელიც მოიცავს თითოეულ საბრძოლო სივრცეებში სხვადასხვა სამხედრო და არასამხედრო საშუალებების გამოყენებას.[4]

ბოლო ტიპის კომბინაცია და, შესაძლებელია ყველაზე მნიშვნელოვანიც,

---

რომლის მინიმალური დაცვაც კი აუცილებელია გამარჯვებისთვის Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 170.

[1] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 181.

[2] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 183.

[3] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 187-191.

[4] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 191-195.

აერთიანებს კონფლიქტის ყველა დონეს ერთ კამპანიაში. თანამედროვე კონფლიქტებში, საზღვარი გამოყენებულ ტაქტიკებს, ოპერაციებს, სტრატეგიებს და გრანდ–სტრატეგიებს შორის გამქრალია. თანამედროვე ომის წარმოებაში, ტაქტიკურ დონეზე მოქმედებებს შესაძლებელია ჰქონდეს სტრატეგიული შედეგები და სტრატეგიული მიზნები შეიძლება მიღწეული იქნეს ტაქტიკური ქმედებებით. ამის მაგალითად ავტორებს მოჰყავთ ბინ ლადენი, როდესაც ტაქტიკური დონის მეთოდად ალ ქაიდას ლიდერმა გამოიყენა რამდენიმე თვითმფრინავი და „დაემუქრა აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს სტრატეგიულ დონეზე, ხოლო ამერიკელებმა შეძლეს მიეღწიათ თავიანთი უსაფრთხოების დაცვის სტრატეგიული მიზნისთვის ტაქტიკური დონის შურისძიების მეთოდებით“.[1]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩინელი ოფიცრები ამტკიცებენ, რომ ომის ის საყოველთაოდ მიღებული დასავლური პრინციპები, რომლებიც ბრიტანელმა ოფიცერმა ჯონ ფულერმა ჩამოაყალიბა,[2] შეიცვალა და სახეზე ომის წარმოების სულ სხვა, თანამედროვე 8 ძირითადი პრინციპი ახასიათებს:

1. ყოვლისმომცველობა – ომი აღარ იქნება ლიმიტირებული, ომი შეიძლება იყოს სამხედრო, კვაზი სამხედრო ან არასამხედრო. ომი უკვე შესაძლოა არაძალადობრივიც გახდეს, ომი აღარ იქნება მხოლოდ სამხედრო სფეროში, არამედ ისეთ სოციალურ სივრცეებშიც გადაინაცვლებს, როგორიცაა ფსიქოლოგია, პოლიტიკა, კულტურა და ა.შ.[3]

2. სინქრონიზაცია – საინფორმაციო და ტექნოლოგიური განვითარება იძლევა სხვადასხვა საშუალებების სამხედრო დომენებში სინქრონულად გამოყენების შესაძლებლობას.[4]

3. ლიმიტირებული მიზნები – შეზღუდული მიზნები ნიშნავს „შეზღუდულს“ გამოყენებულ ღონისძიებებთან მიმართებაში. ამრიგად, შეზღუდული მიზნების პრინციპი ნიშნავს, რომ მიზნები ყოველთვის უნდა იყოს უფრო მცირე, ვიდრე გამოყენებული ზომები, მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია

[1] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 198.
[2] მიზანი, სიმარტივე, მართვის ერთიანობა, შეტევა, მანევრი, მასირება, ძალთა ეკონომია, მოულოდნელობა და უსაფრთხოება. იხ.: J. F. C. Fuller. The Principles of War. London: Hutchinson & Co., 1929.
[3] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 206-207.
[4] Liang Qiao and Xiangsui Wang. Unrestricted.., გვ. 207-208.

შესაძლებელი დასახული მიზნების სრულად მიღწევა.[1]

4. შეუზღუდავი ზომები – შეუზღუდავი ზომები შეზღუდულ მიზნებთან მიმართებაში. ღონისძიებები განუყოფელია მიზნებისგან, ასე რომ, გარკვეული მიზნების მისაღწევად შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა ზომის გამოყენება. შესაბამისად, ეს ორი ერთ-ერთი კარგი გამოხატულებაა შეუზღუდავი ომის წარმოებისა – შეზღუდული მიზნების მიღწევა შეუზღუდავი ზომების მეშვეობით.[2]

5. ასიმეტრიულობა – მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი ახალი არ არის, ჩინელი ოფიცრები თვლიან, რომ ომის სამხედრო სფეროდან გასვლის და სხვა საშუალებების ჩართვა მასში უფრო გაამარტივებს ასიმეტრიულობის მიღწევას. შესაბამისად, სუსტს უფრო მეტი საშუალება ექნება დაუპირისპირდეს ძლიერს.[3]

6. მინიმალური მოხმარება – სამიზნე ობიექტების და ამოცანების ზუსტი, განსაზღვრა და არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება. მომავლის ომებში მკვეთრად გაიზრდება სამიზნეებისა და მიზნების რაოდენობა, რის გამოც გაიზრდება ასევე რესურსების არაეფექტიანი მოხმარებაც, ამიტომ ისე როგორც არასდროს, მომავლის ომებში აუცილებლობა იქნება სხვადასხვა სამხედრო და არასამხედრო სფეროების ისეთი კომბინაციების მიღება, რომელიც გაზრდის ეფექტიანობას მინიმალური დანახარჯებით. [4]

7. მრავალგანზომილებიანი კოორდინაცია – პრინციპი, რომლის მიხედვითაც ომის საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყველა არსებული რესურსისა და საშუალების კოორდინაცია და ურთიერთკავშირი. „შეუზღუდავი ომი“ მოიცავს არამხოლოდ სამხედრო, არამედ არასამხედრო ანუ ნებისმიერ ცხოვრებისეულ სივრცეებსაც, შესაბამისად ომის მონაწილე მხარეებს კარგად უნდა ჰქონდეთ გათავისებული, რომ ომის მოსაგებად აუცილებელია სამხედრო სფეროსა და არასამხედრო სფეროებს შორის მაღალხარისხიანი.[5]

8. მთელი პროცესის მართვა და კონტროლი – უკანასკნელი პრინციპი, რომელიც თავის მხრივ არ წარმოადგენს სიახლეს, თუმცა, იმის გამო, რომ მომავლის ომები, სხვა ომებისგან განსხვავებით, იქნება კომპლექსური, მართვა და

[1] Liang Qiao and Xiangsui Wang. Unrestricted.., გვ. 208-209.
[2] Liang Qiao and Xiangsui Wang. *Unrestricted..,* გვ. 210-211.
[3] Liang Qiao and Xiangsui Wang. Unrestricted.., გვ. 211-212.
[4] Liang Qiao and Xiangsui Wang. Unrestricted.., გვ. 212-213.
[5] Liang Qiao and Xiangsui Wang. Unrestricted.., გვ. 213-214.

კონტროლიც შესაბამისად ბევრად გართულებული იქნება. მომავლის ომში, სადაც ბრძოლები წარიმართება მრავალ განზომილებებში, კონფლიქტში მონაწილე ყველა სფეროს კონტროლი და მართვა იქნება სასიცოცხლო მნიშვნელობის, შესაბამისად, რომელიმე ერთზე კონტროლის დაკარგვა ომის წაგების ტოლფასი.[1]

ჩინელი ოფიცრების ფუნდამენტური ნაშრომის პარალელურად ამერიკელმა ისტორიკოსმა, ტომას ჰუბერმა ჩამოაყალიბა ახალი თეორია „კომბინირებული ომის" შესახებ. ტ. ჰუბერმა ჯერ 1997 წელს თავის სტატიაში „ნაპოლეონი ესპანეთსა და ნეაპოლში. ფორტიფიცირებული კომბინირებული ომი", შემდეგ კი მისი რედაქტორობით გამოცემულ წიგნში „კომბინირებული ომი – საბედისწერო კვანძი", სცადა აეხსნა, თუ რატომ ხდებოდა, რომ ზოგიერთი გამოჩენილი მხედართმთავარი ხშირად აგებდა ხოლმე ბრძოლებსა და ომებსაც კი აჯანყებულებთან დაპირისპირებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაპირისპირება უწევდა აჯანყებულების კომბინირებულად მოქმედ რეგულარულ და არარეგულარულ ნაწილებთან.[2] ტ. ჰუბერის გამოყოფს ორ მოდელს: „კომბინირებულ ომსა" და „ფორტიფიცირებულ კომბინირებულ ომს". „კომბინირებული ომია", როდესაც მოწინააღმდეგის დასამარცხებლად ერთდროულად იყენებენ რეგულარული ჯარის ნაწილებსა და არარეგულარულ შენაერთებს. ანუ, მთავარსარდალი ზრდის მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების ბერკეტებს ორივე სახის შენაერთების ერთდროულად გამოყენებით. კომბინირებულ ომს ძირითადად მიმართავენ მცირე ძალის მხარეები, როდესაც მათი ტერიტორია ოკუპირებულია უპირატესი სამხედრო ძალის მქონე მოწინააღმდეგის მიერ.[3] კომბინირებული ომის ძლიერი მხარე ისაა, რომ იგი აიძულებს მოწინააღმდეგეს ერთდროულად მოახდინოს ქვედანაყოფების დაჯგუფებაც და გაშლაც. თუ ის გააერთიანებს ქვედანაყოფებს, მაშინ არარეგულარული ნაწილები მის საკომუნიკაციო ხაზებს დაარტყამენ, ხოლო თუ საკომუნიკაციო ხაზების დაცვის მიზნით მოახდენს მის ხელთ არსებული ძალების დაცალკევებას, მაშინ მოწინააღმდეგის რეგულარული ნაწილები მათ სათითაოდ გაანადგურებენ. შესაბამისად, აქედან გამომდინარე, კომბინირებული ომი იძლევა

[1] Liang Qiao and Xiangsui Wang. Unrestricted.., გვ. 215-216.
[2] Thomas M. Huber. Compound Warfare: A Conceptual Framework. – წიგნში: *Compound Warfare: The Fatal Knot.* Edited by Thomas M. Huber. Fort Leavenworth, KS: U.S. Army Command and General Staff College Press, 2002, გვ. 1.
[3] Thomas M. Huber. *Compound..,* გვ. 1.

საშუალებას, იმაზე მეტი ზეწოლა მოახდინო მოწინააღმდეგეზე, ვიდრე ამას შეძლებდა მხოლოდ ერთი ტიპის შენაერთების გამოყენების შემთხვევაში.[1]

ტ. ჰუბერი აღნიშნავს, რომ კომბინირებული ომის წარმოება ეფექტიანია, რადგანაც ხშირ შემთხვევაში არარეგულარული და რეგულარული შენაერთები ერთმანეთს ორგანულად ავსებენ. არარეგულარული ნაწილები მოწინააღმდეგესთან მიმართებაში უდიდეს უპირატესობაში აყენებენ რეგულარულ ნაწილებს: აწვდიან ტაქტიკური და ოპერატიული დონის სადაზვერვო ინფორმაციას; ხელს უშლიან მოწინააღმდეგის დაზვერვის ჯგუფებს; უზრუნველყოფენ ძირითადი ძალების მომარაგებისთვის საჭირო უსაფრთხოებას; აბრკოლებენ მოწინააღმდეგე ძალების ლოჯისტიკური ჯგუფების მოქმედებებს; საჭიროების შემთხვევაში რეგულარული ძალების შევსებას ახდენს პერსონალითა და სამუშაო ძალით; მოწინააღმდეგის ზურგში მოქმედებებით ფიტავს მათ. რეგულარული შენაერთები, თავის მხრივ, მოწინააღმდეგეზე შეტევებით არ აძლევს მას საშუალებას, მთელი ძალების კონცენტრირება მოახდინოს ზურგში მოქმედი პარტიზანების წინააღმდეგ; აწვდიან სტრატეგიული დონის სადაზვერვო ინფორმაციას; აძლევენ რჩევებს, თუ სად და როდის დაარტყან მოწინააღმდეგეს; წარუმატებელი სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში, პოლიტიკური კრახის თავიდან ასაცილებლად, ეხმარებიან პერსონალითა და რესურსებით, რათა განაახლონ პოლიტიკური და სამხედრო აქტივობა; წვრთნიან და ამარაგებენ ამბოხებულებს; ეხმარებიან პოლიტიკური ბერკეტების შექმნაში. ტ. ჰუბერისთვის კომბინირებული ომი ეფექტიანი საშუალებაა, რომელიც ძალიანაა დამოკიდებული ორივე ტიპის შენაერთის ურთიერთქმედებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოწინააღმდეგე შეძლებს და საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ერთი დარტყმით გაანადგურებს სამიზნე ობიექტის რეგულარულ ნაწილებს, მაშინ კომბინირებული ომი არ შედგება, რადგანაც პარტიზანულ დაჯგუფებებს არ შესწევთ უნარი, მარტო აღუდგნენ წინ რეგულარულ ნაწილებს. ამის თავიდან ასაცილებლად იდეალური ვარიანტია რეგულარული ძალების ფორტიფიცირება, ანუ, „ფორტიფიცირებული კომბინირებული ომი“.[2]

ტერმინში „ფორტიციფირებული კომბინირებული ომი“ ფორტიფიცირების ქვეშ არ იგულისხმება მხოლოდ გამაგრებული პოზიციები. ის ასევე მოიაზრებს ალიანსებს,

[1] Thomas M. Huber. *Compound..,* გვ. 2.
[2] Thomas M. Huber. *Compound..,* გვ. 3-4.

დიპლომატიას, ტექნოლოგიას, გეოგრაფიას და ნებისმიერ ფაქტორს, რაც დაეხმარება „ფორტიფიცირებულობის“ მიღწევაში. ასეთ შემთხვევებში ფორტიფიცირებული კომბინირებული ომი ძალიან რთული დასამარცხებელია, ფაქტობრივად შეუძლებელი და ისტორიაში თითზე ჩამოსათვლელია შემთხვევები, როცა შეძლეს მსგავსი წინააღმდეგობის დაძლევა. „ფორტიფიცირების“ მისაღწევად საჭიროა ორი მთავარი ელემენტი: უსაფრთხო სავანე, სადაც ძირითადი ძალები იქნებიან ხელშეუხებლები და ძლიერი მოკავშირე, რომელიც დაეხმარება სუსტ მხარეს რესურსებით. შესაბამისად, წარმატებული ფორტიფიცირებული კომბინირებული ომის საწარმოებლად ტ. ჰუბერი გამოყოფს ოთხ კომპონენტს: რეგულარული ნაწილები, არარეგულარული ნაწილები, უსაფრთხო ადგილი მთავარი ძალებისთვის და ძლიერი მოკავშირე. ეს უკანასკნელი მცირე ძალას აყენებს ძალიან დიდი უპირატესობაში. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ თუ „კომბინირებული ომი“ თითქმის დაუმარცხებელია, „ფორტიფიცირებული კომბინირებული ომი“ პრაქტიკულად უძლეველია.

წიგნში „კომბინირებული ომი – საბედისწერო კვანძი“ განხილულია რამდენიმე კომბინირებული ომის ისტორიას, სადაც ძირითადად ყოველთვის მცირე ძალა უგებდა უპირატესს.

1. 1690-1763 წლების კოლონიური ომები (პირველი კოლონიური ომი ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაიწყო 1689 წელს – ბ.შ.)[1] ამერიკის კონტინენტზე, როდესაც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ინგლისელებისა და ფრანგების დაპირისპირებაში ადგილობრივი მოხალისე კოლონისტები ბრიტანელების მხარეს იბრძოდნენ.
2. ამერიკის რევოლუცია, როდესაც ჯორჯ ვაშინგტონი რეგულარულ ნაწილებთან ერთად მოხალისეების ძალასაც იყენებდა, რომლებიც მუდმივად აწუხებდნენ ინგლისელების ზურგს და კომუნიკაციის ხაზებს.
3. ნაპოლეონის კრახი ესპანეთში, როდესაც ფრანგი მარშლები უძლურები იყვნენ ჰერცოგ ველინგტონისა და ესპანელი აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლაში.
4. მაო ძედუნი და მისი რევოლუციური არმია.
5. ვიეტნამის ომი, როდესაც სამხრეთელი „ვიეტკონგელები“ და ჩრდილოელი

[1] King William’s War history of North America. უკანასკნელად ნანახია 21. 02.2023 ვებგვერდზე: https://www.britannica.com/event/King-Williams-War.

სამხედროები, საბჭოთა კავშირთან მოკავშირეობით უპირისპირდებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს.[1]

სამხედრო აზრის განვითარება არ შეჩერებულა „კომბინირებული ომის“ თეორიაზე. სამხედროები და ისტორიკოსები ცდილობდნენ იმის გამოცნობას, თუ რა სიახლეები იქნებოდა ომის წარმოებაში, მით უმეტეს, რომ მათ უკვე ჰქონდათ საბაზისო კონცეფციები კომბინირებული ომის, მეოთხე თაობის ომისა თუ ჩინური ახალი თაობის ომის სახით, რომელზე დაყრდნობითაც შეეძლოთ ახალ-ახალ მიმართულებებზე მუშაობა. ერთ-ერთი მსგავსი იყო ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ოფიცერი ბილ ნემეცი, რომელმაც პირველმა გამოიყენა ტერმინი „ჰიბრიდული ომი“. უ. ნემეთი თავის ნაშრომში, „მომავლის ომი და ჩეჩნეთი: ჰიბრიდული ომის მაგალითი“, ამტკიცებს, რომ ჰიბრიდული მოდელი იქნება დომინანტური მომავალში. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰიბრიდული ომის ზუსტი განმარტება არ შემოუთავაზებია, ნაშრომის შეჯამებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისთვის ჰიბრიდული ომი არის ომის ფორმა, რომელსაც იყენებენ ჰიბრიდული საზოგადოებები. ჩეჩნეთის მაგალითზე ის ამტკიცებს, რომ ეს არის საზოგადოებები, რომლებიც განსხვავდებიან თანამედროვე სახელმწიფოს სისტემებისგან, ანუ პრესახელმწიფო მოწყობის მქონე საზოგადოებები კლანური მმართველობით.[2] ჰიბრიდული ომი არის პარტიზანული ომის თანამედროვე ფორმა, რომლის გამოყენების ეფექტურობაც გაზრდილია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მობილიზაციების მეთოდების გამო.[3] შესაბამისად, უ. ნემეთის მტკიცებით, ომი იმ საზოგადოების გამოხატულებაა, რომელიც მას აწარმოებს. ამიტომაც, ჰიბრიდული საზოგადოებებს ახასიათებთ ჰიბრიდული ომის ტაქტიკა. ამ ტიპის ომი დაფუძნებულია პარტიზანულ ტაქტიკაზე, რომელიც, საზოგადოების კლანურობიდან გამომდინარე, აადვილებს ურთიერთთანამშრომლობასა და უსაფრთხოებას. ამ სისტემებს აქვთ უნარი, გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები  და პარტიზანული შესაძლებლობებისა და ტაქტიკის შეუზღუდავად გამოყენების საშუალება.[4] უ. ნემეთი ამტკიცებს, რომ ჰიბრიდული შეიარაღებულ ძალები აწარმოებენ მეოთხე თაობის ომს,

---

[1] Thomas M. Huber. *Compound..,*

[2] William J. Nemeth. *Future war and Chechnya : a case for hybrid warfare.* Monterey: Naval Postgraduate school, 2002, გვ. 4.

[3] William J. Nemeth. *Future war..,* გვ. 29.

[4] William J. Nemeth. *Future war..,* გვ. 74.

რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტიც არის ტერორიზმი და, შესაბამისად, დაფუძნებულია იდეებზე. ამიტომაც, ჰიბრიდულ საზოგადოებებს აქვთ შესაძლებლობა აჯობონ დასავლურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სამხედრო აზროვნებას.[1] უ. ნემეთის თეორიის თანახმად, ჩეჩნურ საზოგადოებას ჰქონდა უნარი ერთდროულად ეწარმოებინა როგორც არაკონვენციური, ასევე კონვენციური ომები.

ჰიბრიდული ომის ტერმინის დამკვიდრებასა და სრულყოფილი განმარტების შექმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების თადარიგის ოფიცერ ფრენკ ჰოფმანს, რომელმაც შეისწავლა რა 1980-იანი წლებიდან მოყოლებული ჩამოყალიბებული კონცეფციები ახალი თაობის ომების შესახებ, ჩამოაყალიბა ჰიბრიდული ომის თეორია: „ჰიბრიდული ომები არ არის სიახლე, თუმცა იგი არის განსხვავებული“.[2] ფ. ჰოფმანი აღნიშნავს, ჰიბრიდული ომის თეორიის ჩამოყალიბებისას მეოთხე თაობის ომის თეორიიდან ისესხა კონფლიქტის ბუნების ცვლილებისა და სახელმწიფოს მიერ ძალადობაზე მონოპოლიის დაკარგვის კონცეფცია, ჩინური შეუზღუდავი ომიდან – ყოვლისმომცველობა და კომბინაციები, კომბინირებული ომის მიმდევრებისგან კი – კონვენციური და არაკონვენციური შესაძლებლობების მიქსი და ასე ჩამოაყალიბა ჰიბრიდული ომის/საფრთხეების განმარტებები.[3]

ფ. ჰოფმანისთვის ჰიბრიდული საფრთხეა „ნებისმიერი მოწინააღმდეგე, რომელიც პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ადაპტირებულად და ერთდროულად იყენებს კონვენციური იარაღის, პარტიზანული ტაქტიკის, ტერორიზმისა და კრიმინალურ მოქმედებების ნაზავს“.[4] შესაბამისად, ჰიბრიდული ომები შეიძლება აწარმოოს როგორც სახელმწიფომ, ისე არასახელმწიფო აქტორებმა. ჰიბრიდული ომები თავისთავში მოიცავს ომის წარმოების სხვადასხვა მეთოდების: კონვენციურ შესაძლებლობებს, არარეგულარულ ტაქტიკასა და ფორმაციებს, ტერორისტულ აქტებს, მათ შორის, სამოქალაქო პირების მასობრივ, განურჩეველ მკვლელობებსა და სხვა სახის ძალადობრივი ქმედებები მათ წინააღმდეგ. ზემოხსენებული აქტივობები შეიძლება განახორციელონ ცალკეულმა ჯგუფებმაც, მაგრამ მათი მოქმედებები,

---

[1] William J. Nemeth. *Future war..,* გვ. 3.
[2] Frank Hoffman. Hybrid Warfare and Challanges. *Small War Journal*, 2009: 34-39.
[3] Frank Hoffman. *Conflict in the..,* გვ. 29.
[4] Frank Hoffman. „Hybrid vs Compound war.“ *Armed forces journal*, 2009: 1-5.

კონფლიქტის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განზომილებებში სინერგიული ეფექტის მიღწევის მიზნით, ოპერატიულად და ტაქტიკურად იმართება მთავარ საბრძოლო სივრცეში.[1]

ფ. ჰოფმანი აღნიშნავს, რომ სტრატეგიულ დონეზე შესაძლებელია ძალიან ბევრი ომის განხილვისას შევხვდეთ რეგულარული და არარეგულარული ნაწილების ერთდროულ მოქმედებებს, თუმცა კონფლიქტების უმრავლესობაში ეს კომპონენტები გვხვდებოდა სხვადასხვა საბრძოლო თეატრებში ან განსხვავებულ ფორმაციებში.[2] არარეგულარული და კონვენციური ძალების შესაძლებლობების კომბინაცია, ოპერატიულად ან ტაქტიკურად ინტეგრირება საკმაოდ რთული მისაღწევი ამოცანაა, მაგრამ ისტორიულად ახალი ფენომენი არ არის. „კომბინირებული ომის“ დროს ეს ორი სახეობა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებს სხვადასხვა საბრძოლო სივრცეში და სხვადასხვა საბრძოლო ამოცანები აქვთ, ჰიბრიდულ ომში ეს ორივე სახეობა ერთიანდება ერთ ძალად, ერთ საბრძოლო სივრცეში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ ისინი ოპერატიულად და ტაქტიკურად ინტეგრირებულები არიან, არარეგულარული კომპონენტი მაინც ცდილობს, რომ ოპერატიულ დონეზე გადამწყვეტი გახდეს და უბრალოდ კი არ გაახანგრძლივოს კონფლიქტი, არამედ გამოიწვიოს მოწინააღმდეგის გადაჭარბებული რეაქცია და ძვირად დაუფასოს უსაფრთხოების დაცვა.[3] ჰიბრიდული მოწინააღმდეგე გამარჯვებისა და პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის იყენებს არარეგულარულ ტაქტიკას და მის ხელთ არსებულ ყველაზე ლეტალურ საშუალებებს. ამისთვის კი მიმართავენ არა რევოლუციური, მაღალი კლასის ტექნოლოგიებს, არამედ კრიმინალურ აქტივობებს. კრიმინალური აქტივობები გამოიყენება ან ჰიბრიდული ძალების მხარდასაჭერად, ან სამიზნე ერში არეულობებისა და არსებული წესრიგის დარღვევის გასაადვილებლად.[4] ფრენკ ჰოფმანის განმარტება ჰიბრიდული ომის შესახებ არ არის ერთადერთი, არსებობს კიდევ რამდენიმე ვარიანტი, ზოგი – უფრო ფართო გაგების, ზოგი კი, პირიქით, უფრო დავიწროებული.

ამერიკელი ისტორიკოსი პიტერ მანსურისთვის ჰიბრიდული ომი არის

---

[1] Frank Hoffman. Hybrid Warfare..,
[2] Frank Hoffman. *Conflict in the..,* გვ. 28-29.
[3] Frank Hoffman. *Conflict in the..,* გვ. 28-29.
[4] Frank Hoffman. *Conflict in the..,* გვ. 29.

კონფლიქტი, სადაც სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები, პოლიტიკური მიზნების შესრულების მიზნით იყენებენ კონვენციურ შეიარაღებულ ძალებსა და არაკონვენციურ შეიარაღებულ ფორმირებებს (პარტიზანები, ამბოხებულები და ტერორისტები). იგი აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის კონფლიქტები მრავლად გვხვდება ისტორიის განმავლობაში და მაგალითები მოჰყავს თვით ანტიკური ეპოქიდანაც.[1] თუმცა, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ პ. მანსურის მიერ მოყვანილი განმარტება თითქმის იდენტურია კომბინირებული ომის თეორიისა, შესაბამისად მიმდინარე ნაშრომზე წერისას მისი ჰიბრიდული ომის თეორია არ გამომიყენებია.

ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ფართო განმარტება, რომელიც ეკუთვნის ბრინ ნაიჟერს, ჟღერს შემდეგნაირად: „ჰიბრიდული ომი არის დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მოიცავს შესაძლებლობების ყველა სპექტრს. ეს არის სპეციალური ბუნდოვანი შერწყმა კონვენციური და არაკონვენციური ომის წარმოების მეთოდებისა, რომელიც იმართება ცენტრალიზებულად, სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მსგავსი აქტორის მიერ. ჰიბრიდული ომის მიზანია მიაღწიონ იმ პოლიტიკურ მიზნებს, რომლის მიღწევაც ან შეუძლებელი იქნებოდა, ან მისი მიღწევა ინდივიდუალური ფორმებით ზედმეტად ხარჯიანია. კონვენციური და არაკონვენციური მეთოდების აღრევა საშუალებას იძლევა აღმოაჩინო მოწინააღმდეგის სტრატეგიული ან დოქტრინული სისუსტე და სტრატეგიული მოულოდნელობის გამოყენებით დაარტყა“.[2]

აღსანიშნავია ის, რომ NATO-ს აქვს ჰიბრიდული ომის მისეული განმარტება. 2017 და 2018 წლების NATO-ს გენერალური მდივნის ანგარიშში ჰიბრიდული ომი შემდეგნაირად არის განმარტებული: „ჰიბრიდული ომი მოიცავს სამხედრო და არასამხედრო, ფარულ და ღია ტაქტიკას, დეზინფორმაციისა და პროპაგანდიდან დაწყებული არარეგულარული შეიარაღებული დაჯგუფებით თუ რეგულარული ძალების გამოყენებით დამთავრებული. ის შლის ზღვარს ომსა და მშვიდობას შორის. თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხე მოიცავს დახვეწილ კიბერშეტევებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზეწოლას და მოწინააღმდეგის მოწყვლადობის

[1] Peter R. Mansoor. *Hybrid Warfare, Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present.* Cambridge: Cambridge University Press, 2012, გვ. 14.
[2] Brin Najžer. *Hybrid Age.* London: I.B.Tauris, 2020, გვ. 40.

გამოყენებას";[1] „ჰიბრიდული ომის საუკუნეში ქვეყნებმა შეიძლება არ იცოდნენ, რომ მათზე განხორციელდა ჰიბრიდული თავდასხმა, სანამ სერიოზულ ზიანს არ მიიღებენ. ჰიბრიდული ომის მეთოდები, როგორიცაა პროპაგანდა, მოტყუება, საბოტაჟი და სხვა არასამხედრო ტაქტიკა, დიდი ხანია გამოიყენება სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან მოწინააღმდეგის დესტაბილიზაციის მიზნით".[2]

აღსანიშნავია, რომ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის ბუნების შესახებ მეცნიერებში თავიდან არ არსებობდა ერთიანი აზრი და, ჰიბრიდული ომის თეორიის ჭრილში განხილვამდე, მას სხვადასხვა პრიზმაში ხედავდნენ. ერთ-ერთი პირველი, რაც სამეცნიერო საზოგადოებაში გაჟღერდა პიტერ პომერანცევის მიერ, იყო „არასწორხაზოვანი ომი" ("non-linear war".)[3] იგივე ტერმინს იყენებს მ. გალეოტი,[4] როდესაც უკრაინის კრიზისთან ერთად განიხილავდა რუსეთის გენშტაბის უფროსის ვ. გერასიმოვის სტატიას, რომელიც შემდგომში „გერასიმოვის დოქტრინის" სახელით გახდა ცნობილი. სამეცნიერო წრეებში გვხვდება ასევე შემდეგი ტერმინები: „სრული სპექტრის ომი", „ახლებური მიდგომა" („novel approach"), „არაპირდაპირი ომი" , „სპეციალური ომი".[5]

2014 წლის 26 აპრილს ჰოლანდიელი გენერალი, ფრანკ ვან კაპენი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით იხმარა ტერმინი „ჰიბრიდული ომი". ვან კაპენი რუსეთის ჰიბრიდულ ომს უკრაინის წინააღმდეგ განმარტავდა შემდეგნაირად: „ეს არის ომის კლასიკური წარმოების მეთოდებისა და არარეგულარული შენაერთების გამოყენების ნაზავი. სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს ჰიბრიდულ ომს კავშირშია არასახელმწიფო აქტორებთან – ბოევიკები, ადგილობრივი მოსახლეობის დაჯგუფებები და სხვა ორგანიზაციები, რომელთანაც

---

[1] "The Secretary General's Annual Report 2017". *Nato.int.* 2017, გვ. 22. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023ვებგვერდზე:https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2018_03/20180315_SG_AnnualReport_en.pdf

[2] "The Secretary General's Annual Report 2018". 2018, გვ. 26. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20190315_sgar2018-en.pdf

[3] Peter Pomerantsev. „How Putin Is Reinventing Warfare." *Foreign Policy*, 5 May, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://foreignpolicy.com/2014/05/05/how-putin-is-reinventing-warfare. ტერმინი პირველად გვხვდება პუტინის მრჩევლის სურკოვის სტატიაში, სადაც იგი ომის ამ სახეობას განმარტავს როგორც „ომს, სადაც ყველა იბრძვის ერთმანეთის წინააღმდეგ" (იხ.:Владислав Сурков. Без неба. March 14, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: http://ruspioner.ru/honest/m/single/4131).

[4] Mark Galeotti. The 'Gerasimov Doctrine'..,

[5] András Rácz. Russias Hybrid War in Ukraine: Breaking the Enemy;s Ability to Resist. Helsinki: The Finnish Institute of International Affairs, 2015, გვ. 40.

კავშირს ფორმალურად სრულად უარყოფს. ეს არასახელმწიფო აქტორები სჩადიან ისეთი სახის ქმედებებს, რომელთა ჩადენაც ჟენევისა და ჰააგის კონვენციების გამო არ შეუძლია სახელმწიფოს. ჰიბრიდული ომისას რუსები ერთის მხრივ იყენებენ რეგურალურ ძალებს, თუნდაც მხოლოდ შეშინების მიზნით – ამჟამად უკრაინის საზღვართან 40,000 რუსი სამხედროა მობილიზებული. ამგვარად, უკრაინაზე ხორციელდება ზეწოლა: „ერთი არასწორი ნაბიჯი და ნახეთ რა მოგივათ". ხოლო მეორეს მხრივ, უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედებენ რუსეთიდან მართული არასახელმწიფო ჯგუფები. ამ გზით წარმოებული ომის წინააღმდეგ ადეკვატური რეაგირების მოხდენა ძალიან რთულია. როცა X სახელმწიფოდან საზღვარს კვეთავს სატანკო დივიზია, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ამ შემთხვევაში მსგავსი არაფერი ხდება. ამის მაგივრად რუსეთიდან მართული ბოევიკებისა და ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების ჩართულობით სახეზე გვაქვს ჩუმი ანექსია".[1] გენერალ კაპაენის შემდეგ ტერმინი ჰიბრიდული ომი 2014 წლის ივნისში გაიმეორა ანდრეი ილარიონოვმა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა.[2] 2014 წლის 3 ივლისს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ოფიციალურ ვებ–გვერდზე აიტვირთა ვიდეო რგოლი,[3] სადაც რუსეთის მოქმედებები აღწერილი იყო როგორც ჰიბრიდული ომი, ხოლო იმავე წლის სექტემბერში გამართულ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის უელსის სამიტზე უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი უკვე ოფიციალურად იწოდა ჰიბრიდულ ომად.[4]

## §2. რუსული ჰიბრიდული ომი

როგორც აღვნიშნეთ, ჰიბრიდული ომი, როგორც მომავლის ომის სახე, აქტიური განხილვის საგანი გახდა 2007 წლიდან, მას შემდეგ რაც ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ოფიცერმა ფ. ჰოფმანმა გამოსცა თავისი ცნობილი წიგნი ჰიბრიდული ომის შესახებ, თუმცა აშშ-ს მიერ ერაყსა და ავღანეთში წარმოებული

[1] Франк ван Каппен, სოფია კორნიენკოს ინტერვიუ. Пиджак рвется по шву. Радио Свобода, 26 Апреля 2014 г. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.svoboda.org/a/25362031.html/.

[2] Андрей Илларионов. Гибридная – это прежде всего информационная война.25 June, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://aillarionov.livejournal.com/704653.html

[3] Hybrid War – Hybrid Response? 1 July, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.nato.int/docu/review/articles/2014/07/01/hybrid-war-hybrid-response/index.html

[4] Wales Summit Declaration. 5 September, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm

სამხედრო კამპანიების დროს აღნიშნული ტერმინი შეიძლება ითქვას დავიწყებას მიეცა, 2014 წლამდე. 2014 წელს, რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსიისა და უკრაინის აღმოსავლეთში გაჩაღებული ომის შემდეგ, ტერმინი ჰიბრიდული ომი, რომელიც მანამდე ძირითადად სამხედროებში იყო ცნობილი და მხოლოდ შიდა განხილვის საგანს წარმოადგენდა, უფრო ფართო მოხმარების გახდა და მისით დაინტერესდნენ პოლიტიკური წრეებიც. სამხედრო პრაქტიკოსებმა და თეორეტიკოსებმა დაიწყეს საუბარი იმის შესახებ, რომ სწორედ ის, რაც ხდებოდა უკრაინაში, წარმოადგენდა ახალი თაობის ომს, რომელზეც ისინი ათწლეულების განმავლობაში წერდნენ. სამხედრო მკვლევრები აღნიშნავდნენ, რომ ამ ომის სახეობისკენ სამყარო ეტაპობრივად მიდიოდა და ეს წარმოადგენდა ლოგიკურ პასუხს დასავლური ტექნოლოგიური სიძლიერეზე და მის გამოწვევას.[1] კონცეფციები ახალი თაობის ომების, მათ შორის ჰიბრიდული ომის შესახებ, იქმნებოდა დასავლურ ინტელექტუალურ სივრცეში, რადგანაც ცდილობდნენ ომის იმ ფორმის განჭვრეტას, რომელიც შეძლებდა ეფექტიანად მოქმედებას დასავლური (პირველ რიგში, ამერიკული) სამხედრო ძლიერებისთვის, რომელიც მეტწილად მოწინააღმდეგეზე ტექნოლოგიურ უპირატესობის პრინციპზეა დაფუძნებული. მათ ამოძრავებდათ არა წმინდა მეცნიერული, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესი, რადგანაც შემდგომი თაობის ომების ფორმების წინასწარმეტყველება მისცემდა საშუალებას დასავლურ სამხედრო-პოლიტიკურ წრეებს მომზადებულები შეხვედროდნენ ახალ გამოწვევებს და შეენარჩუნებინათ თავისი მსოფლიო დომინაცია. შესაბამისად, დასავლელი მკვლევრების მიერ რუსეთის მოქმედებები ყირიმსა და დონბას/ლუგანსკში, ასევე სირიაში მიმდინარე კონფლიქტი, აღქმულ იქნა როგორც ჰიბრიდული ომის ის სახე, რომელიც რეალურ პრობლემებს შეუქმნიდა ომის წარმოების დასავლურ მოდელს, რადგანაც მათ აღნიშნულ კონფლიქტებში ნათლად დაინახეს, თუ როგორი უძლური და მოუმზადებელი აღმოჩნდა, პირველ რიგში, საერთაშორისო სისტემა ომის ამ ახალი სახეობის მიმართ.[2] ჰიბრიდული ომის ფარგლებში მისმა მწარმოებელმა ქვეყანამ საერთაშორისო ურთიერთობების იმ ყველა ნორმას აუარა გვერდი, რომელიც ცივი

[1] Craisor-constantin Ionitas. "Is hybrid warfare something new?" Strategic Impact, No 4. 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.cfc.forces.gc.ca/259/290/318/305/harvey.pdf.
[2] Oğuz, Şafak. "The New NATO: Prepared for Russian Hybrid Warfare?" Insight Turkey, vol. 18, no. 4, Fall 2016, pp. 165-180.

ომის შემდგომ ეპოქაში იყო გარანტია მცირე სახელმწიფოების არსებობისთვის. ასევე, ომის ეს სახეობა ნიველირებას უკეთებდა ტექნოლოგიურ სიძლიერეს და ომი ახალ განზომილებაში გადაჰყავდა. შესაბამისად, ევროპელმა და ამერიკელმა მკვლევარებმა აქტიურად დაიწყეს უკრაინასა და სირიაში მიმდინარე კონფლიქტის კვლევა. გაჩნდა უამრავი სტატია, მონოგრაფია, პრესკონფერენციებზე მომხსენებლები დეტალურად განიხილავდნენ რუსული ჰიბრიდული ომის მოდელს, სტრუქტურას, სუსტსა და ძლიერ მხარეებს.[1] ევროპელი და ამერიკელი მეცნიერებისთვის, მათი სააზროვნო სისტემისა და კულტურული იდეებისგან განსხვავებული ომის წარმოების ეს ფორმა უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი ჰიბრიდული ომი 2000-იანი წლებიდან გვხვდება, მის პროტოტიპად ჰეზბოლა-ისრაელის კონფლიქტს[2], ხოლო აქტიურ გამოვლინებად უკრაინა-სირიას ხედავენ.[3] აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი თაობის ომი უცბად, ერთ და ორ კონფლიქტში არ ჩნდება, მას თავისი განვითარების საფეხურები გააჩნია, შესაბამისად, მისი პროტოტიპები საძებნელია ღრმა ისტორიულ წარსულში, მით უმეტეს, როცა ჰიბრიდული ომის კონტექსტში ვსაუბრობთ რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ, ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებულ ოპერაციაზე. ვფიქრობ, რომ შეუძლებელია დამუშავების ეტაპზე მყოფი თეორია ასეთ სრულყოფილ დონეზე გადაეტანათ პრაქტიკაში რუს სამხედროებს, რადგანაც ნებისმიერი ახალი თეორია და მის საფუძველზე დამტკიცებული სამხედრო დოქტრინა საჭიროებს ჯერ შესაბამის წვრთნებს, შემდეგ კი საველე პირობებში გამოცდას. შესაბამისად, ვთვლი, რომ ისტორიულ წარსულში შესაძლებელია მოიძებნოს რუსეთის მიერ ომის ამ მეთოდების გამოყენების პრაქტიკული მაგალითები. ამიტომაც ამ ნაშრომის ფარგლებში ვეცდები

---

[1] Gonchar, M. "The Next Phase of the Hybrid War." *New Eastern Europe,* 2015, გვ. 85-95. Thomas Timothy, "Russia's Military Strategy and Ukraine: Indirect, Asymmetric—and Putin-Led," The Journal of Slavic Military Studies 28, No 3. 2015; L. L. F. Harvey. "The Bear Went Under the Mountain: Hybrid Warfare and the Case of the Russia-Ukraine Conflict." Canadian Forces College, 2015-2016. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.cfc.forces.gc.ca/259/290/318/305/harvey.pdf.
Maria Snegovaya. Putin's information warfare in Ukrine, Soviet origins of Russia's hybrid warfare. Washington: Institute for the Study of War, 2015.

[2] Frank Hoffman. Conflict in the…

[3] Mason Clark. " The Russian Military's Lessons Learned in Syria". Institute for the Study of War, Washington, DC, 2021; Vira Ratsiborynska. "When Hybrid Warfare Supports Ideology: Russia Today." NATO Defense College, 2016; Chnaufer II, Tad A. "Redefining Hybrid Warfare: Russia's Non-linear War against the West." Journal of Strategic Security 10, no. 1 (Spring 2017), გვ, 17-31.

დავამტკიცო, რომ რუსული სოციოპოლიტიკური სისტემისთვის ჰიბრიდული ომის ცალკეული მეთოდები ათობით, ასობით წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, იწრთობოდა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეებისათვის ჰიბრიდული ომი სულაც არ იყო უცხო და ეს მათ სამხედრო კულტურის შემადგენელ ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება 1991–1993 წლების საქართველოში განვითარებული მოვლენები განვიხილოთ რუსული ჰიბრიდული ომის პროტოტიპად, ანუ საბრძოლო თეატრად, სადაც რუსებმა ცხადად დაინახეს, თუ როგორ შეიძლება იბრძოლო ერთი ქვეყნის წინააღმდეგ ისე, რომ არ გამოჩნდე აგრესორად საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ასე რომ, დაისმის კითხვა: რა არის რუსული ჰიბრიდული ომი და სად შეიძლება მისი საფუძვლების ძიება?

2013 წლის 27 თებერვალს რუსულ სამხედრო ჟურნალში გამოქვეყნდა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის, ვალერი გერასიმოვის სტატია „მეცნიერების ღირებულება წინასწარ განჭვრეტაშია“, რომელიც წარმოადგენდა იმავე წლის თებერვალში რუსეთის სამხედრო-სამეცნიერო აკადემიის გენერალურ ყრილობაზე მის მიერვე გაკეთებული მოხსენების ფრაგმენტს. ყრილობას ესწრებოდნენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელთა წინაშე ვ. გერასიმოვმა ისაუბრა იმ სამხედრო ტაქტიკურ-ტექნიკურ სიახლეებზე, რომლებიც დომინირებდნენ თანამედროვე მსოფლიოში. აღნიშნულმა სტატიამ დიდი რეზონანსი გამოიწვია ევროპელი და ამერიკელ მკვლევრებში და მას დაარქვეს „გერასიმოვის დოქტრინა“,[1] ჩათვალეს რა, რომ ეს იყო რუსეთის გაცხადებული ახალი თაობის ომი.

ვალერი გერასიმოვის განცხადებით, XXI საუკუნეში მიმდინარე ტენდენციების მიხედვით დადგება დრო, როცა განსხვავება ომსა და მშვიდობას შორის გაქრება. ომები დაიწყება მისი გამოცხადების გარეშე და როცა დაიწყება, იგი არ იქნება იმის იდენტური, რაც იყო აქამდე, რასაც მუდმივად ვხვდებოდით კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში. უახლესი ისტორიის სამხედრო კონფლიქტების გამოცდილება, ისეთები, როგორიცაა ფერადი რევოლუციების კასკადი ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში, ცხადყოფს, რომ საკმაოდ წარმატებული სახელმწიფოც კი შეიძლება რამდენიმე თვეში, უფრო მეტიც, რამდენიმე დღეშიც კი გადაიქცეს გამანადგურებელი საბრძოლო მოქმედებების თეატრად, ჩაეფლოს სამოქალაქო ომის

[1] Mark Galeotti. The ‘Gerasimov Doctrine’…

ქაოსში, დადგეს ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე და იქცეს უცხოური ინტერვენციის მსხვერპლად.[1]

ვ. გერასიმოვის თქმით, სამხედროებს შეიძლება ჰქონდეთ ცდუნება მარტივად გადაწყვიტონ არსებული პრობლემები და თავი მოიტყუონ, რომ ე.წ „არაბული გაზაფხული“ არ იყო ომი, შესაბამისად, არაფერია ამ გამოცდილებაში შესასწავლი და ასათვისებელი, თუმცა ეს მას არასწორად მიაჩნია. ის სვამს კითხვას: იქნებ პირიქითაც კია? იქნებ სწორედ ეს მოვლენაა ოცდამეერთე საუკუნისთვის დამახასიათებელი ახალი ომი? იქნებ სწორედ ეს უნდა შევისწავლოთ სამხედრო მეცნიერებმა? მისი მტკიცებით, ამ ახალი ტიპის კონფლიქტების დამანგრეველი მასშტაბების, სოციალური კატასტროფის, ეკონომიკური კოლაფსისა თუ ქაოსური პოლიტიკური შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი არაფრით ჩამოუვარდება ნამდვილ ომს. დღესდღეობით უბრალოდ შეიცვალა ომის წარმოების წესები. ახლა უფრო დიდი ყურადღება ეთმობა არასაბრძოლო საშუალებებს, რომლის გამოყენებითაც უფრო ეფექტურად აღწევენ პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიზნებს. შეიძლება ითქვას, რომ არატრადიციულმა ბრძოლის ახლებურმა მეთოდებმა თავისი ეფექტიანობით გადააჭარბა ძველი ყაიდის იარაღის ძალასაც კი.[2]

მოხსენებისას ვ. გერასიმოვმა აღნიშნა, რომ ორ ძალას შორის დაპირისპირების ხასიათი შეიცვალა, აღარ გვხვდება კონფლიქტის მხოლოდ სუფთა სამხედრო გადაწყვეტა, არამედ მან გადაინაცვლა არასამხედრო განზომილებებში, ისეთებში, როგორიცაა პოლიტიკური, ჰუმანიტარული, საინფორმაციო, კიბერსივრცე და სხვა. ეს ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ სამოქალაქო პროტესტი გამოიწვიოს, ქვეყანა ჩაეფლოს შიდა პოლიტიკურ კრიზისში და ამის შემდეგ სპეცსამსახურები საქმეში ჩაერთონ ფარული სამხედრო მოქმედებებით. დაპირისპირება იქნება ასევე საინფორმაციო სივრცეშიც, რომელსაც ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კონფლიქტის გამწვავებასთან ერთად, შესაძლებელია, ეს სამხედრო ასპექტები დაპირისპირების რაღაც სტადიაზე მოგვევლინოს სამშვიდობო ძალებადაც კი, რომელთა მიზანიც იქნება ჰუმანიტარული კრიზისის მართვა.[3]

---

[1] Валерий Герасимов. Ценность науки в предвидении. 26 февраля 2013 г., 1-5. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://vpk-news.ru/articles/14632.

[2] Валерий Герасимов. Ценность науки...

[3] Валерий Герасимов. Ценность науки...

გენერალური შტაბის უფროსის მტკიცებით, ტექნოლოგიურმა განვითარებამ შეცვალა მართვისა და კონტროლის სისტემები, ისინი უფრო დახვეწილი გახდა. შესაბამისად, გამარტივდა პატარა, მობილური ჯგუფების მართვა დიდ ოპერატიულ სივრცეში, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებასა და საინფორმაციო ველის კონტროლზე. აქედან გამომდინარე, „სამხედრო მოქმედებები უფრო დინამიკური, აქტიური და ეფექტიანი ხდება. ქრება ტაქტიკური და ოპერატიული პაუზა. ახალმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა საგრძნობლად შეამცირა სივრცითი და დროითი განზომილებები, ისევე როგორც ინფორმაციული უზრუნველყოფის ვადები შეიარაღებულ ძალებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის. სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე ჯარების დიდი დაჯგუფებების პირისპირ შეტაკებები თანდათანობით წარსულში რჩება. მთავარი საბრძოლო მიზნის მისაღწევად ხდება დისტანციური უკონტაქტო შებმა მტერთან. შერჩეული ობიექტების დამარცხება ხორციელდება ტერიტორიის სიღრმეში. იშლება განსხვავებები შეტევით და თავდაცვით ქმედებებს შორის სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე“.[1]

გერასიმოვის თანახმად, ახალი თაობის ომებისას „ფართოდ გამოიყენება ასიმეტრიული ქმედებები, რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლაში მტრის უპირატესობასთან გათანაბრების საშუალებას იძლევა. ესენია სპეციალური ოპერაციების ძალებისა და შიდა ოპოზიციის გამოყენება იმისთვის, რომ შეიქმნას მუდმივი ფრონტი მოწინააღმდეგე ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, აგრეთვე საინფორმაციო ზემოქმედება, რომლის ფორმები და საშუალებები მუდმივად უმჯობესდება“.[2]

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ გერასიმოვი თავის მოხსენებაში ეხება ასევე საბჭოთა კავშირის გამოცდილებას მეორე მსოფლიო ომში პარტიზანთა ჯგუფების გამოყენებასთან დაკავშირებით და, ასევე, საბჭოელების მიერ მიღებულ ცოდნას ავღანეთში წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დროს. აქვე გამოვყოფდი იმას, რომ პარტიზანული დაჯგუფებების გამოყენება რუსეთის ისტორიაში ჯერ კიდევ ნაპოლეონის წინააღმდეგ, ე.წ. „სამამულო ომის“ დროს ხდება. რუსეთის რეგულარული არმიის ოფიცერი დენის დავიდოვი, გენერალ კუტუზოვის ბრძანებით,

[1] Валерий Герасимов. Ценность науки…
[2] Валерий Герасимов. Ценность науки…

სათავეში ჩაუდგა ფრანგების ზურგში მოქმედ ცხენოსნების პარტიზანულ დაჯგუფებებს და, რუსეთის რეგულარულ შენაერთებთან კოორდინაციით, დიდ ზიანს აყენებდა საფრანგეთის იმპერატორის შენაერთებს. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ 1812 წელს ჩაეყარა საფუძველი რუსული ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს – არარეგულარული შენაერთებით ბრძოლას, რომელიც რუსული სამხედრო-პოლიტიკური კულტურისთვის ორგანულ ნაწილად იქცა, დროთა განმავლობაში განვითარდა და ახალ ეტაპზე ავიდა.

1812 წელს, როდესაც ნაპოლეონის დიდი არმია შეიჭრა რუსეთში, რუსებმა ვერ შეძლეს საკმარისი რაოდენობის ჯარის მობილიზება, ამიტომაც მთავარსარდლის, ბარკლაი დე ტოლის ინიციატივით, რომელსაც რუსეთის იმპერატორი დათანხმდა, გადაწყდა, რომ ორი ცალკეული საარმიო დაჯგუფება, რომლებსაც ბარკლაი დე ტოლი და პეტრე ბაგრატიონი ხელმძღვანელობდნენ, ფრანგებთან გენერალური ბრძოლის გამართვის მაგივრად უკან დაიხევდა და ნაპოლეონის არმიას რუსეთის სიღრმეში შეიტყუებდა.[1] საფრანგეთის იმპერატორის ომის წარმოების მეთოდი დამყარებული იყო გენერალური ბრძოლის მოგებაზე. შესაბამისად, მის სამიზნეს რუსული შეიარაღებული ძალების ცოცხალი ძალა და მათი განადგურება წარმოადგენდა. დასახული ამოცანის შესრულების მიზნით, ფრანგების არმია ახორციელებდა უკანდახეულ რუსების დევნის ოპერაციას და ცდილობდა, პირველ რიგში, არ დაეშვა მათი არმიების გაერთიანება, ცალ-ცალკე ეიძულებინა ბრძოლაში ჩაბმა, ან ალყაში მოექცია და დაემარცხებინა. ამ მიზნის მისაღწევად ნაპოლეონი მაქსიმალური სისწრაფით მიიწევდა წინ, ძალიან წელავდა საკომუნიკაციო ხაზებს და ღრმად შედიოდა მტრის ქვეყანაში, რითაც საფრთხეს უქმნიდა თავის მომარაგების ხაზებს. თუმცა, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორიც: ომის იმდროინდელი კანონების შესაბამისად, იბრძოდნენ ძირითადად არმიები. ნაპოლეონს, ესპანეთის გარდა, არსად შეხვედრია ადგილობრივი მოსახლეობისგან წინააღმდეგობა, ამიტომაც როცა მოწინააღმდეგის ჯარები მის წინ იყვნენ, იგი არ უფრთხოდა ზურგში დაუცველ საკომუნიკაციო ხაზების არსებობას, რადგანაც, მისი გაგებით, არავინ იყო, ვინც მომარაგებას საფრთხეს შეუქმნიდა. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ ბოროდინოს ბრძოლამდე, ბარკლაი დე ტოლიმ მოუწოდა რუს გლეხებს დაეწყოთ წინააღმდეგობის

[1] Евгений Тарле. Нашествие Наполеона на Россию. Москва: Наука, 2019, გვ. 5.

მოძრაობა ფრანგების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონთან ომის დაწყებამდე რუს გენერალიტეტს უკვე ჰქონდა წარმოდგენა „პატარა ომის“, ე.წ. „გერილიას ტაქტიკის“ შესახებ. 1811 წელს მსგავსი დასახელების წიგნი გამოიცა პრუსიაში, რომელიც რუსეთშიც შევიდა.[1] აქ იყო აღწერილი დეტალურად პარტიზანული ომის საფუძვლები. თუმცა, მაშინ ამ თეორიას არავინ მიაქცია ყურადღება. აი, 1812 წლის სამამულო ომის დროს კი, როცა რუსები კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ, რამდენიმე ოფიცერმა სწორედ ამ ტაქტიკაში დაინახა გამოსავალი.

ბოროდინოს ბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე პოდპოლკოვნიკი დენის დავიდოვი გამოცხადდა ინიციატივით გენერალ პეტრე ბაგრატიონთან, რომელთანაც ხუთი წელი მსახურობდა ადიუტანტად და შესთავაზა პარტიზანული მოძრაობის დაწყება. ოფიცერი თვლიდა, რომ მოსკოვისკენ ერთი ხაზით მიმავალ მოწინააღმდეგეს ძალიან უჭირდა მომარაგების მიღება, რადგანაც თავის ბაზებს საკმაო მანძილით იყო დაშორებული. შესაბამისად, თუ რუსები შექმნიდნენ მობილურ ჯგუფებს და ფრანგების მომარაგების ხაზებს დაარტყამდნენ, ნაპოლეონის ქვედანაყოფები ძალიან დასუსტებოდნენ, რადგანაც რუსული მიწა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ 200000-იანი არმია გამოეკვება. ასევე, სმოლენსკიდან მოსკოვისკენ გზაზე არ არსებობდა საწარმოები, რომლებიც მოამარაგებდნენ ფრანგებს საჭირო საბრძოლო რესურსით. შესაბამისად, სურსათ-სანოვაგისა და ტყვია-წამლის დეფიციტის მქონე ჯარში აუცილებლად დაეცემოდა მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მარტივად დაამარცხებდნენ. გეგმის თანახმად, პარტიზანები თავს უნდა დასხმოდნენ კურიერებს, საწყობებს, ფურაჟს და თავდასხმის დასრულებისთანავე დაიმალებოდნენ შემდგომ თავდასხმამდე. ქართული წარმოშობის გენერალს ძალიან მოეწონა დ. დავიდოვის ინიციატივა და ამის შესახებ დაელაპარაკა გენერალ კუტუზოვს, რომელმაც მოთხოვნილზე ბევრად ნაკლები კავალერისტი გამოყო, 50 ჰუსარი და 150 კაზაკი (ბოლოს ეს რიცხვი 80 კაზაკამდე ჩამოვიდა). პეტრე ბაგრატიონი ხვდებოდა, თუ როგორი კარგი წამოწყება იყო მტრის ზურგში მოქმედი კავალერისტთა დაჯგუფება და მზად იყო 3000 ცხენოსანიც კი მიეცა, თუმცა მთავარსარდლის ბრძანებას დაემორჩილა და იძულებული იყო, მცირე რაოდენობის ქვედანაყოფი

[1] Партизанское движение в Отечественной войне 1812 г. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://mil.ru/et/war/more.htm?id=11068671%40cmsArticle&fbclid=IwAR0PPt6Xv4G-MwqLEme6HoBQh2yJiyPg3Tr3xeM9WgbNXGURbD7aT03MFDo

გამოეყო. ეს ყველაფერი ხდებოდა ბოროდინოს ცნობილ ბრძოლამდე 5 დღით ადრე, ბრძოლა, რომელშიც ამ იდეის მხარდამჭერი ცნობილი გენერალი სასიკვდილოდ დაიჭრა.[1]

საარმიო პარტიზანული შენაერთები, მათთვის დასახული ამოცანიდან გამომდინარე, იყვნენ უაღრესად მობილურები, შესაბამისად, ძირითადად კომპლექტდებოდნენ კაზაკებისგან ან არმიის კავალერისტებისგან, რომელთა რიცხვი მერყეობდა 50 კაციდან 500 კაცამდე. მათი ამოცანა იყო მტრის ზურგში მოულოდნელი თავდასხმებით გაეწყვიტათ მათი კომუნიკაციის ხაზები, გაენადგურებინათ ცოცხალი ძალა, დაერტყათ გარნიზონებისთვის და შესაბამისი რეზერვისთვის, ხელი შეეშალათ მოწინააღმდეგის მომარაგებისთვის და ასევე ეწარმოებინათ თვალთვალისა და დაზვერვის ოპერაციები, შესაბამისად, მთავარი შტაბისთვის ყოველდღიურად მიეწოდებინათ მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაცია.[2]

პარტიზანული მოძრაობის ყველაზე დიდი წარმატება იყო სიახოვოს ბრძოლა, რომელიც შედგა 28 ოქტომბერს. დავიდოვის შენაერთებმა, რომლებიც 3280 კაცს ითვლიდნენ დაამარცხეს ოჟეროს ბრიგადა და ტყვედ აიყვანეს 2 ათასი ჯარისკაცი, 60 ოფიცერი და თვით გენერალი ოჟერო.[3]

ნაპოლეონის მიერ მოსკოვის დატოვების შემდეგ პარტიზანულმა დაჯგუფებებმა გააგრძელეს ბრძოლა ფრანგების რუსეთიდან გაძევების მიზნით. პარტიზანები რეგულარულ შენაერთებთან ერთად ათავისუფლებდნენ ქალაქებს, ამარცხებდნენ მოწინააღმდეგეს. უკვე 1812 წლის დეკემბრის ბოლოს დ. დავიდოვის შენაერთი კუტუზოვის ბრძანებით შეერწყა მთავარი ძალების ავანგარდს მეწინავე დაჯგუფების სახით.[4]

„სამამულო ომის“ დროს მიღებული დადებითი გამოცდილებიდან გამომდინარე რუსეთის იმპერიამ აქტიურად დაიწყო არარეგულარული სამხედრო შენაერთების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისმისაღწევად. კაზაკების დაჯგუფებები ითვისებდნენ ახალ-ახალ ტერიტორიებს, მათი სამოქმედო არეალი

---

[1] Denis Davidov. In the service of the Tsar against Napoleon. Translated by Gregory Trubetzkoy. London: Greenhill books, 1999, გვ. 85-86.

[2] Партизанское движение..,

[3] Денис Давыдов. Дневник партизанских действий.2001. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: http://www.museum.ru/museum/1812/Library/davidov1/index.html#c1

[4] Партизанское движение..,

ფართოვდება და აღმოსავლეთის ქვეყნების ტერიტორიებზეც კი ოპერირებდნენ. ეს იყო ძალა, რომელიც ერთდროულად წარმოადგენდა ოფიციალურ რუსეთს, თუმცა ოფიციალური რუსეთი მათ ქმედებებზე პასუხს არ აგებდა, მაგრამ ამავდროულად მათი მოქმედებებით მიღებული სიკეთეებით სარგებლობდა.

რუსულ სივრცეში არარეგულარული ნაწილების გამოყენება ახალ ეტაპზე ავიდა 1918-21 წლებში რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ბოლშევიკებმა დაიწყეს მსგავსი ტიპის შენაერთებით ბრძოლა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, საკმაოდ წარმატებულადაც. შესაბამისად, 1930-იანი წლების შუა ხანებამდე რევოლუციური არმიის მოქმედების დოქტრინა აქტიურად იყო წარმოდგენილი საბჭოთა სამხედრო სივრცეში და მის მიხედვით ხდებოდა სამოქალაქო საზოგადოებისა თუ სამხედროების მომზადება.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. მოულოდნელობის ფაქტორის, უკეთ მომზადებული პერსონალისა და კარგად დაგეგმილი ოპერაციის საშუალებით, გერმანული ქვედანაყოფები სწრაფად მიიწევდნენ ყველა მიმართულებით საბჭოთა კავშირის სიღრმეში. საბჭოთა არმია ან პანიკურად იხევდა უკან, ან ვერ ახდენდა საჭირო ძალების მობილიზებას და შესაბამისი თავდაცვისა თუ კონტრშეტევის დაგეგმვასა და განხორციელებას, რის გამოც გერმანელებმა ძალიან სწრაფად დაიკავეს ვრცელი ტერიტორიები.[1] ომის დაწყებიდან მალევე, იმპერატორ ალექსანდრეს პირველის მსგავსად, რომელმაც 1812 წელს რუს ხალხს მიმართა და მოუწოდა სამამულო ომში ჩაბმულიყვნენ და დაეწყოთ ბრძოლა ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ, სტალინმა მიმართა საბჭოთა კავშირის მოსახლეობას და რადიომიმართვაში პირველად გააჟღერა საბჭოთა ხელისუფლების სურვილი გერმანულ ოკუპაციას დაპირისპირდებოდნენ ე.წ. „გადამწვარი მიწების“ ტაქტიკით და გამოეყენებინათ ტრადიციული რუსული პარტიზანული ომი.[2] „მტრის მიერ დაკავებულ რაიონებში უნდა ჩამოყალიბდეს პარტიზანული დაჯგუფებები... მოწინააღმდეგის არმიის ქვედანაყოფების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ხიდების, გზების, საფოსტო და სატელეფონო გადამცემი ხაზების, ტყეების, საწყობებისა და მომარაგების ხაზების გადაწვა... წითელი არმიის ქვედანაყოფების იძულებული

[1] Smithsonian. World War II Map by Map. London: DK Publishing, 2019, გვ. 91.
[2] Scot Palmer. Stalin's radio broadcast to the Soviet people (3 July 1941). 2015. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023. ვებგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=hSTQ7HTHMvo

უკანდახევის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს არ დაუტოვოთ კილოგრამი პურიც კი... კოლმეურნეებმა უნდა გადმოდენონ საქონლის ჯოგი და პური ზურგის რაიონებში, უსაფრთხო ადგილას გადასატანად იგი ჩაბარდეს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდა პურისა და საწვავის გამოტანა, განადგურდეს ადგილზევე".[1] როგორც ვხედავთ, ეს იყო ტოტალური ომისკენ მოწოდება, რომელიც ითვალისწინებდა როგორც მოსახლეობისგან, ასევე შეიარაღებული ძალებისგან მაქსიმუმის გაღებას სახელმწიფოს დასაცავად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჰიტლერის თავდასხმამდე, საბჭოთა კავშირში არანაირი მზადება პარტიზანული ომის საწარმოებლად არ მიმდინარეობდა, შესაბამისად, როგორც ჯარისკაცები, ასევე მოსახლეობა არ იყვნენ მზად ამ ტიპის ომის საწარმოებლად. არ არსებობდნენ მომზადებული პარტიზანები და იატაკქვეშეთში მოღვაწენი, არც პარტიზანული ომის წინასწარ შემუშავებული თეორიები, არც წინასწარ განსაზღვრული საორგანიზაციო ფორმები, არ არსებობდა შესაბამისი სამალავები, იარაღის საცავები, რომლებსაც მტრის ზურგში მყოფი პარტიზანები გამოიყენებდნენ. აუცილებლად აღსანიშნავია, რომ 1930-იანი წლების შუა პერიოდამდე, საბჭოთა სახელმწიფოში მიმდინარეობდა სერიოზული მუშაობა პარტიზანული შენაერთების მომზადებასა და ომში გამოყენებაზე. საბჭოთა სამხედრო მეცნიერება უშვებდა იმის ალბათობას, რომ სავარაუდო მოწინააღმდეგე აგრესიის შემთხვევაში შეძლებდა გარკვეული საბჭოთა ტერიტორიების დაკავებას და მათი განთავისუფლებისთვის მხოლოდ რეგულარული ნაწილები არ იქნებოდნენ საკმარისები, არამედ მთელი მოსახლეობა, ასევე პარტიზანები და იატაკქვეშელები უნდა დახმარებოდნენ ფრონტს.[2] შესაბამისად, ძალიან რთული იყო ნულიდან ყველაფრის დაწყება და ოკუპირებულ რაიონებში პარტიზანული მოძრაობის გაშლა. ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო პოლიტიკური და სამხედრო მმართველობის შექმნა, რომელიც უხელმძღვანელებდა პარტიზანებს.

საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა, მათ შორის პარტიზანული ქვედანაყოფები, წარმოიქმნენ გერმანელების შეჭრისთანავე, თავიდან იგი იყო სტიქიური, ქაოსური და უსისტემო, ამიტომაც მან თავიდან ვერ შეძლო ყოფილიყო ეფექტური და ეფექტიანი, რადგანაც ის წითელარმიელები, რომლებიც ჩარჩნენ

[1] J.V. Stalin. Works (1941-1945). London: Red Star LTD, 1978, გვ. 16.

[2] Руководство борьбой народа в тылу врага, გვ. 493. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://encyclopedia.mil.ru/files/morf/VoV_Vol11_Rukovodstvo_borboi_naroda.pdf.

მოწინააღმდეგის ზურგში არ იყვნენ მზად პარტიზანული ომის წარმოებისთვის, მათ არ ჰქონდათ ტაქტიკური განსწავლულობა ამ მიმართულებით, როგორ უნდა ემოქმედათ მოწინააღმდეგის ზურგში, ეწარმოებინათ დივერსიული აქტები და საბოტაჟი. უარეს დღეში იყვნენ პარტიული პირები და სამოქალაქო საზოგადოება, რომლებსაც, ზემოხსენებულ ფაქტორებთან ერთად, არც საბრძოლო მომზადება ჰქონდათ გავლილი. ასეთ სიტუაციაში დაიწყო საბჭოთა კავშირმა პარტიზანული მოძრაობის ორგანიზება. 1941 წლის 27 ივნისს გამოიცა გენერალური შტაბის უფროსის ჟუკოვის დირექტივა: „დაუყოვნებლივ დაიწყეთ პირადი შემადგენლობიდან გამორჩეული და მამაცი ჯარისკაცებისგან შემდგარი დივერსანტ-პარტიზანთა ჯგუფების შექმნა და მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გადასროლა. ამოცანა: გაანადგურონ მოწინააღმდეგის ზურგი, ზურგის საშუალებები, კავშირის საშუალებები, მომარაგებები, მოწინააღმდეგის ოფიცრებისა და მზვერავების მკვლელობები. გადასროლის საშუალებები – ნებისმიერი, ავიაცია, პარაშუტები, ქვეითად“.[1]

1941 წლის 1 აგვისტოსთვის მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მოქმედებდა 500 მზვერავთა, 17 სპეციალური დაჯგუფება და 29 მზვერავ-დივერსანტთა ჯგუფი.[2] საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის ეს არ იყო საკმარისი, ამიტომაც დაიწყო ფართომასშტაბიანი მუშაობა პარტიზანული მოძრაობების გასაშლელად. შეიქმნა ერთიანი ცენტრალური მმართველობა, რომელიც ორ მიმართულებაზე მუშაობდა: 1) კავშირი დაემყარებინა სტიქიურად წარმოქმნილ დაჯგუფებებთან და მოეხდინა მათი მუშაობის კოორდინირება, შეიარაღებისა და ტექნიკის მიწოდება; 2) ფრონტის წინა ხაზზე მოეხდინა პარტიზანული დაჯგუფებების შექმნა, მათი წვრთნა და მტრის ზურგში გადასხმა სპეციალური დივერსიული დავალებების შესასრულებლად.[3] შესაბამისად, შეიქმნა პარტიზანულ დაჯგუფებათა დიდი ქსელი, რომელშიც გაწევრიანებულები იყვნენ როგორც უკვე სპეციალურად გაწვრთნილი მებრძოლები, ასევე მოწინააღმდეგის ზურგში ჩარჩენილი წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები, რომლებიც, გერმანელთა ზურგში მოქმედების პარალელურად, ადგილობრივი მოსახლეობისგან ნებაყოფლობით

[1] Руководство борьбой народа.., გვ. 489.
[2] Руководство борьбой народа.., გვ. 489.
[3] Руководство борьбой народа.., გვ. 494.

თანამშრომლობაზე უარის თქმის შემდეგ, იყენებდნენ კრიმინალურ და ტერორისტულ მეთოდებს, რამაც გამოიწვია მათი ჰიბრიდულ ძალად გარდაქმნა.[1]

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ერთიანი, ცენტრალიზებული პარტიზანული სისტემის შექმნამ, რომლის კონტროლის პრეტენზიებიც ერთბაშად ჰქონდა ნკვდ-ს, პარტიას და წითელ არმიას, გამოიწვია ის, რომ საბჭოთა პარტიზანულმა სისტემამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ვერ მიაღწია თავის განვითარების და ეფექტიანობის მწვერვალს, რადგანაც იმისთვის, რომ პარტიზანული მოძრაობა იყოს ეფექტიანი, მასზე დელეგირებული უნდა იყოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და იმპლემენტაციის უფლება. უნდა იყოს თავისუფალი მოქმედებებში და არ ემორჩილებოდეს ერთიან ცენტრს. ეს შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას ეშინოდა დამოუკიდებელი შენაერთების, რომლებიც მის ნებას არ დაემორჩილებოდნენ, ნაკლებად იქნებოდნენ იდეოლოგიური გავლენის ქვეშ და წარმატებული ომის შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა, რომ დაეწყოთ ამბოხი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შესაბამისად, პარტიზანულმა მოქმედებებმა, ტაქტიკურ-ოპერატიულისგან განსხვავებით, ვერ შეძლო სტრატეგიულ დონეზე იმ ეფექტის მიღწევა, რაც ჰქონდათ 1812 წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ ომებისას.[2]

ნაკლებადეფექტიანი პარტიზანული დაჯგუფებების ოპერირებას არ შეუშლია საბჭოთა კავშირის სამხედრო ხელმძღვანელობისთვის ხელი იმაში, რომ შეექმნათ პარტიზანული მოძრაობის დოქტრინები და პარტიზანული ომი საბჭოთა ომის წარმოების მეთოდის ორგანულ ნაწილად ქცეულიყო. ცივი ომის პერიოდში, საბჭოთა კავშირი აღნიშნული მეთოდებს იყენებდა მესამე ქვეყნებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ.[3] საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი აზიელი, აფრიკელი თუ ლათინოამერიკელი ამბოხებულები საბჭოთა კავშირში წარმოებული იარაღით იბრძოდნენ ადგილობრივი პროდემოკრატიული ხელისუფლებების წინააღმდეგ, ტყეში იყვნენ გავარდნილები

[1] Timothy McCulloh and Richard. Johnson. Hybrid Warfare. Florida: The JSOU Press, 2013, გვ. 45.

[2] Paul Hargrove. Roots of Russian.., გვ. 76.

[3] საბჭოთა კავშირი აქტიურად ეხმარებოდა ევროპაში მოქმედ ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებს როგორებიც იყვნენ: წითელი არმიის ფრაქცია (გერმანია), წითელი ბრიგადები (იტალია), ეტა (ესპანეთი), კორსიკა (საფრანგეთი), 17 ნოემბრის რევოლუციური ორგანიზაცია (საბერძნეთი), ირა (გაერთიანებული სამეფო) და სხვა. Taras Kuzio and Paul D'Anieri. The Soviet Origins of Russian Hybrid Warfare. 2018, გვ. 4.

პარტიზანებად და ხშირ შემთხვევაში აწყობდნენ სახელმწიფო გადატრიალებებსაც. მესამე სამყაროს ქვეყნებში საბჭოეთი წარმოდგენილი იყო იარაღითა თუ ინსტრუქტორებით და ნაკლებად კონვენციური სამხედრო ძალით. საბჭოთა საწვრთნელი ბანაკების ქსელით იყო დაფარული როგორც აფრიკა, ისე ლათინური ამერიკის ქვეყნები, რისთვისაც წელიწადში 200 მილიონ დოლარამდე იყო გამოყოფილი.[1]

ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთ საშუალება, რომელსაც რუსები საბჭოთა კავშირის პერიოდში აქტიურად იყენებდნენ, იყო მოწინააღმდეგე ქვეყანაში ამბოხების ინსცენირება, რომლებიც დასახმარებლად საბჭოთა კავშირს მიმართავდნენ, რასაც საბჭოეთი თავის მხრივ უცხო ქვეყანაში ინტერვენციის საბაბად იყენებდა. მაგალითად, 1924 წლის 1 დეკემბერს, ესტონეთში მოქმედმა მოიერიშე ჯგუფებმა, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ საბჭოთა დაზვერვის ოფიცრები და ადგილობრივი იატაკქვეშა კომუნისტები, სცადეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება და წითელი არმიის მიწვევა დასახმარებლად. გეგმის თანახმად, „ამბოხებულებს“ უნდა დაეკავებინათ ტალინის სტრატეგიული ობიექტები, სამთავრობო შენობები, სამხედრო ბაზები და კონტროლი დაემყარებინათ საკომუნიკაციო ხაზებზე, რაც გაადვილებდა საბჭოთა არმიის ინტერვენციას. პარალელურად, საბჭოელებს მობილიზებული ჰყავდათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეები ესტონეთთან საზღვარზე სამხედრო წვრთნების მოტივით და შეტევისთვის მზად იყო ასევე საბჭოთა საზღვაო ძალებიც. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირს ზუსტად იგივე მცდელობები ჰქონდა უფრო ადრე ბულგარეთსა და გერმანიაშიც.[2] აღნიშნული მოდელი ასევე გამოიყენეს 1939-40 წლების „ზამთრის ომის“ დროს, როდესაც საბჭოთა სპეცდანიშნულების ნაწილებმა გადაკვეთეს პირველებმა საზღვარი. მათი ამოცანა იყო, დაეკავებინათ გზები და ხიდები, მოეშალათ მართვისა და კონტროლის საშუალებები, გაენადგურებინათ მოწინააღმდეგეთა პატარა დაჯგუფებები და მოეხდინათ ადგილობრივი მოსახლეობის ტერორიზება.[3]

უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან მსგავსებას არამხოლოდ ზემოთ

---

[1] Taras Kuzio and Paul D'Anieri. The Soviet Origins.., გვ. 4.

[2] Maigre Merle. Nothing New in Hybrid Warfare: The Estonian Experience and Recommendations for NATO. Washington: The German Marshall fund of the United States, 2015, გვ. 2.

[3] Vitalii Usenko and Dmytro Usenko. New "old" Russian imperialism and hybrid wars – an historical overview. 2014, გვ. 8.

ხსენებული ფაქტები იძლევა, არამედ საბჭოელების მოქმედება ავღანეთში 1979 წლის დეკემბერში, როდესაც ავღანურად გამოწყობილმა სპეციალური ოპერაციების 700-მდე მებრძოლმა, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ ასევე საბჭოთა მუსლიმები, დაიკავა ძირითადი სამხედრო, სამთავრობო და მედიის შენობები.[1]

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირი აქტიურად იყენებდა ფარული ომის მეთოდებს,[2] რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დოქტრინებისა და პერსონალიების ცოდნის დონეზე დარჩა რუსეთის ფედერაციის მემკვიდრეობად.

დასკვნის სახით აუცილებლად უნდა ვახსენოთ გერასიმოვის ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუ, სადაც მან პირველად გააჟღერა ღიად ტერმინები „ჰიბრიდული ომი“ და „ჰიბრიდული მეთოდები“. რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი ვალერი გერასიმოვი ჰიბრიდულ მეთოდებად მოიხსენიებს თანამედროვე კონფლიქტებში მიზნის მისაღწევად სამხედრო ძალის მხარდაჭერით პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სხვა არასამხედრო ხერხების კომბინირებულის გამოყენებას. ეს შესაძლებლობას იძლევა, მოწინააღმდეგეზე მინიმალური სამხედრო ზეგავლენით, ძირითადად მოწინააღმდეგის სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობების „აფეთქებით“, საინფორმაციო–ფსიქოლოგიური ზეწოლით, ოპოზიციის აქტიური მხარდაჭერით, პარტიზანული და დივერსიული მეთოდებით“ დასახული პოლიტიკური მიზნების მიღწევას. გერასიმოვისთვის ძირითადი საშუალება საინფორმაციო ტექნოლოგიებია, რაც მოსახლეობის საპროტესტო პოტენციალით მანიპულირების  საშუალებას იძლევა, სხვა არასამხედრო მეთოდებთან ერთად. საინფორმაციო რესურსები იქცა იარაღის ერთ-ერთი სახეობად, რომლის კარგად გამოყენება იძლევა საშუალებას, რამდენიმე დღეში შიგნიდან აირიოს სიტუაცია

---

[1] Nicu Popescu. „Hybrid tactics: neither new nor only Russian.“ EU Institute for Security Studies, 2015, გვ. 1.

[2] დეზინფორმაცია – „მასკიროვკა“ საბჭოთა კავშირმა ცივი ომის მსვლელობისას დაახლოებით 10, 000-მდე დეზინფორმაციის ოპერაცია განახორციელა, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი იყო ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მიერ შიდსის ვირუსის გამოგონება და გავრცელება. Taras Kuzio and Paul D'Anieri. The Soviet Origins.., გვ. 4. მასკიროვკა, შეცდომაში შეყვანის ოპერაციების რუსული კონცეპტი, რომელიც აუცილებელია რუსული პოლიტიკური და სამხედრო მიზნების შესასრულებლად. მასკიროვკის მიზანია შექმნას ცრუ რეალობა, რომელიც საბრძოლო სივრცეში მოულოდნელობისა და უპირატესობის შექმნის შესაძლებელობას იძლევა. მასკიროვკა მოიცავს მოტყუებას, სამხედრო ხრიკებს და შეცდომაში შეყვანას. Morgan Maier. A Little Masquerade: Russia's Evolving Employment of Maskirovka. Kansas: School of Advanced Military Studies United States Army Command and General Staff College Fort Leavenworth, 2016, გვ. 1,27. ჯერ კიდევ შორეულ 1920 წელს საბჭოთა რუსეთის კომმუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა აგიტაციისა და პროპაგანდის დეპარტამენტი Katri Pynnöniemi and Andrá Rácz. Fog of Falsehood Russian Strategy of Deception and the Conflict in Ukraine. Helsinki: Finnish Institute of International Affairs, 2016, გვ. 32.

ქვეყანაში. მნიშვნელოვანი ასპექტია მასირება, მიზანდასახული ზემოქმედება სახელმწიფოს მოქალაქეების გონებაზე. აგრესიის ობიექტი გახდა ინტერნეტი. ამას ყველაფერს ემატება სამხედრო მეთოდების ფარული ხასიათი, მათ შორის ექსტრემისტული და ტერორისტული ორგანიზაციებისთვის მხარდაჭერა. სამხედრო ძალის ღია გამოყენება ხდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, ძირითადად სამშვიდობო მოქმედებებისა და კრიზისის რეგულირების საფარქვეშ. შესაბამისად, ჰიბრიდული ომის წარმოების არაპირდაპირი და ასიმეტრიული ხერხები საშუალებას იძლევა მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაკავების გარეშე შეიზღუდოს მათი სუვერენიტეტი. შესაბამისად, სახელმწიფო, რომელიც განიცდის ჰიბრიდულ აგრესიას, როგორც წესი ვარდება სრული ქაოსის მდგომარეობაში, შიდაპოლიტიკურ კრიზისსა და ეკონომიკურ კოლაფსში. იწყება მოქალაქეების ნაციონალური და რელიგიური ნიშნებით მკვლელობა, იმატებს კრიმინალი და მასიური არაკონტროლირებადი მიგრაცია. შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრადიციული და ჰიბრიდული მეთოდების შერწყმა დღეს უკვე წარმოადგენს ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის ნაწილს. ასევე, თუ ჰიბრიდული ნაწილის გამოყენება შეიძლება სამხედრო ძალის ღიად გამოყენების გარეშე, კლასიკური სამხედრო მოქმედებები ჰიბრიდულის გარეშე უკვე შეუძლებელია.[1]

როგორც ვხედავთ, რუსი ანალიტიკოსების მიერ დანახული ჰიბრიდული ომი მკვეთრად განსხვავდება ფ. ჰოფმანისეული ჰიბრიდული ომისგან. თუ ფ. ჰოფმანისთვის ჰიბრიდული ომი რეგულარული და არარეგულარული ნაწილების კომბინირებული მოქმედებაა ოპერატიულ და ტაქტიკურ სივრცეში, რუსებისთვის ჰიბრიდული ომი სცილდება სამხედრო სფეროს და მასში სამხედროსთან ერთად საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებსაც აერთიანებს, ისეთებს როგორიცაა ეკონომიკა, კულტურა, პოლიტიკა... თუ ერთგან შედარებით ვიწრო საბრძოლო სივრცეა, რუსული ჰიბრიდული ომში იგი უფრო ფართოა და მოიცავს სოციოკულტურულ სფეროში დაპირისპირებასაც.[2]

ამ მოსაზრების განხილვისას ო. ფრიდმანი აღნიშნავს, რომ რუს სამხედრო

---

[1] Валерий Герасимов. По опыту Сирии. 7 март, 2016. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://vpk-news.ru/articles/29579?fbclid=IwAR0Cetws53ciFIcVbbuRubVQ6tPmfhS7XV3gUmxQl9h1phmDleaZtMdTi80.

[2] Ofer Fridman. Russian 'Hybrid Warfare', Resurgence and Politicisation. Oxford: 2018, 2018, გვ. 102.

თეორეტიკოსებში არსებობს სამი სხვადასხვა მიდგომა აღნიშნულ თეორიასთან დაკავშირებით. პირველი არის ფილოსოფიური მიდგომა, რამდენადაც რუსული სამხედრო კულტურა ყოველთვის მოიცავდა თავისთავში სოციალ-კულტურულ დაპირისპირებებს და მატერიალური ინტერესებისთვის ბრძოლას. ომი არის განსაკუთრებული გზა, სადაც ძლიერი კულტურა ამარცხებს სუსტს. ამ გზის მიმდევარი რუსი თეორეტიკოსები თვლიან, რომ ჰიბრიდული ომის თეორიაში არაფერია ახალი, რადგანაც ომი ყოველთვის იყო ორ ან რამდენიმე ავტონომიურ ჯგუფს შორის კონფრონტაცია, რომლის მიზანიც იყო მათი ფინანსური, სოციალური, პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ან ომი თვითგადარჩენისთვის. შესაბამისად, მსგავსი კონცეპტი მუდამ არსებობდა, უბრალოდ, ეს არის ძველი ფენომენის ახალი ტერმინი.[1] მეორე მიდგომის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ჰიბრიდული ომი არ არის ლიმიტირებული სამხედრო სივრცით და, პირიქით, ამ ტიპის ომის მიზანია, თავიდან აირიდოს ტრადიციული საბრძოლო სივრცე და მოწინააღმდეგე დაამარცხოს იდეოლოგიური, საინფორმაციო, საფინანსო, პოლიტიკური და ეკონომიკური მეთოდებით.[2] მესამე მიდგომის მიხედვით კი, ჰიბრიდული ომის ძირითადი საშუალება არის საინფორმაციო მიმართულება და სწორედ ამაზეა ფოკუსირებული. აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაწერა წიგნი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალმა მახმუტ გარეევმა.[3]

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰიბრიდული ომი და დღევანდელი რუსული ჰიბრიდული ომი ორი სხვადასხვა საგანია. თუ ჰოფმანისეული ჰიბრიდული ომი XXI საუკუნის სამხედრო საფრთხეებზე პასუხია, რომელიც დამყარებულია რეგულარული და არარეგულარული ტაქტიკის მიქსზე, რუსული ჰიბრიდული ომი ფოკუსირებულია მოწინააღმდეგის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ლეგიტიმაციისა და სტაბილურობის რღვევაზე.[4] არსებობს კლაუზევიცის მოდელი – „ომი პოლიტიკის სხვა საშუალებებით გაგრძელებაა“ და მეორე მოდელი – „ომი იწყება მაშინ, როცა პოლიტიკა არ მუშაობს“. ესენი წარმოადგენენ ომის წარმოების

[1] Ofer Fridman. Russian ‘Hybrid Warfare’.., გვ. 102.
[2] Ofer Fridman. Russian ‘Hybrid Warfare’.., გვ. 103.
[3] Махмут Гареев. Если завтра война? Москва: Владар, 1995.
[4] Ofer Fridman. Russian ‘Hybrid Warfare’.., გვ. 105.

რადიკალურად განსხვავებულ აღქმას, როდესაც პირველ შემთხვევაში ომი და პოლიტიკა ერთ სივრცედ განიხილება, მეორე შემთხვევაში კი ეს ორი სხვადასხვა ფენომენია. შესაძლებელია ასევე მესამე მოდელის გამოყოფა, როდესაც ომი და პოლიტიკა ერთმანეთშია აღრეული და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა არ ხდება. შეიძლება ითქვას, რომ რუსული სოციოპოლიტიკური და სამხედრო კულტურისთვის სწორედ ეს უკანასკნელი მოდელია დამახასიათებელი, როდესაც ომი და პოლიტიკა რუსი ხალხის ყოველდღიურობადაა ქცეული და მათ შორის ზღვარი დიდი ხნის წინ გაქრა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსული ჰიბრიდული ომი კონცეპტუალურად უფრო ახლოსაა საინფორმაციო ან კინეტიკურ ომთან, ვიდრე მისი ორიგინალური, ამერიკული გაგება, რუსმა სტრატეგოსებმა ტერმინ „ჰიბრიდული ომის“ აქტიური გამოყენება დაიწყეს, რადგანაც ეს აძლევს მათ საშუალებას ამერიკულ მხარეს დასდონ ბრალი აღნიშნული მეთოდის გამოგონებასა და რუსებისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ათწლეულების მანძილზე გამოყენებაში.[1] ამის ნათელი დადასტურებაა გენერალ გერასიმოვის მოხსენება, რომელიც ძირითადი პოსტულატებით და მიგნებებით უფრო მეტად შეესაბამება მეოთხე თაობის ომის თეორიას, ვიდრე ფ. ჰოფმანის ჰიბრიდულ ომს.

და მაინც, ჩვენ როცა ვსაუბრობთ რუსულ ჰიბრიდულ ომზე, ვგულისხმობთ დასავლურ მოდელს და არა იმას, რასაც რუსები ეძახიან... რადგანაც, შესაძლებელია 2021 წელს რუსების მსოფლიო მასშტაბით აქტივობები მართლა სცილდება ჰოფმანისეულ ჰიბრიდული ომის გაგებას და იგი განსაკუთრებულია, როგორიც ეს ნატოს დოქტრინაშია წარმოდგენილი და უფრო ჰგავს შეუზღუდავი ომის ან მეოთხე თაობის ომის აღწერას, უკრაინაში რუსეთმა ჰიბრიდული ომის ჰოფმანისეული მეთოდები გამოიყენა და შემდეგ ტრანსფორმირდა იქამდე, რაც დღესაა. წარსულის კონფლიქტებისა და დღევანდელი რუსული პოლიტიკური თამაშების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთს კარგად აქვს ათვისებული ჰიბრიდული ომის ორივე მიმართულება. სამხედრო მიმართულებით, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე იგი აქტიურად იყენებს ჰოფმანისეულ ჰიბრიდულ ომს, ხოლო სტრატეგიულ დონეზე შეუზღუდავი/მეოთხე თაობის ომების სინთეზს, თუმცა ეს სხვა

[1] Ofer Fridman. Russian ‘Hybrid Warfare’.., გვ. 105.

სადისერტაციო ნაშრომის თემაა. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომზე მუშაობისას, ჩვენ, პირველ რიგში, გამოვიყენებთ ფრენკ ჰოფმანის მიერ შემოთავაზებულ ჰიბრიდული ომის თეორიის გაგებას, რამდენადაც იგი არის ყველაზე პოპულარული და გავრცელებული ახსნა ახალი თაობის ომისა და თავისთავში მოიცავს იმ ტენდენციების ახსნას, რომელიც გამოვლინდა ბოლო ათწლედში. ასევე, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსები და სამხედრო ანალიტიკოსების უმრავლესობა, რომლებიც იკვლევდნენ/იკვლევენ უკრაინაში 2014 წლიდან მიმდინარე მოვლენებს, მას განიხილავენ სწორედ ფრენკ ჰოფმანის ჰიბრიდული ომის თეორიის ჭრილში. შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც მიმდინარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს უკრაინაში 2014–2015 წლებში და საქართველოში 1991–1993 წლების მოვლენების შედარებით ანალიზს რუსული ჰიბრიდული ომის თეორიის ჭრილში, ჩვენ გამოვიყენებთ ფ. ჰოფმანის მიერ შემოთავაზებულ ახსნას. მით უმეტეს, რომ ფ. ჰოფმანის მტკიცებით, აღნიშნული ფორმით ჰიბრიდული ომის მაგალითების მოძიება შესაძლებელია ისტორიულ წარსულში.

# თავი 2. უკრაინის 2014-2015 წლების კრიზისი

## §1. ევრომაიდანი

2013 წელი უკრაინის ევროპული მომავლისთვის გარდამტეხი უნდა ყოფილიყო, 2004 წელს, ნარინჯისფერი რევოლუციით დაწყებული ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის გზაზე გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო, უკრაინა ემზადებოდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისთვის, მაგრამ... 2013 წლის 21 ნოემბერს, უკრაინული გაზეთის „უკრაინული პრავდა“ ჟურნალისტმა მუსტაფა ნაიემმა სოციალურ ქსელ "Facebook"-ზე უკრაინის მოქალაქეებს მოუწოდა გამოსულიყვნენ კიევის მთავარ მოედანზე, „მაიდანზე“ და გაეპროტესტებინათ უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის გადაწყვეტილება, არ მოეწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე. აქციები დაიწყო ადამიანთა მცირე ჯგუფმა, დაახლოებით 1000-მდე კაცმა.[1] აქციის მონაწილეებსა და ბერკუტის პოლიციას შორის პირველი მცირე ძალადობრივი დაპირისპირება მოხდა 25 ნოემბერს, როდესაც აქციის მონაწილეებმა ქვები დაუშინეს სამართალდამცავებს, რომლებმაც, თავის მხრივ, გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი.[2] კიევის ცენტრში მიმდინარე პატარა აქცია ნელ-ნელა უდიდეს საპროტესტო ტალღად გადაიქცა, რომელიც მთელს ქვეყანას მოედო. 29 ნოემბერს უკრაინის მასშტაბით, სხვადასხვა ლოკაციაზე, ჯამში 300000 კაცამდე შეგროვდა.[3] მაიდნის სახალხო მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო „თავისუფლების პარტია“, ასევე რამდენიმე ათასი გალიციელი ქალაქ ლვოვიდან. აქციის ძირითად ბირთვს დასავლელი უკრაინელები შეადგენდნენ, რომელთა აზრითაც სწორედ ისინი იყვნენ ევროპული უკრაინის წარმომადგენლები და მათი ვალი იყო, არ დაეშვათ უკრაინის ევროპისგან ჩამოშორება და რუსეთის გავლენის ქვეშ დაბრუნება. 29 ნოემბერს მაიდანზევე შეიქმნა ულტრამემარჯვენე დაჯგუფება „მარჯვენა სექტორი“, რომელშიც გაწევრიანდა ოთხი ნაციონალისტური პარტია: სტეფან ბანდერას სამკაპა, უკრაინული ეროვნული ასამბლეა, თეთრი ჩაქუჩი და სოციალ-ნაციონალისტური ასამბლეა. ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩიეს

[1] Mustafa Nayem. Uprising in Ukraine: How It All Began. 4 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.opensocietyfoundations.org/voices/uprising-ukraine-how-it-all-began
[2] Andrey Kurkov. Ukraine Diaries. London: Harvill Secker, 2014, გვ. 20.
[3] Richard Sakwa. Frontline Ukraine. London: I.B.Tauris & Co. Ltd, 2016, გვ. 153.

დმიტრო იაროში, ადამიანი, რომელიც ცნობილი იყო თავისი პოლიტიკური წარსულით, ანტიკომუნისტური და ანტირუსული განწყობებით.[1] აქციის მასშტაბების ზრდამ გამოიწვია უკრაინის ხელისუფლების შეშფოთება და აქციის უფრო მასშტაბურ და ძალადობრივ ელემენტად გარდაქმნამდე გადაწყვიტეს, რომ საჭირო იყო მისი დაშლა და წესრიგის დამყარება. ძალის დემონსტრირება აღიქმებოდა მოსახლეობაში გაჩენილი საპროტესტო მუხტის იდეალურ საშუალებად. ვ. იანუკოვიჩის ხელისუფლება, ნარინჯისფერი რევოლუციის დროინდელი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, არ იყო მყიფე, იგი იდგა ძალოვანი უწყებებისა და რეგიონებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნულ მოხელეებზე, შესაბამისად, რეჟიმი თავს ძალიან ძლიერად გრძნობდა და გასცა ბრძანება აქციის დაშლის შესახებ.[2] 30 ნოემბერს, გამთენიისას, როცა აქციაზე მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანი იყო დარჩენილი, მაიდანზე საშობაო ნაძვის ხის აღმართვის მოტივით,[3] უკრაინელმა პოლიციელებმა სცადეს აქციის დაშლა და მოედნის გაწმენდა. აქციის მონაწილეებმა სამართალდამცავებს აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს, დაპირისპირების შედეგად კი მოხდა რამდენიმე ათეული პროტესტის მონაწილის ჰოსპიტალიზება, 35 მონაწილე კი დააპატიმრეს.[4] თუმცა, ძალოვნებმა საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხეს მანიფესტანტების დაშლა და მაიდანი კვლავ ოპოზიციის წარმომადგენლების კონტროლქვეშ დარჩა.

30 ნოემბრის განვითარებულმა მოვლენებმა მძაფრი პროტესტი გამოიწვია უკრაინის მოქალაქეებში, ისინი არ მოელოდნენ ხელისუფლების მხრიდან ძალის დემონსტრირების პოლიტიკას და აღშფოთებული უკრაინელები[5] კიევიდან და სხვა რეგიონებიდან დაიძრნენ მაიდნისკენ, მოსახლეობა მასიურად გამოვიდა ქუჩაში. პირველი დეკემბრისთვის მაიდნის საპროტესტო მასამ 350,000-ზე მეტი ადამიანი შეადგინა.[6] ამავე დღეს თანადგომისა და მხარდაჭერის გამოსახატავად

---

[1] Gordon M. Hahn. Ukraine Over the Edge. Jefferson: McFarland & Company, Inc, 2018, გვ. 287.

[2] Serhy Yekelchyk. The Conflict in Ukraine: What Everyone Needs to know. Oxford: Oxford University Press, 2015, გვ. 131.

[3] Marvin Kalb. Imperial Gamble. Washington: Brookings Institute Press, 2015, გვ. 141.

[4] 75 were injured during Nov. 30 dispersal of EuroMaidan. 5 December, 2013. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.kyivpost.com/article/content/ukraine-politics/75-were-injured-during-nov-30-dispersal-of-euromaidan-333103.html

[5] მოქალაქეების აღშფოთბისა და საპროტესტო ტალღის აგორების ერთ-ერთი მიზეზი ასევე იყო კიევის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც აკრძალა ყველანაირი საპროტესტო აქციის ჩატარება კიევის ცენტრში 7 იანვრამდე Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 297.

[6] Clashes amid huge Ukraine protest against U-turn on EU. 1 December, 2013. უკანასკნელად ნანახია

დემონსტრანტებთან მივიდნენ ევროკავშირის ელჩი და ცხრა სხვა ევროპული ქვეყნის ელჩებიც.[1] 1 დეკემბერს, მშვიდობიანი მანიფესტაციის პარალელურად ხელკეტებითა და მოლოტოვის კოქტეილებით შეიარაღებულმა გარკვეულმა ჯგუფებმა დაიწყეს სამთავრობო ადმინისტრაციული შენობების შტურმი მათი დაკავების მიზნით.[2]

უკრაინაში დაწყებულ საპროტესტო პროცესს აქტიურად აკვირდებოდა პუტინის რუსეთიც, რომელიც მიმდინარე მოვლენებს მათი ინტერესებისთვის საფრთხის შემცველად აფასებდა. შესაბამისად, სოჭის ოლიმპიური თაბაშებისთვის მზადების მიუხედავად, პუტინმა დაგეგმა იანუკოვიჩთან შეხვედრა. 6 დეკემბერს რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტები შეხვდნენ ერთმანეთს ქ. სოჭში,[3] რათა განეხილათ სტრატეგიული პარტნიორობა და სამომავლო გეგმები. სოჭში მიმდინარე შეხვედრისას ჟურნალისტებმა მოიპოვეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იანუკოვიჩი და პუტინი შეთანხმდნენ შემდეგ შეხვედრაზეც, ამჯერად 17 დეკემბერს, კრემლში, რუსულ-უკრაინული სამოქმედო გეგმის ხელმოწერის ცერემონიალზე[4]. აღნიშნულმა ინფორმაციამ შეზარა აქციის მონაწილეები. ყველაფერი, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ, საფრთხის წინაშე იდგა, უკრაინის ევროპული მომავალი ინგრეოდა და იანუკოვიჩი მათ კვლავ რუსეთისკენ ექაჩებოდა.[5] შესაბამისად, აქციაზე უფრო მეტი და მეტი ადამიანი გამოჩნდა, გაიზარდა ძალადობრივი მოწოდებებიც. 11 დეკემბერს კვლავ მოხდა მცირე დაპირისპირება სამთავრობო ძალებსა და ხალხს შორის.[6] 12 დეკემბერს კი მაიდნის აქციაზე გამოჩნდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი უკრაინაში ჯოფრი პაიეტი და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი, რომლებმაც მოაწყვეს ცნობილი ე.წ. „ორცხობილების გასეირნება“,[7] გაესაუბრნენ

---

10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-25176191

[1] Andres Anslund. Ukraine: What Went Wrong and How to Fix It. Washington: Peterson Institute for International Economics, 2015, გვ. 102.

[2] EuroMaidan rallies on Dec. 1: A rowdy afternoon 2 December, 2013. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.kyivpost.com/article/content/ukraine-politics/euromaidan-rallies-on-dec-1-a-rowdy-afternoon-332780.html

[3] Shaun Walker. Growth in Kiev protests likely after Yanukovych visit to Putin. 6 December, 2013. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/2013/dec/06/kiev-protests-yanukovych-putin-ukraine-russia

[4] Putin: Russian-Ukrainian action plan aimed at normalizing bilateral trade. Kyivpost. 17 December, 2013. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://archive.kyivpost.com/article/content/ukraine-politics/putin-russian-ukrainian-action-plan-aimed-at-normalizing-bilateral-trade-333846.html.

[5] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 143.

[6] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 153.

[7] Fred Weir. Russia cries foul over Western embrace of Ukraine's demonstrators. 13 December, 2013. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე:

ხალხს, ანუგეშეს და შეჰპირდნენ თანადგომას. საღამოს გამართულ პრესკონფერენციაზე კი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს უკრაინის ევროპულ მომავალს".[1] ეს არ იყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლების უკანასკნელი ვიზიტი მაიდანზე, რამდენიმე დღის შემდეგ, 15 დეკემბერს, აქციის მონაწილეებთან სიტყვით გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის წევრები, სენატორები მერფი და მაკკეინი, რომლებიც აქციის მონაწილეების ბრძოლას თავისუფლებისთვის და სწრაფვას ევროპული ოჯახისკენ საჯაროდ დაუჭირეს მხარი.[2]

17 დეკემბერს გამართლდა აქციის მონაწილეთა ყველაზე საშინელი მოლოდინები. მსოფლიო მედია საშუალებებით გაშუქდა ვ. იანუკოვიჩისა და ვ. პუტინის შეხვედრა, სადაც გაჟღერდა, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა.[3] შეთანხმების შედეგად, რუსეთმა უკრაინას გაზზე გადასახადი შეუმცირა 30%-ით, ასევე უკრაინის ეკონომიკის გამოცოცხლების მიზნით რუსეთის ხელისუფლება იღებდა ვალდებულებას შეესყიდა უკრაინის მთავრობის ობლიგაციები 15 მილიარდი დოლარის.ს ოდენობით ეს ერთგვარი სესხი იქნებოდა.[4] მხარეებმა რამდენიმე სხვა შეთანხმებაც გააფორმეს, მათ შორის ერთობლივი ინდუსტრიული საქმიანობა შეიარაღებისა და ტექნიკის წარმოების ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის „ანტონოვის", ასევე გემებისა და რაკეტების მშენებლობები. სხვა შეთანხმება კი მოიცავდა აზოვის ზღვაში, ქერჩის სრუტეზე ხიდის გადებას ან მის ქვეშ გვირაბის მშენებლობას, რაც რუსეთისთვის სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი პროექტი იყო, რადგანაც ამით შეძლებდა გაემყარებინა თავისი პრეტენზიები ყირიმის ნახევარკუნძულზე.[5] აქციის მონაწილეების მიერ ეს იქნა აღქმული როგორც პუტინის მიერ ერთგვარი საჩუქარი იანუკოვიჩისთვის იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა

---

https://www.csmonitor.com/World/Europe/2013/1213/Russia-cries-foul-over-Western-embrace-of-Ukraine-s-demonstrators

[1] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 299.

[2] Senators McCain, Murphy join massive Ukraine anti-government protest, threaten sanctions. 15 December, 2013. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.foxnews.com/politics/senators-mccain-murphy-join-massive-ukraine-anti-government-protest-threaten-sanctions

[3] Meeting with President of Ukraine Viktor Yanukovych. 17 December, 2013. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: http://en.kremlin.ru/events/president/news/19849

[4] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 143.

[5] Andres Anslund. Ukraine: What Went Wrong.., გვ. 104.

ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე.[1]

17 დეკემბრის რუსეთ-უკრაინის შეთანხმებამ აქციის მონაწილეების მოთხოვნები რადიკალურად შეცვალა, ისინი დარწმუნდნენ, რომ იანუკოვიჩი პრორუსი ხელისუფალი იყო და მასთან ერთად ერთად ევროპული მომავალი უკრაინისთვის მიუწვდომელი იქნებოდა, შესაბამისად, 17 დეკემბრის შემდეგ აქციის მონაწილეები უკვე ღიად ითხოვდნენ იანუკოვიჩის გადადგომას. აქცია არ იყო ისეთი მასშტაბური და საყოველთაო, რომ კორუმპირებულ ხელისუფლებას შეშინებოდა და ეიძულებინა კომპრომისებზე წასულიყო და აქციაზე გაჟღერებული გარკვეული მოთხოვნები მაინც დაეკმაყოფილებინა. აქციის ნაკლებად მასშტაბურობას განაპირობებდა ის ფაქტორი, რომ იანუკოვიჩის წინააღმდეგ გამოსვლებში ძირითადად აქტიურობდნენ საშუალო კლასის მოქალაქეები, მაგრამ სტუდენტები და ახალგაზრდობა ნაკლებად შეიმჩნეოდა აქციაზე. ეს ყველაფერი შეიცვალა 2013 წლის 25 დეკემბერს.

2013 წლის 24 დეკემბერს, აქციიდან სახლში მიმავალი უკრაინელი ოპოზიციონერი ჟურნალისტის ტეტიანა ჩორნოვოლის მანქანა უცხო შეიარაღებულმა პირებმა გააჩერეს და კრიტიკული მედიის წარმომადგენელს ფიზიკურად გაუსწორდნენ.[2] აღნიშნულმა ინციდენტმა სტუდენტ-ახალგაზრდობაში საპროტესტო ტალღა ააგორა და მაიდნის პროტესტს ათობით ათასი აქტიური, ენერგიით სავსე ახალგაზრდა შეუერთდა.

დეკემბრის ბოლოსკენ რადიკალურმა ჯგუფებმა, რომლებსაც რამდენიმე უკრაინელი ოლიგარქი აფინანსებდა ფულითა თუ სხვა მატერიალური საშუალებებით, დაიწყეს მაიდნის ირგვლივ მდებარე შენობების დაკავება.[3] აქციაზე ტემპერატურა დროებით ჩაცხრა საახალწლო და საშობაო დღეებში, როდესაც აქციის მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა ოჯახებში დაბრუნდა, რათა დღესასწაულები ეზეიმათ, თუმცა შობის შემდეგ მაიდანი კვლავ გაივსო იანუკოვიჩის მოწინააღმდეგე მანიფესტანტებით და გაგრძელდა დაპირისპირებები პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის. მას შემდეგ, რაც 10-12 იანვარს პოლიციელებმა სასტიკად სცემეს ოპოზიციური პარტიის წევრები, გასამხედროებულმა დაჯგუფებებმა დაიწყეს

[1] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 143.

[2] Miriam Elder. Investigative Journalist Brutally Attacked In Ukraine. 25 December, 2013. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.buzzfeednews.com/article/miriamelder/investigative-journalist-brutally-attacked-in-kiev

[3] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 153.

პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და პარლამენტის შენობის პიკეტირება.[1] მათი მიზანი იყო, არ მიეცათ უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატებისთვის ზამთრის სესიების ჩატარების საშუალება. პარალელურად, „მარჯვენა სექტორის“ ლიდერები ულტიმატუმით მიმართავდნენ ხელისუფლებას, რათა მათ მოედნის ირგვლივ განლაგებული პოლიციელების საკონტროლო გამშვები პუნქტები და თავდაცვითი ზღუდეები აეღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში აქტიურად დაიწყებდნენ თავიანთი ე.წ. „ასეულებით“ მოქმედებას, რომელთა წევრების რაოდენობაც 2,500 კაცამდე ითვლიდა.[2]

„მარჯვენა სექტორის“ მიერ უმაღლესი რადას შენობის პიკეტირების მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანომ მაინც შეძლო ფუნქციონირების დაწყება და პროტესტის შემდგომი რადიკალიზაცია მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებმა განაპირობეს. 2014 წლის 16 იანვარს უმაღლესმა რადამ საპარლამენტო რეგლამენტის დარღვევით მიიღო, ე.წ. „დიქტატორული კანონები“, რომლის თანახმადაც აქციის მონაწილეებს დაუწესდათ სხვადასხვა სახის მკაცრი სასჯელი და სანქციები. იანუკოვიჩის რეჟიმის მიერ დრაკონული კანონების მიღებამ მოსახლეობას დიქტატურის დამყარების აღქმა გაუჩინა. შესაბამისად, 19 იანვარს მაიდანზე შეიკრიბა 100,000-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც მშვიდობიანი მეთოდებით აპროტესტებდნენ პრორუსული ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომას.[3] აქციის მსვლელობისას „მარჯვენა სექტორის“ ლიდერებმა ხალხის გარკვეული მასა დაძრეს უმაღლესი რადის შენობისკენ, რომელსაც იცავდნენ ბერკუტის პოლიციელები. დაიწყო შეტაკებები, რომლის დროსაც პოლიციელებმა გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი, აქციონერებმა კი მოლოტოვის კოქტეილებით უპასუხეს. მაიდანზე ერთდროულად წარმოდგენილი იყო აქციონერთა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ორი ჯგუფი. ერთის მხრივ, აქციაზე იდგნენ პაციფისტური, მშვიდობიანი მეთოდებით მოქმედი პირები და, მეორე მხრივ, ჯგუფები, რომლებიც თვლიდნენ, რომ პირსისხლიანი რეჟიმის გადაგდება

[1] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 304.

[2] Евгений Рыбка. Парубий: Власть готова разогнать Майдан, есть два сценария. 15.01.2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://news.liga.net/politics/interview/parubiy_vlast_gotova_razognat_maydan_est_dva_stsenariya

[3] Майдан семь лет тому назад: на Грушевского в этот день начались столкновения с «Беркутом». 19.01.2021 უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.ukrinform.ru/rubric-society/3173485-majdan-sem-let-tomu-nazad-na-grusevskogo-v-etot-den-nacalis-stolknovenia-s-berkutom.html

შეუძლებელი იყო მშვიდობიანი მეთოდებით და პროტესტის რადიკალიზაციისკენ ისწრაფოდნენ. მათი აზრით, მხოლოდ აჯანყებითა და რევოლუციით იყო შესაძლებელი უკრაინის ევროპულ გზაზე დაბრუნება. შესაბამისად, ისინი აქტიურად უპირისპირდებოდნენ პოლიციელებს, რომლებთანაც დაპირისპირების შედეგად აქციაზე 21 იანვარს დაიღვარა პირველი სისხლი. აქციის სამი მონაწილის სიცოცხლე პოლიციასთან დაპირისპირებას შეეწირა,[1] რამაც საპროტესტო მოძრაობას აშკარა რევოლუციური ხასიათი მისცა. გაქრა განსხვავებული პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლის მომხრე ჯგუფები. ყველა შეთანხმდა, რომ იანუკოვიჩი რევოლუციის გარეშე არ წავიდოდა მმართველობიდან. რევოლუციური განწყობა ცენტრიდან პერიფერიებშიც ძალიან სწრაფად გავრცელდა, ძირითადად ცენტრალურ და დასავლეთ უკრაინაში. დასავლეთ უკრაინის რამდენიმე დიდ ქალაქში, მათ შორის ქ. ლვოვში, მაიდანის მომხრე უკრაინელმა მოქალაქეებმა დაიწყეს რეგიონული ადმინისტრაციული შენობების დაკავება. ლვოვში მარჯვენა სექტორის წარმომადგენლებმა დაიკავეს ქალაქის საბჭო და არსენალი, საიდანაც გაიტანეს დიდი რაოდენობით იარაღი და გადაიტანეს კიევში. ვოლინში, ლვოვსა და ტერნოპილში ოპოზიციონერების მიერ შექმნილმა ახალმა სამთავრობო სტრუქტურებმა მოუწოდეს უკრაინის სახალხო საბჭოს ხელში ჩაეგდო ძალაუფლება.[2] რეგიონებში მიმდინარე არეულობამ უკრაინის ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი საგრძნობლად შეასუსტა, თუმცა იანუკოვიჩის რეჟიმი თავს ჯერ კიდევ საკმაოდ მძლავრად გრძნობდა, რადგანაც მას მხარს უჭერდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინის რეგიონები, საიდანაც ადამიანური რესურსით მარაგდებოდა ბერკუტი".

22 იანვარს გაურკვეველმა პირებმა აქციიდან გაიტაცეს საპროტესტო მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, „ავტომაიდნის" მეთაური, დმიტრი ბულატოვი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში სასტიკად აწამეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.[3] საბოლოოდ ნაცემ-ნაბეგვი ოპოზიციონერი 30 იანვარს მანქანიდან გადააგდეს და ისე

---

[1] William Risch. Maidan Chronicle – January 19-20, 2014 – The Day Kyiv Blew Up (In Lieu of a Conclusion).19-20 January, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://williamrisch.wordpress.com/2014/01/29/maidan-chronicle-january-19-20-2014-the-day-kyiv-blew-up-in-lieu-of-a-conclusion/

[2] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 155.

[3] Shauan Walker and Grytsenko, Oksana. Ukrainian protester says he was kidnapped and tortured. 31 January, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/2014/jan/31/ukrainian-protester-kidnapped-tortured-kiev-bulatov.

დატოვეს კიევის შემოგარენში. დაზარალებულს აღენიშნებოდა წამების და ცემის ნიშნები.[1] აღნიშნულმა შემთხვევა დიდი რეზონანსი გამოიწვია როგორც უკრაინაში, ასევე დასავლურ მედიასა და პოლიტიკურ წრეებში. უკრაინის ხელისუფლებას არაერთი ევროპული ქვეყანა ემუქრებოდა სანქციების დაწესებით, რადგანაც ქვეყანაში მუდმივად ირღვეოდა ადამიანის უფლებები, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. პროტესტის რადიკალიზაციამ და აშკარა რევოლუციურმა ხასიათმა მთავრობა აიძულა, 2014 წლის 28 იანვარს გაეუქმებინა 16 იანვარს მიღებული დრაკონული კანონები, გადადგა პრემიერ მინისტრი მიხეილ აზაროვიც.[2] თუმცა ეს დათმობები ხელისუფლების მხრიდან უკვე დაგვიანებული იყო. ხალხი მოითხოვდა იანუკოვიჩის უპირობო გადადგომას და გასამართლებას![3]

იანვრის ბოლოსთვის კიევის ცენტრალური მოედანი გადაიქცა ბრძოლის ველად, სადაც ნახევრად მილიტარისტული დაჯგუფებები, ე.წ. „ასეულები“ მოქმედებდნენ. მათ საერთო ხელმძღვანელობას ახდენდა ვეტერანი ნაციონალისტი ანდრეი პარუბიი, მოძრაობა „თავისუფლების პარტიის“ დამაარსებელი. აქციის რადიკალიზაციას პარალელურად ხდებოდა პროტესტის ინსტიტუციონალიზაცია. შექმნილი იყო მაიდნის საბჭო, რომელსაც ევალებოდა პროტესტის კოორდინაცია, ლიდერთა კონსულტაცია და რჩევების მიცემა. მაგალითად, ჩორნოვოლზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ შეიქმნა ე.წ. „ავტომაიდანი“,[4] რომელსაც ევალებოდა აქციის მონაწილეების უსაფრთხო ტრანსპორტირება, ხოლო „ღამის გუშაგების“ ფუნქცია კი იყო იმ ჰოსპიტლებთან მორიგეობა, სადაც პოლიციასთან შეტაკების შედეგად დაზარალებული მეამბოხეები მკურნალობდნენ, რათა იანუკოვიჩის უსაფრთხოების სამსახურების მიერ არ მომხდარიყო მათი გატაცება და დაკითხვა/წამება. არსებობდა

---

[1] Simon Shuster. Kiev Protester 'Crucified' as Ukraine's Crisis Gets Worse. 31 Jenuary, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://time.com/5732/kiev-protester-crucified-as-ukraines-crisis-gets-worse/. არსებობს მოსაზრება, რომ ბულატოვის გატაცება იყო დადგმული და მას რეალურად არც წამების ეტყობოდა არაფერი. იგივე ეჭვები არსებობდა ტ. ჩორნოვოლზე, რომ მისი გატაცება უბრალო საგზაო ინციდენტი იყო (იხ.:Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 313), თუმცა ამგვარი მოსაზრებების გავრცელებაც აშკარად რუსული ჰიბრიდული ომის ნაწილი იყო – ბ.შ.

[2] Alan Taylor. Ukraine's Prime Minister Resigns, Anti-Protest Laws Repealed. 28 January, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theatlantic.com/photo/2014/01/ukraines-prime-minister-resigns-anti-protest-laws-repealed/100670/

[3] Gordon M Hahn. Ukraine Over.., გვ. 310.

[4] Что такое Автомайдан: как активисты становятся лидерами . 23 Jenuary, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: http://argumentua.com/stati/chto-takoe-avtomaidan-kak-aktivisty-stanovyatsya-liderami

ასევე ორგანიზაცია „ევრომაიდანი“, რომელიც იურიდიულ და სამართლებრივ მხარდაჭერას უწევდა ყველას, ვისზეც პოლიციის სპეციალური ჯგუფები თუ სხვა სამთავრობო სამსახურები ახდენდნენ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობას. პოლიციელებისგან დაცვის მიზნით შექმნილი იყო თავდაცვითი ჯგუფები, რომელთა რაოდენობა 42-ს ითვლიდა (მათ შორის 3 ჯგუფი სრულად მხოლოდ ქალებისგან იყო დაკომპლექტებული.)[1] აღნიშნულმა ჯგუფებმა შეძლეს მაიდნის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა და პოლიციელთა იერიშებისთვის ეფექტიანი წინააღმდეგობის გაწევა. იანუკოვიჩის წინააღმდეგ ამბოხებულებს პრესკონფერენციებისა და შეხვედრების ჩასატარებლად დაკავებული ჰქონდათ სავაჭრო კავშირის შენობა, რომელსაც სამზარეულოს დანიშნულებითაც იყენებდნენ. მოედანზე შესვლა მკაცრად კონტროლდებოდა გასამხედროებული დაჯგუფებების მიერ, რათა არ დაეშვათ ე.წ. „ტიტუშკების“ შეღწევა.[2]ესენი იყვნენ ფიზიკურად კარგად მომზადებული ახალგაზრდა მამაკაცები (ძირითადად, პროვინციებიდან), რომლებიც დაიქირავა „რეგიონების პარტიამ“, რათა ისინი შეპარულიყვნენ აქციის მონაწილეთა რიგებში, გამოეწვიათ მათი პროვოცირება და კონფლიქტი ადგილებზე.[3] აღნიშნულმა ტიტუშკებმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს პროცესების რადიკალიზაციაში.

2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის თებერვლამდე, მაიდნის პროტესტის მიმდინარეობის პერიოდში, სამთავრობო ძალებმა სამჯერ სცადეს აქციის დაშლა, სამივეჯერ ამ აქტმა გამოიწვია პროტესტის უფრო ძლიერი ტალღა, მოსახლეობის კონტრმობილიზაცია და ძალადობის ესკალაცია. ხელისუფლების „ტიტუშკები“ პროტესტის მხარდაჭერებს იტაცებდნენ და აწამებდნენ. ორივე მხარის მიერ გამოჩენილი რადიკალიზაცია მიუთითებდა იმაზე, რომ სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალი იყო.[4] თუმცა, დამნაშავე პროტესტის რადიკალიზაციაში იყო იანუკოვიჩის რეჟიმი, რომელმაც თავისი არაადეკვატური ქმედებებით უბიძგა ხალხს ძალადობისკენ. აქცია, რომელიც დაიწყო იანუკოვიჩის მიერ მიღებული

[1] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 158-159.
[2] Roman Goncharenko. Titushki – the Ukrainian president's hired strongmen . 19 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.dw.com/en/titushki-the-ukrainian-presidents-hired-strongmen/a-17443078
[3] Serhy Yekelchyk. The Conflict.., გვ. 132.
[4] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 156.

გადაწყვეტილების პროტესტის ნიშნად, გადაიზარდა ანტისამთავრობო პროტესტში, რომლის საბოლოო მიზანიც კორუმპირებული რეჟიმის დამხობა და გასამართლება გახდა. აღსანიშნავია, რომ მაიდნის მშვიდობიანი პროტესტის რევოლუციურ ძალად გარდაქმნამ, რომელსაც შეეძლო ყველას და ყველაფრის გადათელვა, გამოიწვია მაიდნის პროტესტის ულტრანაციონალიზაცია, რაც მთელ უკრაინას მოედო.

მაიდნის პროტესტის ულტრანაციონალიზაცია დაკავშირებულია იმ რადიკალურ ელემენტებთან, რომლებიც გაერთიანებულები იყვნენ ე.წ. „მარჯვენა სექტორის“[1] გარშემო. ეს იყო უმთავრესად გასამხედროებული წევრებისგან დაკომპლექტებული დაჯგუფება, რომელიც, ერთი შეხედვით, ინტერნაციონალური ერთობა იყო, სადაც გაწევრიანებულები იყვნენ ნაციონალისტი უკრაინელებიც, უკრაინის მოქალაქე ეთნიკური რუსები და ებრაელებიც. „მარჯვენა სექტორი“ აცხადებდა, რომ მოძრაობა არ იყო ექსკლუზიურად გალიციური, მასში თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი ყირიმელებიც და დონბასელებიც. მრავალეთნიკური და განსხვავებული იდეოლოგიის ხალხს აერთიანებდა ერთი დიადი მიზანი – უკრაინის ევროპული მომავალი. მიუხედავად „მარჯვენა სექტორის“ ლიდერების განცხადებებისა, რომ დაჯგუფება არ იყო ანტისემიტური და ანტირუსული, ისინი საბოლოოდ მაინც მსგავს ძალად ჩამოყალიბდნენ. და მართლაც, დაჯგუფებაში საკმაოდ იყვნენ წარმოდგენილები ავღანეთისა და ჩეჩნეთის ომის ვეტერანები, რომელთა მაიდნის უსაფრთხოებისთვის წარმოებულმა ბრძოლებმა აქციის პოლიტიკური ქცევის მთავარ ფორმად მილიტარიზმი აქცია. შესაბამისად, „მარჯვენა სექტორის“ გარშემო გაერთიანდა ყველა, განურჩევლად იდეოლოგიისა და რელიგიური კუთვნილებისა.[2]

თებერვლის დასაწყისისთვის უკრაინულ და საერთაშორისო მედიაში გაჟონა ინფორმაციამ ამერიკის შეერთებული შტატების ორი წარმომადგენლის, ნულანდისა და პაიეტის სატელეფონო საუბრის შესახებ,[3] რომლის თანახმადაც ირკვეოდა რომ აშშ აქტიურად იყო ჩართული უკრაინაში მიმდინარე პროცესებში. საუბარში, რომლის ტრანსკრიპტიც ატვირთული იყო youtube-ზე,[4] ჩანდა, თუ როგორ მსჯელობდნენ

[1] Хто ми? უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://pravyysektor.info/hto-my.
[2] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 159-160.
[3] Ukraine crisis: Transcript of leaked Nuland-Pyatt call. 7 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-26079957
[4] Viktoriya Nuland ve Cefri Payet Ukrayna haqqinda. 7 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023

ამერიკელი გავლენიანი დიპლომატები იანუკოვიჩის შემცვლელზე და უკრაინის მომავალზე.[1] აღნიშნული ჩანაწერების გამჟღავნებამ იანუკოვიჩის პოზიციები საგრძნობლად შეარყია, მისი ავტორიტეტი საბოლოოდ განადგურდა.

2014 წლის 14 თებერვალს დაპირისპირებულმა მხარეებმა დაძაბულობის განმუხტვა სცადეს, შედგა დიალოგი და თითქოს გარკვეულ დათმობებზეც წავიდნენ. იანუკოვიჩმა გაათავისუფლა 243 დაპატიმრებული აქციის მონაწილე,[2] ოპოზიციონერებმა კი, თავის მხრივ, დაცალეს ოკუპირებული საკონცერტო დარბაზის შენობა.[3] მშვიდობის დამყარების მცდელობა მოჩვენებითი აღმოჩნდა. 18 თებერვალს ნაციონალისტურმა დაჯგუფებებმა დაიწყეს ე.წ „მშვიდობიანი მარში“ უმაღეს რადასკენ, რომელსაც აქციის მონაწილეებსა და პოლიციელებს შორის დაპირისპირება მოჰყვა[4], რის 18 თებერვალს ნაციონალისტურმა დაჯგუფებებმა იერიში მიიტანეს უმაღლესი რადას შენობაზე აქციის მონაწილეებსა და პოლიციელებს შორის დაპირისპირების შედეგადაც დაიღუპა 7 სამართალდამცველი,[5] რის შემდეგაც პრეზიდენტ იანუკოვიჩის ბრძანებით ბერკუტელებმა დაიწყეს ოპერაცია „ბუმერანგი“.[6] ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა აქციის მონაწილეების მიერ დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლება. პოლიციის მიერ დაწყებული ოპერაცია გადაიზარდა მასობრივ ძალადობაში. დაპირისპირების შედეგად ამჯერად გარდაიცვალა 28 ადამიანი, მათ შორის 10 ბერკუტელი.[7] 20 თებერვლისთვის სისხლიანი დაპირისპირება კვლავ გაგრძელდა. დილის 9 საათისთვის დაპირისპირების შედეგად 3 პოლიციელი იყო უკვე გარდაცვლილი და 13 დაჭრილი.[8]

---

ვებგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=2yw871MQvQo

[1] აღსანიშნავია, რომ ამერიკულ მხარეს აღნიშნული სატელეფონო საუბრის ავთენტურობაზე ეჭვი არგამოუთქვამს, მათ ბრალი დასდეს რუსებს თვალთვალსა და აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნებაში. Doina Chiacu and Mohhamed, Arshad. Leaked audio reveals embarrassing U.S. exchange on Ukraine, EU. 7 February, 2013. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.reuters.com/article/us-usa-ukraine-tape-idUSBREA1601G20140207

[2] Ukraine frees all protesters detained during unrest. 14 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-26187299

[3] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 151.

[4] Хроніка кривавих сутичок у центрі Києва. 18 თებერვალი, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://lb.ua/society/2014/02/18/255817_hronika_krovavih_stolknoveniy.html.

[5] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 317-319.

[6] Операція Бумеранг: План та імена виконавців штурму Майдану 18 лютого (ДОКУМЕНТИ, ВІДЕО). 24 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://texty.org.ua/fragments/52015/Operacija_Bumerang_Plan_ta_imena_vykonavciv_shturmu-52015/

[7] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 161

[8] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 319.

20 თებერვალი, მაიდნის აქციის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი დღეა.[1] ამ დღეს, მაიდნის ირგვლივ მდებარე რამდენიმე შენობაზე დისლოცირებულმა სნაიპერებმა მოკლეს პროტესტის 39 მონაწილე და 17 პოლიციის ოფიცერი.[2] 30 ნოემბრიდან 20 თებერვლის ჩათვლით მაიდნის აქციამ იმსხვერპლა მინიმუმ 17 პოლიციელი, 77-მდე სამოქალაქო აქტივისტი, ხოლო 900-მდე პიროვნება დაშავდა.[3]

20-21 თებერვლის მაიდნის მოვლენები იყო ის წითელი ზღვარი, რომლის შემდეგაც ევროპული ქვეყნების ლიდერები დარწმუნდნენ, რომ უკრაინა სამოქალაქო ომისკენ მიდიოდა. შესაბამისად, აუცილებელი იყო ჩარევა და მედიატორის როლის შესრულება ოპოზიციასა და იანუკოვიჩის ხელისუფლებას შორის კომპრომისის მისაღწევად. 20 თებერვლის ღამეს გერმანიის, პოლონეთის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ჩაფრინდნენ კიევში და დაიწყეს აქტიური მოლაპარაკებების წარმოება დაპირისპირებული მხარეების შესარიგებლად.[4] უკვე მომდევნო დღეს საპრეზიდენტო ადმინისტრაციის შენობაში იანუკოვიჩმა და სამმა ოპოზიციური პარტიის ლიდერმა – კლიჩკომ, იაცენიუკმა და ტიაგნიბოკმა ხელი მოაწერეს 6-პუნქტიან შეთანხმებას. შეთანხმების შესრულებაზე გარანტორებად და მოწმეებად ხელი მოაწერეს ასევე სამივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ხელშეკრულება მოიცავდა შემდეგ პუნქტებს: შემდგომი 48 საათის განმავლობაში იანუკოვიჩი იღებდა ვალდებულებას 2004 წლის კონსტიტუციის აღდგენის მიზნით ხელი მოეწერა შესაბამისი დადგენილებისთვის; შემდეგ უმაღლეს რადას 10 დღის განმავლობაში უნდა ჩამოეყალიბებინა „ეროვნული ერთიანობის მთავრობა"; ახალი მთავრობა 2004 წლის გაზაფხულის ბოლოსთვის წარადგენდა ახალ კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც საპრეზიდენტო ძალაუფლება იქნებოდა შეზღუდული; ახალი

[1] Ivan Traynor. Ukraine's bloodiest day: dozens dead as Kiev protesters regain territory from police. 21 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/2014/feb/20/ukraine-dead-protesters-police

[2] აღსანიშნავია, რომ შემდგომში წარმეობული გამოძიებით დადგინდა, რომ ზოგიერთი სროლის კუთხე, რომელმაც იმსხვერპლა ადამიანები, მიუთიტებს იმაზე, რომ იგი განხორციელდა იმ შენობებიდან, რომლებიც კონტროლდებოდა ამბოხებულების მიერ (ფილარმონიის დარბაზი, სავაჭრო კავშირისა და სასტუმრო უკრაინის შენობები) Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 321. ასევე, მოკლულთა შორის არ იყვნენ მარჯვენა სექტორის აქტივისტები, არადა ისინი დაპირისპირებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. Richard Sakwa. Frontline.., გვ. 162.

[3] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 161-162.

[4] Matthew Weaver and McCarthy, Tom. Ukraine crisis: deadly clashes shatter truce – Thursday 20 February. 20 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/blog/2014/feb/20/ukraine-crisis-new-clashes-strain-truce-live-updates

საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართებოდა არაუგვიანეს 2014 წლის დეკემბრისა; დაიწყებოდა გამოძიება კიევში უკანასკნელი დღეების განმავლობაში მომხდარი მოვლენებთან დაკავშირებით, რომელსაც მონიტორინგს გაუწევდნენ ევროკავშირის წარმომადგენლები და ოპოზიცია;[1] უკრაინის ხელისუფლება პირობას დებდა, რომ არ გამოაცხადებდა საგანგებო მდგომარეობას, მაიდანსა და კიევის ქუჩებს კი დაცლიდა პოლიციელებისგან.[2] ეს იყო კრიზისის მოგვარების სამშვიდობო და კონსტიტუციური გზა. იანუკოვიჩმა პირობა შეასრულა, ქუჩები განთავისუფლდა უსაფრთხოების სამსახურებისგან, შესაბამისად, უკრაინის პრეზიდენტი ფაქტობრივად დაცვის გარეშე დარჩა.

ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ოპოზიციის სამივე ლიდერი გაემართა მაიდანზე, სადაც კლიჩკომ ტრიბუნიდან მიმართა აქციის მონაწილეებს და გააცნო პრეზიდენტთან, ევროპული ქვეყნების მედიატორებით მიღწეული შეთანხმების პუნქტები. შეკრებილი საზოგადოება უკმაყოფილო იყო. ისინი მოითხოვდნენ იანუკოვიჩის დაუყოვნებლივ გადადგომას, დაპატიმრებული თანამებრძოლების გათავისუფლებას, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასა და 2004 წლის კონსტიტუციის რევიზიას.[3] შესაბამისად, ერთ-ერთი უკმაყოფილო პირი, გასამხედროებული ჯგუფის, ე.წ. „ასეულის“ ერთ-ერთი ლიდერი ავიდა ტრიბუნაზე, კლიჩკოს გამოართვა მიკროფონი და საჯაროდ დააფიქსირა ხალხის აზრი, რომ ისინი არ ეთანხმებოდნენ ამ შეთანხმებას. „თუ იანუკოვიჩი ხვალ დილამდე არ გადადგება, ჩვენ ხელში ავიღებთ იარაღს და დავიწყებთ მოქმედებებს“.[4] ოპოზიციური პარტიის ლიდერები დაჰყვნენ ხალხის ნებას, მათ არ დაუწყიათ მათივე მონაწილეობით და პასუხისმგებლობით დადებული ხელშეკრულების პუნქტების დაცვა მანიფესტანტებისთვის აზრის შეცვლის მიზნით. პირიქითაც კი მოხდა. კლიჩკომ ბოდიში მოუხადა ხალხს, რომ მათი სურვილის წინააღმდეგ წავიდნენ მოლაპარაკებებზე სისხლიან რეჟიმთან.[5]

მეორე დღესვე, ამბოხებულებმა ისარგებლეს სამთავრობო ძალების მიერ

---

[1] Ukrainian president and opposition sign early poll deal. 21 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-26289318
[2] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 165.
[3] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 338.
[4] James Pupert. Beyond the Crisis, Hope for Ukraine. 14 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/beyond-the-crisis-hope-for-ukraine/
[5] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 165.

დაკავებული პოზიციების დატოვებით და მოახდინეს პარლამენტის შენობის ოკუპაცია, ამავე დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო ლენინის ძეგლების დემონტაჟი.[1] პროტესტის მონაწილეებმა დაიკავეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაც, შემდეგ კი გადაინაცვლეს იანუკოვიჩის ქალაქგარეთა რეზიდენციისკენ და ალყა შემოარტყეს მას.[2] საპროტესტო აქციის მონაწილეების მიერ შეთანხმების შესრულებაზე უარის თქმისთანავე, 21-22 თებერვლის ღამეს, იანუკოვიჩი, მიუხედავად იმისა, რომ პუტინი ურჩევდა, არ დაეტოვებინა კიევი, კონფერენციაზე დასწრების მიზნით გაემგზავრა ხარკოვში. იანუკოვიჩი ამას ხსნიდა იმით, რომ პრეზიდენტობის პერიოდში მისი სიცოცხლე ისედაც მრავალჯერ იდგა საფრთხის ქვეშ[3] და არ აპირებდა გავეშებული მასისათვის მიეცა საშუალება, ლინჩის წესით გაესამართლებინათ იგი.[4] იანუკოვიჩი აღმოსავლეთ უკრაინიდან გადავიდა ყირიმში, საიდანაც მოგვიანებით, პუტინის ბრძანებით, რუსმა სამხედროებმა უზრუნველყვეს მისი რუსეთის ტერიტორიაზე უსაფრთხო ევაკუაცია.[5] იანუკოვიჩის კიევიდან წასვლისთანავე, ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს აქციის მონაწილეთა ლიდერებმა. უმაღლესმა რადამ მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის „იმპიჩმენტის შესახებ“,[6] თუმცა ეს ყველანაირი კონსტიტუციური ნორმების დარღვევით გააკეთა.[7] ახალი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა 2014 წლის 25 მაისს.[8]

როგორც აღვნიშნეთ, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდებოდა ვ. პუტინი. შესაბამისად, 2014 წლის 23 თებერვალს, 07:00 საათზე,

---

[1] Rick Noack. What toppled Lenin statues tell us about Ukraine's crisis. 30 September, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2014/09/30/what-toppled-lenin-statues-tell-us-about-ukraines-crisis/

[2] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 339.

[3] გასული წლების განმავლობაში იანუკოვიჩის მინიმუმ ოთხი თავდასხმის მცდელობა განხორციელდა Richard Sakwa. Frontline.., გვ. 165.

[4] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 165.

[5] Putin: Russia helped Yanukovych to flee Ukraine. 24 October, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-29761799

[6] Rada removes Yanukovych from office, schedules new elections for May 25 . 22 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://en.interfax.com.ua/news/general/192030.html

[7] პრორუსი ავტორები ყოველთვის განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ იმპიჩმენტის გადაწყვეტილება მიიღო 328 დეპუტატმა 0 ხმის წინააღმდეგ, უკრაინის კონსტიტუციით კი საჭირო იყო რადას სრული შემადგენლობის (450 დეპუტატი) ¾, ანუ 338 დეპუტატის ხმა (იხ.: Hahn, Gordon M. Ukraine Over.., გვ. 340-341). მართალია, „რადა“ ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მათ იმპიჩმენტი კი არ მოუხდენიათ, არამედ იანუკოვიჩმა კიევიდან წასვლით თვითონ გადააყენა თავისი თავიო, მაგრამ უკრაინის კონსტიტუციაში მსგავსი დათქმა არ არსებობდა.

[8] Rajan Menon, and Eugene Rumer. Conflict in Ukraine. Massachusetts: Massachusetts Institute of Technology, 2015, გვ. 81.

სპეციალური სამსახურებისა და თავდაცვის უწყების წარმომადგენლებთან მთელი ღამის მოლაპარაკებების შედეგად, პუტინმა მიიღო შემდეგი ორი გადაწყვეტილება. 1. გადაერჩინა იანუკოვიჩის სიცოცხლე და გამოეყვანათ იგი რუსეთში; 2. ყველაფერი ეღონათ ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში მოსაქცევად.[1]

## §2. ყირიმის ანექსია

ყირიმისადმი პუტინის ინტერესები განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით, დაწყებული რუსეთის ფედერაციის პრეტენზიით, რომ ყირიმის ნახევარკუნძული „ისტორიულად" მათი კუთვნილება იყო, დასრულებული ნახევარკუნძულის სტრატეგიული მდებარეობით და იქ არსებული სევასტოპოლის სამხედრო ბაზით.

1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, ყირიმის სახანო განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისგან. თუმცა, მალევე, 1783 წელს ეკატერინე მეორემ მოახდინა ნახევარკუნძულის ანექსია და დაიწყო რუსულ კოლონიებში ეთნიკურად რუსების მასიური ჩასახლება.[2] ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის შემადგენლობაში იმპერიის აღსასრულამდე, 1917 წლამდე შედიოდა, სამოქალაქო ომის დროს კი 1918-1921 წლებში ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს მას ფლობდნენ თეთრგვარდიელები, გენერალ ვრანგელის ხელმძღვანელობით, რომლებისთვისაც იგი წარმოადგენდა წითლების წინააღმდეგ ბრძოლის უკანასკნელ ავანპოსტს. 1920 წლის შემოდგომისთვის ბოლშევიკებმა შეძლეს თეთრგვარდიელების დამარცხება და ყირიმის დაკავება.[3] ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყო ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით.[4] 1954 წელს, რუსეთ-უკრაინის ერთიანობის 300 წლისთავზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის, ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით, ყირიმი გადაეცა უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.[5]

---

[1] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 147.
[2] Constantine Pleshakov. The Crimean Nexus: Putin's War and Clash of Civilizations . London: Yale University Press, 2017, გვ. 71.
[3] Constantine Pleshakov. The Crimean Nexus.., გვ. 80.
[4] Gregory Dufaud. "The Establishment of Bolshevik Power in the Crimea and the Construction of a Multinational Soviet State: Organisation, Justification, Uncertainties." In Contemporary European History, 257-272. Cambridge: Cambridge University Press, 2012, გვ. 265.
[5] Lawrence Freedman. Ukraine and the Art of Strategy. Oxford: Oxford University Press, 2019, გვ. 62.

1991 წლის იანვარში, საბჭოთა კავშირში მიმდინარე დისიდენტური მოძრაობის პარალელურად ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობის 93%-მა განაცხადა,[1] რომ მათ სურდათ ყირიმის სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, რომელიც იქნებოდა საბჭოთა კავშირში შემავალი სუბიექტი.[2] 1991 წლის დეკემბერში, ყირიმის მოსახლეობამ უკრაინის მოსახლეობასთან ერთად მიიღო რეფერენდუმში მონაწილეობა, სადაც მხარი დაუჭირა უკრაინის დამოუკიდებლობას. თუმცა, ამჯერად ხმები განსხვავებულად იყო გადანაწილებული. თუ იანვარში ყირიმის დამოუკიდებლობას მოსახლეობის 93% უჭერდა მხარს, ამჯერად უკრაინის დამოუკიდებლობა ყირიმის მოსახლეობის 54% სურდა, მაშინ როცა უკრაინის მოსახლეობის 91% იყო იგივე აზრზე.[3] ყირიმის სტატუსის შესახებ უთანხმოება ცენტრსა და პერიფერიას შორის გაგრძელდა და 1992 წლის 26 თებერვალს ყირიმის უმაღლესმა საბჭომ ნახევარკუნძულის სტატუსი შეცვალა და მას ყირიმის რესპუბლიკა დაარქვა. 5 მაისისთვის კი გამოაცხადა თვითმმართველობა და შემოიღეს პრეზიდენტის თანამდებობა. მათივე გადაწყვეტილებით, მოგვიანებით უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი ყირიმის უკრაინიდან გამოყოფის შესახებ, რომელიც საბოლოოდ აღარ ჩატარდა და ყირიმი დარჩა უკრაინის შემადგენლობაში კონსტიტუციურად გარანტირებული ავტონომიის სტატუსით.[4]

1995 წლის 15 მარტს უკრაინის პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა კონსტიტუციაში და გააუქმა ყირიმის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა, თუმცა 1996 წელს უკრაინაში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების შედეგად ყირიმს მიეცა ფართო ავტონომია.[5] ერთი შეხედვით, ისე ჩანდა, რომ ყირიმისთვის ავტონომიის სტატუსის მიცემა არსებულ პრობლემას მოაგვარებდა, თუმცა ნახევარკუნძულის დემოგრაფიული ვითარება მოვლენების განსხვავებული, დაძაბული განვითარების საფუძვლებს ქმნიდა, რომელიც დროდადრო იჩენდა კიდეც

[1] Paul R. Magocsi. A History of Ukraine. Toronto: Toronto University Press, 2010, გვ. 727.
[2] Виктор Лященко. Крымская автономия 23 года спустя: как сберегли мир и не пустили в дом войну. 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: http://www.kianews.com.ua/page/krymskaya-avtonomiya-23-goda-spustya-kak-sberegli-mir-i-ne-pustili-v-dom-voynu
[3] Serkhii Plokhy. Ukraine and Russia, Representations of the past. Toronto: University of toronto press, 2008, გვ. 166.
[4] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 185.
[5] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 184.

თავს. 2001 წლის აღწერით, ყირიმში წამყვან ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდნენ რუსები – 58.5%, უკრაინელები შეადგენდნენ 24.4%-ს, ხოლო თათრები კი – 12.1%-ს.[1] სევასტოპოლი საკუთარ თავს რუსულ ქალაქად აღიქვამდა, ხოლო ყირიმის რუსი მოსახლეობა ეთანხმებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკას და, შესაბამისად, როცა 2006 წელს შავ ზღვაში მიმდინარეობდა სამხედრო სწავლება, ყირიმის ეთნიკურად რუსი მოსახლეობა საპროტესტო აქციებზე გამოვიდა. „ნარინჯისფერი რევოლუციის" ხელისუფლების წინააღმდეგ სევასტოპოლში დემონსტრაციები გაიმართა 2009 წლის 27 მარტსა[2] და 24 აგვისტოსაც.[3]

ყირიმის ნახევარკუნძული უკრაინისთვის არ წარმოადგენდა მხოლოდ შიდა პრობლემას. გარკვეული უთანხმოებები და დაძაბულობები ნახევარკუნძულთან დაკავშირებით არსებობდა რუსეთთან ურთიერთობაშიც. 1993 წლის აგვისტოში, ბორის ელცინმა და უკრაინის პრეზიდენტმა კრავჩუკმა იალტაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც 1995 წლამდე შავი ზღვის ფლოტი უკრაინისა და რუსეთის ერთობლივ დაქვემდებარებასა და კონტროლში იქნებოდა.[4] 1995 წელს რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებების ფარგლებში შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობას, შავი ზღვის სამხედრო ფლოტს თანაბრად გაიყოფდნენ, ხოლო სევასტოპოლის სამხედრო ბაზას ერთდროულად გამოიყენებდნენ. მოლაპარაკებები რამდენიმე წელიწადი გრძელდებოდა, რომელიც საბოლოოდ აისახა 1997 წლის 28 მაისის ე.წ. „დიდ ზავში",[5] რომლის მიხედვითაც, რუსეთი აღიარებდა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. რუსეთი იღებდა შავი ზღვის ფლოტის 81.7%-ს, თუმცა უკრაინამ თავისი წილიც ფაქტობრივად რუსეთს მიჰყიდა. ასევე, შეთანხმების თანახმად, ყირიმის სანაპირო ზოლის ობიექტები მუდმივ მფლობელობაში გადაეცა უკრაინას, რომელიც, თავის მხრივ, 20-წლიანი იჯარით აძლევდა მას რუსეთს. იჯარის თანხა უნდა გამოქვითულიყო რუსეთის მიმართ უკრაინის სახელმწიფოს ვალიდან. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად რუსეთს

[1] Serhy Yekelchyk. The Conflict.., გვ. 116.
[2] Около шести тысяч человек участвовали в акции протеста в Севастополе. 27 March, 2009. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://ria.ru/20090327/166233904.html
[3] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 184.
[4] Victor Zaborsky. Crimea and the Black Sea Fleet in Russian- Ukrainian Relations. September, 1995. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.belfercenter.org/publication/crimea-and-black-sea-fleet-russian-ukrainian-relations
[5] Соглашение между Российской Федерацией и Украиной о параметрах раздела Черноморского флота. 1997. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://docs.cntd.ru/document/1902222#64U0IK

ჰქონდა უფლება ჰყოლოდა 388 გემი, ხოლო ხმელეთზე – არაუმეტეს 25.000 სამხედრო მოსამსახურე თავისი გარკვეული რაოდენობის საარტილერიო დანადგარებით, სამხედრო საჰაერო აპარატებითა და დაჯავშნილი ტექნიკით.[1] რუსეთს მიეცა ექსკლუზიური უფლება გამოეყენებინა ორი სამხედრო-საზღვაო ბაზა – სევასტოპოლი და ფეოდეოსია; ორი აეროდრომი – გვარდეისკაია და კაჩა; სევასტოპოლის სანაპირო დაცვის ბაზა; ფეოდოსიის ტესტირების ცენტრი; ლოჯისტიკასა და მხარდაჭერის ცენტრი იალტაში, პრიბრეჟნოეში და მამუტში.[2] სევასტოპოლის სამხედრო ბაზით სარგებლობდა ასევე უკრაინული მხარე და იყო შემთხვევები, როცა რუსეთისა და უკრაინის სამხედრო ფლოტი და სანაპირო დაცვის კატარღები საერთო სწავლებებსაც კი ატარებდნენ.[3]

2013 წლის ნოემბერში მაიდანზე დაწყებულ მოვლენებს ყურადღებით აკვირდებოდნენ როგორც რუსეთის ფედერაცია, ასევე ყირიმის უზენაესი საბჭოს რუსი ეროვნების დეპუტატები, რომლებმაც მოვლენების ესკალაციისთანავე, 2013 წლის 2 დეკემბერს, მიიღეს რეზოლუცია 76 ხმით 2 წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ისინი ვ. იანუკოვიჩისგან მოითხოვდნენ გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა კიევში და ნებისმიერი საშუალებით დაესრულებინა ის განუკითხაობა, რაც დედაქალაქში ხდებოდა.[4] 6 კვირის შემდეგ კი ყირიმელმა დეპუტატებმა იგივე მოთხოვნით მიმართეს უკრაინის სამხრეთისა და აღმოსავლეთის რეგიონების მმართველებს და მოუწოდეს მათ გაერთიანებულიყვნენ ვ. იანუკოვიჩის ირგვლივ და წინ ასღდგომოდნენ ძალადობრივი ჯგუფების სურვილს, მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება.[5]

2014 წლის იანვრის ბოლოსა და თებერვლის დასაწყისში, კიევში სიტუაციის გაუარესებასთან ერთად, ყირიმის უზენაეს საბჭოში მოხდა ყირიმის ავტონომიის უკრაინის შემადგენლობაში გაფართოებისა და დამატებითი უფლებების მიღების შესახებ სამოქმედო გეგმის ინიცირება. რუსეთს, როგორც ყირიმის ავტონომიის გარანტორს, მხარი უნდა დაეჭირა მათთვის ამ წამოწყებაში.[6]

---

[1] Serhy Yekelchyk. The Conflict.., გვ. 127-128.

[2] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 202-203.

[3] Yekelchyk, Serhy. The Conflict.., გვ. 127-128.

[4] Об обращении Верховной Рады Автономной Республики Крым к Президенту Украины Януковичу В.Ф. 02. December, 2013. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: http://crimea.gov.ru/act/11432

[5] Крым призывает руководство областей Юго-Востока Украины "выступить единым фронтом против силового захвата власти" 24 January, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://regnum.ru/news/polit/1758533.html

[6] ჯერ კიდევ 19 დეკემბერს, ვლადიმერ ჟირინოვსკი მოუწოდებდა რუსეთის ფედერაციის ლიდერებს,

2014 წლის 23 თებერვალს, იანუკოვიჩის გადაგდების მეორე დღეს, ნაციონალისტური იდეების ერთგულმა უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო გადაწყვეტილება, გაეუქმებინა კანონი რუსული ენის რეგიონალურ ენად გამოცხადების შესახებ.[1] ცენტრში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, „რეგიონების პარტიის“ სამხრეთ და აღმოსავლეთ უკრაინის ოლქების დეპუტატებმა ჩაატარეს კონგრესი ქ. ხარკოვში, რომელსაც ესწრებოდნენ რუსეთის სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილ მოგილიოვი და ფედერაციული საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი პუშკოვი, ასევე აღმოსავლეთ უკრაინასთან მოსაზღვრე რამდენიმე რუსული გუბერნიის გუბერნატორი.[2] ხარკოვის კონგრესზე დეპუტატებმა ერთხმად განაცხადეს, რომ არ აღიარებდნენ კიევის რეჟიმს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რეგიონულ მთავრობებს, კიევში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენამდე, საკუთარი ძალებით უნდა მოეხდინათ რეგიონის მკვიდრი მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა. აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან 2014 წლამდე ყირიმში რამდენჯერმე ჩატარდა გამოკითხვა რუსეთთან შეერთების შესახებ, სადაც მომხრეთა რაოდენობა 23-41%-ს შორის მერყეობდა.[3] ასევე, ყირიმში 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იანუკოვიჩმა ხმების 78% მიიღო, ქალაქ სევასტოპოლში კი – 84%.[4] ყირიმელი პრორუსების განწყობას კარგად გამოხატავს ყირიმის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ კონსტანტინოვის სიტყვები, რომელმაც რუსეთის სათათბიროს დეპუტატებს განუცხადა, რომ ყირიმი დამოუკიდებლად გადაწყვეტდა არსებულ პრობლემებს.[5]

2014 წლის 23 თებერვალს სევასტოპოლის დაახლოებით 30,000 მოქალაქე

---

რომ ესარგებლათ უკრაინაში შექმნილი სიტუაციით და ჩამოეშორებინათ მათთვის ყირიმი და დონბასი. Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 358.

[1] Dominique Arel. "Language, Status, and State Loyalty in Ukraine." Harvard Ukrainian Studies, 2017-2018: 233-263, გვ. 233. მართალია 2014 წლის 3 მარტს უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ტურჩინოვმა აღნიშნულ კანონს ვეტო დაადო, მაგრამ უმაღლესი რადას მიერ მიღებული კანონით გამოწვეული რეაქციის შეჩერება ვეღარ შეძლო.

[2] Съезд депутатов всех уровней в Харькове. Текстовая трансляция. 22 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.mediaport.ua/sezd-deputatov-vseh-urovney-v-harkove-tekstovaya-translyaciya

[3] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 187.

[4] Украина. Президентские выборы. 2010. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.electoralgeography.com/new/ru/countries/u/ukraine/ukraina-prezidentskie-vybory-2010.html

[5] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 358-359.

შეიკრიბა ცენტრალურ მოედანზე და გააპროტესტა უკრაინის დედაქალაქში მომხდარი მოვლენები. რუსეთის დროშებით ხელში და „სევასტოპოლი, ყირიმი, რუსეთის“ შეძახილებით ისინი მოითხოვდნენ სევასტოპოლის უკრაინისგან გამოყოფას და თვითმმართველ ქალაქად ჩამოყალიბებას.[1] ქ. სევასტოპოლის მარჯვენა სექტორისა და სხვა უკრაინელი ნაციონალისტი აქტივისტებისგან დასაცავად, ადგილობრივებმა შექმნეს თავდაცვის ჯგუფები, სადაც დაახლოებით 15.000 მოხალისე გაწევრიანდა, რომელთა უმრავლესობა ყოფილი სამხედრო მოსამსახურე იყო. მათ ასევე შეუერთდნენ ადგილობრივი პოლიციელებიც.

24 თებერვალს, სევასტოპოლში მომხდარი ანტიმაიდანური დემონსტრაციის პასუხად, მარჯვენა სექტორის ერთ-ერთმა ლიდერმა, იგორ მოსიჩუკმა, რომელიც ციხიდან ახალი გამოსული იყო, სატელევიზიო ეთერიდან მიმართა ყირიმელებს და განაცხადა, რომ თუ ყირიმი ეცდებოდა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, მაშინ მარჯვენა სექტორი ნახევარკუნძულზე გააგზავნიდა „მეგობრულ მატარებლებს“, რათა დაესაჯა ბუნტისთავები და დაეცვა ნაციონალური რევოლუციის მიღწევები ისე, როგორ ეს გააკეთა 1992 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ[2] და UNSO-ს სევასტოპოლური კამპანიის მსგავსად, ისინიც გააქცევდნენ ვირთხებს აქციიდან. ამ განცხადების პასუხად, მომდევნო დღეებში სევასტოპოლის თავდაცვის ჯგუფებმა ქალაქის შესასვლელების კონტროლის მიზნით შექმნეს შვიდი გამშვები პუნქტი.[3] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სევასტოპოლი იყო პირველი, რომელმაც იანუკოვიჩის იმპიჩმენტიდან მეორე დღესვე დაიწყო უკრაინისგან გამოყოფის პროცესი და 24 თებერვალს ქალაქის საბჭომ მერად დაამტკიცა რუსეთის მოქალაქე. ამავდროულად გააქტიურდნენ რუსებიც, რომლებმაც საქმეში ჩართეს სევასტოპოლში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობა და 810-ე საზღვაო ქვეითთან რამდენიმე შენაერთმა, ქალაქის ცენტრში, დაიკავა თავდაცვითი პოზიციები. 26 თებერვალსვე, სევასტოპოლში რუსული სადესანტო ხომალდით გადასხეს 200-მდე სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურე,

[1] Начало Русской весны в Севастополе – 23 февраля 2014 года. Митинг Народной воли. 23 February, 2020. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=tBFww0XVX-w

[2] "Правий сектор" відправить до Криму "поїзд дружби" для боротьби із сепаратизмом. 25 February 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://lb.ua/news/2014/02/25/257040_praviy_sektor_otpravit_krim.html

[3] Mungo Melvin. Sevastopol's Wars: Crimea From Potiomkin to Putin. Oxford: Osprey, 2016, გვ. 889-890.

რომლებიც შემდეგ ნელ-ნელა მიმოიფანტნენ ყირიმში სხვადასხვა მიმართულებებით.[1] ამავე დღეს რუსეთის დასავლეთ ოპერატიულ მიმართულებაზე დისლოცირებულ ქვედანაყოფებში გამოცხადდა სასწავლო განგაშებიც.[2]

„მარჯვენა სექტორის“ ლიდერების გაკეთებული განცხადებების პასუხად, 2014 წლის 26 თებერვალს ათასობით პრორუსი დემონსტრანტი გამოვიდა ყირიმის დედაქალაქ სიმფეროპოლში მოთხოვნით, ყირიმი გამხდარიყო რუსეთის ნაწილი.[3] ამის პასუხად, კიევის ხელისუფლების მომხრეებმაც გამართეს საპროტესტო აქცია და მოითხოვეს ყირიმის დარჩენა უკრაინის შემადგენლობაში. ესენი იყვნენ ძირითადად ეთნიკურად უკრაინელი და თათარი მოქალაქეები. ორი პარალელური აქციის მონაწილეები მალევე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი ფიზიკურადაც. აქციის მონაწილეებმა დაიწყეს ხელჩართული ჩხუბი ყირიმის რეგიონული პარლამენტის შენობის წინ. შედეგად, გარდაიცვალა მოხუცი ქალი, სამი მონაწილე კი დაშავდა.[4]

სიმფეროპოლის ქუჩებში დაძაბული მდგომარეობის პარალელურად ყირიმის საკანონმდებლო ორგანოშიც დაიწყო დაპირისპირება პრორუს და თათარ დეპუტატებს შორის. ყირიმის უზენაესი საბჭოს დეპუტატი და თათრების მეჯლისის თავმჯდომარე რაფატ ჩუბაროვი აფრთხილებდა რუს დეპუტატებს, რომ თათრების თანამონაწილეობის და მათი აზრის გათვალისწინების გარეშე არ უნდა მომხდარიყო ყირიმის შემდგომი ბედის გადაწყვეტა. ასევე, იგი მოუწოდებდა პრორუსი დეპუტატების ლიდერსა და საბჭოს სპიკერს, ვლადიმერ კონსტანტინოვს, რომ ჩაეშალა სესია და დამსხდარიყვნენ მოლაპარაკებათა მაგიდასთან, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეძლებდა პარლამენტის წინ შეკრებილი ხალხის გაკონტროლებას.[5]

ამასობაში, ცენტრალურ მოედანზე, ორი მხარის დაპირისპირება გრძელდებოდა: რუსი ეროვნების პრორუსი აქციონერები, რუსეთის სამფეროვანი დროშითა და

---

[1] Michael Kofman, Katya Migacheva, and Brian Nichiporuk. Lessions From Russia's Operations in Crimea and Easten Ukraine. Santa Monica: RAND Corporation, 2017, გვ. 7-8.

[2] Gutterman, Steve. Putin puts troops in western Russia on alert in drill. 26 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-russia-military-idUSBREA1P0RW20140226

[3] Ukraine Crimea: Rival rallies confront one another. 26 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-26354705

[4] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 158.

[5] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 366.

მართლმადიდებლური ხატებით ხელში სკანდირებდნენ რუსეთის სახელს, რასაც უკრაინელები და თათრები უკრაინისა და „მარჯვენა სექტორის“ დროშით ხელში პასუხობდნენ „უკრაინა, უკრაინას“ ძახილით. პოლიციის კორდონმა, რომელიც ორი სხვადასხვა აქციის მონაწილეებს ერთმანეთისგან ყოფდა, ვერ გაუძლო ზეწოლას, აქციონერებმა შეძლეს მათი გარღვევა და დაიწყეს ერთმანეთში ხელჩართული ჩხუბი. შედეგად 30 ადამიანი დაშავდა, ხოლო გარდაიცვალა ორი – ერთი თათარი და ერთი რუსი. ჩხუბისას რამდენიმე თათარმა მოახერხა უზენაესი საბჭოს შენობაში შევარდნა, რათა არ დაეშვა ჩანიშნული სესიის ჩატარება. დაძაბული სიტუაციის განმუხტვის მიზნით, რამდენიმე ყირიმელი დეპუტატი გავიდა გარეთ და მართლაც, ჩუბაროვმა, ს. აკსიონოვმა და სხვებმა შეძლეს ჯგუფების დაშორიშორება და შემდგომი სისხლისღვრის თავიდან აცილება. პარლამენტის შენობის წინ არსებული დაძაბული სიტუაციის დასტაბილურების მიუხედავად, უმაღლესი საბჭოს სესია ჩაიშალა, რადგანაც ზოგიერთი დეპუტატი, იმის შიშით, რომ აქციის მონაწილეების მსხვერპლნი გახდებოდნენ არ გამოცხადდნენ შეხვედრაზე, შესაბამისად, ვერ შედგა კვორუმი. ვლადიმერ კონსტანტინოვმა განუცხადა თათარ დეპუტატებს, რომ უახლოეს მომავალში სესია აღარ ჩატარდებოდა და ამ უკანასკნელებმაც, გამარჯვებაში დარწმუნებულებმა დატოვეს შენობა.[1]

უზენაეს საბჭოში და მის გარეთ მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებამ დაანახა რუსეთის ხელისუფლებას, რომ თუ მათ სურდათ ყირიმის შეერთება, უფრო სწრაფი და განსხვავებული მეთოდებით უნდა დაეწყოთ მოქმედება. მაგალითად, არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ მოსკოვმა „სპეციალური ტურისტები“, დაახლოებით 50-150 ადამიანი მიავლინა ყირიმში თათრებისა და უკრაინელების მიერ ორგანიზებული დემონსტრაციის საწინააღმდეგოდ და მათთან დასაპირისპირებლად, რათა უზენაეს საბჭოს უსაფრთხოდ შეძლებოდა რეფერენდუმის ან რუსეთთან შეერთების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ამ ჯგუფში შედიოდნენ რუსი სამხედრო ვეტერანები, ბაიკერები და კრიმინალური ელემენტებიც კი, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ერთიანი რუსეთის პარტიას და ერთიანი ხალხის ფრონტს.[2]

[1] Salem Harient. Ukraine: Night Wolves and unidentified military men seize key Crimea sites . 28 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/2014/feb/28/ukraine-night-wolves-military-seize-crimea. Hahn, Gordon M. Ukraine Over.., გვ. 367.

[2] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 369.

შესაბამისად, 27 თებერვალს, როდესაც თითქოს ყველაფერი დასრულდა, 04:30 საათზე ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, მწვანე ფორმებში გამოწყობილმა პირებმა, რომლებსაც შემდგომში „ზრდილობიანი კაცები“ და „პატარა მწვანე კაცუნები[1]“ შეარქვეს, წყნარად და ყველანაირი ძალადობის გარეშე დაიკავეს ყირიმის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს შენობა და სხვა რამდენიმე ათეული სტრატეგიული ობიექტი. მათ დაიწყეს სიმფეროპოლის ქუჩებში პატრულირება, შემდეგ კი ნელ-ნელა ყირიმის სხვა ქალაქებშიც გამოჩნდნენ. რასაკვირველია, პუტინი თავიდან უარყოფდა რუსეთის კავშირს კარგად შეიარაღებულ „მწვანე კაცუნებთან“.[2] ამავე პერიოდში შეიქმნა საკონტროლო გამშვები პუნქტები პერეკოპზე, ყირიმსა და კონტინენტს შორის დამაკავშირებელ გზაზე, სადაც განთავსდნენ 200-მდე ბერკუტის ოფიცერი, ყირიმელი და ყუბანელი კაზაკები.[3]

27 თებერვალს გამთენიისას ყირიმის პოლიციის სამსახურებმა ალყა შემოარტყეს პარლამენტის შენობას, თუმცა, ცუდი შეიარაღებისა და არასათანადო წვრთნის გამო ვერაფერი მოუხერხეს რუსულ სპეციალური ოპერაციის ძალების პროფესიონალ სამხედროებს, რომლებსაც მოწყობილი ჰქონდათ საცეცხლე წერტილები და შენობა ფაქტობრივად აუღებელ ციხესიმაგრედ ჰქონდათ გადაქცეული.[4] ყირიმში მიმდინარე სიტუაციიდან გამომდინარე, უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ოლექსანდრ ტურჩინოვმა გამოაცხადა საერთო მზადყოფნა და უკრაინულ არმიას უბრძანა, მზად ყოფილიყვნენ რუსეთის მხრიდან პოტენციური აგრესიის მოსაგერიებლად.[5] ამავე დღეს რუსეთის მთავრობამ გააკეთა ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაცია თავშესაფარს აძლევდა უკრაინის ლეგიტიმურ პრეზიდენტ ვ. იანუკოვიჩს, რომელიც შემდგომ პერიოდში ხშირად იძლეოდა ინტერვიუებს, ლანძღავდა მაიდნის აქციის მონაწილეებს, უკრაინის ახალ ხელისუფლებას და უწოდებდა მათ ნეონაცისტებს.[6]

27 თებერვალს პრორუსული განწყობის ყირიმელმა მოქალაქეებმა და

---

[1] ჯგუფი შეიარაღებული იყო სნაიპერული შაშხანებით, უახლესი რუსული ტყვიამფრქვევებით და ღამის ხედვის ხელსაწყოებით. ასევე, AGM ტიპის ყუმბარმტყორცნითა და ტანკსაწინააღმდეგო ერთჯერადი ყუმბარტყორცნებით. Jonathan Ferguson and N.R Jenzen-Jones. Raising Red Flags: An Examination of Arms and Munitions in the Ongoing Conflict in Ukraine. ARES, 2014, გვ. 21-22.

[2] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 370.

[3] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 235.

[4] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 238.

[5] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 158.

[6] Serhy Yekelchyk. The Conflict.., გვ. 135.

ადგილობრივმა თავდაცვის ჯგუფებმა დაიწყეს ყირიმის პარლამენტის წინ თავშეყრა, რასაც მოჰყვა რუსეთის მომხრე ყირიმელი პარლამენტარების გამოცხადება 15:00 საათზე ჩანიშნულ სესიაზე. საკანონმდებლო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება დაეთხოვა ყირიმის პროუკრაინული მთავრობა და ყირიმის სტატუსის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების თარიღად გამოაცხადა 25 მაისი.[1] 27 თებერვალსვე, ყირიმის პარლამენტის მიერ „არჩეულმა" „პრემიერ მინისტრმა" სერგეი აქსიონოვმა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პუტინს სთხოვა დახმარების აღმოჩენა და დაკეტა საჰაერო სივრცე სიმფეროპოლის თავზე.[2]

სიტუაციის გაუარესების პარალელურად, ვაშინგტონი, პროცესების დარეგულირების მიზნით, აქტიურად ცდილობდა მედიატორის როლის შესრულებას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პუტინთან სატელეფონო საუბრისას გააფრთხილა იგი, რომ ყირიმის ინტერვენციის შემთხვევაში რუსეთს მოუწევდა ძალიან მძიმე ფასის გადახდა. საუბარი იყო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებზე. რუსეთის ხელისუფლებისთვის ცხადი იყო, რომ ყირიმის გამო ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპული ქვეყნები არ დაიწყებდნენ რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებს.[3] შესაბამისად, მოხდა სპეციალური ოპერაციების ძალების მეშვეობით სტრატეგიული ობიექტების დაკავება და კონტროლი, რომელშიც მათ ქმედითი დახმარება აღმოუჩინეს ადგილობრივმა მოხალისეებმა და რუსმა კაზაკებმა. ყირიმის ოკუპაციის ოპერაციაში ასევე მონაწილეობდნენ რუსული არმიის რეგულარული ნაწილები, რომელთა ჩართულობას პუტინი და მისი ხელისუფლება ოპერაციის მსვლელობისას მუდმივად უარყოფდა. აქვე რუსები მუდამ აპელირებდნენ, რომ ყირიმის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსი ჯარისკაცების რაოდენობას არასდროს გადაუჭარბებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული 25,000-ისთვის.[4]

2014 წლის თებერვლის მდგომარეობით უკრაინის შეიარაღებული ძალების რაოდენობა ყირიმის ნახევარკუნძულზე შეადგენდა დაახლოებით 18800 ადამიანს,

---

[1] Парламент Крыма назначил референдум об автономии. 27 февраля 2014 г. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/russian/international/2014/02/140227_crimea_parliament

[2] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 159.

[3] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 159.

[4] Serhy Yekelchyk. The Conflict.., გვ. 130-131.

რომელთა უმრავლესობა წარმოდგენილი იყო საზღვაო ძალების შემადგენლობაში.[1] უკრაინის საზღვაო ძალები მოიცავდა 22 საბრძოლო გემს, ათეულობით მხარდამჭერ გემს, რვა ვერტმფრენს, 41 ტანკს, 160 ქვეითთა საბრძოლო მანქანას, 47 საარტილერიო სისტემას და რამდენიმე ათეულ 100მმ-იან ნაღმტყორცნს.[2] უკრაინის სანაპირო დაცვის ძალების შემადგენლობაში შედიოდა სარაკეტო-საარტილერიო ბრიგადა, 2 ცალკეული საზღვაო ბატალიონი და სანაპირო დაცვის ბრიგადა.[3] ამ უკანასკნელში ირიცხებოდა სატანკო ბატალიონი, მექანიზებული ბატალიონი, სამთო ბატალიონი, სადაზვერვო ასეული, სნაიპერთა ასეული, საარტილერიო ჯგუფი, საჰაერო თავდაცვის ბატალიონი და ტანკსაწინააღმდეგო ბატალიონი. ბრიგადას გააჩნდა 41 ერთეული T-64BV ტიპის ტანკი, 2 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, BTR-70 APC, 2S1 122მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა, 122მმ-იანი გრადები, Стрела-10M SAM და Шилка.[4]

ნახევარკუნძულზე ასევე იყვნენ დისლოცირებულები უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების ქვედანაყოფები. ბელბეკის საავიაციო ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდა 45 ერთეული МиГ-29, რომელთაგანაც მხოლოდ 4-6 იყო მწყობრში და საბრძოლო L-39M1. ასევე გააჩნდათ საჰაერო თავდაცვის დანადგარები, Бук და S300 SAM სისტემები და ცალკეული რადიოტექნიკური ბრიგადა.[5] უკრაინელებს ასევე ჰყავდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2500-მდე თანამშრომელი, თუმცა მათი აღჭურვილობა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ აქტიური წინააღმდეგობა გაეწიათ რუსი ოკუპანტებისთვის. აღსანიშნავია, რომ უკრაინის თავდაცვის მინისტრი მოხსენებისას აცხადებდა, რომ ყირიმში დისლოცირებული 18000 სამხედრო მოსამსახურიდან დაახლოებით 1500-მდე იყო მზად იმისთვის, რომ ბრძანების შემთხვევაში ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ რუსების წინააღმდეგ.[6]

რაც შეეხება ყირიმში მოქმედ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების პერსონალს, შავი ზღვის ფლოტში წარმოდგენილი იყო 12.000 სამხედრო მოსამსახურე, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი იყო ქვეითი გვარეობის, კერძოდ, 810-ე ცალკეული საზღვაო ქვეითთა ბრიგადა. თუმცა, აღნიშნული ბრიგადა იყო დაკომპლექტებული

---

[1] Michael Kofman et al. Lessions from, გვ. 5.
[2] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 228.
[3] Michael Kofman et al. Lessions from, გვ. 5.
[4] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 229.
[5] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 229-230.
[6] Стенограмма секретного заседания СНБО 28 февраля 2014 года. 23 феврал, 2016. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://echo.msk.ru/blog/echomsk/1717754-echo/

საკონტრაქტო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებით, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი პერსონალისგან განსხვავებით ბევრად უკეთ იყვნენ გაწვრთნილები, გააჩნდათ თანამედროვე შეიარაღება და აღჭურვილობა. რუსული ძალები ბევრად ჩამორჩებოდნენ უკრაინელებს, როგორც რიცხობრივად, ასევე მათ ხელთ არსებული ტექნიკითა თუ საარტილერიო დანადგარებით.[1]

რუსების მიერ ყირიმის ოპერაცია დროში „დაემთხვა“ უკრაინის სამთავრობო წრეებში მიმდინარე გადაადგილებებს, რამაც კიდევ უფრო გაართულა უკრაინული მხარის მიერ ადეკვატური კონტრზომების მიღება. მაგალითად, 23 თებერვლიდან 27 თებერვლამდე უკრაინას არ ჰყავდა თავდაცვის მინისტრი, ხოლო იგორ ტენიუხი, რომელიც 27 თებერვალს დაინიშნა მინისტრად,[2] 2010 წლიდან იყო პენსიაში გასული, შესაბამისად, იგი არ ფლობდა სრულ წარმოდგენას უკრაინის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის შესახებ. ასევე, უკრაინის გენერალური შტაბის უფროსი, იური ილინი, რომელიც 27 თებერვალს გულის შეტევის შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, პრეზიდენტ იანუკოვიჩის ერთგული რჩებოდა და უარს ამბობდა ბრძანებების შესრულებაზე.[3]

28 თებერვლის ღამეს 03:00 საათზე „მწვანე კაცუნებმა“ ალყა შემოარტყეს ბელბეკის უკრაინულ სამხედრო აეროდრომს, რათა 204-ე ტაქტიკური საავიაციო ბრიგადისთვის არ მიეცათ საშუალება, მოეხდინა საჰაერო სივრცის კონტროლი.[4] ამგვარად, რამდენიმე წუთში რუსმა სამხედროებმა შეძლეს უკრაინელების ყველაზე დიდი საავიაციო ბაზის ბლოკირება. ამავე პერიოდში შეიარაღებულმა ჯგუფებმა დაიკავეს სიმფეროპოლის სამოქალაქო აეროპორტი[5] და საჰაერო მიმოსვლის მაკონტროლებელი პუნქტი, გააუქმეს სამოქალაქო ფრენები და დაიწყეს რუსი სამხედროების მიღება. უკვე 28 თებერვალს გამთენიისას კი რუსულმა სამმა Ми-8

---

[1] Michael Kofman, et al. Lessions from, გვ. 6.

[2] Ukraine appoints new PM as Yanukovich says ‘I’m still president’ 27 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.france24.com/en/20140227-ukraine-yanukovich-still-president-russia-protection

[3] Начальника Генштабу Ільїна ушпиталили із серцевим нападом у Севастополі. 26 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://lb.ua/news/2014/02/28/257539_nachalnik_genshtaba_ilin.html

[4] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 239.

[5] Ukraine: armed men patrol Simferopol airport in Crimea – video. 28 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/video/2014/feb/28/ukraine-simferopol-airport-crimea-video

სატრანსპორტო ვერტმფრენმა და 8 ერთეულმა Ми-35М კლასის მოიერიშე შვეულმფრენმა გადაკვეთეს რუსეთ-უკრაინის საზღვარი და რუსებს გაუჩნდათ საშუალება თავიანთი სახმელეთო ძალებისთვის აღმოეჩინათ ახლო საჰაერო მხარდაჭერა.[1] 28 თებერვალსვე, რამდენიმე Ил-76 სატრანსპორტო თვითმფრინავით, ანაპიდან გვარდეისკის საველე აეროდრომზე,[2] სიმფეროპოლთან ახლოს, რუსებმა გადასხეს დაახლოებით 1500-მდე სრულად აღჭურვილი სპეცრაზმელი.[3]

ს. აკსიონოვმა ყირიმში განლაგებული უკრაინის შეიარაღებული ძალების მეთაურობა გადაიბარა და უბრძანა, უარი ეთქვათ კიევიდან წამოსული ყველანაირი ბრძანების შესრულებაზე.[4] მის დაქვემდებარებაში იყო ასევე ბერკუტის ახლად შექმნილი პოლიცია. აღსანიშნავია, რომ ბერკუტის ფორმირებების გაუქმება იყო კიევის ხელისუფლების ერთ-ერთი იმ შეცდომათაგან, რომელმაც რუსების წისქვილზე დაასხა წყალი. 25 თებერვალს, უკრაინის მთავრობამ ყირიმული ბერკუტის დანაყოფები კიევიდან კვლავ თავიანთ დისლოკაციის ადგილზე გადაიყვანა, თუმცა, იმავე დღეს ისინი გამოაცხადეს კრიმინალებად და დაითხოვეს სამსახურიდან. ბერკუტელები, რომლებისთვისაც იარაღისა და აღჭურვილობის ჩამორთმევას ხალხი შეეწინააღმდეგა, ჩადგნენ რუსეთის სამსახურში, მიიღეს რუსული პასპორტები და დაიწყეს რუსეთის სასარგებლოდ მუშაობა.[5] ყირიმელი ბერკუტელები ადგილობრივ მოსახლეობაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და ისინი გმირებადაც კი მიაჩნდათ.[6]

რუსებმა 1-2 მარტს რამდენიმე დიდი სადესანტო გემით კვლავ გადასხეს სპეციალური ოპერაციების ძალების შეიარაღებული პირები სევასტოპოლში. ამავე პერიოდში დაიწყი რუსი კაზაკების ორგანიზებული გადაყვანა კრასნოდარიდან ყირიმში, რომლებიც მანამდე პატარ-პატარა ჯგუფებად, დამოუკიდებლად და სპონტანურად გადადიოდნენ ნახევარკუნძულზე, რათა დახმარებოდნენ ადგილობრივ ეთნიკურად რუსებს უკრაინის წინააღმდეგ მოქმედებებში.[7]

---

[1] Michael Kofman et al. Lessions from, გვ. 9.
[2] В Крыму садятся российские самолеты и едут БТР. 28 February, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://vesti.ua/krym/40232-v-krymu-sadjatsja-rossijskie-samolety-i-idut-btr
[3] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 240.
[4] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 372.
[5] Michael Kofman, et al. Lessions from, გვ. 21.
[6] Gordon M. Hahn. Ukraine Over.., გვ. 372.
[7] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 241.

მიუხედავად რუსების მიერ სპეცრაზმელებისა და ჯარისკაცების ინტენსიური გადასროლისა ნახევარკუნძულზე, უპირატესობა შეიარაღებული ძალების რაოდენობასა და ტექნიკაში მაინც უკრაინელების მხარეს იყო. ყირიმის მოსახლეობაში მრავალი პრორუსული ორიენტაციის ეთნიკურად რუსი ადგილობრივების გამო უკრაინის ხელისუფლებას გაუჭირდა ნახევარკუნძულის დაცვა რუსული ინტერვენციისგან, ამას ემატებოდა უკრაინული სახელმწიფოს მიერ წლების განმავლობაში განხორციელებული არასწორი სამხედრო პოლიტიკა, რომლის შედეგად, ყირიმში განლაგებულ უკრაინულ სამხედრო ფორმირებებში სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეები და ოფიცრები ძირითადად ადგილობრივი კადრებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც ყირიმის რუსეთთან შეერთების შემდეგ დარჩნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. უკრაინის შავი ზღვის ფლოტის მეთაური და მისი შემცვლელი რუსეთის მხარეს გადავიდნენ, მხოლოდ რამდენიმე საშუალო რგოლის ოფიცერმა და მათმა პირადმა შემადგენლობამ არ ისურვეს რუსეთის ფედერაციის დაქვემდებარებაში გადასვლა და შეუერთდნენ უკრაინის სამხედრო ძალებს. რუსებმა დაიკავეს ყველა საარმიო დაწესებულება და ხელთ ჩაიგდეს თითქმის ყველა უკრაინული გემი, რომლებიდანაც მოგვიანებით მხოლოდ რამდენიმე დააბრუნეს. რუსების მიერ დაპყრობას გადაურჩა მხოლოდ უკრაინული ფლაგმანი, რომელიც აღნიშნულ პერიოდში ღია ზღვაში იყო გასული და კონფლიქტის პერიოდში შევიდა ოდესის ნავსადგურში.[1] რუსმა სპეცრაზმელებმა შეძლეს ყირიმში განლაგებულ უკრაინის შეიარაღებულ ძალებსა და უკრაინის ძირითად ძალებს შორის არსებული კომუნიკაციის ხაზის ჩაჭრა, ხოლო სამხედრო ჰაკერებმა უკრაინული მთავრობისა და მედიის ინტერნეტ სერვისებზე განახორციელეს DDos შეტევები და გამოიყვანეს მწყობრიდან. ასევე, კიბერპიარის პროფესიონალებმა და კრემლის „ტროლებმა“ აითვისეს სოციალური ქსელები, სადაც ავრცელებდნენ უკრაინის საწინააღმდეგო ნარატივსა და პრორუსულ ინფორმაციას, მონაწილეობდნენ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კამპანიაში და ახდენდნენ ყირიმელი სეპარატისტების მობილიზებას.[2]

ამასობაში, პუტინმა, უკრაინაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ფედერაციის საბჭოსგან მოითხოვა ნებართვა, გამოეყენებინა რუსული შეიარაღებული

[1] Serhy Yekelchyk. The Conflict.., გვ. 131.
[2] Constantine Pleshakov. The Crimean Nexus.., გვ. 106.

ძალები, რათა არსებული საფრთხეებისგან დაეცვა უკრაინაში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები. პუტინის ინიციატივის თანახმად, რუსული ქვედანაყოფების უკრაინაში დარჩენა იგეგმებოდა სიტუაციის სრულ დარეგულირებამდე. აღნიშნულ „თხოვნაზე“ რუსეთის სათათბირომ სანქცია გასცა და პუტინმაც დაიწყო მოქმედება. მიმდინარე მოვლენების ფონზე, ბ. ობამა კვლავ დაუკავშირდა ვ. პუტინს და გამოხატა თავისი შეშფოთება რუსეთის მიერ უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის გამო. მან გააფრთხილა რუსეთის პრეზიდენტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გააუქმებდა ივნისში დაგეგმილ G8-ს სამიტს, რომელიც სოჭში უნდა ჩატარებულიყო. ასევე, თუ რუსეთი გააგრძელებდა საერთაშორისო კანონების დარღვევას, რუსეთი მოექცეოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში. პუტინმა უარყო, რომ რუსული ძალები მონაწილეობდნენ ყირიმის ოკუპაციაში და აღნიშნა, რომ რუსეთის მოქალაქეებს რეალურად ემუქრებოდათ საფრთხე უკრაინაში. ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყირიმი წარმოადგენდა რუსეთის „ისტორიულ ტერიტორიას“ და დასახლებული იყო ეთნიკურად რუსებით.[1]

2014 წლის პირველ მარტს რუსეთის ფედერაციულმა საბჭომ მხარი დაუჭირა რუსეთის პრეზიდენტს და გამოსცა რეზოლუცია, რომელიც აძლევდა მას უფლებას, ლიმიტირებული რაოდენობით გაეგზავნა რუსი სამხედროები უკრაინაში.[2] ამავდროულად, „პატარა მწვანე კაცუნებმა“ დაიწყეს სიმფეროპოლის ქუჩებში პატრულირება.[3]

1 მარტს უკრაინის საზღვაო ძალების მეთაურად უკრაინის პრეზიდენტმა ალექსანდრ ტურჩინოვმა დანიშნა ადმირალი დენის ბერეზოვსკი, რომელმაც 2 მარტს განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერდა „ყირიმელი ხალხის“ დამოუკიდებლობას და ნახევარკუნძულის თვითგამოცხადებული ხელისუფლების მხარეს დადგა.[4]

2-3 მარტისთვის ყირიმში განლაგებული ყველა სამხედრო ბაზა დაბლოკეს რუსებმა და მათმა მოკავშირეებმა. ისინი შეიარაღებული იყვნენ უახლესი მოდელის იარაღით, თუმცა კვლავ ყველანაირი ამოსაცნობი ნიშნის გარეშე

[1] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 159.
[2] Russian parliament approves troop deployment in Ukraine. 1 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე https://www.bbc.com/news/world-europe-26400035
[3] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 374.
[4] New head of Ukraine's navy defects in Crimea. 2 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე https://www.bbc.com/news/world-europe-26410431

გადაადგილდებოდნენ. რუსეთის საოკუპაციო ძალების ბირთვს წარმოადგენდა ელიტური მობილური შენაერთები. ესენი იყვნენ რუსეთის დაზვერვის სამსახურის სამხედროები, მედესანტეები და ასევე რუსეთის უშიშროების სამსახურის მოსამსახურეები. მაგალითად, 26 თებერვალს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემების მიერ ყირიმში გადასროლილ იქნენ რუსეთის დაზვერვის სამსახურის სპეცნაზის ბრიგადა, რომელიც დისლოცირებული იყო ტოლიატიში და 31-ე გვარდიული ბრიგადის მედესანტეები.[1]

2014 წლის 4 მარტს ყირიმის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ დაიწყო საკუთარი სახმელეთო და საზღვაო ძალების შექმნა. მათ ნახევარკუნძულზე განლაგებულ უკრაინელ საჯარისო შენაერთებს წაუყენეს ულტიმატუმი, რომ ერთგულების ფიცი დაედოთ და გადასულიყვნენ მათ მხარეზე.[2]

6 მარტს რუსებმა ყირიმის ნავსადგურებიდან გამოსასვლელებში ჩაძირეს ძველი გემი, რათა დაებლოკათ პორტში განლაგებული უკრაინული გემები და არ მიეცათ მათთვის საშუალება, გადასულიყვნენ უკრაინის მიერ კონტროლირებად ნავსადგურებში.[3] ამავე დღეს რუსულმა სამხედრო კოლონებმა დაიწყეს ქერჩის გავლით ყირიმში დამატებითი ტექნიკის, მათ შორის საარტილერიო დანადგარების, საჰაერო თავდაცვის სისტემებისა და გემების საწინააღმდეგო სარაკეტო სისტემების გადატანა.[4]

6 მარტს ყირიმის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა უკრაინისგან დამოუკიდებლობა და მიიღო გადაწყვეტილება, 2014 წლის 16 მარტს ჩაეტარებინათ რეფერენდუმი კითხვით: სურდათ თუ არა რუსეთის შემადგენლობაში შესვლა.[5] რეფერენდუმი ჩატარდა რუსი სამხედროებისა და ადგილობრივი მოხალისე მილიტარისტული ჯგუფების ზედამხედველობით, რომელსაც ბოიკოტი გამოუცხადა ყირიმის თათრულმა მოსახლეობამ. რეფერენდუმში მონაწილე ყირიმის მოსახლეობის 96.77%-

[1] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 375.
[2] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 245.
[3] Elizabeth A. Wood, Wiliiam E. Pomeranz, Merry E. Wayne, and Maxim Trudolyobov. Roots Russia's War in Ukraine. Washington: Woodrow Wilson Center Press, 2016, გვ. xiii.
[4] Michael Kofman et al. Lessions from, გვ. 10.
[5] Парламент Крыма принял Декларацию о независимости. 11 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023. ვებგვერდზე: https://www.bbc.com/ukrainian/ukraine_in_russian/2014/03/140311_ru_s_crimea_rada_decisions

მა[1] და სევასტოპოლის 95.6%-მა[2] მხარი დაუჭირა რუსეთთან შეერთებას.

2014 წლის 18 მარტს რუსეთმა ოფიციალურად მოახდინა ყირიმის ანექსია.[3] დასავლეთში მოხდა პუტინის დემონიზაცია, თუმცა რუსეთში მისმა პოპულარობამ მოიმატა. რუსებისთვის ეს გარკვეულწილად მათ ძლიერების აღორძინება იყო. იმპერიული შოვინიზმით გაჟღენთილი ხალხი კვლავ გრძნობდა, რომ მათ ძლიერი, ექსპანსიონისტური სახელმწიფო ჰქონდათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი მუდმივად კარგავდა გავლენებსა და მიწებს, ეს კი იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მათ რაღაც მოიპოვეს კვლავ.[4]

20 მარტს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ დაამტკიცა ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა, რომელიც მომდევნო დღეს დაამტკიცა ფედერაციის საბჭომ. ნახევარკუნძული რუსეთს შეუერთდა ორ ცალკეულ რეგიონად: ყირიმის რესპუბლიკა გახდა ოცდამეორე რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ხოლო სევასტოპოლი, მოსკოვისა და პეტერბურგის მსგავსად, იქცაცალკე ფედერალურ ერთეულად.[5]

საბოლოოდ კი, მიუხედავად რამდენიმე ქვედანაყოფის მცდელობისა წინააღმდეგობა გაეწიათ „მწვანე კაცუნებისთვის“, რუსეთმა ყველანაირი ბრძოლისა და პრაქტიკულად ტყვიის გასროლის გარეშე მოახერხა ყირიმის ოკუპაცია. 21 მარტისთვის რუსეთის დროშები აღიმართა ყირიმის 147 სამხედრო დაწესებულებაზე და 54 უკრაინულ სამხედრო გემზე.[6] ყირიმში დისლოცირებულ უკრაინულ შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებს მოსკოვი სთავაზობდა უკეთეს ხელფასს და ბენეფიტებს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მოქალაქეობას დასთანხმდებოდნენ და

---

[1] Carol Morello, Pamela Constable, and Anthony Faiola. „Crimeans vote to break away from Ukraine, join Russia.“ washingtonpost, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.washingtonpost.com/world/2014/03/16/ccec2132-acd4-11e3-a06a-e3230a43d6cb_story.html

[2] На сессии городского Совета утверждены результаты общекрымского референдума 16 марта 2014 года. 17 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: ttps://web.archive.org/web/20140722133147/http://sevsovet.com.ua/index.php/2011-06-30-23-44-03/12395-na-sessii-gorodskogo-soveta-utverzhdeny-rezultaty-obshchekrymskogo-referenduma-16-marta-2014-goda

[3] Подписан Договор о принятии Республики Крым в Российскую Федерацию. 18 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე http://kremlin.ru/events/president/news/20604

[4] Kalb, Marvin. Imperial.., გვ. 163.

[5] Федеральный конституционный закон от 21.03.2014 N 6-ФКЗ (ред. от 01.07.2021) "О принятии в Российскую Федерацию Республики Крым и образовании в составе Российской Федерации новых субъектов – Республики Крым и города федерального значения Севастополя". 21 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_160618/

[6] Constantine Pleshakov. The Crimean Nexus.., გვ. 107.

ჩაირიცხებოდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. როგორც აღვნიშნეთ, ყირიმის უკრაინულ სამხედრო ძალებში ძალიან ბევრი ადგილობრივი მსახურობდა, რომელთა ოჯახები ათწლეულების განმავლობაში ცხოვრობდნენ ყირიმში.[1] შესაბამისად, 18,000 სამხედროდან მხოლოდ 6,500-მა მიიღო ყირიმის დატოვების გადაწყვეტილება და დარჩა უკრაინის ერთგული.[2]

## §3. კრიზისი უკრაინის აღმოსავლეთში

„მე მინდა შეგახსენოთ, რომ ის, რასაც ძველად „ნოვოროსია“ ეწოდებოდა, ცარიზმის პერიოდში – ხარკოვი, ლუგანსკი, დონეცკი, ხერსონი, ნიკოლაევი და ოდესა, არ იყვნენ მაშინ უკრაინის ნაწილები. ეს ტერიტორიები უკრაინას გადაეცა 1920-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ. რატომ? ვინ იცის. ეს ტერიტორიები დაიპყრეს პოტიომკინმა და ეკატერინე დიდმა საქვეყნოდ ცნობილი ომების სერიების შედეგად. ამ ტერიტორიების ცენტრი იყო ნოვოროსიისკი, შესაბამისად მთლიან რეგიონსაც „ნოვოროსია“ დაერქვა. რუსეთმა ეს ტერიტორიები დაკარგა სხვადასხვა მიზეზის გამო, თუმცა ხალხი იქ დღემდე რუსია“.[3] რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ 2014 წლის აპრილში გაკეთებული ზემოხსენებული განცხადება ხაზს უსვამს რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირების დამოკიდებულებას როგორც უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მიმართ, ასევე უკრაინის როგორც სახელმსიფოსადმი.[4] ასე რომ, როგორც კი პუტინმა დაინახა, რომ უკრაინაში პროევროპულად განწყობილი ძალები მივიდნენ ხელისუფლების სათავეში, მან ეს აღიქვა, როგორც საფრთხე რუსული სახელმწიფო ინტერესებისთვის და უკრაინის წინააღმდეგ დაიწყო იმ

---

[1] Michael Kofman et al. Lessions from, გვ. 11-12.

[2] Ukraine troops leave Crimea by busload; defense minister resigns after Russia seizes peninsula. 25 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.cbsnews.com/news/ukraine-troops-leave-crimea-by-busload-defense-minister-resigns-after-russia-seizes-peninsula/

[3] Direct Line with Vladimir Putin. 30 June, 2021. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: http://en.kremlin.ru/events/president/news/65973. როგორც ეს უკვე ტრადიციად იქცა, ვ. პუტინის მიერ გაკეთებულ წიაღსვლებს რეალურ ისტორიასთან არანაირი კავშირი არ აქვს. არათუ დასახელებული რეგიონები, არამედ დღეისათვის რუსეთის ფედერაციაში შემავალი ტერიტორიების დიდი ნაწილი – ბელგოროდისა და კურსკის ოლქები პრაქტიკულად მთლიანად, როსტოვის ოლქის ნაწილი და ყუბანისპირეთი – რუსეთის იმპერიის პერიოდში უკრაინულენოვანი მოსახლეობით იყო დასახლებული. „ნოვოროსია“ კიდევ პოლიტიკური მიზნებისთვის შექმნილი ტერმინი იყო, რომელსაც ისტორიასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. უფრო მეტიც, ეს სახელწოდება – „ახალი რუსეთი“ ირიბად იმას ადასტურებდა, რომ ეს ტერიტორია მანამდე რუსეთი არ იყო – ბ.შ.

[4] პუტინმა ეს ბუშთანაც კი განაცხადა 2014 წელს. Angela Stent. Putin's Ukrainian endgame and why the West may have a hard time stopping him. 4 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://edition.cnn.com/2014/03/03/opinion/stent-putin-ukraine-russia-endgame/index.html

რუსული სამხედრო-სტრატეგიული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმატების გარანტორი. ამ პოლიტიკის შესაბამისად, რუსეთის სახელმწიფოს გარშემო უნდა ყოფილიყო სუსტი, ნახევრად შემდგარი სახელმწიფოები, რომლებსაც ანტირუსული პოლიტიკის გასატარებლად საჭირო რესურსები და საშუალებები არ ექნებოდათ.

2014 წლის თებერვალში ვ. იანუკოვიჩის გადაგდების შემდეგ სიტუაცია დაიძაბა არა მხოლოდ ყირიმში, არამედ აღმოსავლეთ უკრაინაშიც, სადაც ძირითადად უკრაინის მოქალაქე ეთნიკურად რუსები ცხოვრობდნენ. ამ რეგიონის მოსახლეობაში ძლიერი იყო უკრაინის დეცენტრალიზაცია/ფედერალიზაციისა და რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების განწყობები. უახლესი კვლევების მიხედვით, მაგალითად, დონეცკსა და ლუგანსკში მოსახლეობის დაახლოებით 30% რუსეთთან შეერთების მომხრე იყო. აღმოსავლეთ უკრაინის სხვა ოლქებში ეს რიცხვი უფრო დაბალი იყო, თუმცა მაღალი იყო იმათი ხვედრითი წილი, რომლებსაც სურდათ მეტი ფედერალიზაცია და უფრო დიდი უფლებები რეგიონებისთვის. შესაბამისად, იანუკოვიჩის გაქცევის შემდეგ უკრაინის უმაღლესი რადას მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რუსულისთვის რეგიონალური ენის სტატუსის გაუქმების შესახებ, უკრაინაში მიმდინარე საპროტესტო აქციებსა და ყირიმში რუსეთის ინტერვენციას, აღმოსავლეთ უკრაინაში მოყვა მაიდანის ხელისუფლების წინააღმდეგ მძლავრი საპროტესტო აქციები.[1] 2014 წლის 1 მარტს დონეცკში 7000-კაციანი საპროტესტო აქცია მოეწყო, რომლებიც რუსეთისა და მაშინ უცხო, დონეცკის რესპუბლიკის დროშებით იყვნენ გამოფენილნი.[2] საპროტესტო აქციის მონაწილეები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გამოვიდნენ ითხოვდნენ რუსულისთვის რეგიონალური ენის სტატუსის აღდგენას და უკრაინის მეტ ფედერალიზაციას.[3] გამოსვლები ძირითადად მშვიდობიანი სახის იყო, არ შეიმჩნეოდა შეიარაღებული ჯგუფები და ყველაფერმა ძირითადად ექსცესების გარეშე ჩაიარა. საპროტესტო აქციები შემდგომ დღეებშიც გრძელდებოდა დონეცკში, ლუგანსკსა და ხარკოვში.[4]

---

[1] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 84.

[2] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 258.

[3] Marvin Kalb. Imperial.., გვ. 161.

[4] На юго-востоке Украины прошла серия митингов против новой власти в Киеве. 1 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.1tv.ru/news/2014-03-01/44975-na_yugo_vostoke_ukrainy_proshla_seriya_mitingov_protiv_novoy_vlasti_v_kieve

აქციის მონაწილეებმა მაიდნის აქციისა და სიმფეროპოლის მწვანე კაცუნების მიბაძვით 1-3 მარტს დაიკავეს დონეცკისა და ხარკოვის ადმინისტრაციული შენობები,[1] გამოფინეს დროშები ლუგანსკის ადმინისტრაციულ შენობებზე.[2] ლუგანსკის საპროტესტო მასამ მოთხოვნების რადიკალიზაციაც მოახდინა და ისინი აღარ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ფედერალიზაციის მოთხოვნით. ამჯერად, მათ უკვე რეფერენდუმი სურდათ, კითხვით – უნდა გამოყოფოდა თუ არა ლუგანსკის რაიონი უკრაინას და შეერთებოდა რუსეთის ფედერაციას.[3]

აღსანიშნავია, რომ სამივე ქალაქში საპროტესტო აქციას სათავეში ედგნენ ხალხის მასებისგან გამოსული ლიდერები და არა ადგილობრივი მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ან ოლიგარქები. ქალაქ ლუგანსკის მოძრაობის ლიდერი იყო უკრაინის პროგრესულ-სოციალისტური პარტიის რეგიონული ლიდერი ალექსანდრე ხარიტონოვი, რომელმაც თავი ლუგანსკის სახალხო მმართველადაც კი გამოაცხადა.[4] დონეცკში კი ლიდერი იყო ნეოფაშისტური ეროვნული ერთიანობის წევრი პაველ გუბარევი,[5] ხარკოველი მანქანის მექანიკოსი და ბლოგერი ვლადიმირ ვარშავსკი „სახალხო გუბერნატორად“ იქნა გამოცხადებული.[6] შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში საპროტესტო გამოსვლები საწყის ეტაპზე, პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში იყო სპონტანური და წარმოადგენდა რეაქციას კიევში მიმდინარე მოვლენების მიმართ. მხოლოდ შემდეგში მოვლენების განვითარებასთან ერთად გამოიწვია რუსეთის დაინტერესება და მისი აქტიური ჩართვაც პროტესტის მიმდინარეობაში.[7]

---

[1] Lina Kushch. Pro-Russia protesters occupy regional government in Ukraine's Donetsk. 3 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-donetsk-protests-idUSBREA220XI20140303

[2] Над зданием администрации Луганска подняли российский флаг. 1 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://tvrain.ru/teleshow/novosti_sajta/nad_zdaniem_administratsii_luganska_podnjali_rossijskij_flag-364095/?autoplay=false

[3] Michael Kofman, et al. Lessions from, გვ. 34.

[4] В Луганске на митинге избрали "народного губернатора". 5 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://web.archive.org/web/20140315145349/https://korrespondent.net/ukraine/politics/3315551-v-luhanske-na-mytynhe-yzbraly-narodnoho-hubernatora

[5] Pro-Russian Gubarev, a symbol of east Ukraine separatism. 9 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.digitaljournal.com/world/pro-russian-gubarev-a-symbol-of-east-ukraine-separatism/article/375337

[6] Latest from the Special Monitoring Mission to Ukraine - based on information received up until 21 April 2014. 22 April 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.osce.org/ukraine-smm/117912.

[7] Michael Kofman, et al. Lessions from, გვ. 36.

10 მარტისთვის უკრაინის ხელისუფლებამ საპოლიციო ძალების აქტიურობით შეძლო სამივე დიდ ქალაქში სიტუაციის დასტაბილურება და კონტროლის დამყარება. განთავისუფლდა ადმინისტრაციული შენობები, ქუჩები გაიწმინდა ბარიკადებისგან და აქციის ლიდერებიც დააპატიმრეს. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთის რეგიონებში სტაბილური გარემოს შესაქმნელად პრობლემურ რეგიონებში მმართველებად დანიშნეს მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტის მქონე ადგილობრივი ოლიგარქები.[1] თუმცა, მიუხედავად მიღებული ზომებისა, გარკვეული დაძაბულობა მაინც შეიმჩნეოდა. ქალაქის ქუჩებში გრძელდებოდა დაპირისპირებები სეპარატისტულ დაჯგუფებებსა და ნაციონალისტებს შორის. შეიქმნა პოლიტიკური ვაკუუმი, შესაბამისად, დაპატიმრებული აქციის ლიდერების ნაცვლად გამოჩნდნენ ახალი ლიდერები, რომლებსაც წარსულში ახლო კავშირი ჰქონდათ რუსეთის უსაფრთხოების სამსახურებთან თუ შეიარაღებულ ძალებთან; პირები დიდი სამხედრო გამოცდილებით, რომლებსაც წარსულში არაერთ სამხედრო კონფლიქტში ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული. ზოგიერთი მათგანი იყო ადგილობრივი, დონბასელი, ზოგი კი – ყირიმის რუსულ ოკუპაციაში მონაწილე მოხალისე, რომლებმაც აქტიური როლი ითამაშეს რუსული სპეცსამსახურების მიერ უკრაინული სამხედრო ბაზებისა და გემების ბლოკირებაში. მაგალითად, ლუგანსკელი ა. ხარიტონოვის დაპატიმრების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა ყოფილმა მედესანტემ, ვეტერან მედესანტეთა კავშირის თავმჯდომარემ, შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილების მქონე ვ. ბოლოტოვმა. დონეცკის დაჯგუფების ახალი ლიდერი გახდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ა. ბოროდაი,[2] რომელსაც დამხმარედ ჰყავდა იგორ გირკინი, მეტსახელად „სტრელკოვი“, ასევე რუსეთის მოქალაქე, ვეტერანი არტილერისტი, რუსეთის სადაზვერვო სამსახურის აგენტი, დნესტრისპირეთის, კოსოვოსა და ჩეჩნეთის კონფლიქტების მონაწილე.[3] თუ სამხედრო წარსულის არმქონე ლიდერების უმრავლესობის მოთხოვნა იყო უკრაინის ფედერალიზაცია და თავიანთი ოლქები უკრაინის შემადგენლობაში წარმოედგინათ,

[1] Alastair Macdonald. Oligarch governor seeks aid to keep Donbass Ukrainian. 19 March, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-donetsk-governor-idUSBREA2I1VV20140319 Gabriela Baczynska. Kiev pins hopes on oligarch in battle against eastern separatists.23 May, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.reuters.com/article/uk-ukraine-crisis-oligarch-idAFKBN0E31V120140523

[2] Michael Kofman et al. Lessions from, გვ. 38-39.

[3] Mark Galeotti. Armies of Russia's War in Ukraine. New York: Osprey Publishing, 2019, გვ. 20.

ახალი ლიდერები გამოირჩეოდნენ სიტუაციის რადიკალიზაციისა და ესკალაციისკენ სწრაფვით. მათი ინტერესი უფრო ფართო იყო. კონფლიქტში რუსეთის დახმარების იმედით, ისინი რეგიონების უკრაინისგან ჩამოშორებასა და რუსეთთან შეერთებას მოითხოვდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, დონეცკის ახალი ლიდერი, რუსეთის მოქალაქე, ალექსანდრ ბოროდაი და სლოვიანსკის დაჯგუფების ლიდერი იგორ გირკინი („სტრელკოვი“). შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ პიროვნებების გამოჩენის შემდეგ დაიწყო მანამდე მეტნაკლებად პოლიტიკური დაპირისპირების ამბოხებაში გადაზრდა.[1]

სეპარატისტების გამოსვლების რადიკალიზაციას მოჰყვა ქ. დონეცკში 6 აპრილს ადმინისტრაციული შენობების დაკავება[2] და მომდევნო დღეებში არალეგიტიმური დონეცკის სახალხო რესპუბლიკის დაარსება.[3] აღნიშნულმა ბანდფორმირებებმა უშიშროების სამსახურის შენობის აღების შემდეგ ხელთ იგდეს 1000-მდე ცეცხლსასროლი იარაღი, რითაც შეძლეს სხვა ქალაქების დაკავებაც.[4]

დონეცკის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ 44 წლის სტრელკოვი შეტევაზე გადავიდა. მან 12 აპრილს რამდენიმე ათეულკაციანი შეიარაღებული დაჯგუფებით დაიკავა ქალაქი სლავიანსკი,[5] რომელიც გზაჯვარედინის ფუნქციას ასრულებდა და წარმოადგენდა სეპარატისტული რეგიონების საკომუნიკაციო ხაზების კვეთის წერტილს.[6] ამ დაჯგუფებაში ძირითადად წარმოდგენილნი იყვნენ ყირიმის ოპერაციაში მონაწილე ადგილობრივი მოხალისეები, რომლებმაც აქტიური როლი ითამაშეს ყირიმში განლაგებული უკრაინული ბაზებისა და გემების წინააღმდეგ დაგეგმილი მოქმედებების დროს. მიუხედავად იმისა, რომ 52-კაციანი დაჯგუფების უმრავლესობა არ იყო პროფესიონალი სამხედრო, მათ ძირითად ნაწილს გავლილი ჰქონდა სავალდებულო სამხედრო სამსახური და მეტნაკლებად კარგად იყვნენ გაწვრთნილები. მომდევნო დღეს სტრელკოვის დაჯგუფების რამდენიმე წევრმა ასევე დაიკავა ქალაქი კრამატორსკი. ამ ორ ქალაქში სტრელკოვმა შეძლო პოლიციის

[1] Michael Kofman, et al. Lessions from, გვ. 38-39.
[2] Ukraine: Pro-Russians storm offices in Donetsk, Luhansk, Kharkiv. 7 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-26910210
[3]Ukraine crisis: Protesters declare Donetsk 'republic'. 07 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-26919928
[4] Michael Kofman et al. Lessions from, გვ. 40.
[5] Chronology. 2016. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://civicmonitoring.org/747-2/
[6] Lawrence Freedman. Ukraine and.., გვ. 94.

შენობების თითქმის უბრძოლველად დაკავება და არსებული შეიარაღების ხელში ჩაგდება. იარაღი და ტყვია-წამალი საკმარისი იყო იმისთვის, რომ მომდევნო დღეებში მოხალისეების ხარჯზე 200 კაცამდე გაზრდილი სტრელკოვის ქვედანაყოფი სრულად აღჭურვილიყო.[1]

თუ აღმოსავლეთ უკრაინის საპროტესტო აქციები საწყის ეტაპზე, მათ მიერ ბარიკადების შექმნითა და შიგადაშიგ ადმინისტრაციული შენობების დაკავებით ძალიან ჰგავდა მაიდნის პროტესტის პერიოდში აქციის მონაწილეების ქმედებებს, სლავიანსკის აღება უკვე ყირიმის ოკუპაციის სცენარის განმეორების შთაბეჭდილებას ტოვებდა, რის გამოც უკრაინის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაეწყო აქტიური მოქმედებები და 13 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ავაკოვმა, დააანონსა სლავიანსკში ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყება. 13 აპრილსვე დაიღვარა პირველი სისხლი, როდესაც სლავიანსკის გარეუბანში, სეპარატისტების საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მოხდა შეტაკება, რის შედეგადაც გარდაიცვალა ანტიტერორისტული ჯგუფის წევრი, ხოლო მეთაური და რამდენიმე ადამიანი დაიჭრა.[2] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის ხელისუფლება მიხვდა, რომ ჩვეულებრივი საპოლიციო ოპერაციებით ვერ შეძლებდა არსებული სიტუაციის განმუხტვას და ქალაქის დაკავებას. შესაბამისად, 13 აპრილის საღამოს უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭომ გადაწყვიტა ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყება აღმოსავლეთ უკრაინაში, რომელსაც მეორე დღეს მხარი დაუჭირა უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ოლექსანდრ ტურჩინოვმაც.[3] აღსანიშნავია, რომ მიუხედავად აღმოსავლეთში სიტუაციის გამწვავებისა, ლუგანსკი ჯერჯერობით კვლავ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლქვეშ იყო. მაგალითად, აპრილის ბოლოს ქალაქი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოინახულა პეტრო პოროშენკომ.[4]

უკრაინის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად, დაიწყო დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკისა და პერსონალის მობილიზება აღმოსავლეთ უკრაინაში.

---

[1] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 287.

[2] Ukraine launches ‘anti-terrorist’ operation. 13 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.aljazeera.com/news/2014/4/13/ukraine-launches-anti-terrorist-operation

[3] Daniel Sandford. Ukraine says Donetsk 'anti-terror operation' under way. 15 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/av/world-europe-27031318

[4] Митингующие блокировали Порошенко в луганском аэропорту. 24 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://ria.ru/20140424/1005283634.html

ძირითად ბირთვს წარმოადგენდა 4,500 კაციანი საჰაერო სადესანტო ქვედანაყოფი, რომელიც უკრაინის ძალოვან სტრუქტურებში არსებული ქვედანაყოფებიდან ყველაზე კარგად დაკომპლექტებული და ბრძოლისუნარიანი იყო. ოპერაციის დაწყებისთანავე სპეციალური ოპერაციების ძალებმა შეძლეს კრამატორსკის გარეუბანში მდებარე ოპერატიულად მნიშვნელოვანი საველე აეროდრომის დაკავება, რომელსაც შემდეგ მთელი კონფლიქტის განმავლობაში აქტიურად იყენებდნენ უკრაინის საჰაერო ძალები. 16 აპრილს უკრაინის 250-ე საჰაერო სადესანტო ბრიგადის სადაზვერვო ასეულმა სცადა ქალაქ კრამატორსკში შესვლა, სადაც მათ გზა გადაუღობა ასეულობით ადგილობრივმა მოქალაქემ, რომლებმაც შეძლეს მათ ირგვლივ მანქანებით გზის ბლოკირება და ბარიკადების შექმნა. სისხლიანი დაპირისპირებისა და მოვლენების შემდგომი ესკალაციის თავიდან არიდების მიზნით ჯარისკაცები დანებდნენ.[1] შედეგად, სეპარატისტებს ხელში ჩაუვარდათ სამი ცალი BTR-D APC, ორი სადესანტო საბრძოლო მანქანა, 120მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა, ცეცხლსასროლი იარაღები, ყუმბარმტყორცნები და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარებიც კი. მთელი ეს ტექნიკა სასწრაფოდ გადაიტანეს სლავიანსკში, რამაც სტრელკოვის დაჯგუფებას მისცა საშუალება გაეძლიერებინა საკუთარი ძალები.[2] თუმცა ეს შეიარაღება არ იყო საკმარისი იმ ეფექტიანი წინააღმდეგობის გასაწევად, რომელიც სტრელკოვის დაჯგუფებამ გაუწია უკრაინის შეიარაღებულ ძალებს. შესაბამისად, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ სლავიანსკის დაჯგუფება ინტენსიურად იარაღდებოდა რუსული სამსახურების მიერ. 24 აპრილს უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს შეტევა სლავიანსკის მიმართულებით, მათ მიერ გაწმენდილ იქნა ქალაქის შემოგარენში განლაგებული სეპარატისტების გამშვები პუნქტები და ნელ-ნელა მიიწევდნენ ქალაქის ცენტრისკენ.[3]

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ რუსეთ-უკრაინის საზღვრისკენ გადაადგილება და თავმოყრა უკრაინის ხელისუფლების მიერ აღქმულ იქნა როგორც რუსეთის მიერ ხარკოვის მიმართულებით მოსალოდნელი აგრესიის

---

[1] Ukraine crisis: Military column 'seized' in Kramatorsk. 16 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-27053500

[2] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 289.

[3] Mark Tran, Tom McCarthy, Alan Yuhas. Ukraine: government troops move against pro-Russia separatists – live. 24 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/2014/apr/24/ukraine-government-troops-move-against-pro-russian-separatists-live-updates

დაწყება, რამაც გამოიწვია სლავიანსკზე შეტევის შეჩერება და ქვედანაყოფების გარკვეული ნაწილის სასაზღვრო ზოლზე გადასროლა. საბოლოოდ, ეს რუსების ცრუმანევრი აღმოჩნდა, რამაც გადაარჩინა სლავიანსკის დამცველები სრულ კრახს და მისცა მათ დრო, კვლავ გაეძლიერებინათ ქალაქსა და მის შემოგარენში განლაგებული თავდაცვითი პოზიციები.[1] 27 აპრილისთვის სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა ქ. ლუგანსკში, სადაც ადგილობრივმა სეპარატისტებმა გამოაცხადეს ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა, [2]ხოლო 29 აპრილს კი სეპარატისტებმა ქალაქზე სრული კონტროლი დაამყარეს, დაიკავეს რა გუბერნატორის, მთავარი პროკურორის, პოლიციისა და სატელევიზიო ცენტრის შენობები.[3]

უკრაინის ხელისუფლება ხვდებოდა, რომ მათ ხელთ არსებული რესურსი არ იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ მოკლე დროში მიეტანათ იერიში სეპარატისტული მოძრაობის ყველა კერისთვის და ერთიანი დარტყმით გაენადგურებინათ ისინი. ამიტომაც, მათი გეგმით №1 მიზანი იყო ქ. სლავიანსკის დაკავება და პლაცდარმის შექმნა, პარალელურად კი უკრაინის შეიარაღებული ძალების რაოდენობრივი ზრდა. ამ უკანასკნელისთვის უკრაინის მთავრობამ ჯერ კიდევ მარტში დაიწყო რეზერვისტების მობილიზაცია, რის შედეგადაც მათ შეძლეს დამატებით 20,000 კაცის შეკრება. თუმცა, ერთია ადამიანთა დიდი მასის მობილიზება, მეორე კი – მათი შესაბამისი მომზადება. უკრაინას არასდროს მოუმზადებია ამდენი რეზერვისტი ერთდროულად, არ ჰქონდათ საკმარისი საწვრთნელი ბაზა, ინვენტარი, ტექნიკა. წვრთნის შემდეგაც კი რთული იყო მეომრების მომარაგება შესაბამისი იარაღით, აღჭურვილობით, მძიმე თუ მსუბუქი ტექნიკით. არ არსებობდა ოფიცერთა საჭირო რაოდენობა, რომელიც უმეთაურებდა ახლად შექმნილ ქვედანაყოფებს. დაბალი იყო რეზერვისტების მოტივაციაც და მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობაც. მიუხედავად ამისა, უკრაინა მაინც აგრძელებდა რეზერვისტების მომზადებას, რათა მინიმუმ რაოდენობრივი უპირატესობა მაინც შეექმნა

[1] Russian troops amass on border as Kyiv authorities reformulate operation plans. 24 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.kyivpost.com/article/content/ukraine-politics/5-dead-one-wounded-as-anti-terror-operation-continues-in-sloviansk-live-updates-344902.html

[2] Separatists Declare 'People's Republic' In Ukraine's Luhansk. 28 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.rferl.org/a/separatists-declare-luhansk-peoples-republic/25364894.html

[3] The towns in east Ukraine seized by pro-Moscow separatists. 2 May, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.france24.com/en/20140502-eastern-ukrainian-towns-seized-pro-russian-separatists

სეპარატისტების წინააღმდეგ, რაც დაეხმარებოდა მათ დამარცხებაში.[1] აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს დაიწყო უკრაინაში ცნობილი მოხალისეთა მოძრაობის გაშლა, რომელიც თავიდან ლოჯისტიკურ საფუძვლებზე შეიქმნა, შემდეგ კი საბრძოლო ბატალიონებად გარდაიქმნა. იმ პირობებში, როდესაც უკრაინის შეიარაღებულ ძალებს უჭირდა არა მხოლოდ ადამიანური, არამედ მატერიალურ-ტექნიკური რესურსი თუ სურსათ-სანოვაგე, უკრაინელმა მოქალაქეებმა დაიწყეს არმიის მომარაგება საჭმლით, ტანსაცმლით, მანქანებით და უპილოტო საფრენი აპარატებითაც კი. კონფლიქტში უკრაინის წინააღმდეგ მეორე მხარეს გამოდიოდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი სეპარატისტები, არამედ რუსეთიდან გადმოსული მოხალისეები. რუსეთი ამ პერიოდისთვის ფლობდა დიდ სამობილიზაციო რესურსს, სადაც არსებობდნენ ასიათასობით სავალდებულო სამსახურგავლილი მოქალაქეები, ათასობით ვეტერანი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც, თავიანთი იმპერიალისტური „ველიკოძერჟავული“ იდეოლოგიიდან გამომდინარე, მზად იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. ამ ტიპის მოხალისეების მობილიზება ხდებოდა რუსეთში მოქმედი ნეონაცისტური ორგანიზაციებისა თუ სოციალური ქსელების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათ უკრაინაში გადაყვანას, სადაც შეიარაღებაზე უკვე ადგილობრივი სეპარატისტები ზრუნავდნენ. სეპარატისტების მხარეს მდგარი რუსი მოხალისეები არამარტო უკრაინელ რეზერვისტებზე, არამედ უკრაინელ სამხედროებზე უკეთ იყვნენ მომზადებულები და სხვადასხვა სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობის უფრო დიდი გამოცდილება უმაგრებდა ზურგს. შესაბამისად, სტრელკოვის რუსი მოხალისეებით დაკომპლექტებული სლავიანსკში მოქმედი დაჯგუფება წარმატებით იგერიებდა უკრაინელი სამხედროების შეტევებს და დროდადრო კონტრშეტევებსაც კი ახორციელებდა. სეპარატისტები, რუსი მოხალისეების გარდა, რუსეთის ფედერაციიდან დახმარების სახით იღებდნენ სხვადასხვა სახის მათთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან იარაღსა და ტექნიკას. მათ შორის აღსანიშნავია საჰაერო თავდაცვის სისტემები, რომლის მეშვეობითაც იგორ გირკინის დაჯგუფება არ აძლევდა უკრაინას საშუალებას, გამოეყენებინა მათი უპირატესობა ჰაერში და სეპარატისტების წინააღმდეგ მოქმედი ქვეითებისთვის

[1] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 291.

საჰაერო მხარდაჭერა გაეწია.

2 მაისს უკრაინელებმა კიდევ ერთი შეტევა დაიწყეს სლავიანსკზე, რომლის დროსაც ამბოხებულებმა მათ გაუნადგურეს Ми-24 ტიპის მოიერიშე ვერტმფრენი.[1] მიუხედავად ამისა, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს მათთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კარაჩუნის მაღლობი, რომელიც ზემოდან გადაჰყურებდა სლავიანსკის და განალაგეს იქ საარტილერიო სისტემები. ამის შემდეგ ორივე მხრიდან დაიწყო ინტენსიური საარტილერიო ცეცხლის გაცვლა, რომლის შედეგადაც განსაკუთრებით დაზარალდა მშვიდობიანი მოსახლეობა. სლავიანსკელ ამბოხებულებს შეიარაღებაში ჰქონდათ თვითმავალი საარტილერიო სისტემა НОНА, რომლის 120მმ-იანი ჭურვებით შეეძლოთ 95-ე ბრიგადის წინააღმდეგ ეწარმოებინათ გაცვლითი საარტილერიო ცეცხლი. მით უმეტეს, რომ ამბოხებულებმა შეძლეს ტყვია-წამლის მომარაგების ხაზების შექმნა, რაც მათ უადვილებდა ინტენსიურად გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული საარტილერიო სისტემები. უკრაინელები, თავის მხრივ, იყენებდნენ 122მმ-იან და 152მმ-იან ჰაუბიცებს, თუმცა ორივე დაჯგუფება კარგად გამაგრებულ პოზიციებზე იყო განთავსებული და მათი ზარალი მინიმალური იყო, მაშინ, როცა სამოქალაქო შენობები გამუდმებით იბომბებოდა და სამოქალაქოებს შორის დიდ მსხვერპლს იწვევდა.[2]

უკრაინელების მიერ აღმოსავლეთ უკრაინაში წარმოებული ანტიტერორისტული ოპერაციის პარალელურად აქციები მიმდინარეობდა ქალაქ ხარკოვსა და ოდესაში. ამ უკანასკნელ ქალაქში 2 მაისს დატრიალდა ტრაგედია,[3] რომელმაც დიდი როლი ითამაშა კონფლიქტის შემდგომ ესკალაციაში. ქ. ოდესაში, ეთნიკურად რუსებით დასახლებული სხვა ქალაქების მსგავსად, იმართებოდა ანტიმაიდანური აქციები, რომლებიც ხშირად ძალისმიერ ხასიათს ატარებდა და აშკარად არამხოლოდ კიევის რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ ზოგადად უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობის ხელყოფას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც პარალელურად იმართებოდა კონტრაქცია, რომელიც ხშირად სისხლიან

[1] Ukraine helicopters shot down in Slovyansk. 2 May, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.aljazeera.com/news/2014/5/2/ukraine-helicopters-shot-down-in-slovyansk

[2] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 293.

[3] How did Odessa's fire happen?. 6 May, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-27275383

დაპირისპირებაში გადადიოდა. სწორედ ასეთი დაპირისპირება მოხდა 2 მაისს[1] პრორუსებსა და უკრაინის ერთიანობის მომხრე ჯგუფებს შორის. დაპირისპირების შემდეგ პრორუსმა დაჯგუფებამ უკან დაიხია და თავი შეაფარა სავაჭრო კავშირის შენობას, რომელსაც ხანძარი გაუჩნდა. ამის შედეგად დაიღუპა ორმოცდაორი ადამიანი.[2]

როგორც აღვნიშნეთ, ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე უკრაინული ქვედანაყოფების უმრავლესობა არ გამოირჩეოდა მაღალი ბრძოლისუნარიანობით, რის გამოც ამბოხებულები გარკვეულ უბნებზე წარმატებულ კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ და ზოგიერთ შემთხვევაში უბრძოლველადაც იკავებდნენ მათ პოზიციებს.[3] ამბოხებულების მხარეს გადადიოდნენ ადგილობრივი პოლიციელები და სამხედროებიც.[4] უკრაინის ხელისუფლებამ, დარწმუნდა რა იმაში, რომ არსებული ადამიანური რესურსი არ იყო საკმარისი სეპარატისტების წინააღმდეგ ეფექტიანი შეტევითი ოპერაციების საწარმოებლად, შეცვალა სამოქმედო გეგმადა ანტიტერორისტული ოპერაციის ამოცანებიც. შეტევის ნაცვლად აქცენტი გაკეთდა დაკავებული პოზიციების შენარჩუნებაზე და ლოდინზე. შესაბამისად, მოწინააღმდეგეზე რიცხობრივი და ტექნიკური უპირატესობის მისაღწევად 1 მაისს აღდგა მასობრივი სავალდებულო გაწვევა,[5] ასევე დაიწყეს საბრძოლო ბატალიონების მოხალისეებით დაკომპლექტება. მოხალისეები იყვნენ უფრო მოტივირებული და მაღალი საბრძოლო სულისკვეთების მქონენი. მათ შეეძლოთ წარმატებული საბრძოლო ოპერაციების წარმოება სეპარატისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ. შესაბამისად, უკრაინელებმა დაიწყეს მოხალისეთა საბრძოლო ბატალიონების შექმნაც. მობილიზაციის დასრულებისა და შესაბამისი რაოდენობის გაწვრთნილი პერსონალის მიღწევის შემდეგ იგეგმებოდა სეპარატისტების ანკლავებზე ერთიანი შეტევა, მათი ერთმანეთისგან მოწყვეტა, ალყაში მოქცევა და დამარცხება. შესაბამისად, სლავიანსკზე

---

[1] Howard Amos and Harriet Salem. Ukraine clashes: dozens dead after Odessa building fire. 2 May 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/2014/may/02/ukraine-dead-odessa-building-fire

[2] Lawrence Freedman. Ukraine and.., გვ. 97–98.

[3] სეპარატისტებმა ერთი გასროლის გარეშე შეძლეს უკრაინელთა 6 მოიერიშე ვერტმფრენის ხელში ჩაგდება. Michael Kofman et al. Lessions from, გვ. 42.

[4] 2015 წლის აგვისტოს მონაცემით სეპარატისტების მხარეს გადავიდა 5.000 პოლიციელი და 3.000 სამხედრო. 8 thousand Ukrainian officers have defected to the separatists. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://meduza.io/en/news/2015/08/14/8-thousand-ukrainian-officers-have-defected-to-the-separatists

[5] Michael Kofman, et al. Lessions from, გვ. 42.

იერიშების პარალელურად, უკრაინული ქვედანაყოფები ახორციელებდნენ დონეცკისა და ლუგანსკის გარშემორტყის ოპერაციებს. უკრაინელები გეგმავდნენ საჰაერო უპირატესობის გამოყენებას და ამის ხარჯზე სეპარატისტების დამარცხებას, თუმცა რუსების მიერ დონეცკისა და ლუგანსკის დაჯგუფებების ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებით მომარაგებამ, მათ შორის Стрела-10m ტიპის იარაღით,[1] სეპარატისტებს მისცა საშუალება ჩამოეგდოთ უკრაინელების რამდენიმე საფრენი აპარატი[2] და მათი ეფექტის ლიმიტირება. აღსანიშნავია, რომ როგორც კი რომელიმე მიმართულებით უკრაინული ქვედანაყოფები წინ წაიწევდნენ, რუსული გენშტაბი მაშინვე იწყებდა საზღვარზე განლაგებული ქვედანაყოფების გადაადგილებას და ცრუმანევრებით ცდილობდა უკრაინელების შეცდომაში შეყვანას. ამას ემატებოდა ის, რომ რუსეთის ფედერაცია სასაზღვრო ზოლში ნელ-ნელა ზრდიდა ჯარისკაცთა ოდენობას და მაისისთვის მათმა რაოდენობამ ათეულ ათასს სამხედრო მოსამსახურეს მიაღწია, რაც უკვე იმ რაოდენობის ძალას წარმოადგენდა, რომელიც, ბრძანების შემთხვევაში, რამდენიმე კვირაში შეძლებდა კიევამდე მისვლას. შესაბამისად, უკრაინელები იძულებული იყვნენ, თავისი ისედაც მცირერიცხოვანი ძალები არა მხოლოდ სლავიანსკის, დონეცკსა და ლუგანსკის წინააღმდეგ გამოეყენებინათ, არამედ უფრო დიდ ფრონტზე გადაენაწილებინათ და რუსეთის სავარაუდო აგრესიის შესაჩერებლად წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე განელაგებინათ. ამ გზით მათი შეტევითი პოტენციალი სეპარატისტების წინააღმდეგ იკლებდა, რაც ამ უკანასკნელებს ეფექტიანად მოქმედების საშუალებას აძლევდა.

7 მაისს უკრაინელებმა დაიწყეს რეზერვისტების მობილიზაციის მეორე ნაკადი, რის შედეგადაც მათ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ჰყავდათ 153 ქვედანაყოფი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში კი – 18 ქვედანაყოფი. შეიქმნა მოხალისეთა 40 საბრძოლო ბატალიონი, სადაც ძირითადად გადაანაწილეს ის პირები, რომლებსაც სამხედრო სამსახურის გამოცდილება ჰქონდათ, რაც ამ ქვედანაყოფების მაღალ ბრძოლისუნარიანობას უზრუნველყოფდა. მოხალისეთა ამ ბატალიონებს, გარდა საბრძოლო დატვირთვისა, მორალურ-ფსიქოლოგიური

[1] Michael Kofman et al. Lessions from, გვ. 42.

[2] მაგალითად, 2014 წლის მარტიდან სექტემბრამდე, რუსებმა აღმოსავლეთ უკრაიანში დაკარგეს ექვსი Су -25, ოთხი Ми-8, ორი МиГ-29, ორი Су-24 და თითო თითო Ан 26, Ан 30 და Ил-76. Howard, Colby, and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 328..

მნიშვნელობაც ჰქონდა უკრაინული შეიარაღებული ძალებისთვის. მოხალისეების მოტივაცია, ბრძოლის ჟინი და უდრეკობა შეიარაღებული ძალების მდგრადობის საერთო დონეზე დადებითად მოქმედებდა, აძლიერებდნენ რეზერვისტებისა და სავალდებულო სამსახურის ჯარისკაცების განწყობას და საბრძოლო დონეს.[1]

2014 წლის 11 მაისს სეპარატისტებმა ჩაატარეს არალეგიტიმური რეფერენდუმი,[2] რომელიც ყველანაირ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული. თუმცა, ამბოხებულთა ლიდერებს ამ აქტით და დაფიქსირებული შედეგებით (მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახალხო რესპუბლიკების რუსეთთან შეერთებას) უნდოდათ რუსეთის ფედერაციის მხრიდან უფრო აქტიური დახმარების მიღება და ყირიმის სცენარის გამეორებაც კი. მაისშივე აღნიშნულმა სეპარატისტულმა რესპუბლიკებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და შექმნეს კონფედერაცია, „ნოვოროსია“, რომლის თავდაცვის მინისტრადაც დანიშნეს იგორ გირკინი.[3]

ქ. სლავიანსკის აღების გაჭიანურებული ოპერაციიდან და იქ მოქმედი სეპარატისტული დაჯგუფების სიძლიერიდან გამომდინარე საპოლიციო ოპერაცია აღარ იყო საკმარისი წარმატების მისაღწევად. შესაბამისად, 21 მაისს აღმოსავლეთ უკრაინაში ოპერაციაში აქტიურად ჩაერთნენ სამხედროები. აღმოსავლეთ უკრაინა დაიყო 4 სექტორად – A, B, C, D, სადაც არმიის ჩართულობით დაიგეგმა შესაბამისი ამოცანების მიღწევა. უკრაინული შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი განკარგულებაში იყო 10-15,000 ჯარისკაცი, რომლებიც არ იყო საკმარისი აღმოსავლეთ უკრაინის ორი უდიდესი ქალაქის, ლუგანსკისა და დონეცკის ასაღებად. შესაბამისად, უკრაინელი სამხედროები ცდილობდნენ დაეგეგმათ ოპერაცია ისე, რომ ჯერ სლავიანსკი და კრამატორსკი აეღოთ და შემდეგ ეზრუნათ სხვა დანარჩენზე.[4] შეიცვალა ასევე სეპარატისტების ქცევაც. სეპარატისტთა დაჯგუფებები ძირითადად ადგილობრივებით იყო დაკომპლექტებული პატარ-პატარა ქვედანაყოფებად, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების არეალის გეოგრაფიას კარგად იცნობდნენ, გადაადგილდებოდნენ ღამე და “hit and run” ტიპის იერიშებს აწყობდნენ სხვადასხვა,

[1] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 294.
[2] Shaun Walker, Oksana Grytsenko, Howard Amos. Ukraine: pro-Russia separatists set for victory in eastern region referendum. 12 May, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/2014/may/11/eastern-ukraine-referendum-donetsk-luhansk
[3] Mark Galeotti. Armies of Russia’s.., გვ. 17.
[4] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 296.

ერთმანეთისგან შორს განლაგებულ უკრაინულ საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე. საბრძოლო მოქმედებების შორეულ წერტილებში მყოფი უკრაინელი ჯარისკაცები, რომელთა ყურადღება მოდუნებული იყო, მოწინააღმდეგის მოულოდნელ თავდასხმას ვერ უძლებდნენ და ან გარბოდნენ, ან ადგილზე იხოცებოდნენ. ამ სახის შეტევების ერთ-ერთი მიზანი იყო მოწინააღმდეგის მორალურად გატეხა, ასევე მათი იარაღისა და ტყვია-წამლის ხელში ჩაგდება.[1]

25 მაისს უკრაინაში გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც მოიგო პ. პოროშენკომ.[2] ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მან თავისი ხელისუფლებისთვის სამი უმთავრესი გამოწვევა დაასახელა, რომლის მოგვარების პირობასაც დებდა. ეს იყო: 1. აღმოსავლეთ უკრაინაში სიტუაციის სტაბილიზაცია და უკრაინის ერთიანობის შენარჩუნება; 2. უკრაინელი ხალხის ევროპული არჩევანის პატივისცემა და ყველაფრის გაკეთება ევროპასთან დასაახლოებლად; 3. ყირიმის დაბრუნება არაძალადობრივი, პოლიტიკური დიალოგის გზით.[3]

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებს დაამთხვიეს სეპარატისტებმა პირველი დამოუკიდებელი დიდი შეტევითი სამხედრო ოპერაცია. მათ დაგეგმეს დონეცკის აეროპორტის შტურმი,[4] რომლის დროსაც მთავარ დამრტყმელ ძალად გამოიყენეს რუსეთიდან გადმოსული მოხალისეები.

დონეცკის აეროპორტში თავდაცვითი პოზიციები გამაგრებული ჰქონდათ უკრაინის სპეციალური ოპერაციის ძალების მესამე დანაყოფს. სეპარატისტების გეგმით, გამთენიისას მოულოდნელი შეტევის შედეგად უკრაინული ქვედანაყოფი ვერ გაუძლებდა მასირებულ იერიშს და აეროპორტის დაცვა დაეცემოდა. 26 მაისს, ალიონზე, შეტევაზე გადასულმა ამბოხებულებმა მართლაც თითქმის უბრძოლველად

---

[1] ერთ-ერთი ასეთი მოულოდნელი იერიშის დროს, სეპარატისტების ერთ-ერთი დაჯგუფების „მოჩვენების“ წევრებმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა იგორ ბეზლერი, გაანადგურა ქალაქ ვოლნოვაკასთან 51-ე მექანიზებული ბრიგადის მესამე ბატალიონის მიერ მოწყობილ საკონტროლო გამშვებ პუნქტს, რომლის დროსაც მოკლეს 17 უკრაინელი სამხედრო, მათ შორის ბატალიონის მეთაური და დადჭრეს 30-მდე მოსამსახურე. არსებული ყველა სახის იარაღი კი ალაფის სახით გაიყოლეს დისლოკაციის ადგილზე Colby Howard and Ruslan Pukhov,. Brothers Armed, გვ. 295-296.

[2] Shuan Walker and Alec Luhn. New Ukraine president Petro Poroshenko vows to stop war. 26 May, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/2014/may/26/new-ukraine-president-petro-poroshenko-vows-stop-war

[3] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 277.

[4] აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის დაწყებიდან უკრაინული ძალები აკონტროლებდნენ დონეცკისა და ლუგანსკის აეროპორტებს, რომელთა მომარაგებაც მხოლოდ საჰაერო გზით ხდებოდა.

დაიკავეს აეროპორტის ახალი ტერმინალი.[1] წარმატებით გათამამებულებმა დაიწყეს მიღწეული უპირატესობის განვრცობა ძველი ტერმინალის მიმართულებით, სადაც უკრაინელთა სპეციალური ოპერაციების ძალებს მოწყობილი ჰქონდათ ჩასაფრება. შუადღისთვის, მეთაურობის ბრძანების შესაბამისად უკრაინელებმა დაიწყეს კონტრშეტევა და აეროპორტის სეპარატისტების მიერ დაკავებული ნაწილის განთავისუფლების ოპერაცია. ახლო საჰაერო მხარდაჭერით (უკრაინელებმა ოპერაციისთვის გამოყვეს Ми-8 და Ми-24 ტიპის ვერტმფრენები, ასევე Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავები) უკრაინელებმა ტერმინალში გამაგრებულ მეამბოხეებს შეუტიეს, რომლებსაც შეიარაღებაში არ გააჩნდათ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები და მძიმე ტექნიკა. სეპარატისტებმა უკან დაიხიეს, გადანაწილდნენ ორ სატვირთო ავტომანქანაში და გაიქცნენ ქალაქისკენ, თუმცა აქ თავისიანების, კერძოდ ბატალიონ „ვოსტოკის“ მებრძოლების ჩასაფრებაში მოქცნენ, რომლებსაც საკუთარი თანამებრძოლები უკრაინელთა კონტრშეტევის მეომრებად მიიღეს და მეგობრული ცეცხლი გაუხსნეს. დაღუპულთა უმრავლესობა რუსეთიდან მოხალისედ გადმოსული მებრძოლები იყვნენ, დაახლოებით 50–მდე ადამიანი. უკრაინელებისთვის ოპერაციამ ფაქტობრივად უდანაკარგოდ ჩაიარა. იმის ფონზე, რომ ოპერაციის წარმოების პერიოდისთვის ამბოხებულთა დონეცკის დაჯგუფებაში 1000–მდე მებრძოლი შედიოდა ერთი შეხედვით მცირე მსხვერპლი მათთვის მნიშვნელოვან დანაკარგს წარმოადგენდა, რის გამოც მოუწიათ შეტევით ოპერაციებზე დროებით უარის თქმა, ოპერატიული პაუზის აღება და გადაჯგუფება.[2] აღსანიშნავია, რომ დონეცკის აეროპორტისთვის ბრძოლა იყო პირველი შემთხვევა კონფლიქტის მიმდინარეობისას, როდესაც დაპირისპირებაში რუსი მოხალისეების დიდმა დაჯგუფებამ მიიღო მონაწილეობა. მართალია, სეპარატისტების მხარეს რუსეთის მოქალაქეები მანამდეც იბრძოდნენ, განსაკუთრებით სხვადასხვა ოდიოზური ლიდერების მხარდამხარ, მაგრამ ერთ საბრძოლო სივრცეში მოქმედი ამ რაოდენობის მებრძოლები პირველად დაფიქსირდა. აღნიშნულმა წარუმატებლობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა კონფლიქტის რადიკალიზაციაში, რადგანაც სწორედ ამის შემდეგ გაზარდა რუსეთის ხელისუფლებამ სამხედრო დახმარება სეპარატისტებისთვის, რის შედეგადაც მათ

[1] Amos C. Fox. “Cyborgs at Little Stalingrad”:A Brief History of the Battles of the Donetsk Airport. Arlington: Institute of Land Warfare Association of the United States Army, 2016.
[2] Colby Howard and Ruslan Pukhov,. Brothers Armed, გვ. 297.

ხელში მსუბუქი ტექნიკის გარდა[1] აღმოჩნდა რუსული წარმოების მძიმე ტექნიკა, თანამედროვე შეიარაღება, მათ შორის მძავრი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები და ცეცხლსასროლი იარაღი.[2]

5 ივნისს უმაღლესმა რადამ დაამტკიცა ტერორიზმის შესახებ კანონში ცვლილებები, რომელსაც 18 ივნისს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა მოაწერა ხელი. კანონის თანახმად, უშიშროების ძალებს მიეცათ განუსაზღვრელი ძალაუფლება და უფლება გამოეყენებინათ რეგულარული ჯარები ტერორისტების წინააღმდეგ. ანტიტერორისტული ოპერაციის მეთაურებს მიეცათ უფლება, არ გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები, ასევე სრულად ან ნაწილობრივ დაეხურათ ბიზნესორგანიზაციები.[3] ანტიტერორისტული ოპერაციის ოპერატიულმა შტაბმა ივნისში გადაწყვიტა, რამდენიმე მიმართულებით ერთდროულად შეეტიათ სეპარატისტების საბრძოლო პოზიციებისთვის და მოულოდნელი, მასშტაბური იერიშით დაემარცხებინათ ისინი. შეტევითი ოპერაციები დაიგეგმა ჩრდილოეთით ლუგანსკისა და სამხრეთით მარიუპოლის მიმართულებით. გეგმის თანახმად, უკრაინელებს ლუგანსკის აეროპორტში უნდა გადაესროლათ დამატებითი ძალები, რომელთა მეშვეობით მოხდებოდა ლუგანსკის გარკვეული ნაწილის დაკავება, სეპარატისტულ ქალაქებს შორის საკომუნიკაციო ხაზების გადაკეტვა და მათი როგორც ერთმანეთისგან, ასევე რუსეთის საზღვრისგან იზოლირება. გეგმის შესაბამისად, უკრაინელებმა ლუგანსკის აეროპორტში გადაისროლეს 25-ე საჰაერო სადესანტო ბრიგადისა და მე-80-ე საჰაერო ბრიგადის ნაწილები. ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის დაჯგუფებების სამხედრო ლიდერებს არ გამორჩენიათ უკრაინელთა გადაადგილებები და რუსული პერსონალური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით შეიარაღებული პირადი შემადგენლობა განალაგეს აეროპორტის ირგვლივ.[4] უკრაინული სამხედრო-პოლიტიკური მეთაურების მიერ დაგეგმილი ოპერაცია ჩაიშალა მას შემდეგ, რაც 14 ივნისს აეროპორტისკენ მიმავალი უკრაინული Ил-76 სატრანსპორტო თვითმფრინავი

[1] ამ პერიოდამდე ძირითადი ტექნიკა იყო საბრძოლო ალაფი, ან სამუზეუმო ექსპონატები. Colby Howard and Ruslan Pukhov,. Brothers Armed, გვ. 299..

[2] სტრელკოვის დაჯგუფებას 12 ივნისს დაუფიქსირდა სამი ერთეული T-64BV Colby Howard and Ruslan Pukhov,. Brothers Armed, გვ. 299.

[3] Закон україни: Про внесення змін до законів України щодо боротьби з тероризмом. 5 June, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://zakon.rada.gov.ua/laws/show/1313-18#Text

[4] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 299-300.

ჩამოაგდეს სეპარატისტებმა. თვითმფრინავში მყოფი უკრაინის 49 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.[1]

ლუგანსკში განცდილი მარცხის მიუხედავად, სამხრეთში მოქმედმა ქვედანაყოფებმა წარმატებას მიაღწიეს. იდეოლოგიურად დამუხტულებმა და კარგად მოტივირებულმა მოხალისეთა ბატალიონებმა, რომლებსაც აფინანსებდნენ უკრაინელი ოლიგარქები („აზოვი“ და დნეპრ-1) და ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებმა მოულოდნელი იერიშით შეძლეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნახევარმილიონიან საზღვაო ქალაქ მარიუპოლზე სრული კონტროლის აღდგენა.[2] მოხალისეთა კიდევ ერთმა ბატალიონმა მიაღწია წარმატებას, ლუგანსკის ჩრდილოეთით და 15 ივნისს დაიკავა პატარა ქალაქი სჩასტიე.[3]

მიუხედავად რამდენიმე წარმატებული ოპერაციისა, ლუგანსკში განცდილი კატასტროფის გამო უკრაინის ხელისუფლება იძულებული გახდა, 20 ივნისს გამოეცხადებინა გადაწყვეტილება ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ. პრეზიდენტ პოროშენკოს ინიციატივა მოიცავდა 15-პუნქტიან სამშვიდობო გეგმას, რომლის თანახმადაც, აჯანყებულ მებრძოლებს, რომლებსაც სერიოზულ კრიმინალში არ ედებოდათ ბრალი, შეეხებოდათ ამნისტია, ხოლო რუსეთის მოქალაქე მოხალისეებს კი ჰპირდებოდა უსაფრთხო დერეფანს რუსეთში დასაბრუნებლად. პოროშენკო თანახმა იყო ხელისუფლების დეცენტრალიზაციისთვის და დონბას-ლუგანსკისთვის გაზრდილი თვითმმართველობის უზრუნველყოფაზე. ამბოხებულების დანებების შემდეგ რუსეთთან საზღვარზე შეიქმნებოდა 10-კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა. მოლაპარაკებები, რომლებსაც ესწრებოდა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი, პოროშენკოს წარმომადგენელი ლეონიდ კუჩმა და ამბოხებულების ლიდერები, გაიმართა 23 ივნისს, მოლაპარაკებებს ასევე ესწრებოდნენ ეუთოს წარმომადგენლები, რუსეთის ელჩი უკრაინაში და პრორუსი პოლიტიკოსი ვიქტორ მედვედჩუკი. შეხვედრები, ერთი შეხედვით, წარმატებით მიმდინარეობდა, თვითგამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ მინისტრმა

[1] Ukraine crisis: Military plane shot down in Luhansk. 14 June, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-27845313

[2] Christopher Miller. Ukrainian Forces Seize Crucial Port City From Pro-Russia Separatists. 13 June, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://mashable.com/archive/ukraine-seize-port-city-russia-separatists

[3] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 300.

ალექსანდრე ბოროდაიმ ოფიციალურად და საჯაროდ განაცხადა, რომ ამბოხებულები თანახმანი იყვნენ ცეცხლის შეწყვეტაზე,[1] თუმცა მისი ეს სიტყვები მხოლოდ განცხადებად დარჩა.

პრეზიდენტ პოროშენკოს მიერ გამოცხადებული ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილებით ისარგებლა აჯანყებულების საველე მეთაურობამ და რუსეთის ფედერაციის სამხედრო წარმომადგენლობამ. მათ განახორციელეს სეპარატისტების დამატებით იარაღით მომარაგება და საბრძოლო თეატრში მათთვის სასურველ პოზიციებზე გადაადგილება, 24 ივნისს კი განაახლეს შეტევით საბრძოლო მოქმედებები. 24 ივნისს აჯანყებულებმა კარაჩუნის მაღლობზე კიდევ ერთი უკრაინული Ми-8 ტიპის ვერტმფრენი ჩამოაგდეს.[2] 27 ივნისს კი სტრელკოვის დაჯგუფებამ დაჯავშნილი ტექნიკის მხარდაჭერით შეუტია კრამატორსკის გარეუბანში განლაგებულ უკრაინელთა საკონტროლო გამშვებ პუნქტს, სადაც მოკლულ იქნა 4 უკრაინელი ჯარისკაცი.[3] შეტევაზე გადავიდნენ დონეცკის სახალხო რესპუბლიკის მეომრებიც, რომლებმაც უკრაინელთა რამდენიმე გამაგრებული თავდაცვითი პოზიციების დაკავება მოახერხეს. 26 ივნისს კალმიუსის ბატალიონმა განაიარაღა ადგილობრივი სავალდებულო სამხედრო სამსახურის ჯარისკაცებისგან დაკომპლექტებული უკრაინის ეროვნული გვარდიის ბატალიონი. უკვე 29 ივნისს კი ამბოხებულებმა დაიკავეს დონეცკის აეროპორტთან განლაგებული სარაკეტო ბატალიონის პოზიციებიც. აღნიშნული 10-დღიანი ცეცხლის შეწყვეტის პერიოდში უკრაინელებმა ჯამში დაკარგეს 27 სამხედრო მოსამსახურე, დაჭრილების სახით კი – 69.[4]

იმის გამო, რომ ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილებას არ მოჰყვა ის პოლიტიკური შედეგები, რომელსაც მოელოდა უკრაინის პრეზიდენტი, 1 ივლისის ღამეს პ. პოროშენკომ გასცა ბრძანება მასშტაბური შეტევითი ოპერაციის დაწყების შესახებ,[5] რომელიც უნდა განხორციელებულიყო ორი მიმართულებით. პირველ

---

[1] Richard Sakwa. Frontline.., გვ. 279.

[2] Ukraine army helicopter shot down despite ceasefire. 24 June, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-28002993

[3] Four killed as Ukraine repels rebels in east. 28 June, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.aljazeera.com/news/2014/6/28/four-killed-as-ukraine-repels-rebels-in-east

[4] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 304.

[5] Poroshenko orders assault on separatists. 1 July, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/poroshenko-orders-assault-on-separatists/

დაჯგუფებას ევალებოდა სლავიანსკის სეპარატისტული რეჟიმის იზოლირება და განადგურება, მეორე დაჯგუფება კი სამხრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით განახორციელებდა შეტევას რუსეთის საზღვრისკენ, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ისინი შეძლებდნენ დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტული დაჯგუფებების რუსეთისგან მოწყვეტას და მათ ფაქტობრივ იზოლაციას. ახალი შეტევითი ოპერაციებისას დაგეგმილი იყო ხელთ არსებული ყველა საარტილერიო და საჰაერო საშუალების გამოყენება. უკრაინული მხარე გეგმავდა არა მხოლოდ მსუბუქი მოიერიშეების გამოყენებას, არამედ Cy-24 ტიპის საფრენი აპარატების ჩართვასაც, ასევე MLR ტიპის 3000მმ-იანი დანადგარების გამოყენებასაც.[1] შესაბამისად, 1 ივლისს უკრაინელთა საბრძოლო ძალა სრულად განლაგდა სლავიანსკის მიმართულებაზე და დაიწყეს სამხედრო ოპერაციების წარმოება.[2] 3 ივლისს მათ შეძლეს და დაიკავეს ქალაქთან არსებული პატარა დასახლება ნიკოლაევკა. სლავიანსკის დაჯგუფების ლიდერი იგორ გირკინი მიხვდა, რომ მას აღარ შეეძლო უკრაინული მასირებული იერიშის შეკავება პატარა დასახლებაში, შესაბამისად, გადაწყვიტა უკრაინელების ალყა გაერღვია და გაჭრილიყო დონეცკის მიმართულებით. 5 ივლისს ღამით, სლავიანსკის აჯანყებულებმა, დაახლოებით 3000-მა კაცმა წარმატებით დაძლია უკრაინელთა წინაღობები და გადავიდა დონეცკში. მათი დანაკარგი უკანდახევის ოპერაციისას შეადგენდა მხოლოდ 2 ტანკს, 1 ქვეითთა საბრძოლო მანქანას და ორ მედესანტეთა საიერიშო მანქანას. სლავიანსკიდან ამბოხებულთა დონეცკში გადასვლა კონფლიქტის ახალი ფაზის დასაწყისს ნიშნავდა. ამ ეტაპამდე სეპარატისტები დაყოფილი იყვნენ სამ სხვადასხვა ქალაქში, რომლებიც განიცდიდნენ ცენტრალიზებული მმართველობის ნაკლებობას და მათი ქმედებებიც ქაოსური იყო. სტრელკოვის დონეცკში გადასვლამ კი გამოიწვია სეპარატისტული მოძრაობის ბირთვში ძლიერი და უნარიანი ხელმძღვანელის გამოჩენა, რომელსაც თან ჰყავდა ბრძოლაში გამობრძმედილი რამდენიმეათასიანი დაჯგუფება.[3] დონეცკში გადასულმა სტრელკოვმა შეძლო დიდი სამხედრო გაერთიანების – ე.წ. სამხრეთ-აღმოსავლეთის არმიის შექმნა, რომელშიც გაწევრიანებული იყო დონეცკსა და

[1] Colby Howard and Ruslan Pukhov,. Brothers Armed, გვ. 305-306.
[2] Russia Urges Ukraine to End Renewed Military Operations. 1 July, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.haaretz.com/russia-urges-ukraine-to-end-renewed-military-operations-1.5254036
[3] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 305-306.

ლუგანსკში მოქმედი თითქმის ყველა პრორუსული გასამხედროებული სეპარატისტული დაჯგუფება, მაგალითად, „აღმოსავლეთის ფრონტი“, „დონბასის სახალხო არმია“, „მაღაროელთა დივიზია“, „ბატალიონი ოპლოტი“, „ბატალიონი კალმიუსი“ და სხვები.[1] იგორ გირკინის ცენტრალიზებულ დაჯგუფებას არ შეუერთდა მხოლოდ ე.წ. ბატალიონ „ვოსტოკის“ 1000-კაციანი დაჯგუფება.[2]

იგორ გირკინმა მის ხელთ არსებული რესურსები გადაანაწილა დონბასის სხვადასხვა ქალაქებსა და დასახლებებში. ორი ასეული ჩააყენა ქალაქ ილოვაისკში, 500 კაცი კი – დონეცკში, გორლოვკასა და სნეჟნოეაში. ლუგანსკის ლეგიონშიც მოქმედებდა დიდი სეპარატისტული დაჯგუფება, კერძოდ, ქ. ლუგანსკში, სევეროდონეცკში, ანტრაციტში და კრასნოდონში. ამგვარად, სეპარატისტებმა სლავიანსკთან განცდილი მარცხი ახალი, უფრო მძლავრი ფაზის დასაწყებად გამოიყენეს.ამავე დროს, უკრაინელებისთვის სლავიანსკზე კონტროლის დაბრუნება მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რომელსაც ორთვიანი ალყისა და დიდი დანაკარგების ფასით მიაღწიეს. თუმცა, ეს ოპერაცია მაინც არასრული იყო, რადგანაც იგი მოწინააღმდეგის სრული განადგურებით არ დასრულდა, შესაბამისად უკრაინულმა ახალმა შეიარაღებულმა ძალებმა ვერ მოახერხეს ბრძოლისუნარიანობის გამოცდის ჩაბარება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი უკრაინელებს დარჩათ, მათ გაწელილი ფრონტის ხაზის შემოკლება მაინც ვერ მოახერხეს. უკრაინის შეიარაღებული ძალების რამდენიმეათასიანი კონტინგენტიდან მხოლოდ 2500 ჯარისკაცამდე იყო მიზიდული სლავიანსკის მიმართულებაზე, დანარჩენები კი სხვა სექტორებში იყვნენ გადანაწილებულები. იმის გამო რომ ადამიანური რესურსები საკმარისი არ იყო, სხვადასხვა მიმართულებებზე მასშტაბური იერიშის დასაწყებად უკრაინელთა სამეთაურო რგოლი იძულებული გახდა, მინიმუმამდე შეემცირებინა მობილიზებული რეზერვისტების საწვრთნელი კურსები და დაეჩქარებინა მათი მოხალისეთა ბატალიონებში გადანაწილება. ოპერაციებში აქტიურად ჩართეს საგადასახადო სამსახურებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები, რის შედეგადაც კონტრტერორისტული ოპერაციების ძალების რაოდენობა 40000-მდე გაიზარდა, თუმცა მათი საბრძოლო შესაძლებლობები კვლავ დაბალი იყო. რეზერვისტთა ბატალიონებში განწესებული შემადგენლობიდან მხოლოდ მესამედი იყო ნამდვილი

[1] Mark Galeotti. Armies of Russia's.., გვ. 22.
[2] Michael Kofman et al. Lessions from, გვ. 40.

მოხალისე, დანარჩენები იყვნენ ჩვეულებრივი მობილიზებული ცუდად გაწვრთნილი, ცუდად აღჭურვილი და დაბალი მოტივაციის მქონე რეზერვისტები.[1]

სლავიანსკის დაკავების შემდეგ უკრაინის შეიარაღებული ძალების შემდეგი მიზანი იყო რუსეთთან სასაზღვრო ზოლზე კონტროლის აღდგენა. მართალია, 7 ივლისის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს ბრიფინგზე გაკეთდა განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთ-უკრაინის საზღვრის ყველა მონაკვეთი კონტროლდებოდა უკრაინელი სამართალდამცავების მიერ, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქებს იზვარინესა და ჩერვონოპარტიზანსკს შორის რამდენიმეკილომეტრიან მონაკვეთზე გალაგებულ უკრაინელ მესაზღვრეებს არ ჰქონდათ საშუალება დაპირისპირდებოდნენ სეპარატისტებსა და რუსებს. შესაბამისად, ისინი შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ საზღვრის აღნიშნული მონაკვეთის მონიტორინგით.[2]

საზღვრის სრულმასშტაბიანი კონტროლის მიზნით უკრაინული გენშტაბის მიერ დაიგეგმა ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ჩერვონოპარტიზანსკისა და იზვარინეს მიმართულებებზე გაჭრას და მათ დაკავებას. ამ ამოცანის შესასრულებლად უკრაინის გენერალურმა შტაბმა გადააგზავნა სამი მექანიზებული ბრიგადა, საჰაერო ბრიგადა და რამდენიმე თვითმავალი საარტილერიო ბატარეა. ამ ძალებში შედიოდა რამდენიმე ასეული სასაზღვრო გუშაგი.[3]

უკრაინელებს საზღვრის გასწვრივ წარმოებული ოპერაციებისას პრობლემებს უქმნიდა მათ მომარაგების ხაზებთან არსებული სავურ-მოგილას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მაღლობი, რომელიც რუსეთთან საზღვრიდან 10 კილომეტრში მდებარეობდა და სრულად კონტროლდებოდა სეპარატისტების მიერ.[4] ის ზემოდან დაჰყურებდა უკრაინელების მიერ შექმნილ დერეფანს. შესაბამისად, ისინი გამუდმებით უშენდნენ საარტილერიო ცეცხლს დერეფანში მოძრავ ტრანსპორტს, ხოლო უკრაინელებს კი არ შეეძლოთ სეპარატისტების საცეცხლე წერტილების ჩახშობა არასაკმარისი საჰაერო მხარდაჭერის გამო.

ივლისის განმავლობაში უკრაინელებმა შეძლეს ლუგანსკის აეროპორტთან სახმელეთო დერეფნის გაჭრა და 14 ივლისისთვის დაიკავეს ასევე გეორგიევკა,[5] რის

[1] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 307.
[2] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 308.
[3] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 308.
[4] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 309.
[5] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 310.

შედეგადაც ლუგანსკი დანარჩენ სეპარატისტულ ნაწილებს მხოლოდ პატარა ვიწრო დერეფნით უკავშირდებოდა. ამის შედეგად, ლუგანსკელი ამბოხებულები ფაქტობრივად პოტენციური ალყის ქვეშ აღმოჩნდნენ, რადგანაც უკრაინის ხელისუფლების მიერ საკმარისი ძალების მობილიზების შემთხვევაში დერეფანი მარტივად გადაიკეტებოდა და ლუგანსკი სრულ იზოლაციაში აღმოჩნდებოდა.[1] რუსეთ-უკრაინის საზღვრის მონაკვეთების დებლოკირებისთვის სეპარატისტები ინტენსიურად ცდილობდნენ სხვადასხვა წერტილებში დაერტყათ უკრაინელებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, საჰაერო ძალების გამოყენებით ცდილობდნენ სეპარატისტების მძლავრი შეტევების შეჩერებას, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს არ გამოსდიოდათ, რადგანაც ამბოხებულებს შეიარაღებაში გააჩნდათ რუსული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები.[2] აღსანიშნავია, რომ სამხედრო დაპირისპირების საჰაერო კომპონენტის მიუხედავად სამოქალაქო ფრენები აღნიშნულ კონფლიქტის თავზე მაინც ხორციელდებოდა. 17 ივლისს სეპარატისტებმა ჩამოაგდეს მალაიზიური სამოქალაქო ბოინგი, რომელიც რეისს ასრულებდა ამსტერდამიდან კუალა ლუმპურში. მასში მყოფი 298 ადამიანი ყველა დაიღუპა.[3] ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთის ტექნიკურ-მატერიალური მხარდაჭერა სეპარატისტების მიმართ.

უკრაინული სამხედროების მოქმედებები პიკზე გავიდა ივლისში, რეზერვისტების რამდენიმე ფორმირება გადასროლილ იქნა სხვადასხვა სამოქმედო არეალებში. უკრაინელების მიზანი უცვლელი იყო: სასაზღვრო ზოლზე სრული კონტროლის მოპოვება, სეპარატისტების წინააღმდეგ მრავალი მიმართულებიდან ერთდროული შეტევა, ორი დიდი ქალაქის – ლუგანსკისა და დონეცკის ერთმანეთისგან მოწყვეტა, მათი ალყაში მოქცევა და განადგურება. ამ ამოცანის შესრულებისას უკრაინელებმა დაიკავეს არტემივსკი (დღ. ბახმუტი) და ავდეევკა. თუმცა, უკრაინელები ძირითადად წარმატებას აღწევდნენ პატარა და საშუალო დასახლებების დაკავებისას, სადაც ამბოხებულებს არ ჰყავდათ მობილიზებული დიდი ძალები, მსხვილი ქალაქების დასაკავებლად ქუჩის ბრძოლების წარმოება კი

[1] Anna Matveeva. Through Times of Trouble. London: Lexington books, 2018, გვ. 154.
[2] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 311-312.
[3] Malaysia Airlines Flight 17 shot down over the Ukraine-Russia border. 17 July 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.history.com/this-day-in-history/malaysia-flight-17-shot-down-ukraine-russia

უკრაინის შეიარაღებულ ძალებს ძალიან უჭირდა.[1]

სეპარატისტების და რუსების ინტენსიური საარტილერიო ცეცხლის შედეგად უკრაინული მექანიზებული ქვედანაყოფები, რომლებიც სასაზღვრო ზოლს აკონტროლებდნენ დიდ დანაკარგებს განიცდიდნენ ტექნიკის სახით. სატვირთო მანქანებისა და დაჯავშნილი ტექნიკის დაკარგვამ გამოიწვია მათი მობილურობის შემცირება, რის გამოც მათი მცირერიცხოვანი ნაწილები არ იყვნენ საკმარისი საზღვრის დიდი მონაკვეთების კონტროლისთვის. შესაბამისად, სეპარატისტებმა შეძლეს სტეპანივკასა და მარინოვკას სასაზღვრო მონაკვეთებზე კონტროლის მოპოვება, გამუდმებული ბრძოლები მიმდინარეობდა ასევე იზვარინეს მონაკვეთზეც.[2]

რაც უფრო იზრდებოდა საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობა, მით მეტი იყო მსხვერპლი სამოქალაქო საზოგადოებაში, რის გამოც სეპარატისტების ძალები ყოველდღიურად იზრდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე. ამ პერიოდისთვის აჯანყებულთა საერთო რაოდენობამ დაახლოებით 19-23 ათასი ადამიანი შეადგინა.[3]

აღსანიშნავია, რომ აგვისტოს დასაწყისში უკრაინელთა 95-ე ბრიგადამ, პოლკოვნიკ მიხაილო ზაბროდსკის მეთაურობით, განახორციელა კაცობრიობის სამხედრო ისტორიაში უნიკალური სამხედრო რეიდი.[4] სლავიანსკიდან დაწყებული სამხედრო ოპერაციის შედეგად, ბრიგადამ შეძლო სეპარატისტების რესპუბლიკებს შორის სივრცეში დაერტყა ამბოხებულების შეიარაღებული ძალებისთვის, გასულიყვნენ მათ ზურგში, სადაც ხელთ იგდეს რუსული ტანკები და არტილერია, შემდეგ კი ჩრდილო-დასავლეთის გზით უკან დაბრუნდნენ სლავიანსკში. გზად მათ გაიარეს ლუგანსკის აეროპორტი და იქ გამაგრებულ საჰაერო-სადესანტო ძალებს მიაწოდეს სურსათ-სანოვაგე და ტყვია-წამალი. უკრაინელებმა მტრის ზურგში განახორციელეს 450-კილომეტრიანი მარში, რაც სამხედრო ხელოვნების ისტორიაში შევიდა „ზაბროდსკის რეიდის“ (ასევე, „2014 წლის დიდი რეიდის“) სახელით.[5]

უკრაინის შეიარაღებულ ძალებს აგვისტოს დასაწყისისთვის ქ. დონეცკი და ქ.

---

1 Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 313.

[2] Anna Matveeva,. Through Times.., გვ. 155.

[3] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 315.

[4] 21st Century Maneuver. 1 February, 2017. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://mca-marines.org/blog/gazette/21st-century-maneuver/

[5] Phillip A. Karber. Lessons Learned from the Russo-Ukrainian War. Potomac foundation, 2015, გვ. 37.

ლუგანსკი თითქმის სრულად ჰქონდათ იზოლირებული სეპარატისტული ანკლავებისგან. სეპარატისტული რეჟიმების დამხობამდე რამდენიმე ეფექტური შეტევითი ოპერაციის განხორციელებაღა იყო საჭირო დარჩენილ საყრდენ პუნქტებზე. ერთ–ერთი ასეთს წარმოადგენდა დასახლებული პუნქტი ილოვაისკი, რომლის აღების ოპერაციაც დაიგეგმა უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ. უკრაინელებმა ყველაზე უნარიანი მოხალისეთა ბატალიონები – „დონბასი“, „დნეპრ-1“, „დნეპრ-2“, „მშვიდობისმყოფელი“, „ვიტიაზი“ და სხვები განალაგეს ილოვაისკის მიმართულებაზე, რომლებსაც მხარს უჭერდნენ რეგულარული არმიის ნაწილები, 5 ტანკით, არტილერიითა და MLR საცეცხლე მხარდაჭერით.[1] აღნიშნულ მოხალისეთა ბატალიონებს ჰქონდათ მაღალი მოტივაცია, მაგრამ მცირე გამოცდილება. მათ არ ჰქონდათ შეიარაღებაში მძიმე შეიარაღება და არც სრულად იყვნენ დაკომპლექტებულები. ილოვაისკს, როგორც აღვნიშნეთ, იცავდა აჯანყებულთა ორი ასეული. უკრაინელმა მოხალისეებმა ქალაქზე შეტევა დაიწყეს 10 აგვისტოს და შეძლეს პლაცდარმების დაკავება და 18 აგვისტოს, დამხმარე ძალების გადასროლის, შემდეგ დაიწყეს ქალაქის დაკავების ოპერაცია.[2] თუმცა, ამ ერთკვირიან პერიოდში ილოვაისკს სეპარატისტულ დაჯგუფებას დამატებით შეუერთდნენ დონეცკელი მებრძოლები,[3] რამაც ქალაქის სწრაფად დაკავების ოპერაცია ჩააგდო. თუმცაღა, უკრაინელების უპრატესობა ცალსახა იყო, დრო მათ სასარგებლოდ მუშაობდა და ცალსახა იყო, რომ ქ. დონეცკიც მალე დაეცემოდა. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციამ ჩათვალა, რომ ეს იყო კულმინაციის წერტილი და სეპარატისტული რეგიონების გადასარჩენად აუცილებელი იყო კონფლიქტში კონვენციური ძალებით ჩართვა.

რუსეთის ტერიტორიიდან განხორციელებული ინტენსიური ცეცხლის გამო, უკრაინელების მეხუთე ტერიტორიული თავდაცვის მოხალისეთა ბატალიონმა, რომელსაც ევალებოდა რუსეთის საზღვარზე კუტეინიკოვო-მოკროელანჩიკის მონაკვეთის დაცვა ძირითადი ძალების დაფარვის მიზნით, უკან დაიხია და მარჯვენა ფლანგი მოაშიშვლა. წარმოქმნილი ნაპრალით ისარგებლეს რუსეთის ქვედანაყოფებმა და დაიწყეს შეტევა უკრაინის მიმართულებით. რუსეთის ფედერაციამ გამოიყენა

[1] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 316.
[2] Amos C. Fox. "The Siege of Ilovaisk: Manufactured Insurgencies and Decision in War." The Landpower Essay Series, 2021: 1-9.
[3] Anna Matveeva. Through Times.., გვ. 160-161.

როგორც არტილერია, ასევე საჰაერო მედესანტეთა ჯგუფები და რეგულარული არმიის ნაწილები, დაახლოებით ოთხი ბატალიონი. ილოვაისკის მარცხენა ფლანგზე განლაგებულმა უკრაინულმა სამხედროებმაც უკან დაიხიეს, რამაც გაუმარტივა რუსეთის ფედერაციის საჯარისო შენაერთებს ალყაში მოექციათ ილოვაისკში დისლოცირებული უკრაინული ქვედანაყოფები. 27 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს შესთავაზა მწვანე დერეფანი ალყაშემორტყმულთა გამოსაყვანად, თუმცა რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის პირველმა მოადგილემ გენერალმა ნიკოლაი ბოგდანოვსკიმ განაცხადა, რომ რუსეთი შეთავაზებას შეასრულებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკრაინელები ტერიტორიას დატოვებდნენ იარაღისა და მძიმე ტექნიკის გარეშე, რაზეც უკრაინის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა. შესაბამისად, უკრაინულმა მეთაურობამ მიიღო გადაწყვეტილება ორი პარალელური მიმართულებით გაერღვიათ ალყა და შეერთებოდნენ უკრაინელ მებრძოლებს. დერეფანში, რომლის გარღვევას ცდილობდნენ უკრაინელები, იყო თავდაცვითი პოზიციები მოწყობილი, ასევე რუსეთის ტერიტორიიდან შემოტანილი საარტილერიო ცეცხლით რუსულმა ძალებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს უკრაინული ნაწილები.[1] უკრაინელთა მსხვერპლს დაღუპულების სახით შეადგენდა დაახლოებით 366 ჯარისკაცი, 429 დაჭრილი და რამდენიმე ასეული ტყვე.[2] ყველაზე ცნობილი დონბასის ბატალიონი თითქმის სრულად განადგურდა. აგვისტოში უკრაინელების შეტევითი ოპერაციების წარმოებისას 1300-მდე ჯარისკაცი დაიღუპა. ეს იყო უდიდესი მარცხი უკრაინელებისთვის და „დ“ სექტორის კოლაფსი. რუსებისა და სეპარატისტების გაერთიანებული ჯგუფების წინააღმდეგ რეგიონში ვეღარ ხერხდებოდა ეფექტიანი თავდაცვის წარმოება.[3] ილოვაისკის გარღვევის პარალელურად, რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა სამხრეთ მიმართულებაზე გადაკვეთეს საზღვარი და რამდენიმე ბატალიონის დონის ტაქტიკურმა ჯგუფმა

[1] Міністерство оборони україни. Аналіз бойових дій в районі Іловайська після вторгнення російських військ 24-29 серпня 2014 року. 19 жовтня, 2015. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.mil.gov.ua/news/2015/10/19/analiz-illovausk--14354

[2] Office of the United Nations High Commissioner for Human Rights. Human rights violations and abuses and international humanitarian law violations committed in the context of the Ilovaisk events in August 2014. 2018, გვ. 2. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.ohchr.org/Documents/Countries/UA/ReportOnIlovaisk_En.pdf

[3] Colby Howard and Ruslan Pukhov. Brothers Armed, გვ. 318.

იერიში მიმტანა უკრაინულ საპორტო ქალაქ მარიუპოლზე, რომლის მისადგომებთანაც თავდაცვითი პოზიციები ეკავათ უკრაინულ ბატალიონებს მდინარე მიიუსისთან. თანამედროვე T-72B3 და T-90 ტიპის ტანკების ყოლის მიუხედავად, რუსებმა ვერ შეძლეს უკრაინელთა თავდაცვითი პოზიციების გარღვევა (რომლებსაც ქართული ქვედანაყოფებიც ეხმარებოდნენ) და იძულებულნი გახდნენ, მის მისადგომებთან გაჩერებულიყვნენ.[1]

რუსების ეფექტიანი კონტრშეტევის გამო, უკრაინელები იძულებული გახდნენ, დაეწყოთ მოლაპარაკებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და, შედეგად, 2014 წლის 5 სექტემბერს დაიდო მინსკის შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით, მხარეები იღებდნენ ვალდებულებას: 1. დაუყონებლივ შეეწყვიტათ კონფლიქტის ზონაში იარაღის ორმხრივი გამოყენება. 2. უზრუნველეყოთ ეუთო–ს ქვეყნების წარმომადგენლების ჩართულობა ზემოხსენებული პუნქტის შესრულების მონიტორინგისა და ვერიფიკაცის პროცესში. 3. უკრაინის სახელმწიფო რეფორმა დეცენტრალიზაციის მიმართულებით. 4. რუსეთ–უკრაინის სასაზღვრო ზოლზე უსაფრთხო ზონების შექმნის მიზნით ეუთო–ს ქვეყნების წარმომადგენლების მუდმივმოქმედი მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობა. 5. ტყვეებისა და უკანონოდ დაკავებული პირების უპირობო და დაუყონებლივი განთავისუფლება. 6. დონეცკსა და ლუგანსკის ოლქებში მიმდინარე კონფლიქტებში მონაწილე პირების მიმართ დევნის აკრძალვა, კანონისმიერად. 7. საერთო ეროვნული დიალოგის გაგრძელება. 8. დონბასში, აქტიური ღონისძიებების გატარება ჰუმანიტარული კრიზისის მოგვარების მიზნით. 9. ადგილობრივი ვადამდელი არჩევნების ჩატარება არსებული საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინებით. 10. უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებული დაქირავებული მებრძოლების, „ბოევიკების, მძიმე და მსუბუქი სამხედრო ტექნიკისა და სხვა ტიპის უკანონო სამხედრო ფორმირებების გაყვანის უზრუნველყოფა. 11. დონბასის ეკონომიკური აღორძინების პროგრამის შემუშავება; 12. კონსულტაციის მონაწილეებისთვის პირადი უსაფრთხოების გარანტიების მიცემა.[2]

მიუხედავად შეთანხმების გაფორმებისა, რეგიონში კვლავ გაგრძელდა სამხედრო

---

[1] Phillip A. Karber. Lessons Learned, გვ. 40.

[2] Protocol on the results of consultations of the Trilateral Contact Group (Minsk Agreement) . 5 September, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://peacemaker.un.org/UA-ceasefire-2014

დაპირისპირება, რომლის დროსაც რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები და სეპარატისტები მძიმე კალიბრის საარტილერიო სისტემებიდან ბომბავდნენ ლუგანსკის აეროპორტს. მცირე ხანში კი რუსული მოდერნიზებული ტანკებისა დახმარებით აეროპორტში დამცველი უკრაინული საჰაერო–სადესანტო ძალების ქვედანაყოფები გაანადგურეს და კონტროლი დაამყარეს ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტზე.[1] მცირე მასშტაბის დაპირისპირებები გრძელდებოდა ფრონტის მთელ ხაზზე, რომლის პარალელურადაც რუსი ინსტუქტორები დაჩქარებულ რეჟიმში ახდენდნენ სეპარატისტებსა და რუს მოხალისეების გადამზადებას, ასევე მათი არსენალის შევსებას სხვადასხვა მძიმე და მსუბუქი ტექნიკით. რუსები და სეპარატისტები არ იცავდნენ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. სხვადასხვა ადგილებში კვლავ ისმოდა სროლის ხმა, რუსული არტილერია კვლავ ისროდა უკრაინელთა პოზიციებისა და სამოქალაქო შენობების მიმართულებით. ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ სეპარატისტები და მათი მოკავშირეები კვლავ გააქტიურდებოდნენ და დაიწყებდნენ შეტევით ოპერაციებს. რუსეთის გენერალურ შტაბსა და დონეცლუგანსკის სეპარატისტებს რამდენიმე ამოცანა ჰქონდათ დასახული.[2] მათ სურდათ დონეცკის აეროპორტის აღება, რომელსაც რუსი მოხალისეების მიერ წარუმატებელი შტურმის შემდეგ კვლავ უკრაინული სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ. რუსებისა და დონბასელების ჰიბრიდული დაჯგუფებებს აეროპორტი ალყაში ჰქონდათ მოქცეული, მუდმივად ბომბავდნენ და ცდილობდნენ მის დაკავებას, თუმცა თავდადებით მებრძოლი უკრაინელები უძლებდნენ მათ საავიაციო შეტევებსა და ქვეითების იერიშებს იგერიებდნენ. უკრაინელთა მამაცობითა და გმირობით აღფრთოვანებულმა ხალხმა აეროპორტის დამცველ მებრძოლებს „კიბორგები“ შეარქვეს.[3] კიდევ ერთი ამოცანა იყო დებალცევეს დაკავება, რომელიც წარმოადგენდა შვერილს სეპარატისტთა ტერიტორიაზე. დებალცევე მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი იყო, რომლის ფლობაც უკრაინელებს აძლევდა ოპერატიული უპირატესობის მოპოვების საშუალებას, რუსებს კი ეძლეოდათ შანსი, შვერილისთვის ორი მხრიდან

[1] Phillip A. Karber. Lessons Learned, გვ. 41.
[2] Phillip A. Karber. Lessons Learned, გვ. 41.
[3] Vitaly Shevchenko. Ukraine conflict: The 'cyborg' defenders of Donetsk airport. October 31, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.bbc.com/news/world-europe-29793696.

შეეტიათ, გაერღვიათ უკრაინელთა თავდაცვითი ხაზები და ალყაში მოექციათ დებალცევეში გამაგრებული მოხალისეთა და რეგულარული არმიის ქვედანაყოფები. ასევე მნიშვნელოვანი იყო მარიუპოლის აღება, რომელიც დონბასის რაიონში ერთადერთ მსხვილ საპორტო ქალაქს წარმოადგენდა და რუსეთის ფედერაციისთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტი იყო. ასევე, კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენდა დასავლეთით ვოლნოვახას მიმართულების გარღვევა, მდინარე სევერსკიზე არსებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხიდის დაკავება და ლუგანსკის ჩრდილოეთით უკრაინელთა თავდაცვითი პოზიციების გარღვევა.

2015 წლის 21 იანვარს, რუსებისა და სეპარატისტების გაერთიანებულმა დაჯგუფებებმა ლუგანსკის აეროპორტის დაკავების წარმატებული ოპერაციის მსგავსი სცენარით დაასრულეს დონეცკის აეროპორტის აღების 240 დღიანი წარუმატებელი მცდელობა, დახოცეს აეროპორტის დამცველი უკანასკნელი „კიბორგები“ და დაიკავეს მათთვის უმნიშვნელოვანესი ობიექტი.[1] დონეცკის აეროპორტი სამხედრო თვალსაზრისით სეპარატისტებისთვის არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან პუნქტს, მის აღებას უფრო პოლიტიკური და მორალურ–ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. შესაბამისად, წარმატების განვრცობის მიზნით მათ შემდგომ სამიზნეს წარმოადგენდა დებალცევე. დებალცევეს ბრძოლა აღმოსავლეთ უკრაინაში 2014–2015 წლების პერიოდში გამართული ერთ–ერთი იმ იშვიათ ბრძოლებს წარმოადგენს, რომელშიც ძალიან კარგად ჩანს რუსული ჰიბრიდული ელემენტების კომბინირებულ მოქმედებას ერთ საბრძოლო სივრცეში.

დებალცვეს შვერილის შეტევის ოპერაციის დაგეგმარებისას რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რაიონებში განლაგებული საველე არმიებიდან, როტაციის პრინციპით, უკრაინაში გადაისროლა დაახლოებით 10, 000 კაციანი დაჯგუფება,[2] რომელთა მეშვეობითაც მოახდინა რამდენიმე ბატალიონის დონის ტაქტიკური ჯგუფის ფორმირება. რუსული ბატალიონის დონის ტაქტიკური ჯგუფი არასტანდარტულად იყო დაკომპლექტებული, იგი ძირითადად შედგებოდა ძლიერი სატანკო ასეულებისგან,

[1] Amos C. Fox. “Cyborgs at Little Stalingrad”: A Brief History of the Battles of the Donetsk Airport. Arlington: Institute of Land Warfare Association of the United States Army, 2016, გვ. 10.
[2] Mark Galeotti. Armies of Russia’s, გვ. 34.

მექანიზებული ქვეითებისგან, რომლებსაც მხარსუჭერდნენ არტილერისტები.[1] სეპარატისტები, რომლებიც ძირითადად შედგებოდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების ინსტრუქტორების მიერ გადამზადებული რეგურალური ნაწილებისგან, მოხალისეების, რუსეთის სპეციალური ოპერაციის ძალებისა და რუსეთის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მეომრებისგან ოპერაციისას ძირითადად სადაზვერვო და დივერსიული საქმიანობისთვის იყენებდნენ. ძირითად დამრტყმელ, ე.წ. „შოკურ“ ქვედანაყოფად სწორედ ბატალიონის დონის ტაქტიკური ჯგუფები იყვნენ, რომლებსაც შეეძლოთ ავტონომიურ რეჟიმში მოქმედება და ოპერირება, სეპარატისტები კი ძირითადად მიმყოლ ფუნქციას ასრულებდნენ. სეპარატისტების ქვედანაყოფებთან, მრჩევლების სახით, ასევე მიმაგრებულები იყვნენ რუსეთის გენერალური შტაბის ოფიცრები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ ოპერაციების დაგეგმვასა და კოორდინაციაზე.[2] ოპერაციის დაწყებამდე რუსებმა სეპარატისტები მოამარეგეს შესაბამისი ტექნიკითა და შეიარაღებით, კრიტიკულად მნიშვნელოვან თანამედროვე რუსულ ტექნიკაზე კი, რომელთა პერსონალის გადამზადებას რამდენიმე თვიანი სპეციალური წვრთნები სჭირდებოდა, რუსეთის არმიიდან იყვნენ მივლინებულები. საუბარია CHAP-10M1 ტიპის რადარებსა და ზოოპარკ 1–ის ტიპის ანტიბატარეულ სისტემებზე, რომლებსაც ეფექტიანად იყენებდნენ უკრაინული საარტილერიო ბატარეების აღმოსაჩენად, რომლებსაც კონტრბატარეული ცეცხლით ანადგურებდნენ.

რუსეთის ფედერაციის ჯარებისა და ადგილობრივი სეპარატისტების გარდა დებალცევეს ბრძოლაში წარმოდგენილნი იყვნენ კაზაკები, რუსი მოხალისეები, ჩეჩნები, აფხაზები, ოსები და სერბებიც კი.[3] აღნიშნული ქვედანაყოფების გარდა, არაპირდაპირ იყვნენ წარმოდგენილი დამატებითი რუსული რეგულარული ქვედანაყოფები, რომლებიც რუსეთ-უკრაინის საზღვართან იყვნენ განლაგებული და დებალცევეს ოპერაციის ლოჯისტიკურ მხარდაჭერას ახდენდნენ.

უკრაინელებს დებალცევეში წარმოდგენილი ჰყავდათ 8000-მდე მებრძოლი,[4]

---

[1] Randy Noorman. „The Battle of Debaltseve: a Hybrid Army in a Classic Battle of Encirclement.“ SmallWarsJournal, 2020, გვ. 3.

[2] Randy Noorman. „The Battle of Debaltseve.., გვ. 3.

[3] 600 კაზაკი მებრძოლი, ასევე „რუსული ორთოდოქსული არმია“, რომელმაც 50-მდე მებრძოლი დაკარგა ბრძოლის დროს, „ვოსტოკ“ ბატალიონის ჩეჩენი მეომრები, ასევე ვაგნერ ჯგუფის 200-მდე მეომარი. ასევე ენოტი-ს დაჯგუფებები. Randy Noorman. „The Battle of Debaltseve.., გვ. 4.

[4] Phillip A. Karber. Lessons Learned, გვ. 41.

რომლებსაც უწევდათ დაპირისპირდება რუსული ჰიბრიდული დაჯგუფების 18000 მეომართან. უკრაინელთა ბირთვს წარმოადგენდნენ 128-ე მექანიზებული სამთო ბრიგადის მეომრები, რომლებსაც შვერილის აღმოსავლეთ გაყოლებაზე ეკავათ თავდაცვითი პოზიციები. დებალცევეს თავდაცვით პოზიციებზე წარმოდგენილ იყვნენ ასევე „კრივბასის“, „კიევსკაია რუსის“ და „დონბასის“ მოხალისეთა ბატალიონებიც. საერთო ჯამში, ქვეითებში პროპორციები იყო 2:1-ზე რუსეთის სასარგებლოდ, ჯავშნოსან ტექნიკაშიც – 2:1-ზე და საარტილერიო სისტემებში – 7:1-ზე. რუსული და სეპარატისტული ქვედანაყოფები ამჯერადაც საბჭოთა ცნობილი ტაქტიკით იბრძოდნენ, ჯერ მასიური საარტილერიო დაბომბვა, უკრაინელთა პოზიციების მოსინჯვა ინტენსიური ცეცხლით, მებრძოლების გამოფიტვა და არტილერიის მიერ დამუშავებულ ტერიტორიებზე ჰიბრიდული ქვედანაყოფების კომბინირებული იერიში. რუსების გეგმით ამას მოჰყვებოდა დებალცევეს შვერილზე ორი მხრიდან იერიში, საარტილერიო ცეცხლით მორღვეული თავდაცვითი ზღუდეების გარღვევა და ქალაქის ბოლოში შეერთება. საბოლოო მიზანს წარმოადგენდა ქალაქის ალყაში მოქცევა და უკრაინელი მეომრების განეიტრალება.[1]

2015 წლის 14 იანვარს რუსებმა დაიწყეს დებალცევესთვის ბრძოლის ოპერაცია ქალაქის ძლიერი საარტილერიო დაბომბვით. სეპარატისტების დივერსიული ჯგუფების მოქმედებების შედეგად ქალაქს შეუწყდა წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდება.[2] შესაბამისად 22 იანვრისთვის, 25000-იანი დასახლებიდან 18000 მოქალაქე დევნილად იქცა, დარჩენილი 7000 მოსახლეს არ ჰქონდა წვდომა სასმელ წყალთან და სხვა სერვისებთან, მინიმუმ 500 კი რუსების ქმედებებს შეეწირა.[3] 10 თებერვლისთვის რუსეთის ჰიბრიდული ჯგუფები გადავიდნენ შეტევაზე, თუმცა უკრაინელები საწყის ეტაპზე მათ შეტევებს წარმატებით იგერიებდნენ. 12 თებერვლისთვის გაფორმდა მინსკის მეორე შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც 15 თებერვლისთვის უნდა ამოქმედებულიყო.[4] რუსებმა დებალცევეს

[1] Randy Noorman. „The Battle of Debaltseve.., გვ. 5.

[2] Hugo Spaulding. Putin's Next Objective in Ukraine Crisis. Washington: Institute of the Study of War, 2015.

[3] United Nations Office for the Coordination of Humanitarian Affairs, Ukraine: Situation Report No. 29, February. 27, 2015. უკანასკნელად ნანახია 21. 02.2023 ვებგვერდზე: https://reliefweb.int/report/ukraine/ukraine-situation-report-no29-27-february-2015.

[4] Package of measures for the Implementation of the Minsk agreements. 2015. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/UA_150212_MinskAgreement_en.pdf

შვერილის  გარღვევა და ქალაქის დაკავება ვერ შეძლეს 15 თებერვლამდე და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდგომაც გააგრძელეს საბრძოლო მოქმედებების წარმოება. ხელშეკრულებების დარღვევა რუსულ ხელწერად იქცა აღნიშნულ კონფლიქტში, თან ასე დამცინავად და ირონიულად, ამოქმედებისთანავე. ისინი უკვე მეორედ არღვევდნენ თავისსავე პირობას ალყაშემორტყმული უკრაინული ქვედანაყოფების წინაშე. უკრაინის ხელისუფლების ნებართვით, ქალაქში გამაგრებულმა უკრაინელებმა დაიწყეს გარღვევის ოპერაცია, 18 თებერვლისთვის გამოვიდა ჯერ 2,500 მებრძოლი, 19 თებერვლისთვის კი 90%-მა შეძლო ალყის გარღვევა. 20 თებერვალს დასახლება რუსებმა დაიკავეს.[1]

როგორც აღვნიშნეთ, 2015 წლის 12 თებერვალს დაიდო მინსკის მეორე შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ პუნქტებს: 1. 15 თებერვალს, 00:00 საათისთვის დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში შეწყდებოდა საბრძოლო მოქმედებების წარმოება. 2. კონფლიქტის რაიონებიდან, ორივე მხარე გაიტანდა მძიმე სამხედრო ტექნიკას ხელშეკრულების ამოქმედებიდან არაუმეტეს 14 დღეში და სხვადასხვა საარტილერიო სისტემებისთვის შეიქმნებოდა რამდენიმე ტიპის ბუფერული ზონა: 100მმ–იანი კალიბრის იარაღისთვის – 50 კილომეტრიანი ზონა, რეაქტიული სისტემებისთვის – 70 კილომეტრიანი ზონა, შორმანძილზე მოქმედი საარტილერიო სისტემებისთვის, როგორებიცაა ტორნადო, ურაგანი, სმერჩი და ტოჩკაუ – 140 კლომეტრიანი ზონა. გამყოფი ხაზი სეპარატისტებისთვის იქნებოდა 2014 წლის 19 სექტემბრისთვის დაფიქსირებული საზღვარი, უკრაინელებისთვის კი ხელშეკრულების ამოქმედებისას არსებული ფრონტის ხაზი. 3. მხარეების მიერ ცეცხლის შეწყვეტის, ძალის არ გამოყენებისა და მძიმე შეიარაღების კონფლიქტის ზონიდან გატანის ღონისძიებების მონიტორინგს შეასრულებდა ეუთოს წევრი ქვეყნებისგან შემდგარი შესაბამისი მისია. 4. დონეცსკისა და ლუგანსკის უკრაინის შემადგენლობაში პოლიტიკურ სტატუსზე მოლაპარაკებების პარალელურად, ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე დაიწყებოდა მზადება სეპარატისტულ რეგიონებში, უკრაინის კანონმდებლობის სრული დაცვით, ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადება. 5. კონფლიქტში მონაწილე ყველა პირის შეწყალება და ამინისტია 6. ტყვეებისა და არასამართლებრივად დაპატიმრებულების „ყველა

[1] Amos C. Fox. „Battle of Debal'tseve: the Conventional Line of Effort in Russia's Hybrid War in Ukraine." Armor, 2017: გვ. 45-52, გვ. 49.

ყველაზე“ პრინციპით გადაცვლა. 7. საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლების მეთვალყურეობით ჰუმანიტარული დახმარების შეტანა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რაიონებში. 8. ეკონომიკური და სოციალური აქტივობების სრული აღდგენა კონფლიქტის რეგიონებში 9. ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ რუსეთ–უკრაინის მთელს საზღვარდზე აღდგებოდა უკრაინის სახელმწიფოს კონტროლი. 10. ეუთოს მონიტორინგის მისია გაუწევდა კონტროლს უკრაინის ტერიტორიიდან არალეგალური შეიარაღების, დაქირავებული მეომრებისა და სხვა ქვეყნების შეიარაღებული დაჯგუფებების დატოვების პროცესს. 11. ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებისა და უკრაინის დეცენტრალიზაციის მიზნით გატარდებოდა საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც დამტკიცდებოდა 2015 წლის დეკემბრისთვის.[1]

როგორც აღვნიშნეთ, რუსებმა და მათმა მოკავშირე სეპარატისტებმა აღნიშნული შეთანხმება მის ძალაში შესვლისთანავე დაარღვიეს და დებალცევეში განლაგებულ უკრაინულ ძალებს არ მისცეს სამშვიდობო დერეფანი, რათა არ დაეშვათ უკრაინის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება, რამდენიმე წლით ჩამოეშალათ მისი სტრუქტურა და, შესაბამისად, აერიდებინათ ხელშეკრულების არშესრულების შემთხვევაში უკრაინის შესაბამისი რეაქცია. ეს, შეიძლება ითქვას, იყო ჰიბრიდული ომის რუსული დიპლომატიის შემადგენელი, რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო დონის ხელშეკრულებით ძალთა დაშორიშორების წინაპირობების წარმოქმნას და მისი აღსრულების პერიოდში მოწინააღმდეგის ძალებისთვის მძიმე დარტყმის მიყენება და დასახული ამოცანების შესრულება.

აღნიშნული თავის განხილვისას, როგორც ვხედავთ, რუსეთისათვის კონფლიქტის დასაწყისში იყო მცდელობა ყირიმის სცენარის განმეორებისა, თუმცა განსხვავებული მასშტაბებით და ნაკლები რუსული ძალების ჩართულობით. შეიძლება ითქვას, ეს იყო ადგილობრივი სეპარატისტებისა და რუსი ნაციონალისტ-იმპერიალისტების კერძო მცდელობები, მოეხდინათ ყირიმში განვითარებული მოვლენების კოპირება და რუსეთის ფედერაციისთვის წინაპირობების შექმნა, რათა ისინი აქტიურად ჩართულიყვნენ რეგიონის ოკუპაციისა და შემდგომში ანექსიისათვის. უკრაინელი სამართალდამცავების ეფექტიანი მუშაობის შედეგად,

[1] Комплекс мер по реализации Минских договоренностей. 2015. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/UA_150212_MinskAgreement_ru.pdf.

რეგიონების უკრაინისგან ჩამოცილების „მშვიდობიანი“ მცდელობა ჩავარდა, რის შემდეგაც რადიკალურმა ჯგუფებმა დაიწყეს საბრძოლო მოქმედებები, რომელშიც უკვე ნელ-ნელა რუსეთი ჩაერთო, რაც შეიძლება დავყოთ „სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე რუსეთის მხრიდან ხდებოდა მხოლოდ ეთნიკურად რუსი მოხალისეების ორგანიზება და გადაყვანა დონეცკსა და ლუგანსკში; მეორე ეტაპი დაკავშირებული იყო სეპარატისტების წარუმატებელ შეტევით ოპერაციებთან, რის გამოც რუსეთმა დაიწყო მძიმე ტექნიკისა და მძიმე შეიარაღების, მათ შორის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებისა და დაჯავშნილი ტექნიკის, ტანკებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების გადაცემა; მესამე ეტაპზე კი რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ჯერ უკრაინის ტერიტორიების საარტილერიო დაბომბვა რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებული მოწინავე საარტილერიო დანადგარებით, შემდეგ კი, უკრაინული ანტიტერორისტული ოპერაციის წარმატებული მიმდინარეობის ფონზე, უშუალოდ რუსული კონვენციური ძალებით შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე და მისი რეგულარული ძალებით კონფლიქტის თანამონაწილეობა“[1], რასაც შემდგომში აქტიურად უარყოფდნენ.

[1] ბოჩო შურღაია. რუსეთის ჰიბრიდული ომი უკრაინაში 2014–2015 წლებში. საისტორიო ძიებანი XIII. წელიწდეული. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება აფხაზეთის ორგანიზაცია. თბილისი, 2020–2021, გვ. 383-403, გვ. 401.

# თავი 3. საქართველო: კონფლიქტები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში

## §1. ცხინვალის რეგიონი

1985 წელს დაწყებული ე.წ. „პერესტროიკის“ შემდეგ საქართველოს სსრ-ში ინტენსიურად დაიწყო ანტისაბჭოთა აქციები და მანიფესტაციები, რომელთა სათავეში ძირითადად რადიკალური ნაციონალისტური ჯგუფები იდგნენ. საქართველოს მასშტაბით დისიდენტური მოძრაობის გაფართოების პირდაპირპროპორციულად კი საბჭოთა ხელისუფლება ახდენდასეპარატისტული განწყობების ინსპირირებას საქართველოს სსრ-ს ავტონომიურ რეგიონებში – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. სეპარატისტთა ლიდერები მიზნად ისახავდნენ რეგიონებისთვის უფრო მეტი პრივილეგიების მოპოვებას და მათ საქართველოს სახელმწიფოსგან გამოყოფას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდნენ 1988 წელს ეთნიკურად ოსი სამეცნიერო მოღვაწეების მიერ ჩამოყალიბებული არაფორმალური მოძრაობა „ადამონ ნიხასი“, რომელიც 1989 წლის ივნისში უკვე ოფიციალურადაც დარეგისტრირდა[1] და 1988 წლის დეკემბერში შექმნილი აფხაზური „აიდგილარა“.[2] მომდევნო წლებში ორივე ორგანიზაციამ განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აღნიშნულ რეგიონებში წარმოებულ სისხლიანი კონფლიქტების დაწყებასა და მიმდინარეობაში.

„ადამონ ნიხასი“ და „აიდგილარა“ ყველანაირად ცდილობდნენ ეთნიკურად არაქართულ მოსახლეობაში ანტიქართული განწყობების გაღვივებასა და ქართული სახელმწიფოს წარმოჩენას ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მჩაგვრელად, რომელიც ყველანაირად ზღუდავდა და აბრკოლებდა ავტონომიური რეგიონების ეროვნული თვითგამორკვევის პროცესს. სეპარატისტები საქართველოს სსრ-ს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს ხვდებოდნენ პროტესტით და აგრესიით. ერთ-ერთი მსგავსი მოვლენა, რომელმაც შეიძლება ითქვას მყარი საფუძველი ჩაუყარა ანტიქართული ნარატივის გავრცელებას და აქტიური

[1] ავთანდილ სონღულაშვილი. „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! თბილისი, 2009, გვ. 176.

[2] Аслан Авидзба. Абхазия и Грузия: Завтра была война (О Абхазо-Грузинских отношениях в 1988-1992 годы). Сухуми: Академия наук Абхазии, 2012, გვ. 39.

სეპარატისტული მოძრაობების გაშლას, გახლდათ 1988 წლის ნოემბერში საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროექტი „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის გაცხადებულ მიზანსაც წარმოადგენდა ქართულის სახელმწიფო ენის სტატუსის გამყარება.[1] აღნიშნულ კანონპროექტს, რომელიც საბოლოოდ დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს, ნეგატიურად შეხვდნენ როგორც „სამხრეთ ოსეთში“, ისე აფხაზეთში. „აიდგილარას“ დაჟინებული მოთხოვნით, აფხაზეთში მიიღეს კანონი აფხაზური ენის შესახებ, რომლის მიზანიც იყო აფხაზური ენის სტატუსის დაცვა ქართველებისგან.[2] „ადამონ ნიხასმა“ კი ჯერ საპროტესტო წერილები გააგზავნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში, უზენაეს საბჭოსა და კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში,[3] შემდეგ კი 1989 წლის 10 ნოემბერს, მათი მოთხოვნით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე საგანგებო სესიამ მიიღო გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის ამაღლების შესახებ, რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად. ამას მოჰყვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, რომელმაც გააუქმა მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილება.[4] დაიწყო ე.წ. „კანონთა ომი“.

დაძაბული ვითარების ფონზე, ქართულმა მხარემ 1989 წლის 23 ნოემბერს ცხინვალში დაგეგმა მრავალათასიანი მარში და აქცია, რომელშიც საქართველოს ყველა კუთხე იყო ჩართული. 12-15 ათასი საქართველოს მოქალაქე 400-მდე მანქანითა და ავტობუსით დაიძრა ცხინვალისკენ. მათ გზა გადაუკეტეს ეთნიკურმა ოსებმა, ადგილობრივმა მილიციელებმა და საბჭოთა მერვე პოლკის სამხედრო მოსამსახურეებმა.[5] მაშინ ყველაფერი შეტაკების გარეშე დასრულდა და ქართულმა მხარემ უკან დაიხია,[6] მაგრამ დაპირისპირება რეგიონებსა და ცენტრს შორის შემდეგ

---

[1] სტივენ ჯონსი. საქართველო პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013.

[2] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001).რედ: დიასამიძე, თამაზ. თბილისი: რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი, 2002, გვ. 10.

[3] Denis Sammut and Nikola Cvetkovski. The Georgia-South Ossetia Conflict. London: VERTIC, 1996, გვ. 10.

[4] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 14.

[5] Human Rights Watch. Violations of Humanitarian Law and Human Rights in the Georgia the Georgia the Georgia-South Ossetia Conflict. New York, 1992, გვ. 7.

[6] უკანასკნელ ხანებში ქართულ მედიაში რატომღაც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს იმ დროს ადგილი ჰქონდა შეტაკებას, რომლის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიღუპა და ათეულობით დაიჭრა (იხ.: 1989 წლის 23 ნოემბერს ცხინვალთან შეტაკებას მსხვერპლი მოჰყვა. უკანასკნელად ნანახია

1990 წელსაც გაგრძელდა, რომელიც განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის 3 აპრილს მიიღო კანონი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“, რომლის მიხედვითაც მოკავშირე რესპუბლიკების სსრ კავშირიდან გასვლა უნდა გადაწყვეტილიყო რეფერენდუმის გზით. რეფერენდუმი კი ცალ-ცალკე უნდა ჩატარებულიყო მოკავშირე რესპუბლიკასა და რესპუბლიკაში შემავალ ავტონომიურ რეგიონებში.[1] შემდეგი მოვლენა, რამაც სეპარატისტების შემდგომი რადიკალიზაცია გამოიწვია, იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის აგვისტოში მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებოდა ყველა იმ პარტიას, რომელიც არ ოპერირებდა საქართველოს სრულ ტერიტორიაზე. მსგავსი კანონი ოსების და აფხაზების მხრიდან აღქმული იყო, როგორც სპეციალურად მათ წინააღმდეგ მიმართული აქტი, შესაბამისად, „ადამონ ნიხასმა“ და „აიდგილარამ“ 1990 წლის ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს.[2] 1990 წლის 20 სექტემბერს ამჯერად სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთოთხმეტე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის თაობაზე.[3] 21 სექტემბერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნული დადგენილება კვლავ ბათილად და იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტად გამოაცხადა, მაგრამ ოსური მხარე კვლავ განაგრძობდა საქართველოს სსრ-სა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციების უხეშად დარღვევას. იმავე წლის 16 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთხუთმეტე სესიამ 20 სექტემბრის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.[4] ამ ნაბიჯს პასუხი უკვე საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გასცა. 1990 წლის ოქტომბერში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად

---

10.02.2023 ვებგვერდზე: https://ghn.ge/news/215887-1989-tslis-23-noembers-tskhinvaltan-shetakebas-mskhverpli-mohqva, 2018 წლის 23 ნოემბერი).

[1] პაატა ზაქარეიშვილი. „საბჭოთა აგონიის მოჯადოებული წრე: დაშლილ საბჭოთა კავშირში ჩარჩენილი საქართველო.“ კონფლიქტები და მშვიდობა სამხრეთ კავკასიაში: ისტორიული კონტექსტი, თეორიული ასპექტები და პრაქტიკული გამოცდილება-ში, რედაქტირი ნინო კალანდრიშვილი და ადრიან ბრისკო. თბილისი: შპს "დეიზი", 2021, გვ. 124.

[2] Human Rights Watch. Violations of Humanitarian Law.., გვ. 7.

[3] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 37-38.

[4] ბორის კვარაცხელია,. რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და საერთაშორისო თანამეგობრობა. თბილისი: უნივერსალი, 2015, გვ. 131.

საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა კოალიცია „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, რომლისთვისაც ცხინვალის საკითხი უპირველესი გამოდგა. ამის გამო ზვიად გამსახურდიამ, აფხაზეთში „მეორე ფრონტის“ გახსნის შიშით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ სეპარატისტთა ლიდერის ვლადისლავ არძინბას არჩევასაც კი დაუჭირა მხარი.[1] მიუხედავად ამისა, დაძაბულობა სამხრეთ ოსეთსა და თბილისს შორის კვლავ იზრდებოდა.

1990 წლის 28 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთექვსმეტე სესიამ დაამტკიცა წინა სესიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ასევე დანიშნა სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები 1990 წლის 9 დეკემბერს. სეპარატისტული რეგიონის პოლიტიკოსების მიერ მიღებულ არალეგიტიმურ და არაკანონიერ გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ ხელისუფლების მიერ მოჰყვა რადიკალური ნაბიჯები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით: გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი; გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო – აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები.[2] აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ სიტუაცია უაღრესად დაძაბა. ცხინვალისა და ჯავის რაიონებში გააქტიურდნენ არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებმაც დაიწყეს ქართული მოსახლეობის ძარცვა, ყაჩაღობა და მკვლელობები. 1991 წლის 12 დეკემბერს ცხინვალისა და ჯავის რაიონებში საქართველოს ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რისი საბაბიც გახდა ქ. ცხინვალში ორი ქართველისა და ერთი ოსის მკვლელობა. უსაფრთხოებისა და სტაბილური გარემოს შექმნის მიზნით, რეგიონში განლაგდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები, დაახლოებით 500 კაცი. მილიციის დანაყოფების უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორება და სისხლისღვრის თავიდან აცილება, თუმცა ნებართვა საპასუხო ცეცხლის გამოყენებაზე მათ არ ჰქონიათ 1991 წლის

[1] ზურაბ პაპასქირი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XX საუკუნის 50-90-იანი წლების დამდეგს. წიგნში: აფხაზეთი საქართველოა. რედაქტორი ზურაბ პაპასქირი. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021, გვ. 504-509.

[2] საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკა, 1990 წლის 12 დეკემბერი.

გაზაფხულამდე.[1]

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების რეგიონში განლაგებას ქართული მხარე ნეგატიურად შეხვდა. ის თვლიდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების ძალები რეგიონში არა სტაბილიზაციისთვის, არამედ დესტაბილიზაციის გაღრმავებისთვის იქნენ განთავსებული. შესაბამისად, ზვიად გამსახურდია დაჟინებით მოითხოვდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან" სსრკ-ს შინაგან საქმეთა ქვედანაყოფების გაყვანას და მათ ქართული ქვედანაყოფებით ჩანაცვლებას. ოფიციალური მოსკოვმა ქართული მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, თუმცა 1991 წლის 6 იანვარს საქართველოს სსრ ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ცხინვალისა და ჯავის რაიონში 3,000-4,000 ქართველი მილიციელი მაინც შევიდა.[2] ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების მეთაური თენგიზ ეპიტაშვილი დაინიშნა ქალაქ ცხინვალის კომენდანტად.[3] ბუნებრივია, კრემლი ამ ქმედებას უპასუხოდ ვერ დატოვებდა და 1991 წლის 7 იანვარს სსრკ-ს პრეზიდენტმა გორბაჩოვმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც სამდღიან ვადაში უნდა მომხდარიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან ყველა შეიარაღებული ფორმირებების გაყვანა, გარდა სსრკ კავშირის შინაგანი სამინისტროს ჯარებისა.[4] სსრკ ხელისუფლების მიერ მიღებული ბრძანებულების საპასუხოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გამოქვეყნდა დადგენილება, სადაც არაკანონიერად მიიჩნევდნენ რეგიონიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ქვედანაყოფების გამოყვანას და აღნიშნავდნენ, რომ აღნიშნული ბრძანებულება საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევაა და ხელისუფლების უზენაესობისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ ხელყოფას წარმოადგენდა.[5]

1991 წლის იანვარში ქართული საპოლიციო ნაწილების ცხინვალსა და ჯავაში გამოჩენას ადგილობრივი სეპარატისტები შეხვდნენ როგორც ოკუპაციას და დაიწყეს შეიარაღებული დაპირისპირება, აღმართეს ბარიკადები, გადაკეტეს ქუჩები და

---

[1] Human Rights Watch. Violations of Humanitarian Law.., გვ. 8,13–14.
[2] ცხინვალის ამბები. საქართველოს რესპუბლიკა. 9 იანვარი, 1991.
[3] Denis Sammut and Nikola Cvetkovski. The Georgia-South.., გვ. 12.
[4] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებლება. საქართველოს რესპუბლიკა. 1991 წლის 9 იანვარი.
[5] ბორის კვარაცხელია. რუსეთის გამოუცხადებელი ომი.., გვ. 136.

დაიკავეს მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული შენობები. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ძირითადად ცხინვალსა და მის შემოგარენში, ასევე ქართულ სოფლებსა და როკის გვირაბისკენ მიმავალ გზაზე. ცხინვალი ორ ნაწილად გაიყო: დასავლეთ მხარეს აკონტროლებდნენ ოსები, აღმოსავლეთს კი – ქართველები. დაშორება დაპირისპირებულ მხარეებს შორის იყო 100-200 მეტრი. 20-დღიანი დაპირისპირების შემდეგ, რუსული მხარის შუამავლობით წარმოებული ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკებების შედეგად, 26 იანვარს[1] ქართველებმა დაიხიეს ქალაქის ირგვლივ არსებულ სიმაღლეებზე, სადაც ომის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში იყვნენ გამაგრებულები.[2]

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, ოსური ბანდ-ფორმირებები კვლავ აგრძელებდნენ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის დატერორებას. 1991 წლის 7 მარტს სანადირო თოფებით და თვითნაკეთი ყუმბარმტყორცნელებით შეიარაღებული 100-კაციანი დაჯგუფება თავს დაესხა ცხინვალის რაიონის ქართულ სოფლებს, თუმცა ადგილობრივმა მილიციამ და მოსახლეობამ შეძლო თავდამსხმელთა მოგერიება.[3] მსგავსი მარბიელი „ლაშქრობები“ გრძელდებოდა მთელი კონფლიქტის განმავლობაში და მასში მონაწილეობდნენ როგორც სეპარატისტული დაჯგუფებები, ასევე ზოგიერთი ქართული ქვედანაყოფები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ ერთიან ხელმძღვანელობას და დამოუკიდებლად ოპერირებდნენ კონფლიქტის ზონაში. ქართველთა მხრიდან რამდენიმე გასამხედროებული დაჯგუფებაც იყო წარმოდგენილი რეგიონში: „თეთრი არწივი“, „თეთრი გიორგი“, „ავაზა“, „თეთრი შევარდენი“ და ა.შ. აღნიშნული დაჯგუფებები ძირითადად იმ მიმართულებებზე იყვნენ წარმოდგენილები, სადაც ისინი თვლიდნენ, რომ სახელისუფლებო ძალები ვერ ართმევდნენ თავს დაკისრებულ ამოცანებს.[4] პარტიზანული ბრძოლები მიმდინარეობდა 1991 წლის განმავლობაში. ამას თან სდევდა საარტილერიო ცეცხლის გაცვლა, ძირითადად ცხინვალში განლაგებულ ოსებსა და ნიქოზსა თუ ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე რამდენიმე ქართულ სოფელში განლაგებულ ქართველებს შორის. გასამხედროებული დაჯგუფებები

[1] Human Rights Watch. Violations of Humanitarian Law.., გვ. 9.
[2] Denis Sammut and Nikola Cvetkovski. The Georgia-South.., გვ. 12.
[3] ავთანდილ სონღულაშვილი. "სამხრეთ ოსეთი“.., გვ. 179.
[4] Human Rights Watch. Violations of Humanitarian Law.., გვ. 13-14.

ერთმანეთის წინააღმდეგ აწყობდნენ რეიდებს, აშინებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ატერორებდნენ მათ. ჭირდა საჭმელ-სასმელი, მოსახლეობა იძულებული იყო, შემოვლითი გზებით შეეტანათ სურსათი.[1]

1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩატარდა საერთო საკავშირო რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების შესახებ. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებით, რეფერენდუმი არ გაიმართა საქართველოს ტერიტორიაზე და, მის საპირისპიროდ, 31 მარტისთვის დაიგეგმა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ აფხაზები და ოსები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საკავშირო რეფერენდუმში, 31 მარტის რეფერენდუმს კი ბოიკოტი გამოუცხადეს.[2] ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ხვდებოდა, რომ რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის საჭირო იყო რუსულ მხარესთან მოლაპარაკებათა მაგიდაზე დაჯდომა, რათა ოსი სეპარატისტებისთვის ჩამოეშორებინა მოკავშირე. შესაბამისად, რამდენიმეკვირიანი მზადების შემდეგ, 1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში შედგა შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბორის ელცინს შორის.[3] მშვიდ და მეგობრულ გარემოში მიმდინარე მოლაპარაკებების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომდევნო 10 დღის ვადაში რუსეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროები შექმნიდნენ ერთობლივ კომისიას, რომელსაც დაევალებოდა არსებული ვითარების შეფასება და მოხსენების წარდგენა 20 აპრილამდე. ასევე, მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, რომ 10 აპრილამდე შექმნიდნენ მილიციის ერთობლივ რაზმს, რომელსაც დაევალებოდა ცხინვალის რეგიონში მოქმედი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება.[4]

---

[1] Human Rights Watch. Violations of Humanitarian Law, გვ. 16-17.

[2] ბორის კვარაცხელია. რუსეთის გამოუცხადებელი ომი.., გვ. 139. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე და ცხინვალის რეგიონში ქართველების მიერ კონტროლირებად სოფლებში რეფერენდუმი მაინც შედგა. აფხაზეთში მასში მოსახლეობის უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა და მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას (იხ.: ზურაბ პაპასქირი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება.., გვ. 512).

[3] სტივენ ჯონსი. საქართველო პოლიტიკური.., გვ. 92.

[4] 23 მარტს ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია. საქართველოს რესპუბლიკა. 1991 წლის 26 მარტი.

სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაციის დროებით დასტაბილურებას ხელი შეუწყო ასევე იმ ბუნებრივმა კატაკლიზმმა, რომელიც საქართველოს დაატყდა თავს 1991 წლის აპრილში.[1] გამანადგურებელმა მიწისძვრამ დააზიანა ონი და ჯავა, შესაბამისად რამდენიმე თვის განმავლობაში შეწყდა შეიარაღებული დაპირისპირება. თუმცა, 1991 წლის შემოდგომით სეპარატისტები კვლავ გააქტიურდნენ. 26 ნოემბერს ჩატარდა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელზეც განიხილეს გვარდიის შექმნის, საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების, საგანგებო მდგომარეობის შემოღების, რეგიონისთვის სახელწოდების შეცვლისა და სხვა საკითხები.[2] 1991 წლის ნოემბრის ბოლოს ფორმალურად შეიქმნა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკური გვარდია, რომელშიც გაწევრიანებული იყო 2400-მდე ადამიანი. მათ ამოცანას შეადგენდა ცხინვალისა და ოსური სოფლების დაცვა, იმ ქართული სოფლების საარტილერიო დამუშავება, სადაც ქართველი სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ განლაგებულნი, ასევე საკონტროლო გამშვები პუნქტებისა და გზების დანაღმვა.[3] სამხრეთ ოსეთის სეპარატისტების მიერ შემდგომი რადიკალიზაციაზე საპასუხოდ, 1991 წლის 2 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანებულება „შიდა ქართლში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“, რომლის თანახმადაც ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ იქნას ცნობილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 26 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებები და დაისვა საკითხი სსრკ-ს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე შიდა ქართლში დისლოცირებული სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივი გაყვანის შესახებ.[4]

1991 წლის 25 დეკემბერს სსრ კავშირმა შეწყვიტა არსებობა და საქართველომ ოფიციალურად მოიპოვა დამოუკიდებლობა. სამწუხაროდ, ამ მომენტში საქართველოში უკვე დაწყებული იყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს გაფორმდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ ქვეყნის დატოვებით. ახლად შექმნილმა სამხედრო საბჭომ დროებით შეძლო თითქმის მთელ

[1] საქართველოს პრეზიდენტის განცხადება. საქართველოს რესპუბლიკა. 1991 წლის 30 აპრილი.
[2] ბორის კვარაცხელია. რუსეთის გამოუცხადებელი ომი.., გვ. 143.
[3] Human Rights Watch. Violations of Humanitarian Law.., გვ. 13.
[4] ბორის კვარაცხელია. რუსეთის გამოუცხადებელი ომი.., გვ. 143-144.

ქვეყანაზე (ცხინვალის რეგიონის ნაწილის გარდა) თავისი კონტროლის დამყარება, მაგრამ ის მყიფე იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც დაპირისპირება მაინც გრძელდებოდა. ამით ისარგებლეს ოსმა სეპარატისტებმა და 1992 წლის 19 იანვარს სამხრეთ ოსეთში ჩატარდა არალეგიტიმური რეფერენდუმი, სადაც მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რეგიონის საქართველოსგან გამოყოფას და რუსეთის ფედერაციასთან შეერთებას.[1] უნდა ითქვას, რომ სსრკ-ს დაშლას პრაქტიკულად არ უმოქმედია კრემლის დესტრუქციულ პოლიტიკაზე ცხინვალის რეგიონში. რუსეთის სახელისუფლებო წრეები აგრძელებდნენ სსრკ-ს პოლიტიკას ამ მიმართულებით. მართალია, პირველ ჯერზე, რუსეთის ხელისუფლებამ გაიყვანა თავისი ქვედანაყოფები ცხინვალიდან, მაგრამ ამ პროცესის დაწყებამდე ყოფილმა სსრკ-ს და უკვე რუსეთის ფედერაციის შინაგანი ჯარის ნაწილებმა თავიანთი შეიარაღება გადასცეს ოსებს.[2] რუსულმა ფაქტორმა განსაკუთრებით თავი იჩინა 1992 წლის ივნისში, როდესაც ინიციატივა ცხინვალთან ქართულმა ნაწილებმა იგდეს ხელთ. მათი შეტევის შესაჩერებლად, რუსეთის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრ რუცკოის უშუალო ბრძანებით (რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი იმ დროს აშშ-ში იმყოფებოდა ვიზიტით – ბ.შ.), რუსეთის ფედერაციის საჰაერო ძალების მიერ რამდენჯერმე დაიბომბა ქართველთა პოზიციები ცხინვალის ირგვლივ.[3] პასუხად, ე. შევარდნაძემ გააკეთა ოფიციალური განცხადება და დაადანაშაულა რუსული მხარე, რომ ისინი ღიად ეხმარებოდნენ და ამარაგებდნენ ოსებს, მათ შორის, მძიმე შეიარაღებით. ასევე, რუსული ვერტმფრენები მონაწილეობდნენ ქართველთა მიერ კონტროლირებადი სოფლების დაბომბვაში.[4] რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები კი ქართულ მხარეს ადანაშაულებდნენ სამხედრო დანაშაულის ჩადენაში. რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ხასბულატოვმა ოფიციალურ განცხადებაში ქართველები დაადანაშაულა ოსების გენოციდში და განაცხადა, რომ ეს იყო საკმარისი საფუძველი იმისთვის, რათა რუსეთის ფედერაციას ეფიქრა სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მოთხოვნის – „შეერთებოდნენ რუსეთს“

[1] Human Rights Watch. Violations of Humanitarian Law.., გვ. 11.
[2] Denis Sammut and Nikola Cvetkovski. The Georgia-South.., გვ. 13.
[3] Александр Руцкой. Интервью бывшего вице-президента России Александра Руцкого о событиях в Южной Осетии. 5 September, 2019. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=MHffujyDdiA.
[4] Denis Sammut and Nikola Cvetkovski. The Georgia-South.., გვ. 13.

– დაკმაყოფილებაზე.[1]

რუსეთის ფედერაციის აშკარა და უხეში ჩარევის შედეგად ცხინვალის რაიონში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელისთვის, ედუარდ შევარდნაძისთვის ცხადი გახდა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტის მოგვარება. შესაბამისად, 1992 წლის 10 ივნისს დაბა ყაზბეგში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძისა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ა. გალაზოვის შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მხარეები შეთანხმდნენ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე. ასევე, მათ აიღეს ვალდებულება, 12 ივნისამდე შეექმნათ ერთობლივი ოთხმხრივი ჯგუფი კონფლიქტში ჩაბმული შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მათ შორის რუსეთის და სომხეთის მონაწილეობა.[2] ყაზბეგის მოლაპარაკებების შემდეგ, 1992 წლის 24 ივნისს ქ. სოჭში, დაგომისის საპრეზიდენტო რეზიდენციაში დაპირისპირებული მხარეები შეხვდნენ ერთმანეთს და ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც მოწინააღმდეგე მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, მიეღოთ ყველა ზომა შეიარაღებული შეტაკებებისა და ცეცხლის სრული შეწყვეტისათვის 1992 წლის 28 ივნისისთვის. რუსეთის მხარე იღებდა ვალდებულებას დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორების მომენტიდან 20 დღის განმავლობაში ცხინვალის რეგიონიდან გაეყვანა იქ დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების საინჟინრო და საავიაციო პოლკები.[3] ასევე, კონფლიქტის მონაწილე მხარეების ჩართვით შეიქმნებოდა შერეული საკონტროლო კომისია. შერეული ჯარების შემადგენლობაში შედიოდა ქართული, რუსული და ოსური (ფორმალურად, ჩრდილოეთ ოსეთის, თუმცა მასში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებიც იყვნენ წარმოდგენილი) ბატალიონები, თითოეული 500 კაცის ოდენობით. დაგომისის შეთანხმებას მხარი დაუჭირა ეუთომაც, რომელიც დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთო ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის

[1] Denis Sammut and Nikola Cvetkovski. The Georgia-South.., გვ. 13.

[2] აღვადგინოთ ქართველი და ოსი ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა. საქართველოს რესპუბლიკა. 1992 წლის 13 ივნისი.

[3] შეთანხმება საქართველო–ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკა. 1992 წლის 26 ივნისი.

მუშაობაში.[1] ცხინვალის რეგიონში მყიფე მშვიდობამ დაისადგურა და ის ფაქტობრივად ორ ნაწილად აღმოჩნდა გაყოფილი, მცირე ხანში კი საქართველოს წინაშე კიდევ უფრო რთული პრობლემა გაჩნდა – 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში დაიწყო ომი.

## §2. აფხაზეთის ომი

აფხაზეთში ვითარების გამწვავება თითქმის იმავე პერიოდში დაიწყო როგორც ცხინვალში. ომის წინა პერიოდი და მისი მიზეზები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის გაშუქებული[2] და ამიტომ ამ საკითხზე ამჟამად მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით, იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა კრემლის მოქმედებების საჩვენებლად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1988 წლის ნოემბერში აფხაზეთში შეიქმნა „აფხაზეთის სახალხო ფორუმი – აიდგილარა“. სწორედ აიდგილარა იქცა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ფლაგმანად და საბჭოთა ხელისუფლების მთავარ დასაყრდენად აფხაზეთში. მისი ინიციატივით მოეწყო 1989 წლის 18 მარტს ლიხნის დიდი თავყრილობა, რომელზეც მიღებულ იქნა „მიმართვა“ სსრკ-ს ხელმძღვანელობისადმი აფხაზეთის ავტონომიურიდან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის თაობაზე. ქართველების საპასუხო აქციებმა არა მარტო აფხაზეთი, არამედ მთელი საქართველო მოიცვა და, საბოლოო ჯამში, საბჭოთა ხელისუფლების მიერ 9 აპრილს თბილისში მშვიდობიანი აქციის სასტიკი დარბევით დასრულდა.[3]

შემდგომი გამწვავება უკვე 1989 წლის მაისიდან დაიწყო და დაუკავშირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის გახსნას. აფხაზები იმდენად გააბრაზა ქართული უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციონირებამ სოხუმში, რომ ამას სისხლისღვრაც მოჰყვა. აფხაზების მიერ დაწყებულ არეულობებს 1989 წლის 15-16 ივლისს 14 ადამიანი შეეწირა.[4]

---

[1] ბორის კვარაცხელია. რუსეთის გამოუცხადებელი ომი.., გვ. 147.

[2] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: აფხაზეთი საქართველოა. ისტორიული რაკურსი. რედ. ზ. პაპასქირი. თბილისი, 2021, გვ. 455-539; Why Abkhazia is Georgia: A True History. Ed. by Zurab Papaskiri. Tbilisi, 2021, გვ. 258-293.

[3] ზურაბ პაპასქირი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება.., გვ. 460-465.

[4] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II (1917-1993). თბილისი: მერიდიანი, 2007, გვ. 238-246.

ცხინვალის რეგიონის მსგავსად, 1990 წლიდან აფხაზეთშიც დაიწყო ე.წ. „კანონთა ომი“. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა ნაწილმა 25 აგვისტოს სცადა აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმება და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენა. კვორუმის არქონის პირობებში „მიღებული გადაწყვეტილება“ რამდენიმე დღეში ჯერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაცხადა „იურიდიული ძალის არმქონედ“, შემდეგ კი უკვე კვორუმის პირობებში შეკრებილმა აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომაც გააუქმა,[1] თუმცა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, აფხაზები არც უკან დახევას აპირებდნენ და არც კონსტიტუციური ნორმების დაცვას.

1990 წლის ნოემბერში საქართველოს უზენაესი საბჭოს ახლადარჩეული თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია დათანხმდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ვლადისლავ არძინბას არჩევას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ნაბიჯი ძირითადად აფხაზეთში მეორე ფრონტის გახსნის შიშით იყო განპირობებული, თუმცა ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ ეს მცდარი ნაბიჯი გამოდგა. 1991 წლის მარტში ვ. არძინბამ ყველაფერი გააკეთა აფხაზეთში სსრ კავშირის შენარჩუნებაზე რეფერენდუმის ჩასატარებლად და საქართველოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ბოიკოტისათვის. მართალია, მას არც პირველი გამოუვიდა კანონის დაცვით (მონაწილეთა 50%-ზე მეტის საჩვენებლად აფხაზურმა მხარემ გალის რაიონის მოსახლეობა სრულად ამოიღო ამომრჩეველთა სიიდან) და ვერც მეორე მოახერხა (აფხაზეთის მოსახლეობის 62%-მა რეფერენდუმშიც მიიღო მონაწილეობაც და თითქმის ერთხმად მისცა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას),[2] მაგრამ არძინბა უკან დახევას არ აპირებდა. ის მთელი წლის განმავლობაში აგრძელებდა სამართლებრივ დაპირისპირებას თბილისთან. გარდა ამისა, ის აქტიურად ჩაერთო ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შემუშავებაში და ლობირებდა ავტონომიური რესპუბლიკების უფლებების გათანაბრებას საბჭოთა რესპუბლიკებთან. მიუხედავად ამისა, ამ პროცესიდან არაფერი გამოვიდა, რაც, პირველ რიგში, 1991 წლის 19-21 აგვისტოს წარუმატებელი პუტჩის ბრალი იყო. ამის შემდეგ უკვე ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის დღეები დათვლილი იყო.

---

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 311-314.

[2] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ზურაბ პაპასქირი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება.., გვ. 509-512.

1991 წლის ივლისში საქართველოს ხელისუფლებამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა. ის დათანხმდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებას კვოტირების პრინციპით და აფხაზებს მიანიჭა უპირატესობა ქართველებთან მიმართებაში. ახალ უმაღლეს საბჭოში, რომლის არჩევნები ორ ტურად 1991 წლის 31 ოქტომბერსა და 1 დეკემბერს ჩატარდა, უნდა არჩეულიყო 28 აფხაზი, 26 ქართველი და 11 სხვა ეროვნების დეპუტატი. მართალია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მაღალი კვორუმით (ხმების ¾) უნდა მიღებულიყო, მაგრამ არძინბა კონსტიტუციას არაფრად აგდებდა. აფხაზურმა მხარემ, მოიპოვა რა უბრალო უმრავლესობა უმაღლეს საბჭოში (33 ადგილი, 28 აფხაზს დაემატა 5 სხვა ეროვნების დეპუტატი, რომლებსაც ანტიქართული პოზიცია გააჩნდათ), დაიწყო თავისი გადაწყვეტილებების გატანა. ამას ხელი შეუწყო სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელიც დაიწყო თბილისში და რომელმაც თავისი დაღი დაასვა ქართველთა ერთიანობას აფხაზეთშიც.[1]

საბჭოთა კავშირის დაშლისა და 1992 წლის დასაწყისში საქართველოში ახალი ხელისუფლების შექმნის შემდეგ მცირე ხანს ვ. არძინბა მცირე ხანს შედარებით ფრთხილად იყო. მან წინააღმდეგობა არ გაუწია თებერვალში საქართველოს ეროვნული გვარდიის შენაერთების მარშს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრისკენ მდ. ფსოუზე, თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, ის ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. თანაც, მას არც ძალაუფლება ჰქონდა კონსოლიდირებული აფხაზეთში, რადგანაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ქართველ გივი ლომინაძეს ეკავა. მიუხედავად ამისა, დასავლეთ საქართველოში მიმდინარე დაპირისპირებამ აფხაზურ მხარეს საშუალება მისცა, საბოლოოდ დაერღვია ყველა შეთანხმება. მათ ჯერ უარი თქვეს გივი ლომინაძის აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნაზე, შემდეგ კი გადააყენეს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდანაც და ახალ მინისტრად აფხაზი ეროვნების ალექსანდრე ანქვაბი დანიშნეს. თუ რამდენად დიდი გავლენა ჰქონდა ქართველთა შორის ურთიერთდაპირისპირებას, ძალზე კარგად გამოჩნდა სწორედ ამ ვითარებაში. აფხაზები ვერ ახერხებდნენ მინისტრის კაბინეტის დაკავებას, რადგანაც ეს უკანასკნელი უნდა დანიშნულიყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობით. 1992 წლის 24 ივნისს თბილისში ზ. გამსახურდიას მომხრეებმა მოახდინეს ტელევიზიის შტურმით აღება. ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ მოახერხა

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ზურაბ პაპასქირი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება.., გვ. 513-520.

მათი გამოდევნა, მაგრამ ამასობაში ვ. არძინბას ბრძანებით შექმნილმა უკანონო ქვედანაყოფმა, ე.წ. „აფხაზურმა გვარდიამ“ შტურმით აიღო სოხუმში შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა და ფიზიკურად გაუსწორდა გ. ლომინაძეს.[1]

1992 წლის 23 ივლისს აფხაზურმა მხარემ ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა თავისი ქმედებები. საჭირო კვორუმის გარეშე, აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ „მიიღო“ დადგენილება „აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“ და ფაქტობრივად აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქართული მხარის მცდელობების მიუხედავად, ვითარების დარეგულირება ვერ მოხერხდა.[2] ვ. არძინბას და მის გარემოცვას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ საომარი მოქმედებების დაწყება და მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა.

1992 წლის 10 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ, რომლის მიხედვითაც, იმის გამო, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე გახშირებული დანაშაულების შედეგად სახელმწიფოს ზარალმა შეადგინა 9 მილიარდი მანეთი, განადგურდა და გაიძარცვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა ქონება, რკინიგზის ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტზე 1992 წლის 15 აგვისტოდან გამოცხადდა საგანგებო წესები ერთი თვის ვადით. რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების განხორციელება დაევალა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეიარაღებულ ძალებსა და რკინიგზის სამმართველოს გასამხედროებული დაცვის ნაწილებს. მათ უნდა უზრუნველეყოთ მატარებლების, ხიდების, გვირაბების, სხვა კომუნიკაციებისა და ობიექტების დაცვა, სამგზავრო და სატვირთო შემადგენლობების გაცილება, რკინიგზის ტრანსპორტზე თავდასხმებისა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებათა ხელყოფათა, აღკვეთა და თავიდან აცილება.[3] შესაბამისად, სახელმწიფო საბჭოს

---

[1] ზურაბ პაპასქირი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება.., გვ. 524-533.

[2] ზურაბ პაპასქირი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება.., გვ. 536-539. ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 358-363.

[3] აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში: საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები, 1989-1999 წწ. რედ. ვახტანგ ყოლბაია. ნაწილი I. თბილისი, 2000, გვ. 78-80.

გადაწყვეტილებით, გალისა და ოჩამჩირეს რაიონში ზემოხსენებული დადგენილებით განსაზღვრული მიზნების შესრულებისთვის,[1] 14 აგვისტოს აფხაზეთში პოლიციის ნაწილები გაიგზავნა. ყოველივე ეს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ წინასწარ, სატელეფონო საუბრით, შეათანხმა აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან და უშუალოდ ვლადიმერ არძინბასთან.[2]

პირველი ცეცხლი აფხაზი „ბოევიკების“ მიერ გაიხსნა ოჩამჩირის რაიონ სოფელ ოხურეისთან, სოხუმისკენ მიმავალი ქართველი პოლიციელების კოლონის წინააღმდეგ, რომელსაც წინ მიუძღოდა ცხინვალის რეგიონიდან მობრუნებული საქართველოს ეროვნული გვარდიის სოხუმის ბატალიონი. შემდეგი შეტაკება უკვე მოხდა გულრიფშის რაიონის დასახლება აგუძერაში. ამჯერად სეპარატისტებმა გაანადგურეს ერთი ჯავშანმანქანა. მესამე შეტაკება კი მოხდა სოფელ მაჭარასთან, როცა საცხოვრებელი კორპუსის სახურავზე გამაგრებულმა აფხაზმა ბოევიკებმა ცეცხლი გაუხსნეს ქართველთა კოლონას. საპასუხო ცეცხლის შედეგად სეპარატისტი გარდაიცვალა და დაიჭრა ერთი ქართველი პოლიციელი. ჩასაფრებულმა აფხაზებმა ასევე შეძლეს ერთი ქვეითთა ჯავშანტრანსპორტიორის განადგურება. ქართული მხარის ჯავშანმანქანის აფეთქების ადგილას რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის წარმომადგენლებმა ჩაწერეს სიუჟეტი, რომელიც მალევე გავრცელდა ტელევიზიის საშუალებით[3] და მსოფლიომ პირველად რუსების პირით შეიტყო აფხაზეთში

---

[1] აფხაზეთში შეიარაღებული ძალების შეყვანის დამატებითი საბაბი გაჩნდა 1992 წლის 11 აგვისტოს, როცა ზუგდიდში ექს. პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მოქმედი ხელისუფლების წამომადგენლების შეხვედრიდან 50-მდე შეიარაღებული პირის მიერ მოხდა საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების გატაცება და აფხაზეთში, სოფ. კოხორაში გადაყვანა. შესაბამისად, კიტოვანის ქვედანაყოფების ერთ-ერთ დავალებას აღნიშნული მძევლების გამოხსნაც წარმოადგენდა. სვეტლანა ჩერვონაია. აფხაზეთი – 1992: პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა. თბილისი: ჯისიაი, 1994, გვ. 171-173.

[2] ვახტანგ ყოლბაია, რაფაელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, და თეიმურაზ ჭახრაკია. აფხაზეთის ლაბირინთი: 1992-1993 წლებსა და შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენები. თბილისი: არხატის სტამბა, 1999, გვ. 124. ვლადიმერ არძინბა ამ ინფორმაციას უარყოფდა, თუმცა მოგვიანებით, ალექსანდრე ანქვაბმა, რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას იკავებდა, აღიარა, რომ ეს სიმართლეს შეესაბამებოდა. ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 365. იგივე განაცხადა Human right watch-თან ინტერვიუში პარლამენტარმა ნათელა აკაბამ, რომ იყო ორმხრივი შეთანხმება, რათა ქართულ და აფხაზურ ქვედანაყოფებს ერთობლივად გამოეხსნათ მძევლები გალის რაიონში. Human rights watch. Georgia/Abkhazia: violations of the laws of war and Russias role in the conflict. Washington, 1995, გვ. 18.

[3] 15 აგვისტოს, უკვე რუსეთის ერთ-ერთ ცეტრალურ გაზეთში „პრავდაში“ გამოქვეყნდა არძინბას 14 აგვისტოს გაგზავნილი დეპეშა, რომელშიც იგი იმეორებდა წინასწარ შემუშავებულ ნარატივს, ქართველი მხარის აგრესორობის შესახებ, რომლებიც თავიანთ გზაზე ანადგურებენ ყველაფერს და ა.შ. სვეტლანა ჩერვონაია. აფხაზეთი – 1992.., გვ. 176-177.

საბრძოლო მოქმედებების დაწყების შესახებ.[1] რუსეთის სახელმწიფო აპარატმა პირველი გასროლისთანავე დაიწყო ანტიქართული საინფორმაციო ომი, რომელიც რამდენი ამოცანის შესრულებას ისახავდა მიზნად. პირველ რიგში, ეს იყო მსოფლიო საზოგადოებაში საქართველოს აგრესორად წარმოჩენა, რათა ქართველების მიმართაც კონფლიქტის დაწყებისთანავე გაჟღერებული ბრალდებები ეთნოწმენდის შესახებ უფრო სარწმუნო გამხდარიყო. ამის შემდეგ კი საჭირო იყო რუსეთის, როგორც სამშვიდობო ძალის ჩვენება რეგიონშ სტაბილურობის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ეს საშუალებას იძლეოდა, აფხაზი ერისა და აფხაზეთში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის საბაბით შეიარაღებული ძალების გამოყენების გამართლებას.

ვ. არძინბამ 14 აგვისტოსვე მოუწოდა აფხაზეთის მოსახლეობას „ქართველი ოკუპანტებისა და აგრესორების წინააღმდეგ სამამულო ომისაკენ“. მიმართვაში იგი ხშირად მოიხსენიებდა ქართველებს ფაშისტებად (რასაც მთელი კონფლიქტისა და შემდგომ პერიოდშიც, დღემდე აკეთებს აფხაზური მხარე), რაც იყო სპეციალურად ჩაფიქრებული, რათა ხალხს მიმდინარე კონფლიქტის ასოცირება მოეხდინა მეორე მსოფლიო ომის ე.წ. სამამულო ომთან. ეს მათ მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე განსხვავებულად იმოქმედებდა, მოემატებოდათ მოტივაცია და ბრძოლისუნარიანობა, შესაბამისად, მთელი შემართებით დაიწყებდნენ ბრძოლას ქართველების წინააღმდეგ. არძინბა დიდი ხნით ადრე იყო მომზადებული სისხლიანი შეტაკებისთვის, როგორც საინფორმაციო-იდეოლოგიური მიმართულებით, ასევე ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციულ დონეზე. მან და მისმა მომხრეებმა ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში დაიწყეს მონოეთნიკური „აფხაზური გვარდიის“ შექმნა.[2] საქართველოს შეიარაღებული ნაწილების შესვლისთანავე, არძინბამ აფხაზურ რადიოსა და ტელევიზიაში საზოგადოებას გააცნო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „ზრდასრული მოსახლეობის მობილიზაციისა და აფხაზეთის შინაგანი ჯარის პოლკისათვის იარაღის გადაცემის შესახებ“. დადგენილების თანახმად, იმის გამო, რომ საქართველოს შეიარაღებული ფორმირებების აფხაზეთის ტერიტორიაზე შეყვანამ რეალური საფრთხე შეუქმნა აფხაზეთის სუვერენიტეტსა და მოსახლეობის

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 124.
[2] თამაზ ნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი: პირველი სტამბა, 2000, გვ. 49.

უსაფრთხოებას, უმაღლესი საბჭო ადგენდა: მომხდარიყო 18-დან 40-წლამდე მოსახლეობის მობილიზება და შინაგანი ჯარების პოლკში გამწესება. შინაგანი ჯარების მეთაურს უნდა უზრუნველეყო 5 ბატალიონის ჩამოყალიბება, თითოეულში 550 კაცის შემადგენლობით. ვლადიმერ არძინბას გამოსვლის შემდეგ ტელეეკრანებზე გამოჩნდა სერგეი შამბა, თავდაცვის შტაბის უფროსი, რომელმაც ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადა. მობილიზებულები ვალდებულები იყვნენ გამოცხადებულიყვნენ თავდაცვის შტაბებში, რომლებიც შეაიარაღეს „არალეგალურად შესყიდული და რესპუბლიკაში შემოტანილი იარაღის საიდუმლო საწყობებიდან, აგრეთვე აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის ჯარების არსენალთა გაძარცვის შედეგად“.[1] კონფლიქტის ბოლოსთვის აფხაზურმა მხარე იმდენი რესურსი მიიღო რუსული მხარისგან, რომ ომის დასრულებისთვის 100000-მდე ნაღმი ჰქონდათ დადებული მთელ ტერიტორიაზე.[2] აღსანიშნავია, რომ 1992 წლის 16 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ აზერბაიჯანის ქ. განჯიდან გუდაუთაში გადაისროლა 345-ე საპარაშუტო–სადესანტო პოლკი, რომელშიც შედიოდა 1500 სამხედრო მოსამსახურე, 122 სადესანტო მანქანა, 13 საზენიტო მანქანა და 18 ერთეული 120 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი.[3] აღნიშნული ქვედანაყოფი შემდგომში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ჩატარებულ საომარ მოქმედებებში.

აფხაზთა მხარის მიერ გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართულმა შენაერთებმა პრობლემების გარეშე მიაღწიეს ქალაქ სოხუმს, თუმცა შემდგომი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, მათ ებრძანათ წითელ ხიდთან გაჩერებულიყვნენ. ამით ისარგებლეს აფხაზმა სეპარატისტებმა, სოხუმის სტრატეგიული სიმაღლეები დაიკავეს და კარგად გამაგრდნენ.

1992 წლის 15 აგვისტოს, მაშინ როცა ქართული საპოლიციო შენაერთები სახმელეთო გზით მიადგნენ ქ. სოხუმს, 2 სადესანტო კატარღითა და 2 პატარა თევზსაჭერი გემით, 1 „ბეტეერითა“ და 1 „ბეემპეთი“ შეიარაღებული ქართული

[1] სვეტლანა ჩერვონაია. აფხაზეთი – 1992.., გვ. 177-178.

[2] Aleksei Zverev. "Ethnic Conflicts in the Caucasus 1988-1994." In In the Contested Borders in the Caucasus, edited by Bruno Coppieters. 1996, გვ. 2.

[3] დაზმირ ჯოჯუა. „რუსეთი და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში.“ აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხები-ში, რედაქტორი ჯემალ გამახარია.თბილისი, 2017, გვ. 145.

მცირერიცხოვანი შენაერთი, შავნაბადას ბატალიონის 90–მდე მებრძოლი და 30-მდე მოხალისე, აკია ბარბაქაძის მეთაურობით, გადასხდნენ სოფელ განთიადთან, სადაც, დაძლიეს რა აფხაზი მებრძოლების წინააღმდეგობა, შეძლეს ნაპირის დაკავება, პლაცდარმის გაფართოება და დასახლებული პუნქტის დაკავება. რამდენიმე საათში მცირერიცხოვანი რაზმმა ბრძოლით მიაღწია მდინარე ფსოუს ხიდს, ანუ საქართველო-რუსეთის საზღვარს.[1] ეს საქართველოს სახელმწიფოსთვის სამხედრო თვალსაზრისით წარმოადგენდა სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანას, რადგანაც საზღვრის ამ მონაკვეთის კონტროლით რუსეთს ფაქტობრივად ესპობოდა პირდაპირი სახმელეთო გზა აფხაზი სეპარატისტების მომარაგებისთვის. მართალია, ამის გარდა არსებობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსული ქვედანაყოფები, ასევე საზღვაო ფლოტი და კავკასიის გადასასვლელები, თუმცა რუსეთ–საქართველოს საზღვრის ამ მონაკვეთის კონტროლი უდიდეს უპირატესობაში აყენება ქართულ შეიარაღებულ ძალებს. თუნდაც ის რად ღირდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიელ კონფედერატებს არ ექნებოდათ მარტივად მიმოსვლის საშუალება და ისინი იძულებულნი იქნებოდნენ, მთის ვიწრო ბილიკებით გადმოსულიყვნენ აფხაზების დასახმარებლად.[2]

ქართულ მხარეს არ სურდა საბრძოლო მოქმედებების შემდგომი ესკალაცია. შესაბამისად, აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებების წარმოებისთვის, 15 აგვისტოსვე, სოხუმში ჩაფრინდნენ საქართველოს პრემიერ მინისტრი თენგიზ სიგუა და სახელმწიფოს საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ჯაბა იოსელიანი. აფხაზური დელეგაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილით – სერგეი ბაგაფშითა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილით ზ. ლაბახუათი, თანახმა იყო 200-200 კაციან აფხაზურ-ქართულ სამხედრო შენაერთს, ფსოუდან-სამეგრელომდე დაეცვა რკინიგზა და სხვა კომუნიკაციები. თუმცა, აფხაზური მხარის გამო, მხარეების მიერ მომზადებულ დოკუმენტს ხელი არ მოეწერა. სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩაიშალა.[3]

---

[1] გერონტი გასვიანი და თორნიკე გასვიანი. აფხაზეთის ომი. თბილისი: ენა და კულტურა, 2005, გვ. 165-168.

[2] თუმცა, კონფლიქტის საქართველოსთვის დადებითად გადაწყვეტისთვის საჭირო იყო ასევე ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასვლელი ბილიკების კონტროლიც, რათა არ დაეშვათ დიდძალი „ბოევიკების“ შემოსვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც ქართულმა მხარემ ვერ მოახერხა.

[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 125.

სეპარატისტებისთვის არასახარბიელო სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გამო, ვლადიმერ არძინბამ მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა სოხუმი და გადასულიყო გუდაუთაში. აფხაზეთის დედაქალაქში დაიწყო მაროდიორობა, გაიტანეს ყველაფერი, რისი გატანაც შეეძლოთ: მსუბუქი ავტომანქანები, ტაქსები, ავტობუსები. გაიძარცვა სააფთიაქო სამმართველო და ქალაქი დაცალეს საჭირო მედიკამენტებისგან. ქართული ნაწილები 17 აგვისტოს შევიდნენ ქალაქის ცენტრში, სადაც საცხოვრებელ კორპუსებზე განლაგებულმა აფხაზმა სნაიპერებმა გაუხსნეს ცეცხლი, რასაც მოჰყვა მსხვერპლი.[1] აფხაზი სნაიპერები დამიზნებით ისროდნენ ტურისტებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მისამართითაც, მათ შორის რუსი სამხედროების მეუღლეებისა და შვილების, რათა ქართული მხარე დაედანაშაულებინათ ომის კანონების დარღვევაში.[2] საქართველოს შეიარაღებული ძალების წინსვლა გაგრძელდა. მათ დაიკავეს ქალაქი და გავიდნენ მდინარე გუმისთაზე. აფხაზებმა დატოვეს ქალაქი გაგრაც და ქართული ქვედანაყოფები გავიდნენ მდინარე ბზიფამდე.[3] შეიძლება ითქვას, აფხაზური დაჯგუფება ალყაში აღმოჩნდა. ისინი აკონტროლებდნენ ტერიტორიას მდ. ბზიფიდან მდ. გუმისთამდე, ასევე ტყვარჩელის რაიონს. ქართული მხარე კი აკონტროლებდა მდ. ბზიფიდან რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე ტერიტორიასა და. ასევე, ზღვისპირეთს მდ. ენგურიდან მდ. გუმისთამდე. ქართველთა ხელში იყო ცენტრალური ავტომაგისტრალი და რკინიგზის ხაზი, რომლითაც უპრობლემოდ იყო შესაძლებელი სოხუმისა და გუმისთის ფრონტის მომარაგება.

ზემოაღნიშნული უპირატესობის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით არ განხორციელდა აფხაზური ქვედანაყოფების დევნა, ასევე უარი ითქვა სოხუმისა და გაგრის მხრიდან გუდაუთის მიმართულებით ერთდროულ შეტევაზე. ქართული მხარე კვლავ იმედოვნებდა, რომ ყველაფრის მოგვარება შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით და ერიდებოდნენ ისედაც დაძაბული სიტუაციის შემდგომ ესკალაციას.

სოხუმსა და გაგრაში მომხდარი მოვლენების შემდეგ, ვ. არძინბამ დაიწყო ანტიქართული საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც 17 აგვისტოს

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 126–127.
[2] სვეტლანა ჩერვონაია. აფხაზეთი – 1992.., გვ. 186.
[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 126-127.

გაავრცელა მიმართა აფხაზი ხალხისადმი და მსოფლიო საზოგადოებისადმი, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ საქართველოს სამხედრო საბჭოს მიზანი იყო აფხაზეთის ოკუპაცია და სწორედ ამ მიზნით შეიჭრნენ აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს შეიარაღებული ძალები. ქართველ მომხდურებს კი, აფხაზები, რუსულენოვანი მოსახლეობა და სხვა ეროვნების მოქალაქეები უიარაღოდ, შიშველი ხელებით დაუხვდნენ და მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, იცავდნენ რა თავიანთ ქვეყანას, სახლებსა და ოჯახებს. რეალურად კი, არძინბას გვარდია და მობილიზებული ხალხი, რომლებიც შეკრიბეს წინასწარ განსაზღვრულ სამობილიზაციო პუნქტებში, შეუიარაღებელი არ ყოფილა. პირიქით, ისინი იყვნენ „კბილებამდე“ შეიარაღებული ბოევიკები, რომლებსაც ნაწილობრივ არალეგალური გარიგებების, ნაწილობრივ კი რუსეთის არსენალის დადგმული „ძარცვების“ შედეგად გადაეცათ თანამედროვე ტიპის იარაღი, მათ შორის ტანკები, მძიმე და მსუბუქი არტილერია, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, გრადები და სხვა.[1]

კონფლიქტის დაწყებისთანავე ვლადიმერ არძინბამ აამოქმედა და დაიწყო პოტენციური მოკავშირეების, რომლებთანაც უკვე ჰქონდა კავშირები დამყარებული, საქართველოს წინააღმდეგ აქტიურობისკენ მოწოდება. ის კონტაქტზე გავიდა ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტ ვალერი კოკოვთან და ჩრდილოეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ახსარბეკ გალაზოვთან. მან დახმარება სთხოვა ჩრდილოეთ კავკასიის ატამანებს, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას და რუს ნაციონალისტებსა თუ შოვინისტებს.[2]

ვ. არძინბას მოწოდებას მალევე გამოეხმაურნენ ჩრდილოკავკასიელი ლიდერები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდნენ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიისთვის. 1992 წლის 18 აგვისტოს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის მეათე საგანგებო სესიამ დაადგინა, რომ გამოცხადებოდა პროტესტი საქართველოს ხელისუფლებას და სახელმწიფოს საბჭოს ულტიმატუმის სახით მოსთხოვეს, 21 აგვისტომდე გაეყვანა შეიარაღებული ძალები აფხაზეთის ტერიტორიიდან.[3] მოთხოვნას შეუერთდნენ ასევე ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაცია და ყაბარდოელი ხალხის კონგრესი. დაიწყეს მოხალისეების შეკრება. ჩრდილოეთ კავკასიის თითოეულ

[1] სვეტლანა ჩერვონაია. აფხაზეთი – 1992.., გვ. 187-188.
[2] სვეტლანა ჩერვონაია. აფხაზეთი – 1992.., გვ. 190.
[3] სვეტლანა ჩერვონაია. აფხაზეთი – 1992.., გვ. 192.

რეგიონს 60-100 კაცამდე უნდა გამოეყვანა.[1] საბრძოლო მოქმედებების გაგრძელების შესაბამისად, 1992 წლის 22 აგვისტოს, გროზნოში, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო:

1. „კონფედერაციის ყველა შტაბმა უზრუნველყოს მოხალისეების გადასროლა აფხაზეთის ტერიტორიაზე აგრესორებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად.

2. კონფედერაციის ყველა შეიარაღებულმა ფორმირება, ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში ჩაერთოს ბრძოლაში და აფხაზეთის ტერიტორიაზე გაიჭრას ნებისმიერი ხერხით.

3. გამოცხადდეს თბილისი უბედურების ზონად და ამასთანავე გამოიყენონ ყველანაირი მეთოდი, მათ შორის ტერორისტული აქტები.

4. კონფედერაციის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ქართველი ეროვნების პირი გამოცხადდეს ტყვედ.

5. დაკავებულ იქნას საქართველოსთვის განკუთვნილი ყველა ტვირთი და მათი გადაზიდვის ყველა საშუალება“.[2]

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას არ ჩამორჩნენ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები და მხარეები. როსტოვის ოლქის, სტავროპოლისა და კრასნოდარის ხელმძღვანელებმა გამართეს ერთობლივი შეხვედრა, რომელზეც გამოთქვეს შეშფოთება აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებში რუსეთის არასაკმარისი რეაქციის გამო და მოუწოდეს რუსეთის ხელისუფლებას უფრო აქტიური, ანტიქართული და პროაფხაზური პოლიტიკა გაეტარებინათ.[3] „ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში აგზავნიდნენ არა „თანამოძმეთა სისხლის ყივილს“ აყოლილ რიგით „მოხალისეებს“, არამედ საბჭოთა არმიის სკოლაგამოვლილ საკადრო ოფიცრებს. ამ მხრივ, რად ღირს თუნდაც პოლკოვნიკ სულთან სოსნალიევის ფიგურა, რომელიც რუსეთის ფედერაციის სამხედრო სტრუქტურების უშუალო „რეკომენდაციით“ დაინიშნა „აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის“ მოვალეობის შემსრულებლად. „კონფედერატებს“ შორის მრავალრიცხოვნებითა და, რაც მთავარია, სამხედრო პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ ჩეჩენი მოხალისეები. პირველ რიგში, ეს იყო

[1] Aleksei Zverev. "Ethnic Conflicts in.., გვ. 2
[2] გერონტი გასვიანი და თორნიკე გასვიანი. აფხაზეთის ომი.., გვ. 172-173.
[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 127

ცნობილი შამილ ბასაევი თავისი ე.წ. „პირველი ჩეჩნური ბატალიონით“.[1] აღსანიშნავია, რომ ომის დაწყებამდე ვ. არძინბას ირგვლივ უკვე ჰყავდა შემოკრებილი მებრძოლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ ადიღე-ჩერქეზეთიდან, მაიკოპიდან, ნალჩიკიდან და ჩეჩნეთიდან.[2] მათთან ასევე წარმოდგენილნი იყვნენ კაზაკი მოხალისეები, რუსი ყოფილი პროფესიონალი სამხედროები და ასევე, მოქმედი სამხედროები, რომლებიც იბრძოდნენ დნესტრისპირეთში.[3] ომის დაწყებიდან ერთ კვირაში აფხაზებმა ძლიერი დაჯგუფება შექმნეს გუმისთის მიმართულებაზე და 22 აგვისტოს დაიწყეს შეტევა ქართული პოზიციების წინააღმდეგ. ქართულმა ეროვნულმა გვარდიამ წარმატებით მოიგერია მოწინააღმდეგის იერიში, რასაც მოჰყვა აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლად დანიშნული გია ყარყარაშვილის სატელევიზიო მიმართვა, რომელმაც გააკრიტიკა ჩრდილო კავკასიელების, კერძოდ, ჩეჩნების მოქმედებები და გააფრთხილა ყველა, ვინც კი ეცდებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, სასტიკად დაისჯებოდა.[4] რუსეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები კვლავ აგრძელებდნენ ანტიქართული ნარატივის გავრცელებას. ამჯერად ქართულ მხარეს დაბრალდა 27 აგვისტოს, გაგრასთან ახლოს, სამგზავრო „კომეტისთვის“ ვერტმფრენიდან ცეცხლის გახსნა.[5]

რუსეთის ფედერაცია ამ დროისთვის უკვე აშკარად და დაუფარავად ამარაგებდა დიდძალი თანამედროვე ტექნიკითა და ტყვია-წამლით სეპარატისტებსა და მათ მოკავშირეებს. კონფლიქტის დაწყებისთანავე, რუსეთის 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკმა მათ გადასცა 267 პისტოლეტი, 18 ტყვიამფრქვევი, 500-ზე მეტი ხელყუმბარა, 984 ავტომატი, ნახევარ მილიონამდე სხვადასხვა იარაღის ტყვია, სატვირთო მანქანები, სურსათი და სხვა,[6] გუდაუთის აეროდრომის მომარაგების უფროსმა პოდპოლკოვნიკმა დოლგოპოლოვმა კი – ექვსი ქვეითთა საბრძოლო მანქანა სრული კომპლექტით, 400–მდე ხელყუმბარა, 50,000-მდე ვაზნა და 6 ტყვიამფრქვევი.[7] იარაღის გარდა,

---

[1] მოგვიანებით, ჩეჩნეთის ომის დროს ეს შენაერთი უკვე „აფხაზურ ბატალიონად“ იწოდებოდა“. იხ.: ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II (1917-1993). თბილისი: მერიდიანი, 2007, გვ. 374.

[2] აღსანიშნავია, რომ ქართულ მხარესაც იყვნენ მოხალისეები: ქალი სნაიპერები ბალტიის ქვეყნებიდან და უკრაინელი მეომრები (იხ.:Aleksei Zverev. Ethnic Conflicts in.., გვ. 3).

[3] Aleksei Zverev. Ethnic Conflicts in.., გვ. 3.

[4] გერონტი გასვიანი და თორნიკე გასვიანი. აფხაზეთის ომი.., გვ. 171-172.

[5] თენგიზ პაჭკორია. რეპეტიცია დიდი შეხვედრების წინ. დრონი, 1992 წლის 2 ოქტომბერი.

[6] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 208.

[7] თამაზ ნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს.., გვ. 56.

სეპარატისტები რუსეთიდან იღებდნენ დიდძალ ფულად დახმარებასაც. მაგალითად, მოსკოვის ბანკებმა აფხაზებს გადაურიცხეს დაახლოებით 20 მილიარდამდე მანეთი.[1] შესაბამისად, სეპარატისტებმა, რუსეთის სამხედრო სტრუქტურების აქტიური მხარდაჭერით, მდინარე გუმისთვის მარჯვენა სანაპირო ზოლი გაამაგრეს, შექმნეს ძლიერი თავდაცვითი გამაგრებები და, შეიძლება ითქვას, პირველი მსოფლიო ომის დროინდელ პოზიციური ბრძოლის სტადიაში გადავიდნენ. ამასთანავე, გაიხსნა ე.წ მეორე ფრონტიც, „აღმოსავლეთის ფრონტი“. რომელიც ტყვარჩელის რაიონის ირგვლივ იყო. მესამე ფრონტი კი გაგრის მახლობლად წარმოიქმნა. ქართული მხარე არ გადადიოდა შეტევაზე, რადგანაც რუსეთის ხელისუფლება ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას.[2] ასევე, ჩემი აზრით, ქართული მხარე ირჩევდა გამოფიტვის ტაქტიკას, რადგანაც აკონტროლებდა ყველა საკვანძო პუნქტს და საკომუნიკაციო ხაზებს. აფხაზებს კი, წესით, არც იარაღი უნდა ჰქონოდათ საკმარისი რაოდენობით და არც ადამიანური რესურსი. შესაბამისად, ქართული ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ აფხაზების წინააღმდეგობა მალე შეწყდებოდა. სწორედ აქ ცდებოდნენ, რადგანაც არ გათვალეს რუსეთის ფაქტორი, რომელიც ომში მხარედ იყო ჩაბმული. შესაბამისად, რუსეთი აქტიურად იყენებდა აფხაზეთში დისლოცირებულ ქვედანაყოფებს, მათ შორის ეშერის სამხედრო ლაბორატორიას. აფხაზი სეპარატისტებისთვის კი სრულიად განსხვავებული ამოცანები იდგა. პირველ რიგში, ეს იყო ქართველების ზურგში დივერსიული ოპერაციების განხორციელება, რათა დაერღვიათ საკომუნიკაციო ხაზები. მეორე, გაერღვიათ გაგრის ფრონტი და გასულიყვნენ რუსეთთან საზღვარზე, რათა გაემარტივებინათ დამატებითი ძალების შემოსვლა და მესამე, არ დაეშვათ ქართველებთან ფართომასშტაბიან ოპერაციებში ჩაბმა და პატარ-პატარა ჯგუფებით ეწარმოებინათ თავდასხმები, რათა მოეხდინათ ნიველირება იმ ტექნიკური-მატერიალური უპირატესობისა, რაც ქართულ მხარეს ჰქონდა ომის დაწყებისას. ასევე, მათ არ დაეშვათ ქართული მხარის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელებზე კონტროლის დაწესება და როგორმე შეენარჩუნებინათ ტყვარჩელის რაიონი.

საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე აფხაზებმა თავდაცვითი პოზიციები გაამაგრეს რუსეთის სამხედრო ბაზასთან ახლოს და იქვე განალაგეს საარტილერიო

[1] თამაზ ნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს.., გვ. 65.
[2] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 374.

სისტემები, საიდანაც ბომბავდნენ ქალაქ სოხუმსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მებრძოლთა თავდაცვით პოზიციებს. ქართული მხარის ნებისმიერი მცდელობა კონტრბატარეული ცეცხლით ჩაეხშოთ მოწინააღმდეგის აქტივობა რუსების მხრიდან საპასუხო რეაქციას იწვევდა ხოლმე.[1] 26 ოქტომბრის ბრძანებით, რუს სამხედროებს მიეცათ უფლება ცეცხლისთვის ცეცხლითვე ეპასუხათ. რუსები თვლიდნენ, რომ ქართველების მხრიდან განხორციელებული მსგავსი შეტევები აუცილებლად უნდა დასჯილიყო და ისინი შეუწყნარებლები იქნებოდნენ მსგავსი აქტების მიმართ.[2] „მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების არაერთგზისი მოთხოვნისა, მოსკოვს დაუყოვნებლივ დაეწყო ეშერიდან ე.წ. „ლაბორატორიის“ ევაკუაცია, რათა აეცდინათ რუსულ სამხედრო შენაერთებთან შეჯახება, კრემლი ჯიუტად უარზე იდგა. სრულიად ნათელი იყო, რომ „ლაბორატორიის ფაქტორი“ თანდათანობით იქცეოდა მთავარ „კოზირად“ რუსი სამხედროების ხელში, რომელიც აძლევდა მათ საშუალებას, თითქმის ღიად აღმოეჩინათ დახმარება სეპარატისტებისთვის. „საქმეში“ ჩაერთო რუსული ბომბდამშენები, სეპარატისტებმა კი მთელს მსოფლიოს მოსდეს მორიგი მითი: თურმე არა რუსული, არამედ „აფხაზური ავიაცია“ ბომბავდა ქართულ პოზიციებს“.[3]

1992 წლის 29 აგვისტოს ქართული შენაერთები 600 სამხედრო მოსამსახურით, 3 ტანკითა და 6 ქვეითთა საბრძოლო მანქანით გუმისთის ფრონტზე გადავიდნენ შეტევაზე, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზი, გადალახეს მდინარე გუმისთა და დაიკავეს სოფელი აჭანდარა და რამდენიმე სტრატეგიული სიმაღლე. მიღწეული წარმატების განვრცობის მიზნით დაიწყო შეტევა გუდაუთის მიმართულებით, თუმცა გუდაუთაში განლაგებული რუსული სამხედრო-საჰაერო ჯგუფისა და ეშერის სამხედრო-კვლევით ლაბორატორიაში განლაგებული რუსული ქვეითი ბატალიონის სინქრონული დარტყმების შედეგად ქართველთა შეტევა ბლოკირებულ იქნა. ქართველთა მხრიდან დიდი იყო დანაკარგები: 40 დაღუპული სამხედრო მოსამსახურე, სამივე ტანკი და 4 ჯავშანტრანსპორტიორი.[4]

---

[1] მძიმე არტილერიით გახსნილი ცეცხლი სიზუსტის სიმცირის გამო იყო შემთხვევები, როდესაც ჭურვები რუსების ბაზაზე ხვდებოდა. პოზიციების გასანადგურებლად უფრო ზუსტი, სუ-25ის აფრენაზე კი რუსები უფრო დიდ პროტესტს გამოხატავდნენ.

[2] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 28.

[3] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 375.

[4] დაზმირ ჯოჯუა. „რუსეთი და 1992-1993 წლების ომი.., გვ. 148.

იმის გამო, რომ ქართული მხარე ფლობდა აბსოლუტურ სამხედრო-პოლიტიკურ უპირატესობას, რუსეთის მხარემ გადაწყვიტა დროებითი, მოჩვენებითი სამშვიდობო შეთანხმება დაედებინებინა ორ მხარისთვის, რათა ამით, ერთის მხრივ, მოედუნებინა ქართველები, დაესუსტებინა მათი საბრძოლო პოზიციები, მეორეს მხრივ კი – უკეთ მოემარაგებინა აფხაზური მხარე, დახმარებოდა მათ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური რესურსით და ხელახლა, მოულოდნელად დასხმოდა თავს ქართველ მებრძოლებს. შესაბამისად, 1992 წლის 3 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ბორის ელცინის ინიციატივით, საქართველოს სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე მოლაპარაკებების მიზნით ეწვია მოსკოვს.[1] მოლაპარაკებებს ესწრებოდა აფხაზური მხარე, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და მხარეების ხელმძღვანელობაც. გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის პირველი მუხლის თანახმადაც, 1992 წლის 5 სექტემბრისთვის უნდა შეწყვეტილიყო საომარი მოქმედებები კონფლიქტის რაიონში. ამავდროულად, კონტროლისა და ინსპექტირების კომისიას უნდა უზრუნველეყო აფხაზეთში განლაგებული შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება და დაშლა, აგრეთვე მკაცრად გაეკონტროლებინა უცხო შეიარაღებული ფორმირებებისა და ჯგუფების არდაშვება აფხაზეთის ტერიტორიაზე. შეთანხმების მეცხრე მუხლის მიხედვით კი, საქართველოსა და აფხაზეთში დროებით დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები დაიცავდნენ მკაცრ ნეიტრალიტეტს და არ მიიღებდნენ მონაწილეობას საშინაო კონფლიქტში. საქართველოსა და აფხაზეთის ხელისუფლებები ვალდებული იყვნენ, პატივი ეცათ რუსეთის ნეიტრალიტეტისთვის და არ განეხორციელებინათ მათი, მათი ოჯახებისა და ქონების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებები. მეთერთმეტე მუხლი კი ავალდებულებდა რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს, მხარეებს და ოლქებს, მიეღოთ ეფექტური ზომები, რათა მათი ტერიტორიებიდან არ განხორციელებულიყო ისეთი ქმედებები, რაც ხელს ეწინააღმდეგებოდა ამ ხელშეკრულების შესრულებას და მშვიდობას რეგიონში.[2] ასევე, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერით რუსეთმა აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ურღვეობა. შესაბამისად ეს შეიძლება ითქვას ახლად

[1] Владимир Кузнечевский. «Кинжалы вножни госпада.» российская газета, 1992 г 3 сентябрь.
[2] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 81,83.

წარმოქმნილი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პირველი გამარჯვება იყო საერთაშორისო ასპარეზზე. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებდა ქართული შეიარაღებული ძალების გარკვეული კონტინგენტის დატოვებას აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც იძლეოდა საშუალებას სიტუაციის კონტროლისა და რეგიონში სიმშვიდისა თუ სტაბილურობის შენარჩუნებისთვის.[1]

მიუხედავად რუსეთის პრეზიდენტის მიერ დასმული ხელმოწერისა, რუსეთის დიპლომატიისთვის დამახასიათებელი სტილი საქართველოსთან მიმართებაში იგივე დარჩა, ანუ რუსულ მხარეს არ გაუტარებია ქმედითი ღონისძიებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვისთვის. პირიქითაც კი შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთგვარი იძულებითი პაუზა, რათა ქართული მხარის აგვისტოს მოვლენების შემდეგ რადიკალურად უპირატესი მდგომარეობის ნიველირება მოეხდინათ, გაეძლიერებინათ აფხაზური მხარე[2] და მოულოდნელი იერიშით მიეღწიათ ოპერატიული გარღვევისთვის.

უკვე 5 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ შეთანხმების თანახმად დატოვა პოზიციები, აფხაზებმა დაარღვიეს შეთანხმება სოხუმის რაიონში. არ წყდებოდა დაპირისპირებები გაგრის ზონაშიც, სადაც კოლხიდის მიდამოებში 14 სექტემბერს გაიმართა მძიმე შეტაკებები ორმხრივი მხვერპლით.[3] 16 სექტემბერს კი აფხაზებმა მიიღეს დადგენილებები, „აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შეიარაღებული ძალების აგრესიის შესახებ“ და „აფხაზი ხალხის გენოციდის შესახებ“, რომლებშიც ქართულ მხარეს ადანაშაულებდნენ აგრესიის დაწყებაში, ბრალს დებდნენ ომის გაჩაღებასა და აფხაზი ერის გენოციდის მცდელობაში.[4]

1992 წლის მოსკოვის შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ, მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, დააპატიმრა მთიელ

---

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 379.

[2] აღნიშნულს ადასტურებს ჰუმან რაით ვოჩი თავის ანგარიშშიც, სადაც აღნიშნავს, რომ შესაძლებელია აფხაზებმა მართლაც შეძლეს შეიარაღების მოპოვება რუსული ბაზების ძარცვით ან სხვა არაოფიციალური საშუალებებით, მაგრამ აფხაზების შეიარაღებულ ძალებში, რომლებიც მანამდე მსუბუქად იყვნენ შეიარაღებულები და ოქტომბერ-დეკემბერში უცბად აღმოჩნდნენ დაჯავშნილი ტექნიკით, ტანკებითა და მძიმე არტილერიით შეიარაღებულები, არ იწვევს ეჭვს იმის შესახებ, რომ მათ რუსებმა გადაწყვიტეს მათი შესაბამისი ტექნიკით მომარაგება. რეგიონში ქართველების გარდა აღნიშნული სახის იარაღს მხოლოდ რუსები ფლობდნენ. Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 18.

[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 130.

[4] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 130..

ხალხთა კონფედერაციის ასაბლეის ლიდერი, მ. შანიბოვი. თუმცა, ანტიქართული განწყობებით გამორჩეული დეპუტატის, სერგეი ბაბურინის ინიციატივით მოსკოვში, 25 სექტემბერს შედგა უმაღლესი საბჭოს დახურული სხდომა,[1] რომელმაც მიიღო საქართველოს საწინააღმდეგო დადგენილება და მოითხოვა: „1. საქართველოს ხელისუფლებამ, რომელმაც ძალადობრივი მეთოდებიც სცადა აფხაზეთში შექმნილი პრობლემების მოგვარება გამოიყვანოს შეიარაღებული ძალები აფხაზეთის ტერიტორიიდან და პატივი სცეს ადამიანის უფლებებს. 2. რუსეთის ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა არ გამოიღო შედეგი და აფხაზეთში ჯერჯერობით ვერ დამყარდა მშვიდობა... 3. რეგიონში მშვიდობის დამყარების მიზნით დაიწყოს დამატებითი მოლაპარაკებები რუსეთის, საქართველოს, აფხაზეთისა და მოსაზღვრე რუსეთის ფედერაციაში შემავალი სუბიექტების მონაწილეობით. 4. რუსეთის შეიარაღებული ძალები გამოყენებულ იქნას როგორც სამშვიდობო კონტინგენტი და უზრუნველყოს დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორება. შეჩერდეს საქართველოსთვის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, ტყვია–წამლის გადაცემა. შეწყდეს საქართველოსთან დადებული კონტრაქტით გათვალისწინებული შეიარაღების და სხვა სახის სამხედრო ტექნიკის მიწოდება. შეწყდეს იარაღისა და სამხედრო ტექნიკის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის მიწოდება. კონფლიქტის დარეგულირებამდე თავი შეიკავოს საქართველოსთან ეკონომიკური ხელშეკრულებების დადებისგან. 5. 1992 წლის 10 ოქტომბრამდე ჩამოყალიბდეს მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც შეისწავლის კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენებს. 6. შეიქმნას საერთაშორისო კომისია, რომელიც შეისწავლის აფხაზების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს“.[2]გარდა ამისა, უმაღლესი საბჭოსა და რუსი დეპუტატების „მეცადინეობების“ შედეგად, 1992 წლის 27 სექტემბერს რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი მუსა შანიბოვი, რასაც იმავე დღეს მოჰყვა ვ. არნძინბას ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება, შეეჩერებინა მთიელ ხალხთა

[1] «Закрытое заседание Верховного Совета.» российская газета, 1992 г 26 сентябрь.

[2] Постановление Верховного Совета Российской Федерации Об обстановке на Северном Кавказе в связи с событиями в Абхазии. российская газета. 29 сентябрь, 1992.

კონფედერაციის ჯარების გაყვანა აფხაზეთიდან.[1]

მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტაზე ხელმოწერისა, დაპირისპირება გრძელდებოდა გაგრასთან და ოჩამჩირის რაიონში. 28 სექტემბერს, საღამოს, სოფელ კოლხიდასთან აფხაზებმა და დაქირავებულმა ბოევიკებმა შეტევა განაახლეს ქართული ჯარის პოზიციებზე. 30 სექტემბერს უკვე ოჩამჩირეში ისმოდა სროლების ხმა, სადაც 9 ქართველი მეომარი დაიჭრა პარტიზანებთან ბრძოლაში.[2] რუსული პრესა აქტიურად აშუქებდა ინფორმაციას, თუ სექტემბრის ბოლო რიცხვებში ქართული ვერტმფრენი როგორ ბომბავდა ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონის სოფლებს.[3]

აფხაზეთში სიტუაციის დაძაბვის მიუხედავად, დასავლეთ საქართველოში დაპირისპირება დამხობილ პრეზიდენტის ერთგულ მომხრეებსა და სახელმწიფოს საბჭოს შორის კვლავ გრძელდებოდა. 30 სექტემბერს სამთავრობო ძალებმა დაიკავეს ქ. სენაკი, თუმცა 1 ოქტომბერს ზ. გამსახურდიას შეიარაღებულმა ფორმირებებმა აიღეს ქ. ხობი.[4]

10-30 სექტემბერს, მოსკოვის შეთანხმების შესრულების მიზნით, ქართულმა მხარემ გაგრის რაიონიდან შეიარაღებული ფორმირებების დიდი ნაწილი გაიყვანა და იქ მხოლოდ ადგილობრივი მოხალისეები და რამდენიმე ასეული ჯარისკაცი დარჩა. 2-3 ოქტომბერს აფხაზთა, ჩრდილო კავკასიელთა და რუსთა გაერთიანებულმა შენაერთებმა, დაახლოებით 3000-4000 მებრძოლმა,[5] რომლებმაც სპეციალური წვრთნა გაიარეს ქალაქ ფსკოვში,[6] რუსული თანამედროვე ტექნიკით, ტანკებით, ავიაციით შეუტიეს გაგრას. პარალელურად, რუსულმა გემებმა გადაკეტეს საზღვაო აკვატორია და მოხდა გაგრის სრული იზოლირება. გაგრის აღების ოპერაციაში მონაწილეობდნენ სამხედრო გემები: «Безукоризненный», «Киль-25», «Дон», «Головин», «ВТН-38», «ВМ-66», ასევე 345-ე სადესანტო ბატალიონი, 529-ე საავიაციო და 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკები.[7] აღსანიშნავია, რომ სეპარატისტთა და მათი მოკავშირეების მიერ შეტევის დაწყებამდე რუსმა სამშვიდობოებმა, რომელთა სადამკვირვებლო პუნქტები 3

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 131.
[2] აფხაზეთის ამბები. დრონი. 1992 წლის 2 ოქტომბერი.
[3] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 25.
[4] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 131.
[5] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 26.
[6] გიორგი ყარყარაშვილი,. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მთელი ცხოვრება უნდა ვიბრძოლოთ. დრონი. 1992 წლის 30 ოქტომბერი.
[7] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 131–132.

სექტემბრის შეთანხმების შესაბამისად განლაგებული იყვნენ გაგრის რაიონში, დატოვეს პოზიციები და დაუბრუნდნენ თავიანთი ძალების დისლოკაციის ადგილს. აღნიშნულ ოპერაციას პირადად ხელმძღვანელობდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი მ. კოლესნიკოვი. ძალებს ამ ოპერაციაში საბრძოლო მასალებით ამარაგებდა გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზა და შავი ზღვიდან კი ტანკერები, რომლებმაც დიზელის საწვავი და ბენზინი მიაწოდეს სეპარატისტებს.[1] გაგრის აღების ოპერაციისას აფხაზებს სახმელეთო და საჰაერო მხარდაჭერასთან ერთად ზურგს რუსული საზღვაო ძალებიც უმაგრებდნენ, რომლებიც აკონტროლებდნენ შავი ზღვის აკვატორიას და დავალებული ჰქონდათ, არ დაეშვათ ქართული მაშველი დესანტის გადასხმა გაგრა-განთიადის მიმართულებაზე.[2]

გაგრის აღების შემდეგ, 2 ოქტომბერს ასობით ქართველს გაუსწორდნენ ადგილობრივ სტადიონზე. კლავდნენ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, ვინც კი ქართველებს იფარებდა. მოგვიანებით კი, სოფელ ლესელიძეში ჩამოახრჩვეს 50-ზე მეტი ქართველი.[3] გაგრის დათმობის შემდეგ ქართული შეიარაღებული ძალები ყველანაირად ცდილობდნენ, არ დაეშვათ აფხაზური მხარის შემდგომი წინსვლა, დაიხიეს განთიადისკენ და ქუჩის ბრძოლებით ცდილობდნენ მტრის შეკავებას. მთავარი ამოცანა იყო, არ დაკარგულიყო საქართველო-რუსეთის საზღვრის მონაკვეთის კონტროლი, რაც ერთი-ორად გაართულებდა ქართულ პოზიციებს. სიტუაციის დაძაბვის გამო ედუარდ შევარდნაძე ჩაფრინდა ჯერ სოხუმში, იქიდან კი ლესელიძეში. უკან დაბრუნებისას მის ვერტმფრენზე რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავმა განახორციელა შეტევა და კინაღამ ჩამოაგდო.[4]

3 ოქტომბერს, მ. შანიბოვის აქტიური მონაწილეობით, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის საგანგებო ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, გაეფართოებინათ სეპარატისტების მხარდაჭერა აფხაზეთში და მხარი დაუჭირეს კაზაკების მონაწილეობას. 18 ოქტომბრის შანიბოვი უკვე გუდაუთაში ჩამოვიდა და იქ

---

[1] დაზმირ ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009, გვ. 173-174.

[2] აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ხომალდების ჯგუფის მეთაურის კაპიტან ვ. ფომინის პატაკი, სადაც იგი აღნიშნავს რომ გენერალ-პოლკოვნიკ გ. კონდრატიევისგან მიიღეს შემდეგი ამოცანა: 1. არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან საზღვაო დესანტის გადმოსხმა საქართველოს მხრიდან ბიჭვინთის რაიონში. თუ საჭირო იქნება, გამოიყენონ იარაღიც. 2. განხორციელდეს გუდაუთის აეროპორტის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა. ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 208.

[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 167.

[4] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 383.

ჩამოაყალიბა თავისი ოპერატიული შტაბი.[1]

გაგრის მოვლენებამდე აფხაზეთის ქართული მოსახლეობა ცდილობდა, იარაღით ხელში არ დაპირისპირდებოდა აფხაზურ მხარეს, თუმცა გაგრაში დატრიალებულმა ტრაგედიამ მთლიანად შეცვალა ყველაფერი. აფხაზეთის მცხოვრები ქართველები მასიურად წავიდნენ მოხალისეებად და ჩამოაყალიბეს 23-ე და 24-ე ბრიგადები. შესაბამისად, აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ქართული ნაწილების უკეთესად კოორდინირების მიზნით შეიქმნა ერთიანი, მთავარი შტაბი გენერალ-მაიორ ავთანდილ ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით.[2]

გაგრის ოპერაციის შემდეგ, აფხაზებმა და მათმა მოკავშირეებმა გადაწყვიტეს წარმატების განვრცობა და დაიწყეს შეტევა გუმისთის ფრონტზე, სოფელ კამანისა და შრომის მიმართულებით, თუმცა ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს მათი შეჩერება.[3] 5 ოქტომბერს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს ქართული Ми-8 და მოგვიანებით, 13 ოქტომბერს – Су-25.[4]

6 ოქტომბრისთვის სეპარატისტებმა წარმატებით დააგვირგვინეს საბრძოლო მოქმედებები ლესელიძე-განთიადის[5] მიმართულებით, დაძლიეს ადგილობრივი მოხალისეების წინააღმდეგობა და საბოლოოდ გავიდნენ საქართველო-რუსეთის საზღვარზე.[6] შედეგად, აფხაზური მხარი მთელი დარჩენილი კონფლიქტის განმავლობაში უპრობლემოდ იღებდა დახმარებას როგორც იარაღითა და ტყვია-წამლით, ასევე ადამიანური რესურსით რუსეთის საზღვრის ამ მონაკვეთიდან. ჩრდილო კავკასიელებსაც აღარ სჭირდებოდათ მთის რთული გადმოსასვლელებით სარგებლობა. გაიზარდა მათი ნაკადიც და წარმომადგენლობითობაც აფხაზეთის ომში. 6 ოქტომბერს, თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე ედუარდ შევარდნაძემ ბრალი დასდო რუსულ გენერალიტეტს საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში. ე. შევარდნაძე აცხადებდა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედი გენერლების კონტრადიევისა და სუნგუტკინის დაქვემდებარებული ქვედანაყოფები

---

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 132-133.
[2] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 384-385.
[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 132.
[4] გერონტი გასვიანი და თორნიკე გასვიანი. აფხაზეთის ომი.., გვ. 178.
[5] დაზმირ ჯოჯუა. „1992-1993 წლების ომი აფხაზეთში.“ აფხაზეთის (საქართველოს) ისტორიის საკითხები-ში, ჯემალ გამახარია, ლია ახალაძე და დაზმირ. ჯოჯუა მიერ, 289-300. თბილისი: მერიდიანი, 2018, გვ. 291.
[6] დაზმირ ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში.., გვ. 175.

მონაწილეობდნენ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო კონფლიქტში და, შესაბამისად, მათ აკისრებდა პასუხისმგებლობას გაგრის ტრაგედიაზე. იგი რიტორიკულ კითხვას სვამდა, საიდან აღმოჩნდა T-72 და T80 ტიპის ტანკები და ისეთი ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები აფხაზი სეპარატისტების ხელში, რომლებიც შეიარაღებაში დამოუკიდებელ საქართველოს არმიასაც კი არ ჰქონდა. გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის მეთაურობის მიერ ქართველი მფრინავებისთვის საბრძოლო გაფრენების აკრძალვა რუსების მხრიდან აფხაზეთის ომის ქართველთა საწინააღმდეგო ჩარევის კიდევ ერთ ფაქტსწარმოადგენდა. ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა შეშფოთება ასევე ბ. ელცინის გამონათქვამზე, რომ რუსეთი ყველანაირად ეცდებოდა, დაეცვა საქართველოში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობა.[1]

გუმისთაზე წარუმატებელი შეტევისა და ფსოუზე გასვლის შემდეგ, აფხაზებმა გადაწყვიტეს, სოხუმის მხარე ჩაეკეტათ ოჩამჩირის მიმართულებითაც, თუმცა 26 ოქტომბრისთვის ქართულმა შენაერთებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე და უკუაქციეს. აფხაზებმა ამჯერად უარი თქვეს ოჩამჩირის აღებაზე და უკან დაიხიეს.[2] მეორე დღეს, 27 ოქტომბერს, ცაში კვლავ გამოჩნდა რუსული მოიერიშე სუ-25, რომელმაც ქართულ პოზიციებს შეუტია.[3]

3 ნოემბერს დასაწყისში აფხაზები კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე გუმისთის მიმართულებით, თუმცა კვლავ წარუმატებლად. სამაგიეროდ, დაბომბვების შედეგად დიდი შეფერხებები იყო წყალმომარაგების მხრივ.[4] 5 ნოემბერს რუსეთის სუ 25-ის ტიპის ორმა გამანადგურებელმა ცეცხლი გაუხსნა გუმისთაზე განლაგებულ ქართულ ბატალიონს.[5]

ნოემბრიდან მოყოლებული სეპარატისტები დაუღალავად აგრძელებდნენ დასახული ამოცანების შესრულებას. ისინი გამუდმებით ბომბავდნენ მდ. გუმისთის გასწვრივ ქართულ პოზიციებსა და ქალაქ სოხუმს. თუ პოზიციების საარტილერიო დაბომბვისას გარდაცვლილთა რაოდენობა მინიმალური იყო იქ შექმნილი სპეციალური თავდაცვით ნაგებობების გამო, სოხუმის საცხოვრებელი უბნების

---

[1] Бесик Уригашвили. Вечером 6 октября в Тбилиси состоялась пресс-конференция Э. Шеварднадзе. Известия. 1992 7 Октябр.

[2] დაზმირ ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში.., გვ. 177.

[3] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 29.

[4] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 32.

[5] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 133.

საარტილერიო დაბომბვა, დიდი რაოდენობით მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის აფხაზების სიცოცხლეს იწირავდა. პარალელურად, სეპარატისტთა დივერსიული ჯგუფები აქტიურად მოქმედებდნენ ოჩამჩირის რაიონში. ქართველი მეომრების არასაკმარისი რაოდენობის გამო შეუძლებელი იყო ტყვარჩელის ბლოკადის სრულფასოვანი განხორციელება, რის გამოც გარკვეულ პოზიციებზე აფხაზი ბოევიკები უპრობლემოდ გადაადგილდებოდნენ და აწყობდნენ სხვადასხვა სახის დივერსიებს ქართველთა საკომუნიკაციო ხაზებზე. ერთ-ერთი მსგავსი ქმედების დროს წყობიდან გამოიყვანეს ელექტროგადამცემი ხაზი და ელექტროენერგიით მომარაგება შეუწყვიტეს სოხუმსა და გულრიფშს.[1] შესაბამისად, 1992 წლის 16 ნოემბერს თბილისი-სოხუმის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე კონტროლის დაკარგვის რეალური საფრთხის გამო, აღნიშნული მაგისტრალის განთავისუფლებისა და დაცვის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით დაიგეგმა ოპერაცია კოდური სახელით „მაგისტრალი“, რომელიც უნდა დაწყებულიყო 1992 წლის 25 ნოემბერს.[2]

15 და 18 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციის საჰაერო ძალებმა კვლავ განახორციელეს რეიდები ქართული პოზიციებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. 15 ნოემბერს დაიბომბა საჯარისო ნაწილებისა და სამხედრო პოლიციის პოზიციები, ხოლო 18 ნოემბერს დასახლებულ პუნქტ კელასურზე საჰაერო თავდასხმის შედეგად მსხვერპლი იყო მშვიდობიან მოსახლეობაში.[3] 19 ნოემბერს დაიდო სპეციალური ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც 28 ნოემბრისთვის რუსებმა სოხუმიდან გაიყვანეს თავიანთი ქვედანაყოფები, რომლებიც იქ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იყვნენ დარჩენილი.[4] ნოემბრის განმავლობაში რუსებმა დაიწყეს სასწავლო ცენტრების გახსნა აფხაზეთის ტერიტორიაზე და აფხაზი სეპარატისტების გადამზადება. ერთ-ერთი სასწავლო ცენტრი, სადაც მიმდინარეობდა აფხაზი სეპარატისტების ინტენსიური გადამზადება იყო სოფელი ჭლოუი, ოჩამჩირის რაიონი. 29-30 ნოემბერს აფხაზებმა აიღეს ოჩამჩირის ყველაზე დიდი ქართული

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 388.
[2] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 90-91.
[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 134.
[4] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 30.

სოფელი – კოჩარა, სადაც დახოცეს 235 მშვიდობიანი მცხოვრები და გადაწვეს ათასზე მეტი სახლი.[1]

ნოემბრის თვეში განვითარებული მოვლენებისა და შექმნილი სიტუაციის გამო საქართველოს ხელისუფლებამ სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონებში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. აფხაზი სეპარატისტები კი დეკემბრის თვეშიც ჩვეულად აგრძელებდნენ როგორც გუმისთის ფრონტზე ფრაგმენტულ ბრძოლებს, ასევე დივერსიულ აქტებს სხვადასხვა მიმართულებებზე, რაშიც მათ აქტიურად ეხმარებოდნენ გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები.

1992 წლის დეკემბრის დასაწყისში, გ. ყარყარაშვილის შტაბში შეიმუშავეს ქ. ტყვარჩელის აღების გეგმა, რომლის თანახმადაც ქართულ შენაერთებს უნდა დაეკავებინათ აღმოსავლეთის ფრონტის ორი სოფელი, აფხაზური ათარა და სომხური ათარა, შემდეგ კი ტყვარჩელის მიმართულებით დაეწყოთ შეტევები. ქართული შეიარაღებული ძალების მიერ აღნიშნული სოფლების დაკავების შემდეგ რუსულმა სამხედრო-საჰაერო ძალებმა 10 დეკემბერს დაბომბეს მდინარე კოდორის ხიდი და მიმდებარე ტერიტორიები. მნიშვნელოვანი მსხვერპლის გამო ქართულმა შენაერთებმა უკან დაიხიეს.[2]

სამხედრო მოქმედებების პარალელურად აქტიურად მიმდინარეობდა რუსეთის მიერ წარმართული ანტიქართული საინფორმაციო ომი. რუსულმა მედიისა[3] და ანტიქართული განწყობით გამორჩეულმა პარლამენტარებმა იმდენი მოახერხეს, რომ რუსეთში შეიქმნა მკვეთრად ანტიქართული განწყობილება. ამას დაემატა რუსეთის მასმედიით გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ 14 დეკემბერს, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს რუსული ვერტმფრენი, რომელსაც ტყვარჩელიდან გუდაუთაში გადაჰყავდა სამოქალაქო პირები. დაღუპულთა რიცხვმა მიაღწია 64 კაცამდე, მათ შორის იყო ოცდახუთი ბავშვი. აღნიშნული ინციდენტის გამოყენება დაიწყეს რუსულმა სახელისუფლებო სტრუქტურებმა იმისთვის, რომ დაესაბუთებინათ რუსეთის სპეციალური უფლებები და ვალდებულებები ჩარეულიყო კონფლიქტში სამშვიდობოების რანგში და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 170.

[2] დაზმირ ჯოჯუა. სოხუმის დაცემა. თბილისი: ირიდა, 2014, გვ. 87.

[3] რუსული მედიის მიერ გავრცელებული ანტიქართული ინფორმაციები აღწევდა ქართულ პრესაშიც და კონფლიქტთან და მის მიმდინიარეობასთან დაკავშირებული მრავალი არასწორი ინფორმაცია იბეჭდებოდა, რის გამოც სახელმწიფო საბჭო იძულებული გახდა დაეწესებინა ცენზურა.

უსაფრთხოების გარანტორის როლი ეკისრა.[1] 1992 წლის 15 დეკემბერს კი გულრიფშის რაიონის სოფელ ლათასთან რუსეთის შვეულმფრენი, რომელსაც იარაღი და საბრძოლო მასალა გადაჰქონდა ტყვარჩელში გუდაუთაში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზიდან, ქართველმა გლეხებმა ჩამოაგდეს სანადირო თოფებით.[2] 11 დეკემბერს დივერსანტებმა სცადეს ენგურის ხიდის აფეთქება, თუმცა უშედეგოდ.[3] დეკემბერშივე, რუსეთის საჰაერო–სადესანტო ჯარების მეთაურის ბრძანებით, აფხაზეთში გადასხეს სპეციალური ოპერაციების ბატალიონის 450 სამხედრო მოსამსახურე 30 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანით და 6 ერთეული მი-24 ტიპის ვერტმფრენით. ამავე პერიოდში გუდაუთაში შევიდა 12-ვაგონიანი ეშელონი, რომელიც დატვირთული იყო ჯავშანტექნიკით.[4]

გაჭიანურებულმა საომარმა მოქმედებებმა და ფაქტმა, რომ აფხაზების ხელში ყოველდღიურად ახალ-ახალი თანამედროვე ტიპის რუსული წარმოების იარაღი და სამხედრო ტექნიკა ხვდებოდა, აიძულა ქართული მხარე, უფრო რადიკალური განცხადებები გაეკეთებინა რუსეთთან დაკავშირებით. შესაბამისად, 1992 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გამოსცა განცხადება, სადაც მკაცრად იყო გაკრიტიკებული რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა აფხაზეთის ომთან მიმართებაში და უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა. რუსეთის უზენაესი საბჭო პირდაპირ იყო დადანაშაულებული ქართული მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დახვრეტისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკის წარმოებაში აფხაზური მხარის მიერ, რადგანაც ეს იყო პროვოცირებული და ფაქტობრივად სანქცირებული უზენაესი საბჭოს დეპუტატების მრავალი ანტიქართული განცხადებებით. ქართული მხარის მტკიცებით, რუსების მიერ აპელირება იმაზე, რომ ისინი აუცილებლად დაიცავდნენ რუსულენოვან მოსახლეობას, აბსურდული იყო, და საომარი მდგომარეობის პირობებშიც კი საქართველოში რუსულენოვან მოსახლეობას არაფერი ემუქრებოდა.[5]

---

[1] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 30. აღნიშნულ ვერტმფრენს უნდა მოეხდინა ძალთა როტაცია და გუდაუთაში გადაეყვანა ე.წ. „აღმოსავლეთის ფრონტის“ სარდალი ვლადიმერ ანცუპოვი თავისი ოცეულით. ბოლო მომენტში სამხედროებს დაემატა ათობით სამოქალაქო პირიც, რის შესახებაც ქართულ მხარეს მონაცემები უკვე არ ჰქონდა – ბ.შ.

[2] გერონტი გასვიანი და თორნიკე გასვიანი. აფხაზეთის ომი.., გვ. 180.

[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 136.

[4] დაზმირ ჯოჯუა. „რუსეთი და 1992-1993 წლების ომი.., გვ. 157.

[5] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 107-108.

დოკუმენტში პირდაპირ იყო მოყვანილი უამრავ ფაქტთაგან რამდენიმე, რომელიც მოწმობდა რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზების მხარეს საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობას: „ამა წლის 2 და 9 დეკემბერს რუსეთის არმიის უშუალო მონაწილეობით დაიბომბა სოხუმისა და მისი შემოგარენის საცხოვრებელი უბნები, პირდაპირი დამიზნებით ჭურვები დაუშინეს სოხუმის ბაზრის ტერიტორიას, რასაც მოჰყვა სრულიად უდანაშაულო 13 სამოქალაქო პირის, მათ შორის რუსი ეროვნების მოქალაქეთა მსხვერპლი... 5 დეკემბერს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ფლოტის ორმა თვითმფრინავმა საჰაერო იერიში მიიტანა გუმისთის პოზიციებზე გამაგრებულ საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე. 10 დეკემბერს რუსეთის ავიაციამ დაბომბა ოჩამჩირის რაიონის სოფელი ახალდაბა, სადაც არავითარი საომარი ოპერაციები არ მიმდინარეობდა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა 11 მოქალაქე... თუმცა. ა.წ. ნოემბრის ბოლოს მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელსაც ქართული მხარე განუხრელად იცავდა და რომლის თანახმადაც რუსეთის შეიარაღებულ ძალებს უნდა დაეტოვებინათ ქალაქი სოხუმი და მისი მიმდებარე ტერიტორია, ეშერის ყოფილ სამხედრო ლაბორატორიაში დღემდე იმყოფებიან რუსი მედესანტეები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებაში. მედესანტეებს არც ქალაქი სოხუმი დაუტოვებიათ. სწორედ ეშერის ლაბორატორიის ტერიტორიიდან დაიბომბა სოხუმის ბაზარი“.[1]

განცხადებაში მკაცრად იყო გაკრიტიკებული რუსეთის სამხედრო ძალების ბატონობა საზღვაო თუ საჰაერო სივრცეში, რაც რეგიონში დიდძალი იარაღის შემოტანისა და, შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის წინაპირობა იყო. სისტემატურად ხდებოდა გუდაუთის სამხედრო ბაზიდან რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ იარაღის, საბრძოლო მასალისა თუ დაქირავებული მეომრების გადაყვანა ტყვარჩელში. სწორედ ერთ-ერთი მსგავსი ვოიაჟის დროს ჩამოვარდა მი-8, რომლის კატასტროფაზე პასუხისმგებლობაც მთლიანად რუსულ მხარეს იყო (6 დეკემბერს რუსეთის შვეულმფრენმა, რომელსაც იარაღი მიჰქონდა და მებრძოლები გადაჰყავდა ტყვარჩელში, კატასტროფა განიცადა ტყვარჩელის მიდამოებში).[2]

განცხადებაში ასევე ნათქვამი იყო: „სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთში

[1] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 107-108.
[2] გერონტი გასვიანი და თორნიკე გასვიანი. აფხაზეთის ომი.., გვ. 180.

დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალები გადაიქცნენ კონფლიქტის მონაწილე მხარედ, რომლებიც მათ მიერ შეიარაღებულ სეპარატისტებთან... ერთად ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის იმპერიულ პოლიტიკას... რუსეთმა წესად აქცია ყველა შემთხვევაში საქართველოს დადანაშაულება, ხშირად კი საკუთარ დანაშაულთა ჩვენზე გადმობრალება... რუსეთის ხელისუფლების მაღალი რანგის ოფიციალური პირი აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის ჯარის ნაწილებს საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად ანიჭებს სამშვიდობო ჯარების სტატუსს და ამავდროულად მაღალი ტრიბუნიდან უაპელაციოდ იმუქრება ამ ჯარის გამოყენებით საქართველოს წინააღმდეგ. რომ არა აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის არმიის ნაწილების პირდაპირი ჩარევა საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, რუსეთის მოქალაქეთა მასობრივი მონაწილეობა სეპარატისტთა საჯარისო ფორმირებებში, ქართველთა და აფხაზთა სამშვიდობო მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდებოდა... მდგომარეობას მკვეთრად ამწვავებენ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“.[1] ზემოთქმულიდან გამომდინარე ქართული მხარე მოითხოვდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს დაეტოვებინათ კონფლიქტის რეგიონი.

ქართული მხარის მკაცრი განცხადებების საპასუხოდ, რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში 1992 წლის 25 დეკემბერს[2] მიიღეს დადგენილება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ქართული მხარის მიერ რუსი სამხედროების სამართლებრივი სტატუსის დარღვევის, რუსი სამხედროების, მათი ოჯახებისა და სხვა რუსულენოვანი მოსახლეობისთვის საფრთხის შექმნის გამო, ასევე 1992 წლის 25 სექტემბრის უზენაესი საბჭოს დადგენილების შესრულების მიზნით, მიმართავდნენ რუსეთის მთავრობასა და პრეზიდენტს, რათა საქართველოს მიმართ გატარებულიყო უმკაცრესი სანქციები, რომ ქართულ მხარეს საბოლოოდ შეესრულებინა აღებული ვალდებულებები და დაეცვა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსების ქონება და უსაფრთხოება.[3]

ახალი წლის დღესასწაულის პერიოდში, აფხაზმა სეპარატისტებმა გადაწყვიტეს, მოეხდინათ ტყვარჩელის დებლოკირება და კვლავ ეცადათ სოხუმის დაკავება,

---

[1] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 109.

[2] აღსანიშნავია, რომ ამ დღეს აფხაზებმა კვლავ სცადეს მდინარე კოდორთან სამი გემით დესანტის გადმოსხმა. российская газета . «горячие точки.» российская газета , 26 декабрь 1992 г.

[3] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 390.

შესაბამისად, 1993 წლის 2 იანვარს მათ დაიწყეს ქალაქის საარტილერიო დამუშავება. აფხაზურმა მხარემ ჯერ მდ. გუმისთაზე ქართველთა პოზიციებს გაუხსნა ტანკებიდან ცეცხლი, შემდეგ კი მოსახლეობასა და მებრძოლებში შიშისა და პანიკის დათესვის მიზნით, ქვემო ეშერიდან გრადის ტიპის დანადგარებიდან საარტილერიო ცეცხლი გაიხსნა სოხუმის საცხოვრებელი უბნის მიმართულებით, რასაც მოჰყვა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. 4-5 იანვარს აფხაზებმა და მათმა მოკავშირეებმა მასირებული შეტევა განახორციელეს სოხუმზე გუმისთის ფრონტიდან, თუმცა 90-ზე მეტი მეომარი და 4 ტანკი დაკარგეს. ქალაქის დაბომბვა მიმდინარეობდა ჰაერიდანაც. კერძოდ, სახმელეთო ბრძოლების პარალელურად, აფხაზებმა და მათმა მოკავშირეებმა დელტაპლანით დაბომბეს ქ. სოხუმის საცხოვრებელი უბანიც.[1]

სოხუმში მიმდინარე ბრძოლების პარალელურად აფხაზური მხარე აქტიურობდა ოჩამჩირის მიმართულებაზეც, სადაც მათ მთავარ მიზანს ტყვარჩელის დებლოკირება და სოხუმის დამცველთათვის ზურგში გასვლა წარმოადგენდა. ამავე პერიოდში, სოხუმის დამცველთა დესტაბილიზაციის მიზნით, აფხაზთა 14-კაციანმა დივერსიულმა ჯგუფმა ააფეთქა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ბოძი, რის შედეგადაც ქ. სოხუმსა და გულრიფშის რაიონებს შეუწყდათ ელექტროენერგიის მიწოდება, რამაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩაყარა არა მხოლოდ ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც აფხაზეთის დედაქალაქს იცავდნენ, არამედ სოხუმისა და გულრიფშის რაიონის მშვიდობიანი მოსახლეობაც. დივერსიული ჯგუფი აქტიურად აგრძელებდა მოქმედებას ქართველთა ზურგში და ცდილობდა მწყობრიდან გამოეყვანა სხვადასხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები, შეეფერხებინათ მომარაგების მიწოდება სოხუმის დამცველებისთვის. შესაბამისად, ქართულმა მხარემ აქტიურად დაიწყო დივერსანტების წინააღმდეგ მოქმედება და 11 იანვარს, აღნიშნული დივერსიული ჯგუფი გალი-ოჩამჩირის საზღვარზე გაანადგურა. პატარ-პატარა შეტაკებები მთელი იანვრის განმავლობაში მიმდინარეობდა ოჩამჩირის რაიონის სოფლებში, რომლის დროსაც აფხაზურმა მხარემ ჩამოაგდო საქართველოს შეიარაღებული ძალების ვერტმფრენი, ქართველებმა კი მოწინააღმდეგის მართვის პუნქტი ააფეთქეს.[2] 1993 წლის 18 იანვარს ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს რუსული მი-8 ტიპის ვერტმფრენი, რომელსაც გადაჰყავდა მებრძოლები

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 137.
[2] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 138-139.

გუდაუთაში. ვერტმფრენის რუსული ეკიპაჟი ტყვედ აიყვანეს.[1]

1992 წლის 10 თებერვალს გამართულ სახელმწიფო თათბირზე, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს მოახსენეს სადაზვერვო ინფორმაცია: „უკანასკნელ ხანს გუდაუთისა და გუმისთის რაიონებში მოხდა სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსული შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია. არსებობს მონაცემები სეპარატისტებისა და მათი მხარდამჭერი შეიარაღებული ძალების სერიოზული ზრახვების შესახებ, ხელში ჩაიგდონ ქ. სოხუმი, გამოიწვიონ სრული დესტაბილიზაცია და ქაოსი მთელს საქართველოში“.[2]

20 თებერვალს, რუსეთის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, სუ-25 თვითმფრინავის მიერ დაიბომბა ქალაქი სოხუმი.[3] რუსული თვითმფრინავების მიერ სოხუმის დაბომბვა გრძელდებოდა მთელი თებერვლის განმავლობაში, გრაჩოვი კი კვლავ ურცხვად ამტკიცებდა, რომ ქართველები ბომბავდნენ თავიანთ პოზიციებს.[4] 24 თებერვალს საქართველოს პარლამენტში კვლავ გაჟღერდა პროტესტი კონფლიქტის ზონაში განლაგებულ რუსეთის საჯარისო ნაწილების მიერ საქართველოს მიმართ აგრესიული მოქმედებისადმი. დეპუტატებმა კიდევ ერთხელ ოფიციალურად ბრალი დასდეს და გამოააშკარავეს რუსების ქმედებები აფხაზეთში,[5] რასაც მოჰყვა საქართველოს პარლამენტის 25 თებერვლის დადგენილება, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი: „დაუშვებლად იქნეს მიჩნეული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის საჯარისო ნაწილების შემდგომი ყოფნა... დაევალოს საქართველოს პარლამენტის

---

[1] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 36. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში რუსულ პრესაში, ისტერიამდე მისული ანტიქართული კამპანია იწყებოდა. რუსები, ამტკიცებდნენ რომ ტყვარჩელში ვერტმფრენები წმინდა ჰუმანიტარული მიზნით იგზავნებოდნენ და ქართველები დისკრიმინაციულ ცეცხლს აწარმოებდნენ, თავს ესხმოდნენ რუს სამხედროებს, ანადგურებდნენ მათ ტექნიკას და პარალელურად ხელს უწყობდნენ ამ ქმედებებით ტყვარჩელის რაიონში ჰუმანიტარული კრიზისის გაღრმავებას.

[2] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები. "საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულუბებისა და განკარგულებების, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებებისა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებების კრებული" (1992-1994წ.N1-4)". თბილისი: სახელმწიფო კანცელარიის სტამბა, 1992.

[3] Сергей Таранов и Бесик Уригашвили. "Бомбардировка сухуми резко осложняет отношения россии с Грузией”. Известия, 1993 г 23 Февраль.

[4] თუმცა, მოგვიანებით რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა, რომელიც თავიდან უარყოფდა რუსული თვითმფრინავის მიერ ქართული პოზიციების დაბომბვას და ამტკიცებდა, რომ ქართველები თვითონვე ბომბავდნენ საკუთარ მშვიდობიან მოსახლეობას, საბოლოოდ აღიარა, რომ ეს ყველაფერი მოხდა მისი ბრძანებით, ეშერის რუსულ სამხედრო–კვლევით ცენტრზე ქართველების მიერ თავდასხმის გამო შურისძიების მიზნით. Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 36.

[5] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 133-134.

თავმჯდომარეს – სახელმწიფოს მეთაურს, აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთან კონფლიქტის ზონიდან რუსეთის საჯარისო ნაწილების გაყვანის თაობაზე“.[1]

მარტის დასაწყისში აფხაზური მხარე კვლავ გააქტიურდა, ამჯერადაც ორ მიმართულებაზე – გუმისთასა და ოჩამჩირეში. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები კვლავ აქტიურად ეხმარებოდნენ სეპარატისტებს და 12 მარტს, სუ-25-მა დაბომბა სოფელ ცაგერას მშვიდობიანი მოსახლეობა, რომლის შედეგადაც გარდაიცვალა 9 ქართველი, მათ შორის 5 ბავშვი. სუ-25-ები აქტიურობდნენ სოხუმშიც. 13 მარტს ისინი აწარმოებდნენ სადაზვერვო გადაფრენებს ქალაქის თავზე, ასევე დაბომბეს ქართული ჯარის პოზიციები მდ. გუმისთაზე.[2] ეს ყველაფერი ცხადყოფდა, რომ რუსული მხარე კვლავ აპირებდა შეტევის დაწყებას და სადაზვერვო ინფორმაციას აგროვებდა, რათა გამოევლინათ ქართული პოზიციების სისუსტეები ოპერაციის შესაბამისად დასაგეგმად. ქართული მხარე ამას აცნობიერებდა, რის გამოც ქვეყნის პირველი პირი 4 მარტს ჩავიდა ქ. სოხუმში და პირადად ხელმძღვანელობდა ქალაქის თავდაცვით ღონისძიებებს.[3]

შესაბამისი სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისა და დიდძალი სამხედრო ტექნიკისა თუ ადამიანური რესურსის მდინარე გუმისთასთან თავმოყრის შემდეგ, აფხაზურმა მხარემ გადაწყვიტა დაეწყო გენერალური შეტევა სოხუმის მიმართულებით. შესაბამისად, მათ ფრონტის ამ უბანზე მოახდინეს თავიანთი ძალების უმრავლესობის მობილიზება. სოხუმზე იერიშისთვის აფხაზებმა დაახლოებით 4000–მდე მებრძოლი მოაგროვეს, ძირითადად აფხაზები, ასევე „ბაგრამიანის“ სომხური, ჩეჩნური, და სხვა ბატალიონები, ყაბარდოელები, რუსები და დაქირავებული ჯგუფები. შეტევა ორ ეტაპად იგეგმებოდა. პირველ ეშელონში შედიოდა 1500-მდე მებრძოლი, დანარჩენი კი მეორე ეშელონში იყო გათვალისწინებული. მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა 750-კაციანი დაჯგუფება, რომლებსაც საჰაერო მხარდაჭერას უწევდნენ რუსული მოიერიშე სუ–25–ები და სასწავლო „ალბატროსის“ ტიპის თვითმფრინავები. საარტილერიო პოზიციებზე განლაგებულები ჰქონდათ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები,

[1] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 134.
[2] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 141.
[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 140.

122მმ-იანი ჰაუბიცები და 120მმ-იანი ნაღმსატყორცნები, ასევე რამდენიმე ათეული ტანკი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა".[1] რუსეთის გენერალური შტაბის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, 65-კილომეტრიან ფრონტის ხაზზე შეტევის მთავარ მიმართულებად ცენტრალური და სამხრეთის 7-კილომეტრიანი მონაკვეთი იქნა არჩეული, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, შეტევა განხორციელდებოდა ორ ეშელონად. პირველები შეტევაში გადავიდოდნენ რუსი სპეცრაზმელები, რომლებიც გაკვალავდნენ გზას და შემდეგ აფხაზები და მათი სხვა მოკავშირეები შეუერთდებოდნენ. ამით არ შემოიფარგლებოდა რუსების მხარდაჭერა. „აფხაზთა ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა რუსული საბრძოლო ავიაცია, სანაპირო ზოლში დაცურავდნენ სასაზღვრო კატარღები, საჰაერო სივრცეს აკონტროლებდა საზენიტო-სარაკეტო სისტემები, მზად იყო რადიო-ელექტრონული ბრძოლისა და დაზვერვის საშუალებები".[2] 14 მარტს აფხაზურმა მხარემ დაიწყო შეტევისწინა საარტილერიო დამუშავება, რომელიც მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა და დაინგრა 20-მდე საცხოვრებელი სახლი. 16 მარტს, შუაღამისას კვლავ განახლდა, როგორც საარტილერიო, ასევე საავიაციო დაბომბვა.[3] იყო დესანტის გადმოსხმის მცდელობაც, როცა გამთენიისას 5–6 საათისთვის, სოხუმთან, კელასურას მიდამოებთან გამოჩნდა მოწინააღმდეგის 5 გემი. თუმცა, ქართველმა არტილერისტებმა სანაპიროდან ცეცხლი გაუხსნეს ხომალდთა ჯგუფს, 2 მათგანი ჩაძირეს, მესამე კი – დააზიანეს. რუსები იძულებულნი გახდნენ, უარი ეთქვათ ქართველების ზურგში დესანტის გადმოსხმაზე.[4] შუაღამისას, სახმელეთო ძალების შეტევის მხარდასაჭერად და საარტილერიო ცეცხლის კარგად კორექტირებისთვის, სუ-25 ტიპის რამდენიმე მოიერიშემ ჩამოყარა მანათობელი და გამანადგურებელი ბომბები. საარტილერიო და საავიაციო დაბომბვა მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა.[5] აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის განმავლობაში რუსული მხარის მიერ ჰაერში ბატონობა ქმნიდა უდიდეს პრობლემას ქართული ქვედანაყოფებისთვის, რადგანაც ჭირდა როგორც მოწინააღმდეგის საარტილერიო

[1] ირაკლი ალადაშვილი. სოხუმისთვის მარტის ბრძოლაში გამარჯვებული ქართული არმია. 12 მარტი, 2012. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://kvirispalitra.ge/article/41142-sokhumisthvis-martis-brdzolashi-gamarjvebuli-qarthuli-armia/

[2] ირაკლი ალადაშვილი. სოხუმისთვის მარტის ბრძოლაში..,

[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 141.

[4] იაგო მელაშვილი. თეთრი არწივის საარტილერიო დივიზიონი. თბილისი: ბერიკა, 2019, გვ. 101-103.

[5] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 141.

პოზიციების განადგურება ქართული მოიერიშეების მიერ, ასევე რუსული მოიერიშეების, რომლებიც გამუდმებით უტევდნენ ქართულ პოზიციებს, ჩამოგდება, რადგანაც ქართულ მხარეს არ გააჩნდა შესაბამისი საჰაერო თავდაცვის ტექნიკური საშუალებები. ასევე, გართულებული იყო საბრძოლო მოქმედებების დროს ვერტმფრენებით ახლო საჰაერო მხარდაჭერა.

16 მარტს, მასიური საარტილერიო და საჰაერო დამუშავების შემდეგ, გამთენიისას, აფხაზური მხარე შეტევაზე გადავიდა, მთავარი დარტყმა განხორციელდა რკინიგზის ხიდის მიმართულებით, მაფორმირებელ მიმართულებებად კი გამოიყენეს აჩადარას ხიდი და სოხუმჰესი. აფხაზებმა შეძლეს მთავარი შეტევის მიმართულებაზე ქართველების პოზიციების გარღვევა და ქალაქში შესვლა, ფრონტის ხაზი გაირღვა აჩადარის ხიდის მახლობლადაც. მტერი აქტიურობდა ზღვიდანაც, კატარღებიდან იბომბებოდა ქალაქი. რეზერვში მყოფმა ქართულმა ქვედანაყოფებმა შეძლეს გარღვეულ უბნებში მოწინააღმდეგის შეჩერება და ფიქსაცია, თუმცა ეს დროებითი მოვლენა გახლდათ, რადგანაც აფხაზები მოკავშირეებთან ერთად რეზერვში მყოფი მეორე ეშელონის ბრძოლაში ჩართვასაც აპირებდნენ და დაიწყეს მისი მომზადება და კონცენტრირება მდინარე გუმისთასთან, წინასწარ მომზადებულ გადმოსასვლელებთან. სწორედ აქ ჩაერთო ქართული არტილერია საქმეში და მდინარის გადმოსასვლელად მომზადებულ მოწინააღმდეგეს თავშეყრის რაიონში გაუხსნა ცეცხლი და ზუსტი დამიზნებით დიდი ზიანი მიაყენეს, მოწინააღმდეგემ დაკარგა 300-400 მებრძოლი, ათასზე მეტი კი დაიჭრა.[1] ეს იყო კონფლიქტის განმავლობაში აფხაზთა ყველაზე მასიური ოპერაცია, რომლის ჩავარდნამაც გამოიწვია მათი დეზორგანიზაცია. ქართველების მხარეს გადავიდა ინიციატივა და დაიწყეს კონტრშეტევაზე გადასვლა, თუმცა, შეტევაზე გადასული ქართველები, რომელთა წინ პანიკაში ჩავარდნილი აფხაზური შენაერთები მასიურად გარბოდნენ, შეაჩერა ზემდგომმა ხელმძღვანელობამ და კონტრშეტევაზე გადასული შენაერთები უკან დააბრუნა.[2] აფხაზური მხარე 17 და 18 მარტსაც ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას. სოხუმში, შუქურის რაიონში გამოჩნდა მათი გემი,

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 141–142.

[2] სანაცვლოდ, 1992 წლის 20 მარტისთვის იყო დაგეგმილი ტყვარჩელზე მასშტაბური იერიშის მიტანა, მოახდინეს კიდეც შესაბამისი რაოდენობის შეიარაღებული ძალების მობილიზაცია და გადასროლა ტყვარჩელის ფრონტზე, თუმცა ამ შეტევის განხორციელებაზეც უარი ითქვა. იაგო მელაშვილი. თეთრი არწივის.., გვ. 114-115.

რომელიც ქართულმა მხარემ ჩაძირა. იყო მცდელობა მდ. გუმისთის კვლავ გადმოლახვის, მაგრამ არტილერიამ ამჯერადაც კარგად დაამუშავა საცეცხლე წერტილები. 18 მარტისთვის ახალი ათონის მხრიდან მძიმე ავტომანქანების კოლონას გაუხსნეს საარტილერიო ცეცხლი და განადგურდა 6 მანქანა.[1]

ამ ბრძოლების დროს, 17 მარტს საქართველოს პარლამენტმა გამოაქვეყნა მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპარლამენტის, მსოფლიო ქვეყნების პარლამენტებისა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს სახელზე, სადაც რუსეთის ხელისუფლებას ბრალს დებდნენ საქართველოსთან გამოუცხადებელი ომის მდგომარეობაში ყოფნაზე: „რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებიდან და საზღვაო ხომალდებიდან იბომბება ქ. სოხუმი და მისი შემოგარენი... 1993 წლის 16 მარტს დაიწყო სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მასირებული იერიში ქ. სოხუმზე. ამ ოპერაციების ხასიათი და მასშტაბი აშკარად მოწმობს, რომ აფხაზ სეპარატისტებს ამოფარებული რუსეთის შეიარაღებული ძალები ხსენებულ ოპერაციაში ასრულებენ გადამწყვეტ როლს, რაც ააშკარავებს რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკას საქართველოს რესპუბლიკის მიმართ“.[2] საქართველოს პარლამენტი აღნიშნავდა, რომ რუსეთის სამხედრო მოქმედებების პოლიტიკური მიზანი იყო საქართველოსგან აფხაზეთის მოწყვეტა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. საქართველოს პარლამენტი მოუწოდებდა მსოფლიო საზოგადოებას რეაგირების გარეშე არ დაეტოვებინათ რუსეთის აგრესიული ქმედებები და არ დაეშვა საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა. „დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიო დემოკრატიული ძალები წინ აღუდგებიან „ბოროტების იმპერიის“ აღორძინებას და ამით უდიდეს საფრთხეს ააცილებენ როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებს, მათ შორის – თვით რუს ხალხს, ასევე მთელ მსოფლიოსაც“,[3] – იყო ნათქვამი პარლამენტის მიმართვაში.

19 მარტს კიდევ ერთხელ აშკარად დადასტურდა რუსეთის მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტში, როცა ოდიშთან ჩამოგდებულ იქნა სუ-27, რომელსაც მართავდა რუსი სამხედრო მფრინავი, მაიორი ვ. შიპკო.[4] ეს იყო მნიშვნელოვანი

---

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 142.
[2] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 144.
[3] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 145.
[4] Николай Бурбыга и Виктор Литовкин. Майор Шипко не бомбил Сухуми Известия, 1993 г 23 март.
სუ–27–ის N11 მფრინავს, მაიორ ა. შიპკოს საბუთებიდან ირკვევა, რომ როსტოვის ოლქ კუშევსკაიადან

გარღვევა აფხაზეთის კონფლიქტის განმავლობაში, რადგანაც ამ პერიოდამდე ქართულ მხარეს უჭირდა მსოფლიო საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ რუსული მხარე აქტიურად ეხმარებოდა აფხაზებს და ხშირ შემთხვევაში თვითონ გამოდიოდა მთავარ აგრესორად. ქართველები აგებდნენ საინფორმაციო ომს რუსეთთან, რომლებსაც ჰქონდათ მეტი რესურსი და, შესაბამისად, უპრობლემოდ გადასცემდნენ თავიანთ ნარატივს. საბოლოოდ ჩამოიმსხვრა რუსეთის თავდაცვის მინისტრის, გრაჩოვის ცინიკური გამონათქვამები იმის შესახებ, რომ ქართველები თვითონ ღებავდნენ თავიანთ თვითმფრინავებს და თავად ბომბავდნენ საკუთარ პოზიციებს. „რუსეთის უშუალო მონაწილეობა ომში იმდენად ცხადი გახდა, რომ ამ ფაქტის კონსტატაცია თვით ოფიციალურმა რუსულმა საინფორმაციო წყაროებმაც დაიწყეს. ერთ-ერთმა ოფიციოზმა „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა რუსეთის მიერ სეპარატისტებისათვის გადაცემული შეიარაღების ასეთი ჩამონათვალი – 72 ტანკი, 20 ჯავშანმანქანა, 12 საარტილერიო ერთეული, მათ შორის „ურაგანისა“ და „გრადის“ ტიპის სარაკეტო დანადგარები“.[1]

1991 წლის 1 აპრილს პარლამენტმა მიიღო დადგენილება და დაადანაშაულა რუსეთი ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის ხელშეწყობაში. მიმართვა გაიგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ქართული პარლამენტი აღნიშნავდა, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ და ემსახურებოდა მისი სუვერენიტეტის ხელყოფას. ამასთანავე, დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების ხელშეწყობით აკონტროლებს გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება, ტარდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც მიიღო ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული გენოციდის სახე“.[2] აღსანიშნავია, რომ 26 აპრილს, ქართულმა ავიაგამანადგურებელმა აფხაზეთის ომის განმავლობაში პირველად და უკანასკნელად ჩამოაგდო ბომბი გუდაუთაში.[3]

---

ის 19 მარტს მივლინებული იყო ქ. გუდაუთაში, სადაც მიიღო კიდეც საბრძოლო დავალება, რომელსაც ემსხვერპლა. თამაზ ნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს.., გვ. 52.

[1] დაზმირ ჯოჯუა. აფხაზეთი 1938-2006 წლებში.., გვ. 187.

[2] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 144.

[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 145. აღსანიშნავია, რომ გუდაუთის ბომბორას აეროდრომის მეთაური ვლადიმირ ვოდოსტოის თანახმად, საქართველოს თვითმფრინავებს ეკრძალებოდათ ბომბორას აეროდრომიდან 70 კმ-იან რადიუსში შესვლა (რაც მოიცავდა მდ. გუმისთის

მარტისა და აპრილის განმავლობაში აფხაზური მხარე და მისი მოკავშირეები აქტიურად აგრძელებდნენ დივერსიულ ოპერაციებს ქართველთა ზურგში. 25 მარტს დივერსიული ჯგუფი ცდილობდა გაერღვია ქართული პოზიციები სოფელ ბესლახუბასთან.[1] ასევე, 31 მარტს, სოხუმში აგენტურული დივერსიის განხორციელების დროს, დააკავეს მოსკოვში დაბანაკებული N48427-ე სამხედრო ნაწილის ლეიტენანტი ა. სიტნიკოვი.[2] მალე, 1 აპრილს ასეთივე ბედი ეწია რუსეთის №2011-ე სამხედრო ნაწილის რადისტ-სერჟანტ ა. ლუნიოვს,[3] რომელიც ასევე სოხუმში იქნა დაპატიმრებული.[4]

27 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დადგენილება „რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე“, სადაც კიდევ ერთხელ იყო ხაზგასმული ფაქტი იმის შესახებ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები აქტიურად მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭო კონფლიქტის მსვლელობისას არაერთხელ ჩაერია საქართველოს საშინაო საქმეებში და მიიღო რამდენიმე ანტიქართული დადგენილება. ქართველი დეპუტატები აცხადებდნენ: „რუსეთის ჯარისა და აფხაზი სეპარატისტების დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილი აქვს ქართული მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას. საქართველოს პარლამენტს მოვლენათა ტრაგიკული განვითარების უმთავრეს მიზეზად მიაჩნია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობა“.[5] შესაბამისად, ქართული მხარე მოითხოვდა რუსეთის ფედერაციისაგან დაუყოვნებლივ გაეყვანა თავისი შეიარაღებული ძალები აფხაზეთიდან, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აფხაზეთის კონფლიქტის ზონა „მდინარე გუმისთის ჩრდილო-

---

პოზიციებს). მის დარღვევის შემთხვევაში რუს მფრინავებს ბრძანება ჰქონდათ, ჩამოეგდოთ მოწინააღმდეგე. თამაზ ნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს.., გვ. 117.

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 144.

[2] ლეიტენანტი ალესქანდრე სიტნიკოვი სოხუმში შეხვდა აფხაზეთის სპეცსამსახურების აგენტს, რომლისგანაც მიიღო სადაზვერვო ინფორმაცია. მან ასევე მოასწრო ფრონტზე დისლოცირებული ქართული ქვედანაყოფის წინააღმდეგ კონკრეტული დავალების ორგანიზება. თამაზ ნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს.., გვ. 54.

[3] უფროსი სერჟანტი ალექსანდრე ლუნიოვი, 17 მარტიდან 22 მარტის ჩათვლით, რადიოსადგურის მეშვეობით, აფხაზ სეპარატისტებს გადასცემდა ცნობებს ფრონტისპირა ქართული ქვედანაყოფების შეიარაღებისა და პოზიციების შესახებ. თამაზ ნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს.., გვ. 54.

[4] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 208.

[5] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 87.

დასავლეთით, რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე“, უნდა ჩათვლილიყო „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად“.[1]

რუსეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ არც ამჯერად დატოვა უპასუხოდ ქართველების მიერ მიღებული დადგენილება და სულ რამდენიმე დღეში, 30 აპრილს რუსეთის ეროვნებათა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც გამოთქვამდნენ თანხმობას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 1993 წლის 23 მარტს გამოთქმული სურვილის შესახებ, მიეღოთ აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ან მფარველობაში. შესაბამისად, ისინი მოუწოდებდნენ პრეზიდენტსა და ქვეყნის მთავრობას „საერთაშორისო სამართლის ნორმების, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების პატივისცემის შესაბამისად, გაეაქტიურებინათ მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან აფხაზეთში ვითარების ნორმალიზებისათვის რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართვის საკითხზე“.[2]

აპრილისა და მაისის განმავლობაში რუსეთი კვლავ აქტიურად განაგრძობდა აფხაზური მხარის იარაღითა და ტყვია წამლით, სამხედრო ტექნიკითა თუ ადამიანური რესურსით მომარაგებას. 30 აპრილს ტყვარჩელში რუსეთის მი-8 ტიპის ვერტმფრენმა ჩაიტანა მართვადი რეაქტიული ყუმბარების დიდი რაოდენობა, რომელიც ვითომ ტყვარჩელში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისა და მოსახლეობის დასაცავად იყო გამიზნული. ასევე, ტყვარჩელში შეიტანეს „მიწა-ხმელეთი“ სისტემის რაკეტები, რომლებიც შეიარაღებაში ჰქონდათ რუსებს გუდაუთის სამხედრო ბაზაში.[3] აფხაზური მხარე კვლავ აქტიურად განაგრძობდა სოხუმის საარტილერიო დაბომბვას, მსხვერპლი იყო მშვიდობიან მოსახლეობაში, ინგრეოდა საცხოვრებელი კორპუსები. შესაბამისად, აფხაზური საარტილერიო წერტილების გასანადგურებლად საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გააგზავნეს ორი თვითმფრინავი სუ-25. მოწინააღმდეგის არტილერიის ჩახშობის მცდელობისას 2700 მეტრის სიმაღლიდან რუსულმა სუ-27 ტიპის სამხედრო თვითმფრინავმა ჩამოაგდო კაპიტან რ.

[1] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 87.
[2] Zurab Papaskiri and Kakhaber Kalichava. "Fratricidal conflict in Abkhazia of 1992-1993 and its consequences." In Why Abkhazia is Georgia, edited by Zurab Papaskiri. Tbilisi: Sokhumi state University, 2021, გვ. 304.
[3] გერონტი გასვიანი და თორნიკე გასვიანი. აფხაზეთის ომი.., გვ. 187.

ნაროუშვილის მიერ მართული საფრენი აპარატი, რომელმაც კატაპულტირება მოასწრო. მეორე მფრინავმა, დაინახა რა, რუსეთის შეიარაღებული ძალების ბომბორას სამხედრო აეროპორტიდან აფრენილი გამანადგურებლები, უკან დაიხია და აირიდა მათთან საბრძოლო კონტაქტი.[1] აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, როგორ პრობლემებს უქმნიდა რუსული ფაქტორი კონფლიქტის მოგვარებაში ქართულ მხარეს. რუსების მსგავსი ჩარევების შედეგად იზრდებოდა სოხუმის მოსახლეობის მსხვერპლი, აფხაზური მხარე კი დაუსჯელად აგრძელებდა ქალაქისა და მისი შემოგარენის საარტილერიო დამუშავებას.

რუსეთის მმართველი წრეები განაგრძობდნენ აფხაზური მხარს დიპლომატიურ დახმარებასაც. ქალაქ მაიკოპში 5-6 მაისს გაიმართა შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. პასტუხოვსა და სეპარატისტთა ერთ-ერთ ლიდერ ს. ჯინჯოლიას შორის.[2]

კონფლიქტის მსვლელობისას ქართული მხარე აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდა მთლიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. სადაზვერვო ინფორმაციის თანახმად, 16-17 მარტის ბრძოლების წაგების შემდეგ, აფხაზური მხარე ნელ-ნელა ავსებდა ბრძოლის შედეგად შექმნილ ადამიანური რესურსისა და ტექნიკის დანაკლისს. მარტსა და მაისში ჩრდილოეთ კავკასიიდან და რუსეთის სხვა ტერიტორიებიდან აფხაზეთში დიდი რაოდენობით ბოევიკები შევიდნენ. დიდძალი იყო მათი კონცენტრაცია კონკრეტულად ტყვარჩელის მიმართულებაზე,სადაც დიდი რაოდენობით ადამიანური რესურსი გადაიყვანეს გუდაუთიდან. „სისტემატური ხასიათი მიიღო საჰაერო ტრანსპორტის მიმოსვლამ გუდაუთა-ტყვარჩელისა და თებერდა-ტყვარჩელის ხაზებზე. მაისისთვის დაჯგუფებამ შეადგინა 3000-3300-მდე ბოევიკი. მათ შორის: აფხაზურ ათარაში – 120-150 ქვეითი, კუტოლში – 150-160, ჯგერდაში – 200, ლაბრაში – 80, ღვადაში – 150-170, ჭლოუში – 110, მოქვის მეურნეობაში – 460, მერკულაში – 300, ბესლახუბაში – 200-230, ფოქვეშში – 130-150, რეკაში – 180, ბედიაში – 250-300, ტყვარჩელში – 500. მათ შეიარაღებას შეადგენდა: ავტომატი – 3000-მდე, ტყვიამფრქვევი – 69, ყუმბარმტყორცნი (რპგ) – 135, ნაღმტყორცნი – 23, მსხვილკალიბრიანი საზენიტო დანადგარი (ზსუ) – 6, ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა (სტრელა) – 28, უმართავი რეაქტიული რაკეტა (ნურს) – 7, საზენიტო რეაქტიული

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 146.
[2] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 147.

დანადგარი (გრადი) – 2, ქვემეხი – 4, ავტომატური ყუმბარმყტორცნი (აგს) – 3, სნაიპერის შაშხანა (სვდ) – 12, ტანკი – 4, ქვეითთა საბრძოლო მანქანა (ბმპ) – 4, ჯავშანტრანსპორტიორი – 5, მართვადი რეაქტიული რაკეტა (პტუ-პს) – 5 ერთეული. სეპარატისტებს კარგად ჰქონდა ორგანიზებული კავშირგაბმულობა. ფრონტს ემსახურებოდა აგრეთვე ტყვარჩელში დამონტაჟებული ერთი რადარი".[1]

1992 წლის 14 მაისს საქართველოს პირველმა პირმა ედუარდ შევარდნაძემ და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მოაწერეს ხელი კომუნიკეს. ქართულ-რუსული ურთიერთობებისა და აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის დარეგულირებისთვის მხარეები შეთანხმდნენ მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის 20 მაისიდან ცეცხლის შეწყვეტაზე.[2] 20 მაისსვე იგეგმებოდა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ე. ბრუნერის აფხაზეთში ჩასვლა.

მიუხედავად შეთანხმებისა, ჰუმანიტარულ დახმარების მოტივს ამოფარებული რუსული მხარე კვლავ აგრძელებდა ტყვარჩელში ვერტმფრენებით ტყვია-წამლისა და ბოევიკების გადასროლას. ხელშეკრულების ხელმოწერიდან მალევე, რუსეთის ტერიტორიიდან, ქლუხორის გადმოსასვლელით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული შვეულმფრენი იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო, მას შემდეგ, რაც ქართველი მეომრების მიერ სროლის გამო დაზიანდა. 21 მაისს ტყვარჩელის მიმართულებით ყოველდღე მოძრაობდა 7-8 სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი, მოიერიშეების თანმხლებით. ვერტმფრენებს მუდმივად გადაჰქონდათ ტვირთი ტყვარჩელში, რომელთა ტვირთამწეობა თითოსი 10 ტონაზე მეტს შეადგენდა.[3] ტვირთები გადაჰქონდათ ჩამოკიდებულ მდგომარეობაში. 26 მაისს საქართველოს შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა გულრიფშის რაიონ სოფელ საკენთან ჩამოაგდეს რუსული მი-6, რომელსაც გადაჰქონდა იარაღი ტყვარჩელში. დაიღუპნენ რუსი პილოტები. 27 მაისს აფხაზმა ლ. ზარანდიამ,[4] რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შეკრიბა კარგად მომზადებული 120 „ბოევიკი, რომლებიც შეაიარაღა და ტყვარჩელში გადაიყვანა შვეულმფრენით. გარდა ამისა, შვეულმფრენებით ამავე

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 147–148.
[2] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 148.
[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 150.
[4] დაქირავებულების მობილიზებას და აფხაზეთში გადასროლას ასევე ეწეოდა ნიკოლაი ლისენკო, რომელიც ხელმძღვანელობდა რუსეთის ნაციონალურ ლეგიონს. ნადარეიშვილი, თამაზ. შეთქმულება საქართველოს.., გვ. 54. ასევე, მოსკოვში იყო გახსნილი შესაბამისი ცენტრი, რომელიც ახდენდა პროფესიონალი რუსი სამხედროების რეკრუტირებას. Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 50.

პერიოდში ტყვარჩელში ჩაიყვანეს კარგად შეიარაღებული 200 მებრძოლი. 14 ივნისს სეპარატისტებმა უფრო მოუხშირეს გადაზიდვებს. დღეში მინიმუმ 5 რეისი ხორციელდებოდა, გადასხეს 200-250 რუსი და ყაბარდოელი „ბოევიკი“. 16 ივნისს, რუსეთის ფედერაციამ ქართულ მხარეს მიმართა თხოვნით, რათა ნება დაერთოთ ტყვარჩელში დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული ტვირთი შეეტანათ. ქართული მხარის თანხმობის შემდეგ, რუსებმა ტყვარჩელში შეიყვანეს ოცდაათი ერთეული კამაზის ტიპის მანქანა და სამი ავტობუსი. მოგვიანებით გაირკვა, რომ რუსეთმა ჩვეულებისამებრ იმანიპულირა ჰუმანიტარული კრიზისით და ტყვარჩელში შეიტანა დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი და იარაღი.[1]

24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიმართვა გააგზავნა გაეროში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან და უზენაეს საბჭოში. ქართული პარლამენტი რუსეთის ფედერაციას ადანაშაულებდა 14 მაისის ხელშეკრულების დარღვევაში და მოუწოდებდა საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებოდა საქართველოს.[2]

მაისის ხელშეკრულებით დამყარებული დროებითი სიმშვიდით ისარგებლა რუსულმა ძალამ და დაიწყო შემდგომი სამოქმედო გეგმების შემუშავება. რუსეთის გენერალურ შტაბში შეიმუშავეს სოხუმის აღების ახალი გეგმა, რომლის მიხედვითაც იგეგმებოდა შემდეგი მოქმედებები: „1. ტყვარჩელის დაჯგუფების მიერ ოჩამჩირის რაიონში ტრასის ხელში ჩაგდება და იმავდროულად იქ საზღვაო დესანტის გადასხმა; 2. პარალელურად გუმისთის ფრონტზე შეტევა, სოხუმის გარშემო არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სიმაღლეების აღება ხელსაყრელი პლაცდარმის შესაქმნელად“.[3] შემუშავებული გეგმის სრულყოფისთვის აქტიურად მიმდინარეობდა აფხაზეთის მხარის მომარაგება იარაღითა და ტყვია-წამლით, ასევე დიდი რაოდენობით მძიმე შეიარაღებით.

შესაბამისი მომზადების შემდეგ, დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის სეპარატისტებმა და მათმა მოკავშირეებმა 2 ივლისს დაარღვიეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და დაიწყეს საბრძოლო მოქმედებები ე.წ. „აღმოსავლეთის“ – ტყვარჩელის და „დასავლეთის“ – გუმისთის ფრონტებზე. გეგმის თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, მიზანი რამდენიმე იყო. სოხუმი-თბილისის

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 150.
[2] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 211.
[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 150.

ავტომაგისტრალის ხელში ჩაგდება, რაც გამოიწვევდა სოხუმსა და ოჩამჩირეში განლაგებული ქართველთა შეიარაღებული ძალების იზოლაციას დანარჩენი საქართველოსგან, რის შედეგადაც შეწყდებოდა გუმისთას ფრონტის მეომრების მომარაგება და შესუსტდებოდა მათი საბრძოლო პოზიციები. ეს კი გაუადვილებდა აფხაზურ მხარეს უმთავრესი მიზნის შესრულებას – სოხუმის აღებას. „აღმოსავლეთის ფრონტზე“ შეტევა მიზნად ასევე ისახავდა ყურადღების გადატანას, რათა ქართველებს იქ მიეზიდათ თავისი რეზერვები და დაესუსტებინათ „დასავლეთის ფრონტი“. ასევე, გუმისთაზე იანვარ-მარტის გამოცდილების გათვალისწინებით, გეგმა იყო არა პირდაპირი იერიში, არამედ მდინარე გუმისთის აყოლებაზე, სტრატეგიულად მნიშვნელოვან სიმაღლეებზე განლაგებული სოფლების დაკავება, რაც მისცემდა მათ საშუალებას სოხუმის მიმართულებით დამიზნებითი საარტილერიო ცეცხლი გაეხსნათ და ფაქტობრივად სახმელეთო ბლოკადაში მოექციათ ქალაქი.

საბრძოლო მოქმედებები დაიწყო 2 ივლისს, როცა ოჩამჩირის რაიონ სოფელ ტამიშთან ნოვოროსისკიდან გამოსულმა ოთხმა გემმა 300-იდან 500-მდე რუსი ეროვნების სამხედრო მოსამსახურე, ერთი ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორი და ერთი გრადის დანადგარიანი ავტომანქანა გადმოსხა.[1] წინა ოპერაციების გათვალისწინებით, როცა ძირითადი შეტევები ყოველთვის ხმელეთიდან ხდებოდა, ტამიშის საზღვაო დესანტის წინააღმდეგ ქართული ქვედანაყოფები მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. აფხაზთა დიდი ჯგუფი რამდენჯერმე დაიძრა ტყვარჩელიდან და მთიდან შეუტიეს ქართველთა პოზიციებს. ქართველები ორცეცხლშუა აღმოჩნდნენ, მათ უტევდნენ ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც, რაც ართულებდა წინააღმდეგობის გაწევას. ქართველთა მხრიდან დაახლოებით 2 ათასამდე კაცმა შეძლო ბრძოლაში ჩართვა, თუმცა ეს ძალა არ აღმოჩნდა საკმარისი რუსების შესაკავებლად. შესაბამისად, მოწინააღმდეგეებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს, გაარღვიეს ქართველთა პოზიციები, დაიკავეს სოფელი ტამიში, ასევე სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები.[2]

აღსანიშნავია, რომ როგორც გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი იხსენებს, ტამიშში გადმოსხმული „დესანტი ოფიციალურად რუსეთს არ წარმოადგენდა, მაგრამ ყველას ჰქონდა საბუთები, რომელთა მეშვეობითაც მათი წარმომავლობის გარკვევა იყო შესაძლებელი. მებრძოლებში ბევრი იყო რუსი, კაზაკი,

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 150.
[2] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 150.

განსაკუთრებით მრავლად იყვნენ ჯარისკაცები ყირიმიდან და მოლდოვიდან... 150 დაღუპული მხოლოდ ჩვენ გადავეცით რუსულ მხარეს. საბუთები ისე ჰქონდათ გაფორმებული, რომ... შვებულებაში იყვნენ".[1]

ტამიშის ოპერაციის პარალელურად, აფხაზებმა რუსი სპეცრაზმელების დახმარებით დაიწყეს საბრძოლო ოპერაციები სოხუმის მიმართულებით. როგორც აღვნიშნეთ, მათ მთავარ მიზანს არა სოხუმში შესვლა, არამედ მის ირგვლივ განლაგებული სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება წარმოადგენდა, რაც მათ განახორციელეს კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები გააფთრებით იბრძოდნენ, მაგალითად 4 ივლისს ჩამოაგდეს რუსული ვერტმფრენი, რომელიც სოფელ შრომაში ცდილობდა დესანტის გადმოსხმას, ხოლო სოფელ კამანთან კი იქამდე იბრძოლეს, სანამ საარტილერიო ცეცხლი არ გაუხსნა მტერმა და მთლიანად არ გადაბუგეს დასახლებული პუნქტი. პოზიციების შენარჩუნება რთული იყო. 9 ივლისისთვის ისინი აკონტროლებდნენ სოფლებს ახალშენს, გუმას, შრომასა და კამანს. 12 ივლისისთვის სოფელ ცუგუროვკასთან მიმდინარე ბრძოლებისას ქართულმა მხარემ მოახერხა და არ დათმო პოზიციები, თუმცა, საბოლოო ჯამში, აფხაზებმა თავისას მიაღწიეს, ქალაქი რკალში მოექცა.[2]

ასეთ სიტუაციაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტამიშის მიმართულებაზე ავტომაგისტრალსა და რკინიგზის ხაზზე კონტროლის აღდგენას, რათა ისედაც უკვე რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილი სოხუმი უფრო კრიტიკულ სიტუაციაში არ აღმოჩენილიყო. შესაბამისად, დაიგეგმა გარღვევის ოპერაცია. ამ რთულ ვითარებაში მანამდე დაპირისპირებული მხარეებიც კი გაერთიანდნენ და აფხაზეთის ომში ცენტრალური ხელისუფლების მხარეს პირველად ჩაება ზვიად გამსახურდიას ერთგული ეროვნული გვარდია ლოთი ქობალიას მეთაურობით. ქართველებმა ორგანიზებული, კოორდინირებული იერიშით შეძლეს აფხაზთა მოკავშირეების პოზიციების გარღვევა და 10 ივლისისთვის მოახერხეს სოხუმი-თბილისის ავტომაგისტრალზე კონტროლის დამყარება. „მტერმა განიცადა დიდი ზარალი. დაიღუპა 600-მდე კაცი. მრავალი დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. ჩაძირეს 3 კატარღა და

[1] თეა თოფურია,. ტამიშის ბრძოლა – მოულოდნელი დესანტის პირისპირ. 10 ივლისი, 2021. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/31352123.html
[2] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 151–152.

ერთი გემი, განადგურდა 2 ტანკი. ჩამოგდებულ იქნა სეპარატისტთა 2 ვერტმფრენი".[1]

რუსული მხარე ამაზე არ გაჩერებულა, 14 ივლისს მათ დესანტი გადასხეს გალის რაიონში, მიშველის მთაზე, რომელიც აკონტროლებდა ტყვარჩელს და კასპის ბატალიონის 50-მდე მებრძოლის განადგურების შემდეგ დაიკავეს იგი.[2]

აფხაზეთში საომარი მოქმედებების განახლებისთანავე, 6 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია და გადაწყვიტა აფხაზეთში გაეგზავნათ 50 სამხედრო დამკვირვებელი. უკვე 8 ივლისს კი სოხუმში ჩავიდნენ საქართველოში აკრედიტებულ ევროპელ და ამერიკელ მისიათა ხელმძღვანელები.

აფხაზეთის ფრონტებზე შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, მოლაპარაკებების მაგიდასთან დამჯდარიყო რუსეთის ფედერაციასთან აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით. შესაბამისად, 1992 წლის 27 ივლისს, ქ. სოჭში ხელი მოეწერა „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ" შეთანხმებას. მხარეთა წარმომადგენლები რუსეთის შუამდგომლობით შეთანხმდნენ, რომ 1992 წლის 28 ივლისს მხარეები დაუბრუნდებოდნენ 20 მაისს დადგენილ „კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის მკაცრად დაცვის რეჟიმს. იკრძალებოდა ავიაციის, არტილერიის, სანაოსნო საშუალებების ყოველგვარი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გამოყენება. აფხაზეთის ტერიტორიაზე არ შევიდოდნენ დამატებითი ჯარები და სხვა შეიარაღებული ფორმირებები, არ განხორციელდებოდა ჯარების მობილიზაცია და სხვა ფორმირებების შეუთანხმებელი გადაადგილება, იარაღისა და ტყვია-წამლის შეტანა, სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების აგება".[3]

ასევე, შეთანხმების თანახმად, უნდა შექმნილიყო ქართულ-რუსულ-აფხაზური დროებითი მაკონტროლებელი ჯგუფები 3-დან 9 კაცამდე შემადგენლობით, რომლებიც კონტროლს გაუწევდნენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვას და განლაგდებოდნენ აფხაზეთის ტერიტორიის მსხვილ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ აღნიშნული ჯგუფების მიერ

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 151.
[2] გერონტი გასვიანი და თორნიკე გასვიანი. აფხაზეთის ომი.., გვ. 193.
[3] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 229-230.

გამოვლენილ დარღვევის ფაქტებზე დაუყოვნებლივ მოეხდინათ რეაგირება და გამოესწორებინათ ყველანაირი ხარვეზი. მხარეებმა თანხმობა განაცხადეს კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო დამკვირვებლებისა და სამშვიდობო ძალების მიწვევის თაობაზეც, რომელთა ოდენობა და შემადგენლობა უნდა განესაზღვრა გაეროს და ისინი განლაგდებოდნენ მდ. გუმისთაზე, მდ. ფსოუსა და მდ. ენგურზე.[1].

ყველაზე მთავარი აღნიშნულ შეთანხმებაში კი იყო დემილიტარიზაცია. ყველა შეიარაღებული ფორმირება უნდა გამოსულიყო აფხაზეთიდან, აფხაზური ფორმირებები კი უნდა შესულიყვნენ შინაგანი ძალების პოლკში. ასევე, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს უნდა დაეცვათ მკაცრი ნეიტრალიტეტი.

შეთანხმების შესაბამისად, ქართულმა მხარემ დაიწყო მძიმე ტექნიკის გამოყვანა სოხუმიდან და სხვა ლოკაციებიდან რუსეთის გემების დახმარებით, თუმცა სეპარატისტების ლიდერი ავრცელებდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ქართული მხარე იტყუებოდა, სინამდვილეში არღვევდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და არ ახდენდა რეგიონის დემილიტარიზაციას. ვ. არძინბამ 1993 წლის 9 აგვისტოს საპროტესტო წერილი გააგზავნა გაეროსა და მოსკოვში და დაადანაშაულა ქართული მხარე ვალდებულებების შეუსრულებლობაში.[2] მალე, 24 აგვისტოს, ის პირადად ჩავიდა მოსკოვში და შეხვდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბორის ელცინს.[3]

აფხაზეთში სიტუაციის ნელ-ნელა ესკალაციის პარალელურად საქართველოში შიდაპოლიტიკური მდგომარეობაც ირეოდა. სამეგრელოში კვლავ გრძელდება დაპირისპირება, 28 აგვისტოს ლოთი ქობალიას რაზმებმა დაიკავეს სენაკი და აბაშა, 7 სექტემბერს კი გალის დაკავების მცდელობა ჰქონდათ.[4] სამეგრელოში არეულობის პარალელურად მდგომარეობა გამწვავდა თბილისშიც. ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი დაუპირისპირდნენ შევარდნაძეს, რომელმაც მოითხოვა მათი წასვლა

---

[1] აფხაზეთის საკითხი.., გვ. 230-231.

[2] ამ შემთხვევაში ვ. არძინბამ, როგორც არაერთხელ კონფლიქტის მსვლელობისას, კიდევ იცრუა. 1993 წლის 24 სექტემბერს ბ. პასტუხოვი ბრიფინგზე ამტკიცებდა, რომ „ქართული მხარე ნამდვილად ვერ ჩაეტია დროში, რომელიც დადგინდა, თუ ვილაპარაკებთ უპირველესად მძიმე ტექნიკის გაყვანაზე, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ქართულმა მხარემ ამ 50 დღის განმავლობაში სოხუმის რაიონიდან გაიყვანა მძიმე ტექნიკის დაახლოებით 400 ერთეული, მათ შორის, 200 ერთეული საარტილერიო და ჯავშანსატანკო ტექნიკა. ამის თაობაზე არსებობს აფხაზური მხარის ხელმოწერილი შესაბამისი დოკუმენტები. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ქართული მხარე სოხუმთან ჩაყენებულ იქნა რთულ მდგომარეობაში“. ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 222.

[3] Zurab Papaskiri and Kakhaber Kalichava. "Fratricidal conflict.., გვ. 308.

[4] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 154–155.

პოლიტიკიდან და მიმართა უკიდურეს ფორმას, გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ. შევარდნაძის მომხრეები შეიკრიბნენ „იმელის“ შენობის წინ და სთხოვეს მას, უარი ეთქვა გადაწყვეტილების შესრულებაზე. იგივე მოუწოდა ილიაII, რის შემდეგაც შევარდნაძემ გადაიფიქრა გადადგომა და სიტუაცია კონტროლირებადი გახდა.[1] ამას მოჰყვა 15 სექტემბერს ლოთი ქობალიას „ლაშქრობა გურიაში“.[2]

ზემოხსენებული მოვლენებით ისარგებლეს სეპარატისტებმა და დაიწყეს მოქმედება. ქართულ პოზიციებს შეუტიეს ორი ფრონტიდან, ოჩამჩირესა და სოხუმში. მათ მიზანს წარმოადგენდა მდინარე კოდორთან პოზიციების დაკავება, რათა არ დაეშვათ ქართველების მხრიდან სოხუმის დახმარების მცდელობა. შესაბამისად, 16 სექტემბერს დაიწყეს აღმოსავლეთის ფრონტის შტურმი. ბოევიკების მოზრდილმა ჯგუფმა დაიკავა მდინარე კოდორზე გადასასვლელი ხიდი, რათა სოხუმისთვის დასახმარებლად წამოსული ქართული შეიარაღებული ძალები შეეფერხებინა, მოეგოთ დრო და აეღოთ სოხუმი. შესაბამისად, როგორც კი მიიღეს გარანტიები, რომ ქართული მხარე უახლოეს მომავალში ვერ შეძლებდა სოხუმის მიმართულებით დამხმარე ნაწილების გადასროლას, 17 სექტემბერს გუმისთის ფრონტზეც დაიწყო საბრძოლო მოქმედებები. ტაქტიკა უკვე ნაცადი იყო: პირველი ეშელონი რუსული სპეცსამსახურები, შემდეგ – სეპარატისტები და მოკავშირეები რუსული ტექნიკით. რუსული არტილერია და ავიაცია ინტენსიურად ბომბავდა როგორც ქალაქ სოხუმს, ასევე მის ირგვლივ განლაგებულ ქართველების მიერ კონტროლირებად სოფლებს. ამავე დღეს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ გამოსცა ბრძანება და მის განკარგულებაში არსებულ ყველა სამხედრო ფორმირებას მოუწოდა აფხაზეთში დაბრუნებისკენ. აღნიშნულ მძიმე სიტუაციაში ედუარდ შევარდნაძე ჩაფრინდა სოხუმში, შემდეგ კი ადლერში შეხვდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის პ. გრაჩოვს, რომელმაც მშვიდობის სანაცვლოდ სოხუმში ორი რუსული დივიზიის შეყვანა მოითხოვა, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. საბრძოლო მოქმედებები გაგრძელდა.[3]

ქალაქის ქართველი დამცველები 12 დღის განმავლობაში იგერიებდნენ რიცხვმრავალი და უკეთ შეიარაღებული მოწინააღმდეგის შეტევებს. ამ პერიოდის

---

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 413.
[2] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 155.
[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 156. ედუარდ შევარდნაძე. ფიქრები წარსულსა და მომავალზე. თბილისი, 2005, გვ. 177.

განმავლობაში მდინარე კოდორთან გალაგებული ქართული ქვედანაყოფები ამაოდ ცდილობდნენ მდინარის გადალახვას, რათა დახმარება გაეწიათ ალყაშემორტყმული ქალაქისთვის. ამასობაში, 23 სექტემბერს აფხაზურმა მხარემ გაარღვია გუმისთის ფრონტი, რომელსაც აღარ იცავდა ქართული მძიმე არტილერია და სხვა ტექნიკა და რომლის დანაღმული ნაწილიც განნაღმეს სამშვიდობო პროცესის დროს, დაიკავა სოფელი აჩადარა და დაიწყო რკინიგზის სადგურისკენ სვლა. 26 სექტემბრისთვის სადგურიც და მიმდებარე ქუჩებიც სეპარატისტების კონტროლქვეშ იყო. 27 სექტემბრის გამთენიისას კი მოხდა სოხუმის ზღვისპირა უბნების დაკავება, მათ შორის ბზიფის გზატკეცილისა და ახალი რაიონის.[1] რუსეთის გენშტაბის მიერ დაგეგმილი ოპერაცია წარმატებით მიმდინარეობდა. მომხდურები სხვადასხვა მიმართულებით მიიწევდნენ ცენტრისკენ და მალე ბრძოლები დაიწყო მინისტრთა საბჭოს შენობასთან, სადაც იმყოფებოდნენ ჟიული შარტავა და თავდაცვის საბჭოს სხვა წევრები. საბოლოოდ, 13:00 საათისთვის აფხაზებმა შტურმით აიღეს შენობა და ტყვედ აიყვანეს შარტავა და მისი თანამებრძოლები. ისინი გუდაუთისკენ გზაზე დახვრიტეს.[2]

სეპარატისტები არ ინდობდნენ მშვიდობიან მოსახლეობასაც, დაიწყო მიზანმიმართული საარტილერიო სროლა თვითმფრინავების მიმართულებით. მათ ჩამოაგდეს მშვიდობიანი მოქალაქეებით სავსე სოჭიდან მომავალი თვითმფრინავი. დღეების განმავლობაში ინტენსიურად იბომბებოდა სოხუმის აეროპორტი, სადაც საარტილერიო ცეცხლით ანადგურებდნენ მშვიდობიანი მგზავრებით სავსე თვითმფრინავებს. თვით საქართველოს პირველი პირის თვითმფრინავსაც კი, რომელიც 28 სექტემბერს აფრინდა, ცეცხლი გაუხსნეს და პილოტის უმაღლესმა კლასმა იხსნა მგზავრების სიცოცხლე.[3] 27 სექტემბერს აფხაზებმა სოხუმი აიღეს.[4] სოხუმის დაკარგვამ უდიდესი მორალურ–ფსიქოლოგიური ზარალი მიაყენა ქართულ შეიარაღებულ ძალებს. ცენტრალურ ხელმძღვანელობას ისედაც მოკლებული ქვედანაყოფები დემორალიზდნენ და დაიწყეს პანიკური უკანდახევა. აღარავინ იყო აფხაზების შემჩერებელი, ვეღარავინ ეწინააღმდეგებოდა მათ წინსვლას. 29 სექტემბერს

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 418.
[2] ზურაბ პაპასქირი,. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 418.
[3] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 164.
[4] ზურაბ პაპასქირი, და კახაბერ ყალიჩავა. „ომათამკვლელი დაპირისპირება აფხაზეთში 1992-1993 წლებში და მისი შედეგები.“ აფხაზეთი საქართველოა-ში, რედაქტორი ზურაბ პაპასქირი, 524-568. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021, გვ. 566.

დაეცა გულრიფში, მეორე დღეს კი აფხაზები ოჩამჩირესა და გალში შევიდნენ. საღამოს რვა საათზე მათი წინსვლა მდინარე ენგურთან შეჩერდა.[1]

[1] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 164.

# თავი 4. რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ გამოყენებული ჰიბრიდული მეთოდების მსგავსებები და განსხვავებები

რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ გამოყენებულ ჰიბრიდული მეთოდების მსგავსებებსა და განსხვავებებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტორი, რომ თვით უკრაინის წინააღმდეგაც კი, ყირიმსა და დონბას-ლუგანსკში რუსული ჰიბრიდული მეთოდები არ იყო ერთგვაროვანი. უკრაინაში რუსეთის მიერ გამოყენებული ჰიბრიდული ტაქტიკა მორგებული იყო მიმდინარე მოვლენებზე და მათი წარმატება-წარუმატებლობის შესაბამისად იცვლებოდა და ადაპტირდებოდა შექმნილ გარემოებებთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ რუსეთის მიერ გამოყენებულ ჰიბრიდულ მეთოდებზე, უნდა გამოვყოთ შემდეგი კომპონენტები: სამხედრო, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა კონვენციურ და არაკონვენციურ ელემენტებად, და პოლიტიკური, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ომს, რელიგიას, ისტორიას, დიპლომატიას და სხვა. ქვემოთ ვეცდები, დეტალურად განვიხილო რუსების მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ გამოყენებული მეთოდები, განვსაზღვრო მათი საერთო და განსხვავებული მახასიათებლები.

## §1. რუსეთის ქმედებები უკრაინაში

უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული მოქმედებების შესწავლისა და ანალიზის შედეგად უსაფრთხოებისა და სამხედრო საქმის მკვლევრები აღნიშნავენ, რომ რუსული ჰიბრიდული ომი საფეხუროვანი სისტემაა, რომელიც რამდენიმე ფაზისგან შედგება. ამერიკელი მეცნიერი ფილიპ კარბერი, რომელიც 2014 წელს, კრიზისის პირველივე დღეებიდან, უკრაინული მხარის მიერ მიწვეული იყო კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციის შეფასების მიზნით, აღნიშნავს, რომ რუსული მოქმედებები შეიძლება დაიყოს ხუთ პირობით ეტაპად. ესენია:

1. პოლიტიკური დივერსია: აგენტების ჩანერგვა; ეთნოლინგვისტური განსხვავებების გაღრმავების მიზნით კლასიკური სააგიტაციო საინფორმაციო ოპერაციების წარმოება; ადგილობრივი პოლიტიკოსების მოქრთამვა,

კომპრომეტაცია და დაშინება-გატაცებით, მკვლელობებითა და ტერორიზმით. უკმაყოფილო ელემენტების რეკრუტირება.

2. მარიონეტული ძალების ამოქმედება: ადგილობრივი სამთავრობო ცენტრების, პოლიციის შენობების, აეროპორტებისა და სამხედრო ბაზების შტურმი-დაკავება; ამბოხებულების წვრთნა და აღჭურვა; საკონტროლო-გამშვები პუნქტების შექმნა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განადგურება; კიბერშეტევებით მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო ხაზების მოშლა; არალეგიტიმური რეფერენდუმის ჩატარება; „სახალხო რესპუბლიკების“ შექმნა რუსული მფარველობით.
3. ინტერვენცია: რუსეთის შეიარაღებული ძალების მოულოდნელი განლაგება სასაზღვრო ზოლზე წვრთნების ჩატარების მოტივით; ამბოხებულებისთვის მძიმე ტექნიკის მიწოდება; საზღვართან სიახლოვეს საწვრთნელი და ლოჯისტიკური ბანაკების შექმნა; „მოხალისეთა“ ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფების შექმნა; მარიონეტული შეიარაღებული ძალების რუსეთის რეგულარული ძალებთან ინტეგრაცია.
4. იძულებითი შეკავება: სტრატეგიული ძალების მობილიზება, ტაქტიკური ბირთვული სისტემების მზადყოფნაში მოყვანა; საბრძოლო მოქმედებების თეატრთან ახლოს საკუთარი შეიარაღებული ძალების მანევრირება; საჰაერო სივრცის აგრესიული პატრულირება.
5. მოლაპარაკებითი მანიპულაცია: დასავლეთელი მოკავშირეების შუამდგომლობით დადებული ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებების გამოყენება მარიონეტული ძალების უფრო მეტად შეიარაღებისთვის; მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ აგრესიული საბრძოლო მოქმედებების წარმოება და მისი გამოფიტვა, რათა დასავლური სახელმწიფოები არ დაეხმარონ ძალადობის შემდგომი ესკალაციის შიშით; დასავლური ალიანსის გათიშვა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, სატელეფონო მოლაპარაკებების გზით.[1]

მ. გალეოტი უკრაინაში რუსეთის ჰიბრიდული ტაქტიკისთვის აუცილებელ ოთხ შემადგენელს გამოყოფს: 1. „ზრდილობიანი ხალხი“ – სპეციალური ოპერაციების

[1] Phillip A. Karber. Lessons Learned, გვ. 47–48.

ქვედანაყოფი და ის კონვენციური ძალები, რომლებიც წვრთნიდნენ, მობილიზებას უკეთებდნენ, ეხმარებოდნენ და მეთაურობდნენ რუსების ადგილობრივ მარიონეტებს; 2. „უზრდელი ხალხი“ – ადგილობრივი თავდაცვის ჯგუფები და ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების წევრები; 3. დაზვერვა – ცენტრალური სადაზვერვო სამსახური, რომელიც ხელს უწყობს უკრაინაში კრიმინოგენური ვითარების შექმნას და გაფართოებას, მათ შორის კორუფციას, შავ ბაზარს და კონტრაბანდას; 4. სამოქალაქოები – საინფორმაციო მეომრები და ჰაკერები, პროპუტინისტური ოლიგარქები, ადგილობრივი და საერთაშორისო ბანკირები.[1]

გერმანელი მკვლევარი იოჰან შმიდტი გამოყოფს რუსული ჰიბრიდული მოქმედებების სამ უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას: 1. ომის/კონფლიქტის გადაწყვეტისას ძირითადი აქცენტი კეთდება არასამხედრო გრავიტაციის ცენტრებზე, შესაბამისად, სამხედრო საშუალებების გამოყენება ხდება სამხედრო სივრცის გარეთ და საბრძოლო მოქმედებების მაღალი ინტენსივობის მიუხედავადაც კი, გრავიტაციის ცენტრად მაინც აღქმულია არა სამხედრო სივრცე, არამედ მორალი, ლეგიტიმაცია და პოლიტიკა. სამხედრო მოქმედებები არის მიზნის მისაღწევი არა ძირითადი, არამედ დამხმარე საშუალებები; 2. ჰიბრიდული მოქმედებები ითვალისწინებს რუხ ზონაში მიზანმიმართულ მოქმედებებს, რომელიც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის კონკრეტულ სისუსტეებზე დარტყმას არსებული წესრიგის დარღვევისთვის. შესაბამისად, იშლება საზღვარი ომსა და მშვიდობას, მოკავშირესა და მოწინააღმდეგეს, შიდა დაპირისპირებასა და სახელმწიფოთაშორის კონფლიქტს, შიდა და საგარეო უსაფრთხოებას, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს, სამოქალაქო და სამხედრო მიდგომებს შორის. მოქმედებების ეს ორმაგი სახე ართულებს სახელმწიფოს მიერ რეაგირებას დროში და მის ეფექტიანობას; 3. ომის წარმოების სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო კატეგორიების, ფორმებისა და მეთოდების კრეატიული და პარალელური გამოყენების შედეგად ახალი ჰიბრიდული მეთოდების ჩამოყალიბება. კონვენციური, რეგულარული და სიმეტრიული ფორმები და კონცეფციები აღრეულია არარეგულარულ, ასიმეტრიულ, არასწორხაზოვან, არატრადიციულ კატეგორიებში. ზოგიერთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს არასახელმწიფო და სახელმწიფო აქტორების ერთობლივი მოქმედება. ახალი ჰიბრიდული მეთოდების ლოგიკურობის და

[1] Mark Galleoti. Hybrid War or Gibridnaya Voina? Getting Russia's non-linear military challenge right. Lulu.com, 2016.

რაციონალურობის იდენტიფიცირება და გაგება გართულებულია, შესაბამისად, მსგავსი მოქმედებები გამოირჩევა მოულოდნელობით და ურთულებს დამცავ მხარეს რეაგირებასა და კონტრმოქმედებების განხორციელებას.[1]

რუსეთის ჰიბრიდული ომის ესტონელი მკვლევარი ანდრეას რაჩი უკრაინის მოვლენებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციის მოქმედებები შეიძლება დაიყოს სამ ფაზად, რომელიც თავის მხრივ იყოფა სამ ქვეფაზად.

მოსამზადებელი ფაზა

1. სტრატეგიული მომზადება: სამიზნე სახელმწიფოს ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სამხედრო სისუსტეების გამოვლენა; მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ლოიალური არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის ქსელის შექმნა; საერთაშორისო საზოგადოების აზრზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით დიპლომატიური და მედიაკავშირების შექმნა.

2. პოლიტიკური მომზადება: დიპლომატიური, პოლიტიკური, საინფორმაციო და სპეციალური ოპერაციების საშუალებების გამოყენებით სამიზნე ქვეყნის მოსახლეობაში ანტისამთავრობო განწყობების ფორმირება; ადგილობრივი სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერება, ეთნიკური, რელიგიური და სოციალური დაპირისპირებების წახალისება; საინფორმაციო საშუალებების აქტიური გამოყენება სამიზნე ქვეყნისა და მთავრობის წინააღმდეგ; პოლიტიკოსების, ადმინისტრაციული ოფიციალური პირების და შეიარაღებული ძალების ოფიცრების მოსყიდვა-გადაბირება; ადგილობრივ ოლიგარქებთან და ბიზნესმენებთან კონტაქტების დამყარება და მათთვის ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმებით მათი ლოიალურობის მოპოვება; ადგილობრივ კრიმინალურ დაჯგუფებებთან კონტაქტების დამყარება.

3. ოპერატიული მომზადება: პოლიტიკური ზეწოლისა და დეზინფორმაციის კამპანიის წარმოება; გადმობირებული ოფიციალური პირების, ოფიცრებისა და ადგილობრივი კრიმინალური ჯგუფების მობილიზება; რუსეთის შეიარაღებული ძალების მობილიზება სამხედრო წვრთნების ჩატარების მოტივით.[2]

შეტევის ფაზა:

---

[1] Johann Schmid. "Hybrid warfare on the Ukrainian battlefield: developing theory based on empirical evidence." Journal on Baltic Security, 2019: 5-15, გვ. 13-14.

[2] András Rácz. Russia's Hybrid.., გვ. 59.

1. სიტუაციის გამწვავება: მასიური ანტისამთავრობო პროტესტებისა და არეულობების ორგანიზება; სპეციალური ოპერაციების ძალების ინფილტრაცია, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის სახელითა და ადგილობრივ კრიმინალურ ჯგუფებთან თანამშრომლობით მოაწყობენ პირველ საბოტაჟს, დაიკავებენ ადმინისტრაციულ შენობებს; სამიზნე ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ყურადღებისა და ძალების გაფანტვის მიზნით პროვოკაციებისა და საბოტაჟების მოწყობა მთელ ტერიტორიაზე; აგრესორი ქვეყნის მედიის მიერ მძლავრი დეზინფორმაციული კამპანიის განხორციელება; სამიზნე ქვეყნისთვის კონტრშეტევის შესაძლებლობების ბლოკირების მიზნით, კონვენციური შეტევის საშიშროების წარმოქმნისთვის, საზღვართან შეიარაღებული ძალების მობილიზება.

2. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების გაძევება სამიზნე რეგიონებიდან: ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციონირების მოშლა ადმინისტრაციული შენობებისა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაკავებით; ცენტრალური ხელისუფლების მედიის დაბლოკვა, საკომუნიკაციო და საინფორმაციო სივრცის მონოპოლიზება; შეიარაღებული ძალების ადგილობრივი ქვედანაყოფების გაუვნებელყოფა არასამხედრო მეთოდებით: მათი ყაზარმების ბლოკირება, მეთაურების მოსყიდვა, მორალურად გატეხვა და ა.შ; აგრესორი მხარის მხრიდან დიპლომატიური, საინფორმაციო, ეკონომიკური და სამხედრო ზეწოლის გაძლიერება სამიზნე ქვეყანაზე; შემტევი ქვეყნის მიერ საერთაშორისო საზოგადოების დეზორიენტირება და სამიზნე ქვეყნის დისკრედიტირება.

3. ალტერნატიული პოლიტიკური ძალაუფლების შექმნა: ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის შექმნა; ცენტრალური ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოების ახალი პოლიტიკური სუბიექტებით ჩანაცვლება და მათი კვაზილეგიტიმურობის შექმნა; აგრესორი ქვეყნის მედიით ახლად შექმნილი ალტერნატიული ხელისუფლების ლეგიტიმაციის მცდელობა; საინფორმაციო მონოპოლიის საშუალებით ადგილობრივი მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა; ცენტრალური ხელისუფლების კონტრშეტევა კვლავ იბლოკება კონვენციური ომის საფრთხის არსებობით.[1]

სტაბილიზაციის ფაზა

[1] András Rácz. Russias Hybrid.., გვ. 63.

1. დამდგარი შედეგის პოლიტიკური სტაბილიზაცია: დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება და აგრესორი ქვეყნის მიერ მისი დიპლომატიური და საინფორმაციო მხარდაჭერა; ახლად შექმნილი სახელმწიფოს მიერ აგრესორი ქვეყნისთვის დახმარების თხოვნა;

2. დაპყრობილი ტერიტორიის სამიზნე ქვეყნისგან გამოყოფა: დაკავებული ტერიტორიის ანექსია (ყირიმი); სამიზნე რეგიონში სამხედრო წარმომადგენლობითობის შექმნა (ღია ან ფარული) და ახლად შექმნილი სახელმწიფოს სახელით ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, შესაბამისად, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დასუსტება (აღმოსავლეთ უკრაინა) ან სამიზნე ქვეყანაში შეჭრა სამშვიდობო ოპერაციების თუ კრიზის მენეჯმენტის საფარველით.

3. სამიზნე ქვეყნის სტრატეგიული თავისუფლების ლიმიტირება: ტერიტორიის დაკარგვა იწვევს ეკონომიკურ პრობლემებს, შიდა პოლიტიკურ დესტაბილიზაციას და ჰუმანიტარულ კრიზისს; თავის ტერიტორიაზე სრული კონტროლის ვერგანხორციელების გამო სამიზნე ქვეყანა ვერ უერთდება იმ პოლიტიკურ ან სამხედრო ალიანსს, რომელში გაწევრიანების აუცილებელი წინაპირობაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაა.[1]

როგორც ვხედავთ, მოვლენები ყირიმსა და დონბასში თითქმის ერთნაირად ვითარდებოდა, ფინალური ეტაპი კი სრულიად განსხვავებული იყო, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოვლენების საბოლოო განსხვავებული განვითარება უფროუკრაინის ხელისუფლების დამსახურებაა, ვიდრე რუსების მიერ წინასწარ დაგეგმილი ოპერაციის. ჰიბრიდული ომის მოსამზადებელი ფაზის დროს რუსეთის ფედერაცია სადაზვერვო სამსახურების მეშვეობით ახდენდა სამიზნე ქვეყნის სახელმწიფო ძლიერების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შემადგენლის სისუსტეებისა და დაუცველი ადგილების განსაზღვრას, რათა ოპერაციის დაწყებამდე დეტალურად შეემუშავებინა წინასწარგანსაზღვრული სისუსტეების საწინააღმდეგო მოქმედებები. უკრაინის შემთხვევაში ეს რუსეთს არ გასჭირვებია, რადგანაც ამ ორი ქვეყნის ერთობლივი ისტორიიდან გამომდინარე მათ შორის არსებობდა მჭიდრო ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური, ისტორიული და სხვა ტიპის კავშირები.

[1] András Rácz. Russias Hybrid.., გვ. 67.

მოსამზადებელ ეტაპზე რუსეთის ფედერაციის წინაშე იდგა შემდეგი ძირითადი ამოცანები: გაეღვივებინა სეპარატიზმი სამხრეთ და აღმოსავლეთ უკრაინაში, შეექმნა აგენტურული ქსელი და დაესუსტებინა უკრაინული სახელმწიფო. სეპარატიზმი აღმოსავლეთ უკრაინაში ძირითადად ვრცელდებოდა პრორუსული სოციოპოლიტიკური ორგანიზაციების, რელიგიური ინსტიტუტებისა და საინფორმაციო საშუალებების მიერ.

პრორუსული სოციოპოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც რადიკალური რუსული ნაციონალისტური იმპერიალისტური იდეის მატარებლები იყვნენ, მრავლად არსებობდა სამხრეთ და აღმოსავლეთ უკრაინაში. უკრაინაში მოქმედებდა ისეთი რუსული ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების ფილიალები, როგორიცაა ნაციონალური ბოლშევიკური პარტია, რუსეთის ეროვნული ერთიანობა, ევრაზიული ახალგაზრდობის კავშირი და კაზაკების სამხედრო ჯგუფები.[1] აღნიშნულმა დაჯგუფებებმა დიდი როლი ითამაშეს უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტში. მათ შორის გამორჩეული იყო ეროვნული ერთიანობის პარტია, რომლის წევრებიც გადადიოდნენ უკრაინაში მოხალისეებად, გადიოდნენ წვრთნებს, ამზადებდნენ სხვებს, ახდენდნენ ადგილობრივების სამხედრო ინსტრუქტაჟს და აქტიურად თანამშრომლობდნენ რუსეთის სპეცსამსახურებთანაც.[2] 2012 წელს პრორუსი ორგანიზაციების მიერ აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინაში ჩატარდა კონფერენციები და მრგვალი მაგიდები, სადაც განიხილავდნენ დონბასის განსაკუთრებულ როლს ევრაზიული კავშირის შექმნაში და აღნიშნავდნენ, რომ დონბასი წარმოადგენდა რუსული სამყაროს ნაწილს. 2013-2014 წლებში რუსი პოლიტიკოსების დავალებით დონბასის რეგიონში დაიწყო უკრაინის ფედერალიზაციის შესახებ ფართო დისკუსიები, როგორც ადგილობრივი პრობლემების მოგვარების საუკეთესო გამოსავალი.[3] 2014 წლის თებერვალში რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი ვლადისლავ სურკოვი სიმფეროპოლში ჩაფრინდა ადგილობრივ ლიდერებთან ავტონომიის

[1] Vyacheslav Likhachev. The Far Right in the Conflict Between Russia and Ukraine. Ifri, 2016, გვ. 19.

[2] ალექსანდ ვალოვი, რომელიც იყო აღნიშნული პარტიის წევრი და 2014 წლის შემოდგომით გადავიდა უკრაინელების მხარს, ყვება თუ როგორ მოახდინა ფსბ-მ მისი რეკრუტირება. ულტრანაციონალისტური ჯგუფის წევრი, რომელიც დაიჭირეს ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის გამო, რუსეთის სპეცსამსახურებმა შეშთავაზეს დონეცკში მოხალისედ წასვლა, ან საპატიმროში ყოფნა. იგი აღნიშნავდა, რომ მსგავსი მეთოდით გადაბირებული უამრავი რუსი იბრძოდა დონეცკში. Vyacheslav Likhachev. The Far Right.., გვ. 21.

[3] National Defence University of Ukraine. Means of Russia Hybrid Warfare Against Ukraine. Kyiv: Scientific and research center of military history, 2017, გვ. 10.

სტატუსისა და ქერჩზე ხიდის გადების შესახებ სალაპარაკოდ.[1] ასევე, 2013 წლის იანვრის ბოლოსთვის, როდესაც ევრომაიდნის პროტესტი პიკს აღწევდა, ნაკლებად ცნობილმა, კრიმინალური წარსულის მქონე პრორუსმა პოლიტიკოსმა სერგეი აქსიონოვმა დაიწყო ასეულობით ეთნიკურად რუსის ორგანიზება და პრორუსული მილიციის შექმნა. აღნიშნული დაჯგუფება თებერვლის ბოლოსთვის ათასობით წევრს ითვლიდა. აქ გაწევრიანებულები იყვნენ როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეები, ასევე კრიმინალური ელემენტები.[2] 2013-2014 წლებში დონეცკისა და ლუგანსკში ასევე გააქტიურდნენ ადგილობრივი კაზაკები, რომლებსაც რუსეთის სხვა რეგიონის მკვიდრი კაზაკებიც უერთდებოდნენ. ესენი იყვნენ გაწვრთნილი და გამოცდილი კადრები, რომლებიც წარმოადგენდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს. კონფლიქტის აქტიური ფაზის დროს, უკრაინის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ საბრძოლო დაპირისპირებისას აღნიშნული კაზაკური დაჯგუფებები მოქმედებდნენ რუსულ არმიასთან კოორდინაციით.[3]

ადგილობრივ სეპარატისტულ დაჯგუფებებს შორის ერთ-ერთი გამოსარჩევი იყო ჯერ კიდევ 2005 წლის დეკემბერში დაარსებული პოლიტიკური ორგანიზაცია „დონეცკის რესპუბლიკა“.[4] 2007 წელს ორგანიზაციამ აღმოსავლეთ უკრაინის ქალაქებში დაიწყო კამპანია უკრაინის ფედერალიზაციის პოპულარიზაციის მიზნით, რის გამოც დონეცკის ადმინისტრაციულმა სასამართლომ ორგანიზაცია კანონგარეშედ გამოაცხადა. 2009 წლიდან ორგანიზაციის წევრები ემზადებოდნენ უკრაინის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლისთვის. ქ. მაკიივკაში შექმნილი იყო სპეციალური სამხედრო ბანაკი, სადაც ხდებოდა სეპარატისტების მომხრეების გადაამზადა. აქ მათ ატარებდნენ პირველად საბრძოლო მომზადებას, ასწავლიდნენ სროლას, მოლოტოვის კოქტეილების შექმნას და გამოყენებას.[5] 2012 წელს ორგანიზაციის წევრებმა მოსკოვში, „ევრაზიის ახალგაზრდული კავშირის“ ორგანიზაციაში, გახსნეს საკუთარი „საელჩო“, სადაც დაიწყეს დონეცკის რესპუბლიკის პასპორტების დარიგება.[6] ასევე აღსანიშნავია ლუგანსკში დაარსებული

[1] Stephan Dayspring. Toward a Theory of Hybrid Warfare:The Russian Conduct of War During Peace. Monterey: Naval Postgraduate School, 2015, გვ. 132.
[2] Stephan Dayspring. Toward a Theory, გვ. 135-136.
[3] National Defence University of Ukraine. Means of Russia, გვ. 22.
[4] Vyacheslav Likhachev. The Far Right in the Conflict Between Russia and Ukraine. Ifri, 2016, გვ. 19.
[5] National Defence University of Ukraine. Means of Russia, გვ. 17.
[6] National Defence University of Ukraine. Means of Russia, გვ. 9.

ე.წ „ახალგაზრდა გვარდია“, რომელიც ღიად უწევდა პროპაგანდას უკრაინისგან გამოყოფას და ამ მიზნის მისაღწევად სამხედრო აგრესიას. დონეცკსა და ლუგანსკში ასევე მოქმედებდნენ სხვა პრორუსული ორგანიზაციებიც: „სახალხო მილიცია“, „აღმოსავლეთის ფრონტი“, „დონეცკის პატრიოტული ძალები“, „დონეცკის თავდაცვა“ და სხვა.[1]

უკრაინის მოსახლეობის განწყობის ცვლილებასა და სეპარატისტული მოძრაობის წახალისებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, რომლის დავალებითაც 2011 წლიდან უკრაინის ეკლესიების ეპისკოპოსებმა დაიწყეს „რუსული სამყაროს“ იდეის გავრცელება მოსახლეობაში.[2] რუსული ეკლესია საკუთარი იდეების გატარებისთვის ასევე იყენებდა ნეოკაზაკებსაც, რომელთა ლიდერებთანაც 2012 წლის ბოლოსთვის რუსეთის პატრიარქ კირილს პირადი აუდიენციებიც კი ჰქონდა.[3]

თავისი განსაკუთრებული როლი ჰქონდა ასევე რუსი ისტორიკოსების მიერ შექმნილ ნარატივს ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინის რეგიონის მიმართ, რომელსაც აქტიურად ავრცელებდა რუსეთი მის მიერ კონტროლირებადი საინფორმაციო საშუალებებით. მთავარი გზავნილები იყო, რომ 1954 წელს ეთნიკურად უკრაინელმა ხრუშჩოვმა არაკანონიერად გადასცა უკრაინას ყირიმის ნახევარკუნძული, რომელთანაც დაკავშირებული იყო რუსი ხალხის გმირობის უამრავი მაგალითი. ყირიმი, დონბასი და ლუგანსკი წარმოადგენდნენ ე.წ. „რუსული სამყაროს განუყოფელ ნაწილს, სადაც ცხოვრობდნენ ეთნიკურად რუსები, რომლებიც უკრაინის სახელმწიფოს შექმნამდე ცხოვრობდნენ რუსეთის შემადგენლობაში, კერძოდ კი, რუსეთის იმპერიის იმ რეგიონში, რომელსაც „ნოვოროსია“ ეწოდებოდა.

სეპარატისტული მოძრაობის წახალისების პარალელურად რუსეთის სპეცსამსახურები მუშაობდნენ უკრაინის შეიარაღებული ძალების დასუსტებაზე, სადაც რუსეთის ფედერაციას ჰყავდა ჩანერგილი და გადმობირებული აგენტები. მაგალითად. იანუკოვიჩის დროს უსაფრთხოების წამყვან თანამდებობებზე გამოკვეთილად პრორუსები იყვნენ დანიშნულები, რომლებიც მიზანმიმართულად ანგრევდნენ უკრაინის თავდაცვით შესაძლებლობებს. 2010-2014 წლებში უკრაინის

[1] National Defence University of Ukraine. Means of Russia, გვ. 18.
[2] National Defence University of Ukraine. Means of Russia, გვ. 9.
[3] National Defence University of Ukraine. Means of Russia, გვ. 22.

შეიარაღებულ ძალებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ისეთი პირები, რომლებიც თვლიდნენ, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები უნდა შემცირებულიყო.[1] რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარმა სადაზვერვო სამსახურმა შეძლო უკრაინის შეიარაღებული ძალების საშუალო და მაღალი დონის ოფიცრების გადმობირებაც. როგორც უკრაინის სამხედრო პროკურატურის გამოძიებით დადგინდა, მათ ძირითად სამიზნეს წარმოადგენდა ოფიცერთა ის კატეგორია, რომლებიც მსახურობდნენ იმ ქვედანაყოფებში, რომლებიც წარმოადგენდნენ ინტერვენციის შეკავების პირველ რგოლს (დაზვერვის სამსახურები, სანაპირო დაცვა და კავშირგაბმულობის სამსახურები).[2]

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ეტაპზე რუსეთმა ძალადობრივი ქმედებების გარეშე შეძლო უკრაინის სისუსტეებზე ზემოქმედება, შესაბამისად, როდესაც დაიწყო ჰიბრიდული ომის შემდგომი ფაზა, უკრაინის ხელისუფლება ფაქტის წინაშე დადგა. რას მოიცავდა ეს არაძალადობრივი ქმედებები? ძირითადად პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში აგენტების ჩანერგვას ან გადაბირებას, რომლებიც კრიტიკულ დროს გააკეთებდნენ რუსეთის ფედერაციისთვის სასარგებლო საქმეს.

2014 წლის თებერვლის ბოლოს, იანუკოვიჩის გაქცევის შემდეგ, რუსეთმა დაიწყო აქტიური ჰიბრიდული ომი უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა მოსამზადებელ ეტაპზე გამოვლენილი და დამუშავებული სისუსტეების გამოყენებას და მათზე დარტყმას. ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში რუსებმა ერთნაირად დაიწყეს მოქმედება. რუსული სამხედრო უნიფორმების, იარაღის, აღჭურვილობისა და ტექნიკის მქონე პირებმა, ამოსაცნობი ნიშნის გარეშე, დაიწყეს ბარიკადებისა და გამშვები პუნქტების შექმნა, უკრაინის სამხედროებისა და პოლიციელების ქვედანაყოფების ბლოკირება. ეს ყველაფერი მოხდა გასროლის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელ სამხედროებს არ აძლევდნენ საშუალებას, დაეტოვებინათ დისლოკაციის ადგილი. პოლიტიკური სამიზნეები იყო ასევე უმნიშვნელოვანესი: ყირიმში შეტევა დაიწყეს „ზრდილობიანმა მწვანე კაცუნებმა“, რომლებმაც დაიკავეს უმაღლესი საბჭოს შენობა და ადგილობრივ გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკოსებს ხელი შეუშალეს ფუნქციონირებაში. დონეცკშიც ერთ-ერთი პირველი სამიზნე იყო ადმინისტრაციული შენობები, სადაც პოლიციელებმა და ადგილობრივმა

[1] National Defence University of Ukraine. Means of Russia, გვ. 19.
[2] National Defence University of Ukraine. Means of Russia, გვ. 21.

უსაფრთხოების სამსახურებმა ვერ შეძლეს მათი დაცვა, უმეტესწილად იმიტომ, რომ არ ჰქონდათ ნათელი ბრძანებები კიევიდან, იყვნენ ნაკლებად მოტივირებული, დაბალი მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობით, სუსტი ლიდერობითა და არაადეკვატური შეიარაღებით. ამის პარალელურად კარგად ორგანიზებულმა, ხშირ შემთხვევაში შეიარაღებულმა დემონსტრანტებმა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილებმა, მაღალი ტაქტიკური მომზადებით დაიწყეს ადმინისტრაციული შენობების, მედიისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურების დაკავება. ტელევიზიებისა და რადიოსადგურების ხელში ჩაგდებით მოხდა უკრაინის ცენტრალური ხელისუფლების მედიაარხების ჩახშობა და მათი ჩანაცვლება რუსული არხებით, რომლებიც აწარმოებდნენ ძლიერ საინფორმაციო კამპანიას. საინფორმაციო ომის მიზანს წარმოადგენდა უკრაინის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დაბნევა, მათი ორჭოფობის გამოწვევა და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღების შიშის გაღვივება. ამას დაემატა რუსული სამხედრო და სამოქალაქო სექტორის მიერ უკრაინის მართვისა და კონტროლის სისტემებზე კიბერშეტევების მიტანა, ასევე ელექტრონული ბრძოლის საშუალებებით გადაცემათა სიხშირეების ჩახშობა.

მოსამზადებელი ფაზის დროს რუსეთის სადაზვერვო სამსახურების მიერ დამუშავებული აგენტებისა და საინფორმაციო საშუალებების დეზინფორმაციული კამპანიის დახმარებით მოხერხდა უკრაინული შეიარაღებული ძალების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ, მაგალითად, ყირიმში უმრავლესი მათგანი ან დანებდა, ან რუსეთის მხარეს გადავიდა, დონბასში კი ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა.

აღსანიშნავია ასევე რუსული რეგულარული ჯარების მიერ ძალების დემონსტრირების ტაქტიკა, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული შეიარაღებული ძალების კონცენტრირება, რომლის მეშვეობითაც რუსებმა შეძლეს უკრაინის ხელისუფლებისთვის ხელის შეშლა მთელი ძალისხმევის ერთ მონაკვეთზე მისამართად და აიძულეს საკუთარი ძალების დაქსაქსვა. რუსეთი ფარული მოქმედებებისთვის, სამხედრო ქვედანაყოფების უჩვეულო გადაადგილებისა და დისლოკაციის შეცვლისთვის, შირმად იყენებდა საბრძოლო მზადყოფნის დაუგეგმავ შემოწმებებს, რომლის ფარგლებშიც უამრავი ქვედანაყოფის გადასროლა მოხდა ყირიმში, შემდგომში კი უკრაინასთან საზღვარზეც, რათა იქ დიდი ძალების მობილიზებით დაეშინებინათ უკრაინის ხელისუფლება შესაძლო კონვენციური შეტევის საფრთხით. რუსებმა მოახდინეს 40000-მდე სამხედროს თავმოყრა 2014 წლის

აპრილისთვის უკრაინის საზღვარზე, რამაც გამოიწვია უკრაინელი გადაწყვეტილების მიმღები პირების გაურკვევლობა და შესაბამისი ქცევები.[1]

რუსეთის ფედერაცია ყირიმში იყენებდა ძირითადად საკონტრაქტო პროფესიულ სამხედროებს, რომლებიც სხვა ტიპის ჯარისკაცებისგან გამოირჩეოდნენ მაღალი დისციპლინით, მოტივაციითა და წვრთნის კარგი დონით. მათ უხდიდნენ ბევრად მეტ ხელფასს და ჰქონდათ მიღებული საუკეთესო სამხედრო განათლება.[2] რუსეთის ფედერაციის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად მოქმედება, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის განწყობებს, კორუფციასა და ნეპოტიზმში ჩაფლულ შეიარაღებულ ძალებს და სუსტ სახელისუფლებო ვერტიკალს, შეიძლება ითქვას, იყო იმ წარმატების წინაპირობა, რომელსაც რუსეთის მიერ ყირიმის უსისხლოდ ოკუპაცია და ანექსია მოჰყვა. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციამ ჰიბრიდული მეთოდებით შეძლო წარმატებული ოპერაციის წარმოება, რომლითაც მათ შეძლეს რიცხობრივად და ტექნიკურ-საცეცხლე ძალებით უპირატესი მოწინააღმდეგის ზედმეტი დანაკარგების გარეშე დამარცხება. ყირიმის ოპერაციისას რუსეთის ჯარმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ განხორციელებული რეფორმები იყო წარმატებული და რუსეთის შეიარაღებული ძალები ახალ ეტაპზე გადავიდა. მოდერნიზაციის შედეგად რუსებმა შექმნეს მობილური შენაერთები, რომლებსაც რამდენიმე საათში შეძლოთ საბრძოლო მზადყოფნაში მოსვლა და რუსეთის საზღვრებთან მდებარე სახელმწიფოების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების განხორციელება. რუსებმა მოახდინეს იმის დემონსტრირება, რომ საბჭოთა სამხედრო დოქტრინებში არსებული მოძველებული ტენდენციები ამოაგდეს, განაახლეს და შექმნეს თანამედროვე ძალები.[3]

ყირიმში მოქმედი რუსები უკრაინული ჯარების იზოლაციისა და ნახევარკუნძულზე გადაადგილებისთვის ძირითადად იყენებდნენ მსუბუქ ტექნიკას, ჯავშანტრანსპორტიორებს, სატვირთო ავტომობილებსა და „გაზ ტიგრ“ ტიპის ქვეითთა მობილურ მანქანებს. შესაბამისად, ისინი იყვნენ საკმაოდ სწრაფები, თუმცა

[1] Dan Bloon. Satellite photos expose 40,000 Russian troops, tanks and fighter jets massed near Ukraine's borders as Nato warns Kremlin could order invasion within 12 HOURS. 11 April, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.dailymail.co.uk/news/article-2602132/U-S-troops-sent-Eastern-Europe-NATO-countries-feeling-threatened-Russia-Ukraine-conflict.html

[2] Michael Kofman, et al. Lessions from, გვ. 22.

[3] Michael Kofman. et al. Lessions from, გვ. 23.

ნაკლები საცეცხლე ძალის მქონენი. რუსეთი მხარს უჭერდა ამ დაჯგუფებებს საჰაერო საშუალებებით, რაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ოპერაცია ჩაეტარებინათ ტანკებისა და მექანიზებული ქვედანაყოფების გარეშე. რუსები ეფექტიანად მართავდნენ პატარა, მსუბუქ დაჯგუფებებს და პარალელურად არ ამყარებდნენ კონტაქტს მოწინააღმდეგე მხარესთან, რითაც, პირველ რიგში, იგებდნენ დროს, რათა ამ მობილურ დაჯგუფებებს მოეცვათ მთლიანი ნახევარკუნძული და, მეორეს მხრივ, უკრაინის მთავრობას ამყოფებდნენ გაურკვევლობაში.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ყირიმში მოქმედი ქვედანაყოფების უმრავლესობა მსუბუქად იყო შეიარაღებული, იმ 50-კაციან დაჯგუფებას, რომელმაც დაიკავა ყირიმის პარლამენტი, გააჩნდა ჯავშანჟილეტები, ღამის ხედვის აპარატურა, სნაიპერული შაშხანები, ტყვიამფრქვევები და ნაღმტყორცნები. ამ დაჯგუფებებს შეეძლოთ ეფექტიანი წინააღმდეგობის გაწევა უკრაინის როგორც შინაგანი, ასევე თავდაცვის ძალებისთვის. რუსებმა მალევე დაამყარეს კონტროლი ქერჩის სრუტეზე, საიდანაც დაიწყეს რეგულარული ჯარის ნაწილების გადასროლა. მათ ნახევარკუნძულზე განალაგეს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები, ხოლო მის ჩრდილოეთით კი – საარტილერიო დანადგარები, უკრაინის მხრიდან შესაძლო კონტრშეტევისგან თავდასაცავად.[2]

რუსეთმა ყირიმში ტრადიციული სამხედრო ამოცანები, ანუ ძირითადი სამხედრო ობიექტების დაკავება, მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების გარშემორტყმა და მოსახლეობის კონტროლი განახორციელა დაზვერვის ოფიცრების, სპეციალური ოპერატიული ძალების ქვედანაყოფების, ელიტური საჰაერო მედესანტეებისა და საზღვაო ძალებით, არარეგულარული მილიციის, კერძო უსაფრთხოების ორგანიზაციების, მოხალისეებისა და კრიმინალური ჯგუფების ნაზავით, რომლებსაც შემდეგ მოჰყვნენ კონვენციური საოკუპაციო ძალები. უნდა აღინიშნოს აუცილებლად, რომ ყირიმის ოპერაცია იყო არა ცალკე აღებული ჰიბრიდული ომი, არამედ ერთი დიდი ჰიბრიდული ომის მცირე ნაწილი, რომელიც განხორციელდა უსისხლოდ.[3] ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობენ მკვლევრები, რომელთა აზრითაც ყირიმის ოპერაცია არ

[1] Michael Kofman. et al. Lessions from, გვ. 25.
[2] Michael Kofman. et al. Lessions from, გვ. 25.
[3] Stephan Dayspring. Toward a Theory of, გვ. 132.

წარმოადგენდა ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მაგალითს, რადგანაც იგი უფრო ჰგავდა კონვენციური შეჭრისთვის საბრძოლო სივრცის მომზადებას, ვიდრე რამე სიახლეს ომის წარმოების კუთხით.[1]

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთმა შეძლო ყირიმიდან, დონბასსა და ლუგანსკიდან ცენტრალური ხელისუფლების განდევნა და არალეგიტიმური რეფერენდუმებით იქ ალტერნატიული პოლიტიკური მმართველობის შექმნა, თუმცა, ყირიმისგან განსხვავებით, უკრაინის ხელისუფლებამ შეძლო დონბას-ლუგანსკში შესაბამისი რეაგირების მოხდენა და რუსეთისათვის განსხვავებული შედეგის დაყენება. თუ ყირიმში რუსების მიერ დაგეგმილმა ოპერაციამ უსისხლოდ ჩაიარა და უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ მათთვის წინააღმდეგობის გაწევის (ისიც უკანდახევის) მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა თუ დაფიქსირდა, დონბასსა და ლუგანსკში უკრაინის ხელისუფლებამ წამოიწყო ანტიტერორისტული ოპერაცია, რამაც სეპარატისტებს ყირიმის სცენარის გამეორების საშუალება არ მისცა. შესაბამისად, რუსეთმა დაიწყო განსხვავებული ჰიბრიდული მიდგომის გამოყენება.

დონბასსა და ლუგანსკში ჰიბრიდული სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა აპრილიდან აგვისტომდე, რა ეტაპზეც ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე რუსეთის შეიარაღებული ძალები სეპარატისტებს ეხმარებოდნენ ძირითადად რუსეთის ტერიტორიაზე, უკრაინის საზღვართან სიახლოვეში განლაგებული საარტილერიო სისტემებიდან გახსნილი გამანადგურებელი ცეცხლით, სპეციალური ოპერაციების ძალებით, დრონებით, მოხალისეებისა და დაქირავებულების გადასროლით, სეპარატისტების წვრთნითა და საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვაში დახმარებით. რუსები საარტილერიო დარტყმებისთვის სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისთვის აქტიურად იყენებდნენ დრონებს, სპეცრაზმელებს, გრუ-ს წარმომადგენლებსა და პარტიზანებს. სამიზნე ობიექტების განსაზღვრისთანავე, აღნიშნული ქვედანაყოფები ინფორმაციას აწვდიდნენ საცეცხლე ჯგუფებს, რომლებიც დაუყოვნებლივ ახდენდნენ შესაბამის რეაგირებას. მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას 2014 წლის 11 ივლისის სარაკეტო დარტყმა ზელენოპილიაზე,[2] სადაც რუსებმა, დრონებისა და კიბერსაშუალებების გამოყენებით, მოახდინეს უკრაინელთა ქვედანაყოფების იდენტიფიცირება, მათი მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების მოშლა და

[1] Michael Kofman. et al. Lessions from, გვ. 23.
[2] Phillip A. Karber. Lessons Learned, გვ. 37.

შემდეგ BM-21 გრადითა და 9A52-4 ტორნადოს სისტემის საარტილერიო დანადგარებით ცეცხლის გახსნა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა 30 და დაიჭრა 100 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე. ჯამში კი, სარაკეტო-საარტილერიო თავდასხმის შედეგად, უკრაინელთა ორმა ბატალიონმა დაკარგა ბრძოლისუნარიანობა.[1] აღსანიშნავია, რომ ეს გამანადგურებელი დარტყმა რუსმა არტილერისტებმა სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში განახორციელეს.[2] აღნიშნულში უდიდესი როლი ეკისრებოდა რუსულ სპეცდანიშნულების ძალებს, რომლებიც, დასავლური ქვეყნების სამხედრო სისტემებისგან განსხვავებით, წარმოადგენდნენ კონვენციურ ძალებში ინტეგრირებულ ელემენტს და მოქმედებდნენ არა რეგულარული ძალების პარალელურად, არამედ ემორჩილებოდნენ კონვენციური ძალების მეთაურებს, რომლებიც პირადად მართავდნენ სპეცრაზმელებისა და გრუ-ს მოქმედებებს, რის შედეგადაც მათი სინქრონიზაცია უმაღლეს დონეზე იყო ასული, რაც უზრუნველყოფდა სახმელეთო ჯარების ეფექტიანობას.[3]

აღმოსავლეთ უკრაინაში რუსები აქტიურად იყენებდნენ საარტილერიო და სარაკეტო სისტემებს, რაც სახმელეთო ბრძოლებში დომინანტურ როლს ასრულებდა. ეს არ იყო ახალი რუსული ომის წარმოების მეთოდისთვის, რადგანაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, მექანიზებული ქვედანაყოფები და ქვეითები მხარს უჭერდნენ სწორედ არტილერიას, რომლის მიერ მოწინააღმდეგის პოზიციების დამუშავების შემდეგ გადადიოდნენ შეტევაზე და ანადგურებდნენ მათ. თუმცა, ამ შემთხვევაში რუსებმა ახალი ჰიბრიდული მეთოდი გამოიყენეს, რომელიც მოიცავდა ახლებურ მიდგომას, თუ როგორ აღმოეჩინათ სამიზნე და როგორ შეექმნათ წრიული ციკლი სამიზნის აღმოჩენასა და მის საცეცხლე დამუშავებას შორის.[4] შესაბამისად, რუსებმა ძალიან კარგად გამოიყენეს აღნიშნულ კონფლიქტში თავიანთი ტექნოლოგიური უპირატესობა, რათა აღმოეჩინათ უკრაინელთა ქვედანაყოფები და დაუსჯელად განეხორციელებინათ მათი საარტილერიო დამუშავება, რადგანაც უკრაინელებს არ გააჩნდათ შესაბამისი ტექნიკა შორი მანძილიდან მოქმედი რუსი არტილერისტები აღმოსაჩენად და იმავე

[1] Amos C. Fox. Battle of Debal'tseve, გვ. 6.
[2] Phillip A. Karber. Lessons Learned, გვ. 38.
[3] Amos C. Fox. Battle of Debal'tseve, გვ. 6.
[4] Amos C. Fox. Battle of Debal'tseve, გვ. 6.

მანძილიდან მათი საცეცხლე პოზიციების დასამუშავებლად. რუსები კი ამ მხრივ სრულად თანამედროვე ტექნიკას იყენებდნენ, მათ შორის ისეთ აღმომჩენ სისტემებს, როგორიცაა ზოოპარკ-1, ლეოპარდ-ტ, ლუქს-1, რაც სეპარატისტებს აყენებდა უპირატეს მდგომარეობაში.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის მიმდინარეობისას ორივე მხრიდან მსხვერპლის 85% სწორედ საარტილერიო ცეცხლზე მოდიოდა. უკრაინელები არტილერიას ძირითადად თავდაცვის მიზნით იყენებდნენ, რუსებს კი უფრო მრავალფეროვნება ახასიათებდათ. ძირითადად ეს იყო MLRS სისტემის საარტილერიო დანადგარები, რომლითაც ხდებოდა უკრაინელთა პოზიციების მასიური დამუშავება. ასევე, მაშინ როცა საარტილერიო ჯგუფები ნატოს წევრ ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში ძირითადად ბრიგადის დონეზეა (ასეა საქართველოშიც) რუსებმა საარტილერიო ბატარეები მიამაგრეს მექანიზებულ და სატანკო ბატალიონებს, რაც აადვილებდა საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფის მეთაურების მოქმედებებს და მათ მიერ მცირე სამიზნეების დამუშავებებს და ზრდიდა საარტილერიო ცეცხლის ეფექტიანობას.

მართალია, აღნიშნულ კონფლიქტში რუსული სამხედრო-საჰაერო ძალები არ იყვნენ აქტიურად წარმოდგენილნი და ომი ძირითადად ერთ განზომილებაში, ხმელეთზე მიმდინარეობდა, შეიძლება ითქვას, კაცობრიობის ომების ისტორიაში პირველად იქნა გამოყენებული უპილოტო საფრენი აპარატები, ე.წ. დრონები. რასაკვირველია, უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტამდე იყო დრონების გამოყენების ცალკეული ფაქტები, მაგრამ დონბასსა და ლუგანსკში პირველად მოხდა, როდესაც კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე იყენებდა უპილოტო საფრენ აპარატებს. პირველად რუსებმა ისინი გამოიყენეს 2014 წლის მაისში, თუმცა უკვე ივლისის ბოლოდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე რუსების მხრიდან დრონების გამოყენებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. საერთო ჯამში რუსმა სამხედროებმა 14 სხვადასხვა ტიპის უპილოტო საფრენი აპარატი გამოიყენეს აღნიშნულ პერიოდში.[1] ზუსტად დრონები იყო ერთ-ერთი ის საშუალება, რომლის გამოყენებითაც ხდებოდა უკრაინელთა ქვედანაყოფების აღმოჩენა და არტილერისტთა ჯგუფისთვის მისი ლოკაციის მიწოდება, რომელსაც მოჰყვებოდა შემდეგ მასიური, მთელ პერიმეტრზე

[1] Phillip A.Karber. Lessons Learned, გვ. 13.

გახსნილი გამანადგურებელი ცეცხლი.

როგორც აღვნიშნეთ, აპრილიდან აგვისტომდე რუსეთი ძირითადად შემოიფარგლებოდა სეპარატისტებისთვის არაპირდაპირი დახმარების აღმოჩენით, ძირითადად ცალკეული ჯგუფების გადასროლით, საარტილერიო მხარდაჭერითა და ტექნიკის მიწოდებით. ამ ეტაპზე, საერთაშორისო საზოგადოებისა და უკრაინის მოსახლეობის/ხელისუფლების დაბნევის მიზნით, საინფორმაციო ომში უპირატესობის მოპოვებისთვის, რუსეთის ხელისუფლება სეპარატისტებს ძირითადად იმ ტიპის მძიმე და მსუბუქი ტექნიკით აიარაღებდა, რომლებიც უკრაინის შეიარაღებულ ძალებს გააჩნდათ თავიანთ არსენალში (ესეთებიაT 64, 72 და 80 ტიპის ტანკები). ამგვარად რუსები მუდმივად აპელირებდნენ იმაზე, რომ სეპარატისტების ხელში აღმოჩენილი ტექნიკის უკან არა რუსეთის სახელმწიფო იდგა, არამედ ცუდად მომზადებული უკრაინული მეომრები. სეპარატისტებმა უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ბაზების დაკავებითა და საბრძოლო ალაფის სახით მოიპოვეს აღჭურვილობა და რუსეთი მათ არ დახმარებიათ.[1] თუმცა, აღსანიშნავია, რომ რუსების რიტორიკა და ქცევა მაშინვე შეიცვალა, როგორც კი უკრაინული წარმატებული ანტიტერორისტული ოპერაციის შედეგად სეპარატისტების პოზიციები შეირყა და რიგი ტერიტორიები გაიწმინდა მათი მებრძოლებისგან. რუსეთის ფედერაცია იძლებული გაეზარდა პირდაპირი და არაპირდაპირი სამხედრო დახმარება. სწორედ ამ დროიდან გამოჩნდა უკრაინის ტერიტორიაზე ექსკლუზიურად რუსეთის შეიარაღებულ ძალების აღჭურვილობაში არსებული სამხედრო ტექნიკა: T-72B3[2] და T-90 ტიპის ტანკები. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ეფექტური ამ უკანასკნელის გამოყენება აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არაუმეტეს ერთი ასეულით იყო წარმოდგენილი, იმის გამო რომ უკრაინელებს არ გააჩნდათ ისეთი ტანკსაწინააღმდეგო სისტემები, რომლებიც ამ ტიპის დაჯავშნილ მანქანას დააზიანებდა. მან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ლუგანსკისა და დონეცკის აეროპორტების აღების ოპერაციებში, ასევე დებალცევეს ალყისას.[3]

რაც შეეხება რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის

---

[1] Phillip A. Karber. Lessons Learned, გვ. 25.

[2] ასევე, T-72BA და T-72B Mod. 1989 ტიპის ტანკები. იხ.: Ferguson, Jonathan, and N.R Jenzen-Jones. Raising Red Flags, გვ. 65-.67.

[3] Phillip A. Karber. Lessons Learned, გვ. 26.

სტრატეგიულ დონეს, დონბასში ეს წარმოდგენილი იყო საინფორმაციო ომის სახით. აქ იგი თამაშობდა ცენტრალურ როლს და ტყუილი თუ შეცდომაში შეყვანა იყო რუსეთის მოქმედებების უმთავრესი ელემენტი. „მთავარი არა ფაქტებია, არამედ მათი აღქმა“, –რუსეთის პოლიტიკური ელიტის მიერ ეს მიდგომა წლების განმავლობაში იხვეწებოდა. ამისთვის შეიქმნა საინფორმაციო ოპერაციებისთვის საჭირო სტრუქტურები და ინსტიტუტები. პუტინის ხელისუფლებამ პროფესიულ დონეზე აიყვანა ფაქტებით მანიპულირება, სიმართლესა და ტყუილს შორის ზღვრის წაშლა, ფიქციური ალტერნატიული რეალობის შექმნა. ჰიბრიდული ომის საინფორმაციო შემადგენლის ყველაზე წარმატებულ ნაწილს წარმოადგენდა უარყოფის ელემენტი. რუსეთი პასუხისმგებლობას არ იღებდა მის მიერ ჩადენილ ქმედებებზე და სიტუაციის დალაგებამდე უარყოფდა მომხდარ მოვლენებთან კავშირს.[1] მაგალითად ამგვარმა მიდგომამ შედეგი გამოიღო ყირიმის მოვლენებისას, როდესაც ძალაუფლების სათავეში ახლად მოსულ უკრაინულ გამოუცდელ ხელისუფლება ვერ იღებდა ადეკვატურ გადაწყვეტილებას, რადგანაც არსებული ბურუსის გამო ვერ ხვდებოდნენ, რა იქნებოდა სწორი და გამართლებული ქმედება. ამ ეტაპზე მათი მთავარი საზრუნავი იყო რუსეთისთვის არ მიეცათ დამატებითი ბერკეტები პროვოცირებისთვის, რადგანაც ფიქრობდნენ რომ რუსული აქტივობების მიზანს ზუსტად ეს წარმოადგენდა. უკრაინის ხელისუფლების კრიზისის საპასუხო ზომები გამოეყენებინათ კონფლიქტის რადიკალიზაციისთვის.

ასე, რომ შეიძლება ითქვას რუსებმა „მასკიროვკის“ გამოყენებით შეძლეს ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული მიზნების შესრულება. ტაქტიკურ დონეზე, უკრაინის მოსახლეობის გარკვეული ნაწილს შეუქმნეს განცდა, რომ ე.წ. მწვანე კაცუნები არა რუსი პროფესიონალი სამხედროები, არამედ ადგილობრივი ამბოხებულები იყვნენ. სტრატეგიულ და ოპერატიულ სივრცეში კი, როგორც უკრაინის, ასევე ევროპის პოლიტიკურ ელიტასა და მოსახლეობაში გამოიწვიეს გაურკვევლობა და დაუბნეულობა. აქაც, არაფერი ახალი, საბჭოთა კავშირის პერიოდის ქცევის ხაზი, ტოტალური უარყოფა ტეტორისტულ ორგანიზაციებთან რაიმე კავშირის, ან ასევე, ჰუმანიტარულ კრიზისში მყოფ რეგიონში ჰუმანიტარული დახმარების

[1] ბოჩო შურღაია. რუსეთის ჰიბრიდული ომი უკრაინაში 2014-2015 წლებში. საისტორიო ძიებანი XIII. წელიწდეული. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება აფხაზეთის ორგანიზაცია. თბილისი, 2020-2021, გვ. 398-399.

მისიის ფარგლებში, კეთილი ზრახვების შირმად გამოყენება, რეალურად კი სეპარატისტებისა თუ ამბოხებულების მომარაგება იარაღით. ფრიდან ვეკოუას სიტყვებით[1], რომელიც უკრაინელების ჩანერგილი აგენტი იყო დონეცკში, ჰუმანიტარული ტვირთის მიღებისას მას პირდაპირ განუცხადეს, რომ იგი აიღებდა ჰუმანიტარულ ნაწილს, ხოლო სამხედროები აიღებდნენ მათთვის განკუთვნილ ნაწილს. რუსების მიერ უარყოფის ტაქტიკის ერთ–ერთი ხშირად გამოყენებადი პრაქტიკა იყო რუსეთის არმიის მოქმედი სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რომლებიც სეპარატისტულ რეგიონებში უკრაინის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ, შვებულებების გაფორმება. რაც, მათი ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საშუალებას აძლევდა პასუხისმგებლობა აერიდებინა შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეზე, განცხადებით რომ მან კონტრაქტის დარღვევით დატოვა რუსეთის შეიარაღებული ძალები და გენერალური შტაბი არ იყო საქმის კურსში თუ რითი იყო დაკავებული მათი ყოფილი სამხედრო მოსამსახურე.რუსების მიერ ფაქტების უარყოფის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს მათი ტაქტიკა უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებთან დაკავშირებით. დონბასსა და ლუგანსკში მივლინებულ სამხედროებს თან ჰქონდათ ბრძანება მათი შვებულებაში გაშვების შესახებ, შესაბამისად, მათი ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური პოზიცია იყო, რომ ისინი ვერ აიღებდნენ პასუხისმგებლობას, თუ რას მოიმოქმედებდა მათი შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე, ან ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნულმა სამხედრო მოსამსახურემ დაარღვია კონტრაქტი, დატოვა რუსეთის შეიარაღებული ძალები და თუ როგორ აღმოჩნდა უკრაინაში, ეს რუსეთის გენშტაბმა არ იცოდა.[2]

საინფორმაციო ომის ფარგლებში რუსების მიერ წარმოებული დეზინფორმაცია მოიცავდა უკრაინელების დადანაშაულებას მშვიდობიანი სამოქალაქოების გამიზნულ დახოცვაში,[3] ეთნიკური რუსების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევაში, გენოციდში.[4] ავრცელებდნენ ისეთ აბსურდულ ინფორმაციასაც კი,

[1] Taras Kuzio and Paul D'Anieri. The Soviet Origins, გვ. 8.

[2] National Defence University of Ukraine. Means of Russia, გვ. 25.

[3] Геноцид и уничтожение»: жители Донбасса в ужасе от действий украинской армии. 06 July, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://www.ntv.ru/novosti/1107176/

[4] СКР заявил о геноциде русских на Украине. 29 September, 2014. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023

როგორიცაა უკრაინელი სამხედროების მიერ როგორც თავიანთი, ასევე მოწინააღმდეგის გარდაცვლილი ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა.[1]

ყირიმის და აღმოსავლეთ უკრაინის განხილული მაგალითი გვაჩვენებს, რომ რუსეთის ჰიბრიდული მიდგომა ერთი სამიზნე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონშიც კი რაღაც ეტაპზე სრულიად განსხვავებული იყო, მაგრამ ამავდროულად მას აქვს საერთო მახასიათებლები. ორივე შემთხვევაში რუსეთმა მიაღწია თავიანთ საბოლოო მიზანს: მოწინააღმდეგე ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიები, ადამიანური რესურსები, ეკონომიკური პოტენციალი და შანსი გაწევრიანებულიყო რუსებისთვის მტრულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში. რუსების მიერ უკრაინაში წარმოებული ჰიბრიდული ომი მოიცავდა სეპარატიზმის წახალისებას, მათთვის ტექნიკისა და შეიარაღების მიწოდებას, სეპარატისტული დაჯგუფებების წვრთნას, შეზღუდული ფარული სამხედრო დახმარების აღმოჩენას არტილერიის, სპეციალური ოპერაციების ძალებისა თუ მოხალისეების სახით, ასევე, საინფორმაციო ომის წარმოებას, ეკონომიკურ სანქციებსა და პოლიტიკურ შანტაჟს.

## §2. რუსეთის ქმედებები საქართველოში

უკრაინაში წარმოებული ჰიბრიდული ომის კვლევა გვაძლევს საშუალებას, მოვახდინოთ რუსეთის მოქმედებების აფხაზეთის ომთან ისტორიულ-შედარებითი ანალიზი და გამოვყოთ ამ ორი კონფლიქტისთვის დამახასიათებელი საერთო მახასიათებლები, ასევე ძირითადი განსხვავებები. ამაზე დაყრდნობით შესაძლებალი დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, იყენებდა თუ არა რუსეთის ფედერაცია 1991-1993 წლებში საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელ აქტივობებს.

რა საერთო მახასიათებლები შეიძლება გამოიყოს რუსეთის მოქმედებებს შორის, რომლებსაც თითქმის ოცი წელი აშორებთ ერთმანეთისგან? ესენია სეპარატისტული მოძრაობის წახალისება, ამბოხებულთა სამხედრო და არასამხედრო საშუალებებით პირდაპირი და ირიბი მხარდაჭერა, სამიზნე ქვეყნის წინააღმდეგ საინფორმაციო და პროპაგანდისტული ომის წარმოება.

---

ვებგვერდზე: https://www.bbc.com/russian/rolling_news/2014/09/140929_rn_skr_genocide_charges

[1] Николай Осипов. Страна потрошителей: как торгуют органами на Украине. 12 April, 2017. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: https://radiovesti.ru/brand/61178/episode/1490648/

გულისხმობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ლინგვისტური და ეთნიკური კუთხით განსხვავებულობის გაღრმავების ხელშეწყობას,[1] ასევე ეთნიკური უმცირესობების წარსულისა და მათი განსახლების არეალის შესახებ ისტორიის ფალსიფიცირებას, რადიკალური ნაციონალისტური გაერთიანებების ჩამოყალიბებასა და შესაბამისად სეპარატისტული მოძრაობის დაარსებას. ამ კუთხით ჯერ სსრკ-ს და შემდეგ უკვე რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ აქტიურად გამოიყენეს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდში დაწყებული ისტორიის გაყალბების მცდელობები და ფაქტობრივად „ისტორიოგრაფიული ომი“ გააჩაღეს.[2]

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1988 წლის ნოემბერში სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საწინააღმდეგო მძლავრი აქციის შემდეგ, ქართული ეროვნული მოძრაობის „დასჯის მიზნით“, სსრ კავშირის ცენტრალური ხელისუფლების ნებართვით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიქმნა ადგილობრივი ეროვნული მოძრაობების ოფიციალური ორგანიზაციები, „აფხაზეთის სახალხო ფორუმი – აიდგილარა“ და „ადამონ ნიხასი“. ზ. პაპასქირის სწორი მტკიცებით, „ის, რომ აფხაზთა და ოსთა ე.წ. „ეროვნული მოძრაობა“ მთლიანად ინსპირირებული იყო საკავშირო ცენტრის მიერ, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს“.[3] 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში აფხაზებმა ჩაატარეს მრავალათასიანი თავყრილობა და გამოაქვეყნეს ცნობილი ლიხნის წერილი, რამაც ქართული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.[4] მოსკოვის მიერ ინსპირირებულმა დაძაბულობამ პიკს 1989 წლის 15–16 ივლისს მიაღწია სოხუმში დატრიალებული ტრაგედიის სახით[5] და აფხაზი ბოევიკების მიერ ძალადობრივი ქმედებების ტალღით აფხაზეთის სრულ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი აფხაზური სეპარატიზმის ხელშეწყობის პარალელურად, მოსკოვის მცდელობების შედეგად ჩამოყალიბდა ანტიქართული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაცია, რომელიც დაარსდა 1989 წლის, 25-26 აგვისტოს

---

[1] ამის საუკეთესო მაგალითია აფხაზური ანბანის საფუძვლად „კირილიცის“ აღება (იხ.: აფხაზეთის საქართველოა, გვ. 7).

[2] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: აფხაზეთი საქართველოა, გვ. 7-26.

[3] ზურაბ პაპასქირი,. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 196.

[4] მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, დავით მუსხელიშვილი და როინ მეტრეველი, . საქართველოს ისტორია. ტ. IV. თბილისი: პალიტრა L, 2012, გვ. 497.

[5] ზურაბ პაპასქირი. აფხაზეთი საქართველოა, გვ. 480.

ქალაქ სოხუმში,[1] რომელიც გამოცხადდა კიდეც კონფედერაციის დედაქალაქად.

აღსანიშნავია ასევე აფხაზური მხარის მიერ არალეგიტიმური სამხედრო შენაერთის – „აფხაზური გვარდიის“ შექმნა, რომელიც ფორმალურად „შინაგანი ჯარის პოლკად“ იწოდებოდა. აღნიშნულმა ქვედანაყოფის მებრძოლებმა სამხედრო წვრთნა გაიარეს ქ. გროზნოში. 1992 წლის დასაწყისში ვ. არძინბამ ეს დაჯგუფება დააყენა მდ. ენგურზე. ასევე მათი მეშვეობით 1992 წლის 24 ივნისს, ძალის გამოყენებით, დაატოვებინა თავისი კაბინეტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ გივი ლომინაძეს, რომლის გადაყენებაც ყველა შეთანხმების დარღვევით მოხდა.[2] სწორედ ეს გვარდია, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ბოევიკებთან ერთად, წარმოადგენდა იმ ძალას, რომელმაც დაიწყო საომარი მოქმედებები და გაუხსნა ცეცხლი 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში რკინიგზის გასაკონტროლებლად შესულ ქართულ საპოლიციო ქვედანაყოფებს.

აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობისას ასევე შესაძლებელია იმ რუსული მოქმედებების სამხედრო კომპონენტების გამოყოფა, რომელსაც ისინი ახორციელებდნენ უკრაინის წინააღმდეგაც, კერძოდ: რუსების მიერ სეპარატისტების შეიარაღებით, ტექნიკითა და ფულით დახმარება; რუსული რეგულარული ჯარის ნაწილების, სპეციალური ოპერაციების ძალების, სამხედრო-საჰაერო ძალების, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების და რუსი მოხალისეების მობილიზება, შეიარაღება და აფხაზეთში გადასროლა; ჰუმანიტარული დახმარების საფარქვეშ სეპარატისტების სამხედრო საშუალებებით მომარაგება; სეპარატისტებისთვის საწვრთნელი ბანაკების გახსნა აფხაზეთის ტერიტორიაზე და ასევე მათი გადამზადება რუსეთის სამხედრო ბაზებში; სეპარატისტების მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციების რუსეთის გენერალიტეტის მიერ დაგეგმვა.

აღსანიშნავია, რომ, დონბას–ლუგანსკის მსგავსად, რუსეთის ჩართულობა აფხაზეთის ომის საწყის ეტაპზე შემოიფარგლებოდა ამბოხებულებისთვის მსუბუქი სამხედრო ტექნიკის მიწოდებით, რუს მოხალისეთა ცალკეული ჯგუფების ორგანიზებითა და კონფლიქტის რაიონში გადასროლით, ასევე სეპარატისტებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენით. თუ დონბასის აეროპორტზე წარუმატებელი შეტევა და უკრაინის ანტიტერორისტული ოპერაციის წარმატებული მიმდინარეობა

[1] ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 250.
[2] ზურაბ პაპასქირი. აფხაზეთი საქართველოა, გვ. 532-533.

გახდა საბაბი რუსეთის უფრო აქტიური ჩართვისა უკრაინის კონფლიქტში, რაც გამოიხატა სეპარატისტებისთვის მძიმე ტექნიკის მიწოდებით, მასიური საარტილერიო საცეცხლე მხარდაჭერით, სპეციალური ოპერაციების ძალების ჩართულობით და სამხედრო მრჩევლებით, აფხაზეთის შემთხვევაში ქართული მხარის მიერ აფხაზი სეპარატისტების გუდაუთასა და ტყვარჩელში ალყაში მოქცევისა და რუსეთ-საქართველოს აფხაზურ მონაკვეთზე ქართული კონტროლის დამყარების შემდეგ, რუსეთმა ჯერ აფხაზეთში განლაგებული სამხედრო ბაზებით მოახერხა აფხაზების არალეგიტიმური ხელისუფლების უსაფრთხოების დაცვა, შემდეგ კი მათ გადასცა მძიმე ტექნიკა, მოამარაგა ტყვარჩელში გამაგრებული დაჯგუფება ტყვია–წამლითა და შეიარაღებით, ასევე მასიურად დაიწყო აფხაზეთში მოხალისეების გადასროლა, რომლებიც სხვადასხვა სახით მონაწილეობდნენ მათ მხარეს. რუსული მხარე სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საზღვაო ფლოტის გამოყენებით იცავდა აფხაზურ შენაერთებს და ბლოკავდა ქართველების წინსვლას, აფხაზური შეტევის დროს კი ბომბავდა ქართულ პოზიციებს. აფხაზებისა და მათ მოკავშირეების მიერ გაგრის წარმატებული ოპერაციისა და ფსოუზე აფხაზური კონტროლის დამყარების შემდეგ, რუსეთმა უფრო მარტივად გააგრძელა სეპარატისტების მომარაგება ისე, რომ რუსული კვალი ადვილად დამალულიყო და საერთაშორისო საზოგადოებას გასჭირვებოდა მონიტორინგი.

Human Rights Watch თავის მოხსენებაში ადასტურებს, რომ აფხაზეთის კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსი სამხედროები, რომელთა აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფნა სანქცირებული იყო რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ. რუსების მიერ აფხაზეთში გაგზავნილ ჰუმანიტარულ დახმარებებსაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მომხსენებელი და აღნიშნავდა, რომ არსებობს დადასტურებული ეჭვები იმის შესახებ, რომ ჰუმანიტარული ტვირთის საფარქვეშ რუსები ტყვარჩელში აგზავნიდნენ იარაღსა და მეომრებს. Human Rights Watch-ის, ნეიტრალური სადამკვირვებლო კომისიის, აღნიშნული მოხსენებით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ რუსები აწვდიდნენ იარაღს და სამხედრო მხარდაჭერას უწევდნენ აფხაზებს, რომლებიც, თავის მხრივ, მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებებისა და ომის სამართლის კანონების დარღვევაში. რუსების მიერ სამხედრო დახმარება პირდაპირ ისახავდა მიზანს აფხაზეთის კონფლიქტზე გავლენა მოეხდინა,

აფხაზური მხარის სასარგებლოდ.[1] აღნიშნული ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ საკმაო რაოდენობა ეთნიკური რუსებისა, რომლებიც არ ცხოვრობდნენ აფხაზეთში (ან მთლიანად საქართველოში), იბრძოდნენ აფხაზების მხარეს. ამ მეომართაგან რამდენიმე პროფესიონალი იყო, რომლებსაც რუსეთის მთავრობის გარკვეული განშტოებები ფულს უხდიდნენ და აგზავნიდნენ კონფლიქტის ზონაში.. ასევე საკმაო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილები კაზაკები და სხვა მოხალისეები.[2] ამავე ანგარიშის მიხედვით ირკვევა ერთ-ერთი ის როლი, რასაც რუსი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეები ასრულებდნენ ომის მსვლელობისას და თუ როგორ ხდებოდა მათი კონფლიქტის რაიონში გადასროლა. სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა 1993 წლის აგვისტოში ქ. გუდაუთაშიჩაატარეს გასაუბრება ექვს რუს სამხედროსთან, რომელთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ მათ ტრანსპორტირებას მთლიანად უზრუნველყოფდა რუსული მხარე. შეიარაღებული დაჯგუფება, დაახლოებით 30 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც წარმოადგენდნენ კგბ-სა და რუსული არმიის წევრებს, მთელი წლის განმავლობაში მოქმედებდნენ ტყვარჩელის რაიონში. აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები, რუსეთის მთავრობის ექსტრემალური სიტუაციების სახელმწიფო კომიტეტის მფარველობით შეიკრიბნენ მოსკოვში, საიდანაც რუსული ტრანსპორტით მოხდა მათი გადასროლა ჯერ გუდაუთაში, შემდეგ კი რუსული სატრანსპორტო ვერტმფრენებით – ტყვარჩელში.[3] Human Rights Watch-ის განცხადებით, ამ ინტერვიუმ დაადასტურა ეჭვები იმის შესახებ, რომ რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტში აფხაზურ მხარეს უწევდა სამხედრო მხარდაჭერას, იარაღით, ტექნიკითა და სამხედრო პერსონალით. Human Rights Watch აღნიშნულ დადგენილებაში ბრალს დებდა მოსკოვს და აცხადებდა, რომ რუსეთის ოფიციალურმა პირებმა მოაწყვეს რუსი სამხედროების აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაყვანის ორგანიზება. შესაბამისად რუსეთის ხელისუფლებაა პასუხისმგებელი იმ ქმედებებში, რასაც ეს ადამიანები ჩადიოდნენ აფხაზეთში.[4]

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ჯგუფის ისტორია კიდევ ერთხელ ცხადყოფს რუსეთის ჰიბრიდული ომს საქართველოს წინააღმდეგ, თუ როგორ გადაჰყავდათ

[1] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 52.
[2] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 49.
[3] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 50.
[4] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 50-51.

სამხედრო ვერტმფრენებით მებრძოლები ალყაშემორტყმულ ტყვარჩელში, ჰუმანიტარული კრიზისის დარეგულირების საფარქვეშ, რაც ქართული მხარემ არაერთხელ უშედეგოდ გააპროტესტა. ამ შემთხვევაშიც რუსები აქტიურად იყენებდნენ უარყოფის ტაქტიკას და აცხადებდნენ, რომ აღნიშნული ფრენები ჰუმანიტარულ მიზანს ისახავდა. აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ოჩამჩირესა და ტყვარჩელში საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ რუსი ეროვნების ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის გამორჩეული იყო დაჯგუფება „დელფინი“ (150-მდე შეიარაღებული პირი), რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი პიმენოვი,[1] ასევე დაჯგუფება „ედელვაისი“ (200-მდე სამხედრო მოსამსახურე). ჯამში, აღმოსავლეთის ფრონტზე იყო დაახლოებით 600 რუსი ეროვნების სამხედრო.[2] მაგალითად, ჯგუფი „დელფინი“ გუდაუთაში ჩავიდა 1993 წლის 10 მაისს, 15 მაისს კი ის გადაისროლეს ქ. ტყვარჩელში.[3] ჯგუფის აღმოსავლეთის ფრონტზე ყოფნისას მათ მიერ განხორციელდა რამდენიმე დივერსიული აქტი. მათ ასევე ევალებოდათ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება და საომარი მოქმედებების წარმოება, საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ შეცდომაში შეყვანის ოპერაციების წარმოება და დეზინფორმაცია მათი დეზორიენტაციის მიზნით. დელფინმა განახორციელა 12 საბრძოლო და დივერსიული ოპერაცია, გაანადგურა 34–მდე მებრძოლი, ააფეთქა რამდენიმე ხიდი და რადიოსადგური. ეს საბრძოლო ჯგუფი ასევე მონაწილეობდა ტამიშის ოპერაციაში.[4]

უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო კონფლიქტებში, რომლებიც წარმოებდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დაქირავებული მებრძოლების რანგში ჩართული იყო რუსეთის 30,000–მდე მოქალაქე.[5] მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყნებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში დაქირავებულ მებრძოლად მონაწილეობა საერთაშორისო ომის სამართლის ნორმების დარღვევას წარმოადგენდა და ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში სასჯელის უმაღლეს ზომას ითვალისწინებდა, რუსეთის მოქალაქეები მაინც იღებდნენ მონაწილეობას სამხედრო კონფლიქტებში, რაც რუსეთის სახელმწიფოს დიპლომატიურ პრობლემებს უქმნიდა. აღნიშნული საკითხი

---

[1] დაწვრილებით ამ ჯგუფისა და პოლკოვნიკ პიმენოვის ქმედებების შესახებ იხ.: ვახტანგ შამუგია. დნესტრისპირელი მოხალისეები აფხაზეთის კონფლიქტში. *სპეკალი,* №12, 2018. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023 ვებგვერდზე: http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/12/126.

[2] ყოლბაია და სხვ. აფხაზეთის ლაბირინთი.., გვ. 210.

[3] დაზმირ ჯოჯუა. „რუსეთი და 1992-1993 წლების ომი.., გვ. 164.

[4] დაზმირ ჯოჯუა. „რუსეთი და 1992-1993 წლების ომი.., გვ. 165.

[5] Валерий Яков. «Дикие гуси” России, Вечер с наемником .» Известия, 24 март 1993 г.

განხილულია საბჭოთა და რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ტირაჟირებად გაზეთ „იზვესწიაში“. სტატიის ავტორის შენიშვნით, სხვადასხვა კონფლიქტებში რუსეთის მოქალაქეების მონაწილეობა რუსეთის ფედერაციას, საერთაშორისო ასპარეზზე წარმოაჩენდა კონფლიქტში ჩართულ მხარედ, რაზეც სახელისუფლებო ვერტიკალის რეაქცია არ არსებობდა, პირიქით ერთგვარი ტენდენციაც კი შეიმჩნეოდა, რომ ამ ყველაფრის უკან ისინი იდგნენ და ახალისებდნენ კიდეც.

რუსეთის ტერიტორიაზე მოხალისეების შეკრების ორგანიზებასა და მათ აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასროლას ახდენდა, რუსეთის იმპერიის აღდგენის მხარდამჭერი შოვინისტებისგან დაკომპლექტებული რუსეთის ნაციონალ–პატრიოტული პარტია, რომელსაც ჰყავდა თავისი გასამხედროებული დაჯგუფება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დაჯგუფების წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც აფხაზეთის ომში, ასევე სხვა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში.[1]

Human Rights Watch-ის ანგარიშებიდან ირკვევა ისიც, რომ აფხაზ სეპარატისტებს რუსეთი ფინანსურად ეხმარებოდა და აქ ხდებოდა ე.წ. „შავი ფულის გათეთრებაც“, ასევე, რუსი სამხედრო მოსამსახურეები არღვევდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლის ნორმებს და სჩადიოდნენ ომის დანაშაულებს: „აფხაზეთში გამოყენებული იყო დნესტრისპირეთის რესპუბლიკაში „გაცოცხლებული“ ფული... ამ კონფლიქტში გასამხედროებული ფორმირებები იყენებდნენ იარაღსა და მძიმე შეიარაღებას სამოქალაქო პირთა წინააღმდეგ. ჩვენ გაგვაჩნია საბუთები იმის შესახებ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების ცალკეული წარმომადგენლები ყიდდნენ, ცვლიდნენ და ზოგ შემთხვევაში გადასცემდნენ აფხაზ ბოევიკებს გამანადგურებელ იარაღს. სოხუმის ბრძოლის დროს ქართველების მიერ დატყვევებული იარაღით მოვაჭრე რუსი პიროვნება დაკითხვაზე ამტკიცებდა, რომ რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში, როგორ ქვეითები, ასევე ჰაერსაწინააღმდეგო დანაყოფები, რომლებიც პირადად აგდებდნენ ქართულ საფრენ აპარატებს. მისივე მტკიცებით, ფსკოვის საჰაერო-სადესანტო დივიზია უსასყიდლოდ გადასცემდა აფხაზურ მხარეს მრავალი სახის იარაღს“.[2] აღსანიშნავია, რომ როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოში, სეპარატისტების მხარეს მებრძოლ რუს სამხედრო მოსამსახურეებს

[1] Валерий Яков. «Дикие гуси” России...
[2] Human rights watch. Georgia/Abkhazia.

გაფორმებული ჰქონდათ ბრძანება შვებულებაში ყოფნის შესახებ, რაც აძლევდა რუსებს იმის საშუალებას, რომ ორივე შემთხვევაში ერთნაირი არგუმენტაციით გაემართლებინათ სამხედრო მოსამსახურეების ყოფნა კონფლიქტის რაიონში. აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები რუსეთის გენერალური შტაბის მიერ დაგეგმილ შეტევით ოპერაციებში, როგორც 1993 წლის იანვარში, ასევე მარტსა და სექტემბერში, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. მათ შორის იყვნენ ასევე რუსული სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეებიც, რომლებიც, უკრაინის მსგავსად, აფხაზეთშიც შოკური ქვედანაყოფის როლს ასრულებდნენ. მათი მიზანი იყო პირველი იერიშის მიტანა მოწინააღმდეგის პოზიციებზე, თავდაცვითი ზღუდეების გარღვევა და გაჩენილ ე.წ. „ნაპრალში“სეპარატისტებისა და მათი მოკავშირეების ძალების გატარება. განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ რუსეთი აქტიურად იყენებდა ჰიბრიდულ შენაერთებს როგორც ტაქტიკურ, ასევე ოპერატიულ დონეზე, რაც, პირველ რიგში, ემსახურებოდა მათი როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარის იდენტიფიცირების გართულებას.

უკრაინასა და საქართველოში რუსეთის მოქმედებების მსგავსებებს შორის აღსანიშნავია ასევე რუსების მიერ სეპარატისტებისთვის აღმოჩენილი ტაქტიკური დონის საარტილერიო და საჰაერო მხარდაჭერა. თუ უკრაინაში სეპარატისტებს მასიური საარტილერიო ცეცხლით ეხმარებოდნენ, აქ იგივე ფუნქციებს ასრულებდნენ რუსი სამხედრო მფრინავები, რომლებმაც არაერთი საბრძოლო გაფრენა განახორციელეს ქართველთა წინააღმდეგ და იმის ფონზე, რომ ქართული მხარე არ იყო შეიარაღებული ეფექტიანი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებით, ისინი ძირითადად დაუსჯელად ბომბავდნენ ქართველების პოზიციებს. ასევე აღსანიშნავია რუსული ჰაერსაწინააღმდეგო ქვედანაყოფების როლი, რომლებიც იცავდნენ აფხაზურ მხარეს ქართველი მფრინავებისგან. ომის დასაწყისშივე გუმისთის რაიონში რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა თავდაცვის ორი ოპერატიული რაიონი შექმნეს. პირველ რაიონში განლაგებული იყო БУК-ის ტიპის საჰაერო თავდაცვის კომპლექსები, რომლებიც იცავდნენ სეპარატისტთა ფორმირებების კონცენტრაციის ადგილებს, მეორე კი, ОСА–ს ტიპის მობილური საზენიტო–სარაკეტო კომპლექსებით დაკომპლექტებული, გუმისთის ფრონტის მიმართულებაზე იყო კონცენტრირებული და, ერთის მხრივ, იცავდა გუმისთის ფრონტზე განლაგებული აფხაზებისა და მათი მოკავშირეების პოზიციებს, მეორე მხრივ კი, ახდენდა ქართული შეიარაღებული

ძალების შეტევის ბლოკირებას.[1] როგორც ვხედავთ, რუსეთი აფხაზეთის ომის სამხედრო-ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე წარმოდგენილი იყო ჰიბრიდული ომის ყველა ფორმით, სეპარატისტების არარეგულარული ნაწილებისა და რუსი რეგულარული ნაწილების ერთობლივი, ჰიბრიდული მოქმედებებით, რომლის დროსაც აქტიურად იყენებდნენ კრიმინალურ და ტერორისტულ მოქმედებებს.

უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე დაპირისპირების მსგავსად, სეპარატისტები რუსეთის წახალისებით აქტიურად იყენებდნენ მოსახლეობის დატერორების მეთოდებს. უამრავი ფაქტია დაფიქსირებული მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვის, გაუპატიურების, მასობრივი მკვლელობების და მძევლად აყვანის, როგორც აფხაზეთში, ასევე დონბასსა და ლუგანსკში. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში განსაკუთრებული სიმხეცით გამოირჩეოდნენ კონფლიქტში მონაწილე რუსეთის ფედერაციიდან გადასული „მოხალისეები“. აღნიშნული ქმედებების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა არასეპარატისტულად განწყობილი მოსახლეობის ფსიქოლოგიური ტერორი, რათა სასიკვდილო საფრთხის არსებობით მიეყვანათ ისინი იმ მდგომარეობამდე, რომ იძულებულნი გამხდარიყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლები და კონფლიქტის რეგიონი. შესაბამისად, როგორც უკრაინაში, ასევე აფხაზეთში, კრიმინალურმა სუბიექტებმა დახოცეს ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ასიათასობით ადამიანი კი დევნილად აქციეს.

რაც შეეხება აფხაზეთის ომის არასამხედრო ელემენტების მსგავსებას უკრაინის მოვლენებთან, აქ აღსანიშნავია რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომი და დეზინფორმაციული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველების აგრესორებად წარმოჩენას, ეთნოწმენდის და გენოციდის დაბრალებას, ომის სამართლის დამრღვევებად გამოყვანას. რუსული მასმედიის წარმომადგენლები, როგორც ბეჭდვითი ასევე სატელევიზიო მედია, მასიურად იყო წარმოდგენილი კონფლიქტის რეგიონში, ცალმხრივად აშუქებდნენ იქ მიმდინარე მოვლენებს და ქმნიდნენ ანტიქართულ აზრს რუსულ საზოგადოებაში. ამ მიზნით წლების განმავლობაში ისინი ინტენსიურად ციტირებდნენ ეროვნული მოძრაობის აქციებზე ქაოტურად გაჟღერებულ ლოზუნგებს, მათ შორის „საქართველო ქართველებისთვის“,

[1] დაზმირ ჯოჯუა. „რუსეთი და 1992-1993 წლების ომი.., გვ. 150-151.

როგორც ქართველთა ულტრანაციონალიზმის გამოვლინებას. მსგავსად მაიდნის მონაწილეების წინააღმდეგ აგორებული დეზინფორმაციული კამპანიისა, რუსეთის პროპაგანდისტული მედია მიზანმიმართულად ცდილობდა ქართველების შოვინისტებად და ფაშისტებად გამოყვანას.

როგორც აღვნიშნეთ, უკრაინის მსგავსად, რუსეთი აფხაზეთის ომის დროსაც აქტიურად იყენებდა უარყოფის ტაქტიკას და ამტკიცებდა, რომ ისინი არ ეხმარებოდნენ საქართველოში მოქმედ სეპარატისტებს და მაშინ, როცა ქართველები ცდილობდნენ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მიპყრობას, ითხოვდნენ დახმარებას და მათ შორის ავრცელებდნენ ინფორმაციას რუსეთის შეიარაღებული ძალების მფრინავების ომის მსვლელობისას აქტიურ თანამონაწილეობის შესახებ, რუსეთის თავდაცვის მინისტრი აცხადებდა, რომ „ქართველები თვითონ ღებავდნენ თავიანთ თვითმფრინავებს და ბომბავდნენ საკუთარ პოზიციებს“. ამასთან დაკავშირებით, Human Rights Watch-ის ანგარიშშიც ვკითხულობთ, რომ აფხაზურ შეიარაღებულ ძალებს არ გააჩნდათ თავისი თვითმფრინავები და გემები. შესაბამისად, საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ განხორციელებული საჰაერო რეიდების ავტორები რუსები იყვნენ, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა 1993 წლის მარტში რუსი პილოტის ჩამოგდებით.[1]

როგორც აფხაზეთის ომის მიმოხილვისას გამოჩნდა, რუსეთის პარლამენტი აწარმოებდა პოლიტიკურ შანტაჟს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ და იმუქრებოდა ეკონომიკური და სხვა ტიპის სანქციებით, რაც კიდევ ერთი მსგავსებაა საქართველოსა და უკრაინას შორის. მაგალითად, უკრაინას 2014 წლის მარტის ბოლოსა და აპრილში რუსეთმა ორჯერ ზედიზედ გაუზარდა გადასახადი რუსულ გაზზე, 7 აპრილს კი საერთოდ გაზის გადაკეტვითაც კი დაემუქრა. საქართველოს წინააღმდეგაც, რუსული პოლიტიკური ელიტა გამოირჩეოდა განსაკუთრებული რიტორიკით, მუდმივად ითხოვდნენ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ეკონომიკური სანქციების დაწესებას, სავაჭრო ურთიერთობების გაწყვეტას და ა.შ. აღნიშნული მუქარები სერიოზულ გავლენას ახდენდა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე, რადგანაც, აფხაზეთის კონფლიქტის გარდა, ქვეყანაში არსებობდა გართულებული შიდაპოლიტიკური დაპირისპირება, მიმდინარეობდა

[1] Human rights watch. Georgia/Abkhazia, გვ. 52.

სამოქალაქო ომი და სახეზე იყო კატასტროფული ეკონომიკური კრიზისი. რუსეთის მხრიდან იარაღის მიწოდების შეწყვეტა და ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტა კოლაფსამდე მიიყვანდა ქართულ სახელმწიფოს.

რუსეთის მიერ წარმოებულ ანტიქართულ დიპლომატიურ პოლიტიკაში აღსანიშნავია ასევე აფხაზეთის ომის დროს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებების როლი. მინსკის I და II შეთანხმებების მსგავსად, აფხაზეთის ომის დროს ხელმოწერილი სამივე ხელშეკრულება წარმოადგენდა რუსეთის დიპლომატიური ომის ნაწილს. უკრაინის მსგავსად, აფხაზეთის შემთხვევაშიც, რუსეთის ფასილიტაციით მიღწეული შეთანხმებები რუსებისავე მონაწილეობით მაშინვე ირღვეოდა და ამ მოლაპარაკებებს რეალურად ისინი იყენებდნენ სეპარატისტებისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნითა და ოპერატიული სივრცის გაუმჯობესებისთვის. როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოში რუსეთმა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების გაფორმების შედეგად დამყარებული ოპერატიული პაუზით ისარგებლა და უფრო დიდი ინტენსივობით დაიწყო იარაღის მიწოდება სეპარატისტებისთვის, გადასცა მათ მძიმე ტექნიკა და მოამზადა შემდგომი წარმატებული საბრძოლო მოქმედებებისთვის.

აღსანიშნავია, რომ რუსული ჰიბრიდული მოქმედებები უკრაინის წინააღმდეგ იყო მრავალშრიანი და მრავალმხრივი, შესაბამისად, არსებობს მრავალი განსხვავება განხილულ ორ შემთხვევას შორის, თუმცა ეს აიხსნება გარკვეული ობიექტური ფაქტორებით. მაგალითად, აფხაზეთის ომის დროს არ არსებობდა კიბერსივრცე, რომელიც 2014 წელს უკვე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა როგორც ზოგადად ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის საქმეში, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურობაში. შესაბამისად, ეს განზომილება რუსეთის ფედერაციამ აქტიურად გამოიყენა უკრაინასთან კონფლიქტში უკრაინის კიბერრესურსებზე თავდასხმით მოშალა მართვისა და კონტროლის საშუალებები, რის შედეგადაც უკრაინის ხელისუფლების მოქმედებები და აგრესორის ქმედებებზე პასუხები დროში დაგვიანებული აღმოჩნდა. სოციალური ქსელებში ტროლების, ბოტებისა და რუსეთის მოხალისე მოქალაქეების გამოყენებით კი, როგორც აღმოსავლეთ უკრაინის მოსახლეობაში, ასევე რუსეთის ფედერაციისა თუ სხვა რუსულენოვანი საზოგადოებისთვის ქმნიდა რუსეთისთვის სასარგებლო ალტერნატიულ რეალობას.

ასევე, უკრაინისგან განსხვავებით, უშუალოდ აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობისას არ არსებობდა ისეთი პრორუსული ნარატივები, როგორიცაა, მაგალითად, რეფერენდუმის ჩატარება და რუსეთთან შეერთება, რის გამოც რუსეთის ფედერაციაში ომი შუქდებოდა როგორც ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირება ფაშისტ ქართველებსა და ადგილობრივ აფხაზებს შორის, რომლებიც სარგებლობდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებით. უკრაინაში კი აფხაზეთისგან განსხვავებით, სადაც დასახლებულები იყვნენ ეთნიკურად რუსები, პუტინის რეჟიმის პროპაგანდისტული მანქანა ავრცელებდა იდეას ე.წ. „რუსული სამყაროსა“ და „ნოვოროსიის შესახებ“, სეპარატისტების საბოლოო მიზანს კი სწორედ რუსეთის შემადგენლობაში გაწევრიანება წარმოადგენდა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ეთნიკური რუსების გრძნობებს რუსეთი განსხვავებულად იყენებდა, რაც ასევე ობიექტური განსხვავებაა ამ ორ კონფლიქტს შორის. აფხაზეთის ომის დროს არც რელიგიური ფაქტორი იყო წარმოდგენილი, უკრაინისგან განსხვავებით, სადაც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია აქტიურად იყო ჩართული კონფლიქტის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე და ანტაგონისტად ჰყავდათ დასავლეთ უკრაინის კათოლიკური მოსახლეობა. აფხაზეთის კონფლიქტში არ იყო ასევე დრონები, თუმცა ეს ფაქტორიც, კიბერსივრცის მსგავსად, უბრალოდ იმით აიხსნება, რომ უპილოტო საფრენი აპარატები ამ პერიოდში საბრძოლო მოქმედებებში არ გამოიყენებოდა.

საქართველოს შემთხვევაში, უკრაინისგან განსხვავებით, რუსეთს არ გამოუყენებია ასევე ე.წ „ძალების დემონსტრირება“. რუსეთის მიერ უკრაინის საზღვართან რამდენიმე ათეული ათასი სამხედრო მოსამსახურისა და მძიმე ტექნიკის მობილიზება მიზნად ისახავდა უკრაინის ხელისუფლების დაშინებას და იძულებას, რომ რუსული ინტერვენციის საფრთხის გამო მოეხდინა არსებული სამხედრო რესურსების სხვადასხვა ლოკაციაზე დისლოცირება, რაც იწვევდა სეპარატისტულ რაიონებში მოქმედი უკრაინული ძალების დასუსტებას და, შესაბამისად, უადვილებდა სეპარატისტებს თავდაცვითი ოპერაციებისა და კონტრშეტევების წარმოებასაც. აღსანიშნავია, რომ უკრაინის მოვლენების განხილვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია განსხვავება ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინას შორის რუსული სამხედრო ბაზების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ ყირიმის წარმატებული ოპერაცია გარკვეულწილად განაპირობა სევასტოპოლში არსებულმა რუსულმა სამხედრო შენაერთებმა, ხოლო აღმოსავლეთ უკრაინაში ამ ფაქტორის

არარსებობამ გამოიწვია რუსეთის ხელისუფლების განსხვავებული მიდგომები. ყირიმის მსგავსად, აფხაზეთში, კერძოდ, ქ. გუდაუთაში არსებობდა რუსული სამხედრო ბაზა და ეშერის სამხედრო ლაბორატორია, რომელიც უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების რაიონში მდებარეობდა. ეს ქმნიდა ქართველებისთვის საფრთხეს, რომ მათზე შემთხვევითი საარტილერიო თავდასხმა გამოიწვევდა რუსეთის მხრიდან აგრესიულ სამხედრო პასუხს, რაც რუსული სამხედრო თვითმფრინავებით ისედაც არაერთხელ განხორციელებულა.

უნდა აღვნიშნოთ ასევე ის ფაქტიც, რომ უკრაინის შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია წლების განმავლობაში ცდილობდა სახელისუფლებო ვერტიკალის დასუსტებას, აგენტების ჩანერგვას, მართვის სისტემის მოშლას და უკრაინის წინააღმდეგობრიობის უნარის დასუსტებას, საქართველოს შემთხვევაში კი სრულიად სხვა მდგომარეობა იყო. საბჭოთა კავშირის დაშლისთვის საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ ელიტას საერთოდ არ ჰქონდა სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს, უკრაინისგან განსხვავებით, ზედმეტი ძალისხმევაც კი არ დასჭირვებია ქართული სახელმწიფოს „აფეთქებისთვის“. საკმარისი იყო რამდენიმე პროვოკატორი და აგენტი, რომლებიც შექმნილ არეულ და დაულაგებელ სიტუაციაში მარტივად მოახდენდნენ სიტუაციის ესკალაციას, რაც მივიღეთ კიდეც სამოქალაქო ომის სახით. უშუალოდ აფხაზეთის ომის დროს კი სახეზე გვქონდა მოშლილი სახელმწიფოებრიობა, რომელიც რამდენიმე დღის აღიარებული იყო გაეროს მიერ. ხელისუფლების სათავეში მყოფ პირებს არ ჰქონდათ ხალხისგან ლეგიტიმაცია და არჩევნები იგეგმებოდა ოქტომბერში. საქართველოს შეიარაღებული ძალები ახალი ფორმირებული იყო. ქვეყანაში კვლავ მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, ამჯერად სამეგრელოს რეგიონში. საზოგადოება იყო ორად გაყოფილი და არ არსებობდა ერთიანი მიდგომა აფხაზეთში მიმდინარე ომის მიმართ.

ასევე აუცილებლად აღსანიშნავია, საერთაშორისო საზოგადოების ნაკლები დაინტერესება და ჩართულობა აღნიშნულ კონფლიქტში. ქართულმა სახელმწიფომ რამდენჯერმე მიმართა სპეციალური მოთხოვნებით, რომ ქმედითი დახმარება აღმოეჩინათ საქართველოსთვის მიმდინარე კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, ითხოვდნენ რუსების მიმართ შესაბამისი ზომების გატარებას, თუმცა უშედეგოდ. რუსეთმა კარგად შეძლო თავისი აგრესიის შეფუთვა. უკრაინაში კი საერთაშორისო

ინსტიტუტები თავიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართულნი, ეწეოდნენ კონფლიქტის მონიტორინგს, კონფლიქტის რაიონებში წარმოდგენილნი იყვნენ უამრავი სადამკვირვებლო ორგანიზაციის სახით. შესაბამისად, აღნიშნულ კონფლიქტში რუსეთის ჩართულობის შესახებ ბევრად მეტი მასალები არსებობს, ვიდრე საქართველოში. როგორც აღვნიშნეთ, რუსული საინფორმაციო და დეზინფორმაციული კამპანია აქტიურად მუშაობდა საქართველოს „გაშავებისთვის" როგორც რუსულენოვან სივრცეში, ასევე საერთაშორისო საზოგადოებაში. ამ პერიოდისთვის რუსულ საზოგადოებაში ერთგვარი დადებითი განწყობა არსებობდა საქართველოს მიმართ, წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირში ერთად თანაცხოვრების პერიოდში ათასობით ეთნიკურად რუსი ჩადიოდა საქართველოში, როგორც მზიან, საკურორტო ქვეყანაში და ისვენებდა, ერთობოდა და სარგებლობდა ადგილობრივი მოსახლეობის სტუმარ-მასპინძლობით. რუსეთის სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკის გასასამართლებლად კი საჭირო იყო ქართველთა მოქმედებების ზედმეტად უარყოფითად, ცალმხრივად გაშუქება და რუსეთის საზოგადოებაში ანტიქართული განწყობის გაღვივება, რათა მათ მიეცათ ლეგიტიმაცია რუსეთის სამხედროებისთვის საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებებისთვის. საერთაშორისო საზოგადოებისთვის კი საქართველო ნაკლებად ცნობილი ქვეყანა იყო, რომელიც წარმოიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და მათზე წარმოდგენა რუსული წყაროებიდან იქმნებოდა. არც ახლად შექმნილ ქართულ სახელმწიფოს გააჩნდა საინფორმაციო ომის საწარმოებელი რესურსი, მით უმეტეს რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. შესაბამისად ამ სივრცეში რუსეთი სრულად დომინირებდა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ავრცელებდა დეზინფორმაციას და ანტიქართულ ნარატივს.

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია, რომ მკვეთრად ანტიქართულ პოლიტიკას აწარმოებდნენ რუსი ნაციონალ–პატრიოტები, რომლებიც დაუფარავად აცხადებდნენ, რომ როგორც შევარდნაძემ დაანგრია საბჭოთა კავშირი, ისე უნდა დაინგრეს მისი საქართველოო.[1] შესაბამისად, აფხაზეთში აკეთებდნენ ყველაფერს შესაძლებელს, რათა შევარდნაძეზე ეძიათ შური. აღსანიშნავია ასევე რუსეთის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ რუცკოი, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე

[1] Эмиль Паин. «российское эхо Кавказской войны.» известия , 1992 г 9 октябрь.

კონფლიქტების შესახებ საუბრისას ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ აღნიშნულ რეგიონებში ქართველები მონაწილეობდნენ აფხაზი და ოსი ერების გენოციდში. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის გმირი, საავიაციო ძალების ყოფილ გენერალი, რომელსაც განსაკუთრებული სენტიმენტები ჰქონდა საბჭოთა კავშირის მიმართ, აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფნისას მუდამ ცდილობდა საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი ინიციატორი ქართველები დაესაჯა და წაეხალისებინა სეპარატიზმი. ერთ-ერთ ინტერვიუში მან პირდაპირ მოუწოდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, ჩართულიყვნენ სამხედრო ძალით აფხაზეთის კონფლიქტში აფხაზების მხარეს და როგორმე შეეჩერებინათ მოძალადე ქართველები, რადგანაც თვლიდა, რომ ქართველებთან მოლაპარაკებები არ ჭრიდა.[1] რუცკოის როლზე საუბრისას აუცილებლად გამოსაყოფია მისი ინტერვიუ,[2] სადაც იგი აღწერს საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის მოქმედების პრინციპებს, რომელიც ძალიან ჰგავს რუსულ ჰიბრიდულ ომს უკრაინაში: სამხედრო სადაზვერვო თვითმფრინავების მიერ ქართველთა პოზიციების დაზვერვა, შემდეგ კი მოიერიშე აპარატებით მათი განადგურება, შესაბამისად ქართველთა იძულება მშვიდობაზე.

ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თუ უკრაინაში რუსეთის ჰიბრიდული ომის სამხედრო კომპონენტი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ხმელეთზე, აფხაზეთის შემთხვევაში სახეზე გვაქვს რუსეთის ჩართულობა სამივე განზომილებაში – ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში. უკრაინელთა წარმატებულმა ანტიტერორისტულმა ოპერაციამ, რის შედეგადაც სეპარატისტული ანკლავების განადგურების რეალური საფრთხე დადგა, რუსეთი აიძულა, რამდენიმე საბატალიონო-ტაქტიკური ჯგუფით ჩართულიყო კონვენციურ ომში უკრაინის წინააღმდეგ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამას როგორც რუსები, ისე სეპარატისტები აქტიურად უარყოფდნენ და აცხადებდნენ, რომ დონბასისა და ლუგანსკის გასამხედროებულმა დაჯგუფებებმა თავიანთი ძალებით შეძლეს უკრაინელთა დამარცხება. საქართველოს შემთხვევაში კი რუსეთის ჰიბრიდული ტაქტიკა სრულად წარმატებული იყო და არ დასჭირდათ კონვენციურ ომში ჩართვა. ომის შედეგად საქართველომ დაკარგა ტერიტორიები, შეიქმნა ჰუმანიტარული კრიზისი, ასობით ათასი ადამიანი გახდა საკუთარ ქვეყანაში

[1] Вице-президент РФ А. Руцкой угрожает Грузии. 1993 год. უკანასკნელად ნანახია 10.02.2023ვერგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=lLKV-r7muRU
[2] Александр Руцкой.., 5 September, 2019.

იძულებით გადაადგილებული პირი, დაიკარგა რესურსები, ეკონომიკური პოტენციალი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შემთხვევაში რუსეთს არ გამოუყენებია ე.წ. „მწვანე კაცუნების“ მსგავსი შენაერთები. თუ ყირიმსა და დონბასში სრულად აღჭურვილი რუსი სპეცრაზმელები ამოსაცნობი ნიშნების გარეშე გადაადგილდებოდნენ და ადგილობრივების სახელით ახდენდნენ სხვადასხვა სამთავრობო და ადმინისტრაციული შენობების დაკავებას, რაც შემდეგ ჯაჭვურ რეაქციას იწვევდა ადგილობრივ პრორუსულ მოსახლეობაში და ისინიც, თავის მხრივ, იკავებდნენ შენობებს და ხელოვნურად ხდებოდა ამბოხების ინსპირირება, საქართველოს შემთხვევაში სრულად განსხვავებულად დაიწყო რუსული ჰიბრიდული ომი. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც სამხედრო მოქმედებები რუსების მიერ წლობით ნასაზრდოებმა სეპარატისტულმა მოძრაობებმა დაიწყო და მხოლოდ შემდეგ ჩაერთო კონფლიქტში რუსეთი ჰიბრიდული რესურსით. ქაოსსა და სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩაფლული საქართველოსთვის, რომელიც 1991 წლისთვის შეიარაღებულ ძალებში ოფიცრების უდიდეს ნაკლებობას განიცდიდა, არ ჰქონდა ფორმირებული რეგულარული პროფესიული შენაერთები და არ ჰყავდა ქმედითი უსაფრთხოების სამსახურები, სეპარატისტების ხელში არსებული რამდენიმე ასეული ბოევიკი საკმარისი იყო კონფლიქტის საწყის ეტაპზე საბრძოლო ოპერაციების საწარმოებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკრაინისა და საქართველოს წინააღმდეგ რუსული ჰიბრიდული მოქმედებების შედარებითი ანალიზისას შეგვიძლია გამოვყოთ რუსეთის მიერ 1991-1993 წლებში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომის შემდეგი ფაზები:

**მოსამზადებელი ფაზა:** აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზის შექმნა; ანტიქართული განწყობების მქონე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პოლიტიკოსების მხარდაჭერა; ანტიქართული სამეცნიერო და პოპულარული ნარატივის შექმნა; ოსური და აფხაზური სეპარატიზმის მხარდაჭერა და წახალისება.

**აქტიური ფაზა**

**1. არაპირდაპირი სამხედრო დახმარება:** აფხაზი და ოსი სეპარატისტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა; აფხაზეთის ტერიტორიაზე საწვრთნელი ცენტრების დაარსება და რუსი სამხედრო ინსტრუქტორების ჩართულობით აფხაზი მებრძოლების

გადამზადების უზრუნველყოფა; რუსეთის გენერალური შტაბის ოფიცრების მიერ აფხაზური მხარისთვის სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის მხარდაჭერა; რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მოხალისეთა წვრთნისა და მათი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში გადასროლის მიზნით მოხალისეთა გაწვევის პუნქტების შექმნის ორგანიზება.

**2. არასამხედრო კომპონენტი:** საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომის წარმოება; დეზინფორმაციის კამპანიის ფარგლებში ანტიქართული ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიასა და საერთაშორისო საზოგადოებაში, კერძოდ ქართული მხარის დადანაშაულება აფხაზებისა და ოსების მიზანმიმართულ ეთნოქმენდაში/გენოციდში, კონფლიქტის გამჩაღებელ მხარედ წარმოჩენა; საქართველოს ხელისუფლების შანტაჟი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ბერკეტების გამოყენების მუქარით; რუსეთის ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოების მიერ აფხაზი და ოსი სეპარატისტების მხარდაჭერი განცხადებების გაკეთება; სეპარატისტული მედიის სრული ან ნაწილობრივი კონტროლი და ცენტრისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ცენტრის არსებობის უზრუნველყოფა; რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ აფხაზებისა და ოსების მხარეს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ჩართულობის უარყოფა; სეპარატისტების ლიდერების ოფიციალური მიღებებისა და კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა რუსეთის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოების მაღალჩინოსნების მიერ; სეპარატისტული შეიარაღებული ფორმირებების სასარგებლოდ, ოპერატიული პაუზის გადაჯგუფებებისა და გადაიარაღების მიზნით ქართულ მხარესთან ფიქციური ცეცხლის შეწყვეტის, ორმხრივი განიარაღებისა და სამშვიდობო ხელშეკრულებების დადებაში აქტიური ჩართულობა.

**3. სამხედრო კომპონენტი:** აფახზებისა და ოსების არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებების მხარდაჭერა, კერძოდ: რუსეთის სამხედრო–საჰაერო ძალების მიერ ქართველთა თავდაცვითი პოზიციების, სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის პერმანენტული დაბომბვა; რუსეთის ფლოტის მიერ შავი ზღვის აკვატორიის კონტროლი, ქართული მხარისთვის ზღვაზე გადაადგილების შეზღუდვა; ასევე, როგორც აფხაზური, ისე რუსული დესანტის ქართველთა პოზიციების ზურგში გადასხმის ოპერაციაში მონაწილეობა; აფხაზი და ოსი სეპარატისტების მხარეს,

საბრძოლო დაპირისპირებების მიმდინარეობისას, რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილებისა და სპეციალური ოპერაციების ძალების მეომრების ჩართულობის უზრუნველყოფა.

**სტაბილიზაციის ფაზა:** კონფლიქტის გაყინვის უზრუნველყოფის მიზნით, სამშვიდობო ძალების მანდატით, რუსეთის შეიარაღბული ძალების ნაწილების ჩაყენება კონფლიქტურ რეგიონებში და შესაბამისად, საქართველოსთვის რუსეთისთვის მიუღებელ სამხედრო–პოლიტიკურ ალიანსში გაწევრიანების შეფერხება; აფხაზეთისა და ცხრინვალის რეგიონის არაღიარებული ხელისუფლებების პოლიტიკური, სამხედრო და ფინანსუხი მხარდაჭრა.[1]

როგორც ვხედავთ, უკრაინისა და საქართველოს მაგალითების შედარებითი ანალიზით იკვეთება ის ძირითადი მახასიათებლები, რომლის ფარგლებშიც ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ იყენებდა ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელ აქტივობებს.

[1] ბოჩო შურღაია. რუსული ჰიბრიდული ომი – აფხაზეთი 1992–1993. Scientia. სამეცნიერო ჟურნალი. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2021, გვ. 159-160.

# დასკვნა

ჰიბრიდული ომი, მიუხედავად იმისა, რომ იგი თანამედროვე სამხედრო თეორეტიკოსების მიერ 21-ე საუკუნეში შექმნილი ახალი ტერმინია, ისტორიკოსებისთვის მისი შინაარსი არ წარმოადგენს სიახლეს, იგი სხვადასხვა პერიოდში ცალკეული გამოვლინებების სახით მუდმივად გვხვდებოდა და ეს ომის წარმოებისთვის ახალი არ არის, რადგანაც სუსტი მოწინააღმდეგე ყოველთვის ცდილობდა ძლიერს განსხვავებულად დაპირისპირდებოდა, მის წინააღმდეგ უჩვეულო ტაქტიკა გამოეყენებინა და დაემარცხებინა ასიმეტრიულად. სწორედ ესე გამოიწრთო თავის დროზე რუსეთის სახელმწიფო, რომელიც ძლიერ მონღოლურ სამხედრო მანქანას უპირისპირდებოდა და ამ პაექრობაში ჩამოუყალიბდა ომისა და პოლიტიკის წარმოების საკუთარი გზა, მეთოდი. ეს აისახა მათ სოციალურ-პოლიტიკურ კულტურასა და ეთნოფსიქოლოგიაშიც, რომელიც შესანიშნავად გამოვლინდა ნაპოლეონისა და ჰიტლერის წინააღმდეგ წარმოებულ სახალხო ომებში. რუსული სახელმწიფო მის ფართო ტერიტორიებსა და უსაზღვრო ადამიანურ რესურსს იყენებდა ყველასგან განსხვავებულად, თავისებურად და XXI საუკუნის ჰიბრიდული ომი, შეიძლება ითქვას, იმის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რაც საუკუნეების განმავლობაში იწრთობოდა რუსულ სამხედრო-პოლიტიკურ სააზროვნო სისტემაში. შესაბამისად, 2014 წლის უკრაინის კრიზისისას მივიღეთ მისი ერთ-ერთი ვერსია, რომელიც კვლავ პროგრესირებს, დროს უბამს მხარს და მომავალშიც სხვა ადაპტირებული სახით მოგვევლინება. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ საქართველოში 1991-1993 წლებში განვითარებულ მოვლენებზე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მიმდინარე მოვლენებისას რუსეთის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და ეს იყო მისი ჰიბრიდული მიდგომა, რომელიც მანამდე და შემდეგაც არაერთხელ გამოიყენა არამარტო საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების წინააღმდეგაც.

უკრაინის 2014-2015 წლებისა და საქართველოს 1991-1993 წლების პერიოდის განხილვისას ნათლად დავინახეთ, რომ ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს მოვლენების თითქმის იდენტური განვითარება: ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების მძლავრი ტალღა, სამოქალაქო დაპირისპირება, სეპარატისტული

რეგიონები, ეთნიკური კონფლიქტები. ორივე შემთხვევაში ჰიბრიდული ომი წარმოდგენილი იყო როგორც სამხედრო განზომილებაში, ასევე დიპლომატიაში, საინფორმაციო სივრცეში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში. დადასტურებული მასალები არსებობს, რომ რუსები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას თითოეულ ეტაპზე აღნიშნულ კომპონენტებში, ზოგ შემთხვევაში უფრო მძლავრად იყვნენ წარმოდგენილნი, ზოგჯერ კი – ნაკლებად, მაგრამ მათი კვალი თითოეულ ეტაპზე ნათლად ჩანს. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი წარმოადგენს სისტემურ ქვეყანას, რომელიც კრიზისულ სიტუაციებშიც კი მოქმედებს ავტომატურად, წინასწარ განსაზღვრული ქცევების მიხედვით, გარკვეულ ჩარჩოებში, რომელსაც აღიქვამს როგორც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას და საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით ყველა ინსტიტუტი ავტომატურ რეჟიმში მუშაობს, ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლების არარსებობის პირობებშიც კი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების ხელში გადავიდა ყველა საბჭოთა ინსტიტუცია, მათ შორის КГБ და ГРУ. მიუხედავად იმისა, КГБ-ს ბაზაზე რუსეთში შეიქმნა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ინსტიტუცია – ფედერალური უსაფრთხოების სამსახური და საგარეო დაზვერვის სამსახური, მათი ფუნდამენტური რეფორმა არ მომხდარა. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ინსტიტუციური მემკვიდრეობა რუსეთის ფედერაციის სახით მაინც გაგრძელდა. პუტინის პერიოდის რუსეთი უფრო ცენტრალიზებულ სახელმწიფოს წარმოადგენს, ვიდრე ეს იყო 90-იან წლებში, ელცინის დროს იყო. შესაბამისად, პუტინის რუსეთის მოქმედებები უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისას იყო უფრო სისტემური, დაგეგმილი და უმაღლეს დონეზე შესრულებული, მაშინ როცა 1991-93 წლებში საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე მოვლენებისას ჩვენ ვხედავთ დეცენტრალიზებულ რუსეთს, სადაც გვხვდებოდა რამდენიმე დაჯგუფება, რომლებიც ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდა. არსებობდა პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსეთის როლის შესახებ განსხვავებული შეხედულებები და საგარეო პოლიტიკის წარმოების განსხვავებული ხედვები, თუმცა სამხედრო-პოლიტიკური სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა და შესაბამისი განათლების და გამოცდილების მქონე ხალხით იყო დაკომპლექტებული, მოქმედებდა დეცენტრალიზებულად, მაგრამ ზუსტად იგივე მეთოდებით, საშუალებებითა და მიდგომებით, თუმცა შედარებით ქაოსურად, რომელსაც რუსეთის ფედერაცია იყენებდა უკრაინაში. ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ საკვლევი პერიოდისთვის ის ფაქტორები, რომლებიც შეგვიძლია ჩავთვალოთ რუსულ ჰიბრიდულ ელემენტებად.

პირველი და უმთავრესი არის რუსი სამხედროების აქტიური ჩართულობა აფხაზეთის ომის, ცხინვალის კონფლიქტისა და სამოქალაქო ომის დროს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების სახეობები, საზღვაო, საჰაერო, სახმელეთო, სპეციალური ოპერაციის ძალები, სხვადასხვა დონით, მაგრამ სრულფასოვნად იყვნენ წარმოდგენილნი როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. რუსი მფრინავები აქტიურად ბომბავდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელ კორპუსებსა თუ სახლებს, მიჰქონდათ იერიში ქართველ მებრძოლთა თავდაცვით პოზიციებზე, ქართველების შეტევითი ოპერაციების წარმოებისას კი მხარს უჭერდნენ სეპარატისტების თავდაცვით ბრძოლებს ან ფარავდნენ მათ პანიკურ უკანდახევას. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანსპორტო ვერტმფრენებითა და თვითმფრინავებით ხდებოდა სეპარატისტებისა და მათ მხარეს მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიელებისა თუ რუსი ეროვნების მებრძოლების გადასროლა კონფლიქტის რაიონებსა თუ ქართველთა ზურგში, რაც მათ მობილურობას ზრდიდა. რუსების ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები უზრუნველყოფდნენ აფხაზების საჰაერო სივრცის უსაფრთხოებას და არ აძლევდნენ ქართველ მფრინავებს ქართველი მებრძოლებისთვის საჰაერო მხარდაჭერის აღმოჩენის საშუალებას, შესაბამისად, ძალიან ამცირებდნენ მათ ეფექტიანობას. რუსეთის საზღვაო ძალები უზრუნველყოფდნენ აფხაზი სეპარატისტების სანაპირო ზოლის უსაფრთხოებას, არ აძლევდნენ ქართულ მხარეს დესანტის გადასხმის საშუალებას, აფხაზებს კი თითქმის ყველა ოპერაციისას ზღვიდან უჭერდნენ მხარს, ეს იქნებოდა ქართული პოზიციების დაბომბვა გემებიდან თუ აფხაზებისა და მათი მოკავშირეების ქართველთა ზურგში გადასხმა საზღვაო დესანტის სახით. დიდი ძალებით მონაწილეობდნენ რუსული სპეცსამსახურის წარმომადგენლებიც, იქნებოდა ეს ნახევრადპროფესიული ქართული ჯარის წინააღმდეგ შეტევითი ოპერაციებისას მეწინავეების სახით ბრძოლა თუ დივერსიული ან სადაზვერვო სახით ჩართულობა. წარმოდგენილი იყვნენ სამხედრო ინსტრუქტორებიც, რომლებიც ქმნიდნენ აფხაზურ ჯარს, წვრთნიდნენ და ატარებდნენ პირველად საბრძოლო მომზადებას. გენერალური შტაბის ოფიცრები გეგმავდნენ აფხაზების ოპერაციებს, კოორდინაციას უწევდნენ მათ მოქმედებებს და დირექტივებს აძლევდნენ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების

დროს.

უხვად იყო წარმოდგენილი ჰიბრიდული ომის არასამხედრო ფაქტორები, როგორიცაა იარაღითა და ტყვია წამლით მომარაგება, დეზინფორმაცია და პროპაგანდა. აფხაზებმა, რომლებმაც ომი დაიწყეს 1 ტანკით და მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით, ომი დაასრულეს მძიმე ტექნიკითა და მძიმე შეიარაღებით აღჭურვილებმა. რუსეთი აქტიურად იყენებდა საინფორმაციო ოპერაციებს, დეზინფორმაციასა და პროპაგანდას არა მარტო ქართული სამხედროების ან მოსახლეობის წინააღმდეგ, არამედ მსოფლიოს საზოგადოებაში ანტიქართული და პროაფხაზური განწყობების შესაქმნელად.

ნაშრომს კი დავასრულებ თ. ნადარეიშვილის უკვდავი შეფასებით: „არასწორია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად შეფასდეს ის, რაც მოხდა აფხაზეთში. იქ იყო მისი ნამდვილი სამამულო ომი რუსეთთან, სადაც ქართველები ვიცავდით ჩვენს სამშობლოს, ქართულ ქალაქებსა და სოფლებს, ჩვენს მიწა-წყალს. ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი რუსული სამხედრო შენაერთები. ოკუპანტთა უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეები იყვნენ: ჩეჩნები, ადიღე-ჩერქეზები, კაზაკები, რუსები, არაბები და სხვა. საომარ მოქმედებაში მონაწილეობდნენ „ბოევიკები“ სირიიდან, იორდანიიდან, თურქეთიდან, დნესტრისპირეთიდან, ყარაბახიდან. ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი. ჩვენ გვებრძოდნენ რუსეთის არმიის რეგულარული სამხედრო შენაერთები, მათ შორის, 345-ე სადესანტო პოლკი, გუდაუთაში დისლოცირებული სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილია, ოჩამჩირესა და გუმისთაში დისლოცირებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბატალიონები, რომელთაც ბრძოლის დროს ეხმარებოდა საზღვაო ძალები, რომლებიც ზღვიდან ბომბავდნენ ქართველთა პოზიციებს, ქალაქებსა და სოფლებს. ყველაფერი ეს მუშავდებოდა და მტკიცდებოდა გენერალურ შტაბში – მოსკოვში“.[1]

[1] თამაზნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს.., გვ. 110.

# გამოყენებული ლიტერატურის სია:

## წყაროები და დოკუმენტური მასალები:


1. დიასამიძე, თამაზ, რედ. *რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001).* თბილისი: რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი, 2002.
2. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები. *„საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებებისა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებების კრებული (1992-1994წ. №1-4)“.* თბილისი: სახელმწიფო კანცელარიის სტამბა, 1992.
3. ყოლბაია, ვახტანგ, რაფაელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, და თეიმურაზ ჭახრაკია. *აფხაზეთის ლაბირინთი: 1992-1993 წლებსა და შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენები.* თბილისი: არხატის სტამბა, 1999.
4. ყოლბაია, ვახტანგ, რედ. *აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში : საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები, 1989-1999 წ.წ.* ნაწილი I. თბილისი, 2000.
5. "The Secretary General's Annual Report 2017". *Nato.int.* 2017. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2018_03/20180315_SG_AnnualReport_en.pdf (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
6. "The Secretary General's Annual Report 2018". *Nato.int.* 2018. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20190315_sgar2018-en.pdf (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
7. Human rights watch. *Georgia/Abkhazia: violations of the laws of war and Russias role in the conflict.* Washington, 1995.
8. Human Rights Watch. *Violations of Humanitarian Law and Human Rights in the Georgia the Georgia the Georgia-South Ossetia Conflict.* New York, 1992.
9. Minsk Agreement I. September 1, 2014. https://peacemaker.un.org/UA-ceasefire-2014 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
10. Minsk Agreement II. February 12, 2015. https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/UA_150212_MinskAgreement_ru.pdf (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
11. Nato. *Walles Samit Declaration.* september 05, 2014. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
12. Office of the High Commissioner for Human Rights. *Human Rights Violations and Abuses and International Humanitarian.* United Nations, 2018.

13. Package of measures for the Implementation of the Minsk agreements. February 12, 2015. იხ.: https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/UA_150212_MinskAgreement_en.pdf (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
14. Ukraine crisis: Transcript of leaked Nuland-Pyatt call. February 7, 2014. https://www.bbc.com/news/world-europe-26079957 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
15. United Nations Office for the Coordination of Humanitarian Affairs, Ukraine: Situation Report No. 29, February 27, 2015. იხ.: https://reliefweb.int/report/ukraine/ukraine-situation-report-no29-27-february-2015 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
16. Аналіз бойових дій в районі Іловайська після вторгнення російських військ 24-29 серпня 2014 року. Жовтня 19, 2015 г. იხ.: https://www.mil.gov.ua/news/2015/10/19/analiz-illovausk--14354 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
17. Операція Бумеранг: План та імена виконавців штурму Майдану 18 лютого (ДОКУМЕНТИ, ВІДЕО). February 24, 2014. https://texty.org.ua/fragments/52015/Operacija_Bumerang_Plan_ta_imena_vykonavciv_shturmu-52015/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
18. Про внесення змін до законів України щодо боротьби з тероризмом. June 5, 2014. https://zakon.rada.gov.ua/laws/show/1313-18#Text (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
19. Соглашение между Российской Федерацией и Украиной о параметрах раздела Черноморского флота. *docs.cntd.ru.* may 28, 1997. https://docs.cntd.ru/document/1902222#64U0IK (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
20. Стенограмма секретного заседания СНБО 28 февраля 2014 года. February 23, 2016. https://echo.msk.ru/blog/echomsk/1717754-echo/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
21. Федеральный конституционный закон от 21.03.2014 N 6-ФКЗ (ред. от 01.07.2021) "О принятии в Российскую Федерацию Республики Крым и образовании в составе Российской Федерации новых субъектов – Республики Крым и города федерального значения Севастополя". march 21, 2014. http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_160618/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).

**პერიოდული პრესა:**

22. აფხაზეთის ამბები. *დრონი*, 1992 წლის 2 ოქტომბერი.
23. აღვადგინოთ ქართველი და ოსი ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1992 წლის 13 ივნისი.
24. პაჭკორია, თენგიზ. „რეპეტიცია დიდი შეხვედრების წინ". *დრონი*, 1992 წლის 2 ოქტომბერი.

25. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებლება. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1991 წლის 9 იანვარი.
26. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება. *საქართველოს რესპუბლკიკა*, აპრილი 30, 1991.
27. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1990 წლის 12 დეკემბერი.
28. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი. „ცხინვალის ამბები". *საქართველოს რესპუბლიკა*, 1991 წლის 9 იანვარი.
29. ყარყარაშვილი, გიორგი. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მთელი ცხოვრება უნდა ვიბრძოლოთ". *დროება*, 1992 წლის 30 ოქტომბერი.
30. შეთანხმება საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1992 წლის 26 ივნისი.
31. 23 მარტს ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია. *საქართველოს რესპუბლიკა*, მარტი 26, 1991.
32. Amos, Howard, and Harriet Salem. "Ukraine clashes: dozens dead after Odessa building fire". *The Guardian*, May 2, 2014.
33. Grytsenko, Oksana, and Shaun Walker. "Ukrainian protester says he was kidnapped and tortured". *The Guardian*, January 31, 2014.
34. Morello, Carol, Pamela Constable, and Anthony Faiola. "Crimeans vote to break away from Ukraine, join Russia." *The Washington Post*, March 16, 2014.
35. Noack, Rick. "What toppled Lenin statues tell us about Ukraine's crisis." *The Washington Post*, September 30, 2014.
36. Porosmatov, Peter. "How Putin Is Reinventing Warfare." *Foreign Policy*, May 5, 2014.
37. Rupert, James. "Beyond the Crisis, Hope for Ukraine." *Atlantic Council*, March 14, 2014.
38. Salem, Harriet, Shaun Walker, and Luke Harding. "Crimean parliament seized by unknown pro-Russian gunmen". *The Guardian*, February 27, 2014.
39. Salem, Harriet. "Ukraine: Night Wolves and unidentified military men seize key Crimea sites." *The Guardian,* February 28, 2014.
40. Taylor, Alan. "Ukraine's Prime Minister Resigns, Anti-Protest Laws Repealed." *The Atlantic*, January 28, 2014.
41. Tran, Mark, Tom McCarthy, and Alan Yuhas. "Ukraine: government troops move against pro-Russia separatists." *The Guardian*, April 24, 2014.
42. Traynor, Ivan. "Ukraine's bloodiest day: dozens dead as Kiev protesters regain territory from police." *The Guardian*, February 21, 2014.
43. Walker, Shaun, Oksana Grytsenko, and Howard Amos. "Ukraine: pro-Russia separatists set for victory in eastern region referendum." *The Guardian*, May 2014.
44. Walker, Shaun. "Growth in Kiev protests likely after Yanukovych visit to Putin." *The Guardian*, December 6, 2013.
45. Walker, Shuan, and Alec Luhn. "New Ukraine president Petro Poroshenko vows to stop war." *The Guardian*, May 26, 2014.

46. Weaver, Matthew, and Tom McCarthy. “Ukraine crisis: deadly clashes shatter truce.” *The Guardian*, february 20, 2014.
47. Weir, Fred. “Russia cries foul over Western embrace of Ukraine's demonstrators”. *The Christian Science Monitor*, December 13, 2013.
48. Бурбыга, Николай, и Виктор Литовкин. «Майор Шипко не бомбил Сухуми». *Известия*, 23 марта 1993 г.
49. Герасимов, Валерий. «Ценность науки в предвидении». *Военно-промышленный курьер*, 27 февраля 2013.
50. Герасимов, Валерий. «По опыту Сирии.» *Военно-промышленный курьер*, 7 марта 2016 г.
51. Кузнечевский, Владимир. «Кинжалы в ножны, господа». *Российская газета*, 3 сентября 1992 г.
52. Паин, Эмиль. «Российское эхо Кавказской войны». *Известия*, 9 октября 1992 г.
53. Пресс-центр Верховного Совета России. «Закрытое заседание Верховного Совета». *Российская газета*, 26 сентября 1992 г.
54. Российская Газета. «Горячие точки». *Российская газета*, 26 декабря 1992 г.
55. Таранов, Сергей, и Бесик Уригашвили. «Бомбардировка Сухуми резко осложняет отношения россии с Грузией». *Известия*, 23 февраля 1993 г.
56. Уригашвили, Бесик. «Вечером 6 октября в Тбилиси состоялась пресс-конференция Э. Шеварднадзе». *Известия*, 7 Октября 1992 г.
57. «Постановление Верховного Совета Российской Федерации Об обстановке на Северном Кавказе в связи с событиями в Абхазии». *Российская газета*, 29 сентября 1992 г.
58. Яков, Валерий. «Дикие гуси» России, Вечер с наемником». *Известия*, 24 марта 1993 г.

**სამეცნიერო ლიტერატურა და მემუარები:**

59. ბეგოიძე, ომარ. „ჰიბრიდული ომის სამხედრო კომპონენტი“. წიგნში: *ჰიბრიდული ომების ანატომია*. თბილისი: პალიტრა, 2021, გვ. 73-97.
60. ბერძენიშვილი, ნიკო. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. 3. თბილისი, 1966.
61. ბლუაშვილი, უჩა. ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993. თბილისი, 2012.
62. გასვიანი, გერონტი, და თორნიკე გასვიანი. აფხაზეთის ომი. თბილისი: ენა და კულტურა, 2005.
63. ესებუა, კახაბერ. „ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ: აფხაზეთის ომის მაგალითი“. წიგნში: *ჰიბრიდული ომების ანატომია*. თბილისი: პალიტრა, 2021, გვ. 339-365.
64. ზაქარეიშვილი, პაატა. „საბჭოთა აგონიის მოჯადოებული წრე: დაშლილ საბჭოთა კავშირში ჩარჩენილი საქართველო“. წიგნში: კონფლიქტები და მშვიდობა სამხრეთ კავკასიაში: ისტორიული კონტექსტი, თეორიული ასპექტები და

პრაქტიკული გამოცდილება. რედაქტორი: ნინო კალანდრიშვილი და ადრიან ბრისკუ. თბილისი: შპს "დეიზი", 2021, გვ. 122-136.
65. ინგოროყვა, პავლე. გიორგი მერჩულე: ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურულ-კულტურულ და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. ტ. III. თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1954.
66. კვარაცხელია, ბორის. რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და საერთაშორისო თანამეგობრობა. თბილისი: უნივერსალი, 2015.
67. ლორთქიფანიძე, მარიამ, ოთარ ჯაფარიძე, დავით მუსხელიშვილი, და როინ მეტრეველი, . საქართველოს ისტორია. ტ. IV. თბილისი: პალიტრა L, 2012.
68. მაკიაველი, ნიკოლო. მთავარი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010.
69. მალაშხია, შოთა. კონფლიქტების ანატომია. თბილისი: ფორმა, 2011.
70. მელაშვილი, იაგო. თეთრი არწივის საარტილერიო დივიზიონი. თბილისი: ბერიკა, 2019.
71. ნადარეიშვილი, თამაზ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი: პირველი სტამბა, 2000.
72. პაპასქირი, ზურაბ, და კახაბერ ყალიჩავა. „ძმათამკვლელი დაპირისპირება აფხაზეთში 1992-1993 წლებში და მისი შედეგები“. წიგნში: აფხაზეთი საქართველოა. ისტორიული რაკურსი. რედაქტორი ზურაბ პაპასქირი. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021, გვ. 524-568.
73. პაპასქირი, ზურაბ. „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XX საუკუნის 50-90-იანი წლების დამდეგს“. წიგნში: აფხაზეთი საქართველოა. ისტორიული რაკურსი. რედაქტორი ზურაბ პაპასქირი. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021, გვ. 435-524.
74. პაპასქირი, ზურაბ. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II (1917-1993). თბილისი: მერიდიანი, 2007.
75. სონღულაშვილი, ავთანდილ. „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! თბილისი, 2009.
76. სუნ-ძი. ომის ხელოვნება. გადათარგმნილია ირინა აბულაშვილის მიერ. ბათუმი: წიგნები ბათუმიდან, 2019.
77. ფუკუიამა, ფრენსის. „ისტორიის დასასრული?“ წიგნში: პოლიტიკა და დემოკრატია. თბილისი: ინტელექტი, 2020, გვ. 155-189.
78. შევარდნაძე, ედუარდ. ფიქრები წარსულსა და მომავალზე. თბილისი, 2005.
79. შამუგია, ვახტანგ. დნესტრისპირელი მოხალისეები აფხაზეთის კონფლიქტში. სპეკალი, №12, 2018. იხ.: http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/12/126 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
80. შურღაია, ბოჩო. რუსული ჰიბრიდული ომი – აფხაზეთი 1992-1993. Scientia. სამეცნიერო ჟურნალი. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2021. გვ. 143-160.

81. შურღაია, ბოჩო. რუსეთის ჰიბრიდული ომი უკრაინაში 2014-2015 წლებში. საისტორიო ძიებანი XIII. წელიწდეული. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება აფხაზეთის ორგანიზაცია. თბილისი, 2020-2021. გვ.383-403.
82. ჩერგონაია, სვეტლანა. აფხაზეთი – 1992: პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა. თარგმანი თინათინ მიქელაძის. თბილისი: ჯისიაი, 1994.
83. ჯონსი, სტივენ. საქართველო პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013.
84. ჯოჯუა, დაზმირ. „რუსეთი და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში“. წიგნში: აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხები. რედ. ჯემალ გამახარია. თბილისი, 2017.
85. ჯოჯუა, დაზმირ. „1992-1993 წლების ომი აფხაზეთში“. წიგნში: ჯემალ გამახარია, ლია ახალაძე, დაზმირ ჯოჯუა. აფხაზეთის (საქართველოს) ისტორიის საკითხები. თბილისი: მერიდიანი, 2018, გვ. 289-300.
86. ჯოჯუა, დაზმირ. აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.
87. ჯოჯუა, დაზმირ. სოხუმის დაცემა. თბილისი: ირიდა, 2014.
88. Anslund, Andres. Ukraine: What Went Wrong and How to Fix It. Washington: Peterson Institute for International Economics, 2015.
89. Arel, Dominique. “Language, Status, and State Loyalty in Ukraine”. Harvard Ukrainian Studies, 2017-2018, pp. 233-263.
90. Augustine, Saint. The City of God. Translated by Marcus Dods. Moscow: Roman Roads Media, 2015.
91. Brantly, Aaron, Robert Person, Steve Ferenzi, Liam Collings, and Lionel Beehner. Analyzing the Russian way of war, Evidence from the 2008 conflict with Georgia. New York: Modern War Institute at West Point, 2018.
92. Brook-Sheperd, Gordon. Anschluss The Rape of Austria. Toronto: Macmillan and company, 1963.
93. Cairnes, William E, ed. Military Maxims of Napoleon. Skyhorse Publishing, 2016.
94. Clark, Mason. The Russian Military’s Lessons Learned in Syria. Washington, DC: Institute for the Study of War, 2021.
95. Clausewitz, Carl Von. On War. Translated by Michael Howard and Peter Paret. Oxford: Oxford University Press, 2007.
96. Clausewitz, Carl Von. Principles of War. Translated by Hans Gatzke. The Military Service Publishing Company, 1942.
97. Creveld, Martin L. The Transformation of War. Free Press, 1991.
98. Czuperski, Maksymilian, John Herbst, Eliot Higgins, Alina Polyakova, and Damon Wilson. Hiding in Plain Sight. Washington: Atlantic Council, 2015.
99. Dayspring, Stephan. Toward a Theory of Hybrid Warfare:The Russian Conduct of War During Peace. Monterey: Naval Postgraduate School, 2015.
100. Davidov, Denis. In the service of the Tsar against Napoleon. Translated by Gregory Trubetzkoy. London: Greenhill books, 1999.

101. Design, Artemis. The Art of War. Volume 3. The Soviets (A collection of 135 Soviet World War Two propaganda posters). Independently Published, 2020.
102. Dufaud, Gregory. "The Establishment of Bolshevik Power in the Crimea and the Construction of a Multinational Soviet State: Organisation, Justification, Uncertainties". In: Contemporary European History. Cambridge: Cambridge University Press, 2012, pp. 257-272.
103. Edele, Mark. "Paper Soldiers: The World of the Soldier Hero according to Soviet Wartime Posters." *Jahrbücher für Geschichte Osteuropas*, 1999, pp. 89-108.
104. Ferguson, Jonathan, and N.R Jenzen-Jones. Raising Red Flags: An Examination of Arms and Munitions in the Ongoing Conflict in Ukraine. ARES, 2014.
105. Fox, Amos C. "Battle of Debal'tseve: the Conventional Line of Effort in Russia's Hybrid War in Ukraine". *Armor*, 2017, pp. 45-52.
106. Fox, Amos C. "The Siege of Ilovaisk: Manufactured Insurgencies and Decision in War." In: The Landpower Essay Series, 2021, pp. 1-9.
107. Fox, Amos C. "Cyborgs at Little Stalingrad": A Brief History of the Battles of the Donetsk Airport. Arlington: Institute of Land Warfare Association of the United States Army, 2016.
108. Freedman, Lawrence. Ukraine and the Art of Strategy. Oxford: Oxford University Press, 2019.
109. Fridman, Olef. Russian 'Hybrid Warfare', Resurgence and Politicisation. Oxford: 2018, 2018.
110. Fukuyama, Francis. The End of History and the Last Man. New York City: Free Press, 1992.
111. Fuller, J. F. C. The Principles of War. London: Hutchinson & Co, 1929.
112. Galeotti, Mark. Armies of Russia's War in Ukraine. New York: Osprey Publishing, 2019.
113. Galeotti, Mark. "The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-Linear War." Worldpress, July 06, 2014.
114. Galeotti, Mark. Hybrid War or Gibridnaya Voina? Getting Russia's non-linear military challenge right. Lulu.com, 2016.
115. Gonchar, M. "The Next Phase of the Hybrid War." *New Easten Europe*, 2015, pp. 85-95.
116. Hahn, Gordon M. Ukraine Over the Edge. Jefferson: McFarland & Company, Inc, 2018.
117. Hargrove, Paul. Roots of Russian Irregular Warfare. Monterey: Naval Postgraduate School, 2016.
118. Harvey, L. L. F. The Bear Went Under the Mountain: Hybrid Warfare and the Case of the Russia-Ukraine Conflict. Canadian Forces College, 2015-2016.
119. Hoffman, Frank. Conflict in the 21st century: The rise of hybrid wars. Virginia: Potomac institute for policy studies, 2007.
120. Hoffman, Frank. "Hybrid vs Compound war." *Armed Forces Journal*, 2009, pp. 1-5.
121. Hoffman, Frank. "Hybrid Warfare and Challenges." *Small War Journal*, 2009, pp. 34-39.
122. Howard, Colby, and Ruslan Pukhov,. Brothers Armed: Military Aspects of the Crisis in Ukraine. Minneapolis: East View Press, 2015.

123. Huber, Thomas M. Compound Warfare. Fort Leavenworth: U.S. Army Command and General Staff College Press, 2002.
124. Ionitas, Craisor-Constantin. "Is hybrid warfare something new?" *Strategic Impact*, 4, 2014.
125. Jojua, Dazmir. Russia and The War of 1992-1993 in Abkhazia. Tbilisi: Saari LTD, 2017.
126. Jonsson, Oscar. The Russian Understanding of War: Bluring Lines Between War and Peace. Washington: Georgetown University Press, 2019.
127. Kalb, Marvin. Imperial Gamble. Washington: Brookings Institute Press, 2015.
128. Karber, Phillip A. Lessons Learned from the Russo-Ukrainian War. Potomac Foundation, 2015.
129. Kofman, Michael, Katya Migacheva, and Brian Nichiporuk. Lessions From Russia's Operations in Crimea and Easten Ukraine. Santa Monica: RAND Corporation, 2017.
130. Kurkov, Andrey. Ukraine Diaries. London: Harvill Secker, 2014.
131. Likhachev, Vyacheslav. The Far Right in the Conflict Between Russia and Ukraine. Ifri, 2016.
132. Lind, William S. "Understanding Fourth Generation War." *Military Review*, 2004, pp. 12-16.
133. Lind, William S., Keith Nightengale, Jhon F. Schmidtt, Joseph W. Sutton, and Gary I. Willson. "The Changing Face of War: Into the Fourth Generation." *Marine Corps Gazzete*, 1989, pp. 22-26.
134. Lind, William, and Gregory A. Thiele. 4th Generation Warfare Handbook. Kouvola: Castalia House, 2015.
135. Ludendorff, Erich. Der totale Krieg. Munchen: Ludendorffs Verlag, 1936.
136. Magocsi, Paul Robert. A History of Ukraine. Toronto: Toronto University Press, 2010.
137. Maier, Morgan. A Little Masquerade: Russia's Evolving Employment of Maskirovka. Fort Leavenworth, KS: School of Advanced Military Studies United States Army Command and General Staff College, 2016.
138. Mallick, P k. Principles of War: Time for Relook. New Delhi: Centre for Land Warfare Studies, 2009.
139. Mansoor, Peter R. Hybrid Warfare, Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present. Cambridge: Cambridge University Press, 2012.
140. Matveeva, Anna. Through Times of Trouble. London: Lexington books, 2018.
141. McCulloh, Timothy, and Richard Johnson. Hybrid Warfare. Florida: The JSOU Press, 2013.
142. Melvin, Mungo. Sevastopol's Wars: Crimea From Potiomkin to Putin. Oxford: Osprey, 2016.
143. Menon, Rajan, and Eugene Rumer. Conflict in Ukraine. Massachusetts: Massachusetts Institute of Technology, 2015.
144. Merle, Maigre. Nothing New in Hybrid Warfare: The Estonian Experience and Recommendations for NATO. Washington: The German Marshall fund of the United States, 2015.
145. Najžer, Brin. Hybrid Age. London: I.B. Tauris, 2020.

146. National Defence University of Ukraine. Means of Russia Hybrid Warfare Against Ukraine. Kyiv: Scientific and research center of military history, 2017.
147. Nemeth, William J. Future war and Chechnya: a case for hybrid warfare. Monterey: Naval Postgraduate school, 2002.
148. Oğuz, Şafak. "The New NATO: Prepared for Russian Hybrid Warfare?" *Insight Turkey*, 18 (2016), pp. 165-180.
149. Papaskiri, Zurab, and Kakhaber Kalichava. "Fratricidal conflict in Abkhazia of 1992-1993 and its consequences". In: Why Abkhazia is Georgia: A True History. Edited by Zurab Papaskiri. Tbilisi: Sokhumi State University, 2021, pp. 284-310.
150. Pleshakov, Constantine. The Crimean Nexus: Putin's War and Clash of Civilizations. London: Yale University Press, 2017.
151. Plokhy, Serkhii. Ukraine and Russia, Representations of the Past. Toronto: University of toronto press, 2008.
152. Popescu, Nicu. "Hybrid Tactics: Neither New Nor Only Russian." EU Institute for Security Studies, 2015.
153. Pynnöniemi, Katri, and Andrá Rácz. Fog of Falsehood Russian Strategy of Deception and the Conflict in Ukraine. Helsinki: Finnish Institute of International Affairs, 2016.
154. Qiao, Liang, and Xiangsui Wang. Unrestricted Warfare. Beijing: PLA Literature and Arts Publishing House, 1999.
155. Rácz, András. Russias Hybrid War in Ukraine: Breaking the Enemy's Ability to Resist. Helsinki: The Finnish Institute of International Affairs, 2015.
156. Ratsiborynska, Vira. When Hybrid Warfare Supports Ideology: Russia Today. NATO Defense College, 2016.
157. Rosenblum, David Tenney. Battle for the Minds: Use of Propaganda Films in Stalinist Russia and Nazi Germany. James Madison University, 2019.
158. Sakwa, Richard. Frontline Ukraine. London: I.B. Tauris & Co. Ltd, 2016.
159. Sammut, Denis, and Nikola Cvetkovski. The Georgia-South Ossetia Conflict. London: VERTIC, 1996.
160. Schmid, Johann. "Hybrid warfare on the Ukrainian battlefield: developing theory based on empirical evidence." *Journal on Baltic Security*, 2019, pp. 5-15.
161. Smithsonian. World War II Map by Map. London: DK Publishing, 2019.
162. Snegovaya, Maria. Putin's Information Warfare in Ukrine, Soviet Origins of Russia's Hybrid Warfare. Washington: Institute for the Study of War, 2015.
163. Spaulding, Hugo. Putin's Next Objective in Ukraine Crisis. Washington: Institute of the Study of War, 2015.
164. Stalin, J.V. *Works (1941-1945).* London: Red Star LTD, 1978.
165. Thomas, Timothy. "Russia's Military Strategy and Ukraine: Indirect, Asymmetric and Putin-Led." *Slavic Military Studies*, 3 (2015), pp. 445-461.
166. Usenko, Vitalii, and Dmytro Usenko. New "Old" Russian Imperialism and Hybrid Wars – An Historical Overview. 2014.
167. Wild, Antony. The East India Company: Trade and Conquest from 1600. London: HarperCollins, 2000.

168. Wood, Elizabeth A., Wiliiam E. Pomeranz, Merry E. Wayne, and Maxim Trudolyobov. Roots Russia's War in Ukraine. Washington: Woodrow Wilson Center Press, 2016.
169. Yekelchyk, Serhy. The Conflict in Ukraine: What Everyone Needs to know. Oxford: Oxford University Press, 2015.
170. Zverev, Aleksei. "Ethnic Conflicts in the Caucasus 1988-1994." In: The Contested Borders in the Caucasus. Edited by Bruno Coppieters. VUBPRESS, 1996.
171. Авидзба, Аслан. Абхазия и Грузия: Завтра была война (О Абхазо-Грузинских отношениях в 1988-1992 годы). Сухуми: Академия наук Абхазии, 2012.
172. Гареев, Махмут. Если завтра война? Москва: Владар, 1995.
173. Гудериан, Хайнц. Воспоминания солдата. Москва: Вече, 2012.
174. Давыдов, Денис. Дневник партизанских действий. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.museum.ru/museum/1812/Library/davidov1/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
175. Заридзе, Джимми. Спешите делать добро, господа. Тбилиси, 2008.
176. Калдор, Мэри. Новые и старые войны. Организованное насилие в глобальную эпоху. Москва: Издательство Института Гайдара, 2015.
177. Месснер, Евгений. Хочешь мира, победи мятежевойну! Москва: Русский путь, Военный университет, 2005.
178. Тарле, Евгений. Нашествие Наполеона на Россию. Москва: Наука, 2019.

**ელექტრონული რესურსები:**

179. 1989 წლის 23 ნოემბერს ცხინვალთან შეტაკებას მსხვერპლი მოჰყვა. 2018 წლის 23 ნოემბერი. იხ.: https://ghn.ge/news/ 215887-1989-tslis-23-noembers-tskhinvaltan-shetakebas-mskhverpli-mohqva (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
180. ალადაშვილი, ირაკლი. „სოხუმისთვის მარტის ბრძოლაში გამარჯვებული ქართული არმია". კვირის პალიტრა, 2012 წლის 12 მარტი. იხ.: https://kvirispalitra.ge/article/41142-sokhumisthvis-martis-brdzolashi-gamarjvebuli-qarthuli-armia (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
181. თოფურია, თეა. ტამიშის ბრძოლა – მოულოდნელი დესანტის პირისპირ. 2021 წლის 10 ივლისი. იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/31352123.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
182. Azvision.az. Viktoriya Nuland ve Cefri Payet Ukrayna haqqinda. February 7, 2014. იხ.: https://www.youtube.com/ watch?v=2yw871MQvQo (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
183. Baczynska, Gabriela. Kiev pins hopes on oligarch in battle against eastern separatists. 23 May 2014. იხ.: https://www.reuters.com/ article/uk-ukraine-crisis-oligarch-idAFKBN0E31V120140523 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
184. Bloon, Dan. Satellite photos expose 40,000 Russian troops, tanks and fighter jets massed near Ukraine's borders as Nato warns Kremlin could order invasion within 12 HOURS.

April 11, 2014. იხ.: https://www.dailymail.co.uk/news/article-2602132/U-S-troops-sent-Eastern-Europe-NATO-countries-feeling-threatened-Russia-Ukraine-conflict.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).

185. Chiacu, Diona, and Arshad Mohhamed. Leaked audio reveals embarrassing U.S. exchange on Ukraine, EU. February 7, 2014. იხ.: https://www.reuters.com/article/us-usa-ukraine-tape-idUSBREA1601G20140207 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
186. Chronology. 2016. იხ.: https://civicmonitoring.org/747-2/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
187. Clashes amid huge Ukraine protest against U-turn on EU. December 1, 2013. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-25176191 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
188. Crimea referendum: Voters 'Back Russia Union'. March 16, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-26606097 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
189. Direct Line with Vladimir Putin. June 30, 2021. იხ.: http://en.kremlin.ru/events/president/news/65973 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
190. Eight thousand Ukrainian officers have defected to the separatists. August 14, 2015. იხ.: https://meduza.io/en/news/2015/08/14/8-thousand-ukrainian-officers-have-defected-to-the-separatists (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
191. Elder, Miriam. Investigative Journalist Brutally Attacked In Ukraine.December 25, 2013. იხ.: https://www.buzzfeednews.com/article/miriamelder/investigative-journalist-brutally-attacked-in-kiev.
192. EuroMaidan rallies on Dec. 1: A rowdy afternoon. December 2, 2013. იხ.: https://www.kyivpost.com/article/content/ukraine-politics/euromaidan-rallies-on-dec-1-a-rowdy-afternoon-332780.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
193. Four killed as Ukraine repels rebels in east. June 28, 2014. იხ.: https://www.aljazeera.com/news/2014/6/28/four-killed-as-ukraine-repels-rebels-in-east (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
194. Goncharenko, Roman. Titushki – the Ukrainian president's hired strongmen. February 19, 2014. იხ.: https://www.dw.com/en/titushki-the-ukrainian-presidents-hired-strongmen/a-17443078 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
195. Group, The Ellis. 21st Century Maneuver. February 1, 2017. იხ.: https://mca-marines.org/blog/gazette/21st-century-maneuver/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
196. Gutterman, Steve. Putin puts troops in western Russia on alert in drill. Reuters. February 26, 2014. იხ.: https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-russia-military-idUSBREA1P0RW20140226 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
197. How did Odessa's fire happen?. May 6, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-27275383 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).

198. Hybrid war – hybrid response? July 01, 2014. იხ.: https://www.nato.int/docu/review/articles/2014/07/01/hybrid-war-hybrid-response/index.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
199. Image of ballot paper at011938-zettel. 2013. იხ.: https://www.sudd.ch/doku.php?lang=en&item=at011938-zettel.jpg (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
200. Karber, Phillip A. The Russian Military Forum: Russia's Hybrid War Campaign: Implications for Ukraine and Beyond. March 10, 2015. იხ.: https://www.youtube.com/watch?v=8WA1rP5WGfY (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
201. Kushch, Lina. Pro-Russia protesters occupy regional government in Ukraine's Donetsk. March 3, 2014. იხ.: https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-donetsk-protests-idUSBREA220XI20140303 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
202. Kuzio, Taras and Paul D'Anieri. The Soviet Origins of Russian Hybrid Warfare. 2018. იხ.: https://www.e-ir.info/2018/06/17/the-soviet-origins-of-russian-hybrid-warfare/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
203. Latest from the Special Monitoring Mission to Ukraine – based on information received up until 21 April 2014. April 22, 2014. იხ.: https://www.osce.org/ukraine-smm/117912 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
204. Macdonald, Alastair. Oligarch governor seeks aid to keep Donbass Ukrainian. 19 March, 2014. იხ.: https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-donetsk-governor-idUSBREA2I1VV20140319 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
205. Malaysia Airlines Flight 17 shot down over the Ukraine-Russia border. 17 July, 2014. იხ.: https://www.history.com/this-day-in-history/malaysia-flight-17-shot-down-ukraine-russia (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
206. Meeting with President of Ukraine Viktor Yanukovych. December 17, 2013. იხ.: http://en.kremlin.ru/events/president/news/19849 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
207. Millet, Christopher. Ukrainian Forces Seize Crucial Port City From Pro-Russia Separatists. June 13, 2014. იხ.: https://mashable.com/archive/ukraine-seize-port-city-russia-separatists (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
208. Nayem, Mustafa. "Uprising in Ukraine: How It All Began." April 4, 2014. იხ.: https://www.opensocietyfoundations.org/voices/uprising-ukraine-how-it-all-began (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
209. New head of Ukraine's navy defects in Crimea. March 2, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-26410431 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
210. Noorman, Randy. "The Battle of Debaltseve: a Hybrid Army in a Classic Battle of Encirclement." *Small Wars Journal*, 20.07.2020 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
211. Palmer, Scott W. Stalin's radio broadcast to the Soviet people (3 July 1941). December 2, 2015. იხ.: https://www.youtube.com/watch?v=hSTQ7HTHMvo (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).

212. Poroshenko orders assault on separatists. July 1, 2014. იხ.: https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/poroshenko-orders-assault-on-separatists/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
213. Pro-Russian Gubarev, a symbol of east Ukraine separatism. March 14, 2014. იხ.: https://www.digitaljournal.com/world/pro-russian-gubarev-a-symbol-of-east-ukraine-separatism/article/375337 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
214. Putin reveals secrets of Russia's Crimea takeover plot. March 9, 2015. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-31796226 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
215. Putin: Russian-Ukrainian action plan aimed at normalizing bilateral trade. Kyivpost. December 17, 2013. იხ.: https://archive.kyivpost.com/article/content/ukraine-politics/putin-russian-ukrainian-action-plan-aimed-at-normalizing-bilateral-trade-333846.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
216. Putin: Russia helped Yanukovych to flee Ukraine. October 24, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-29761799 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
217. Rada removes Yanukovych from office, schedules new elections for May 25. InterFax, February 22, 2014. იხ.: https://en.interfax.com.ua/news/general/192030.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
218. Risch, William. Maidan Chronicle – January 19-20, 2014 – The Day Kyiv Blew Up (In Lieu of a Conclusion). January 29, 2014. იხ.: https://williamrisch.wordpress.com/2014/01/29/maidan-chronicle-january-19-20-2014-the-day-kyiv-blew-up-in-lieu-of-a-conclusion/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
219. Russia Urges Ukraine to End Renewed Military Operations. July 1, 2014. იხ.: https://www.haaretz.com/russia-urges-ukraine-to-end-renewed-military-operations-1.5254036 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
220. Russian parliament approves troop deployment in Ukraine. March 1, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-26400035 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
221. Sandford, Daniel. Ukraine says Donetsk 'anti-terror operation' under way. April 15, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/av/world-europe-27031318 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
222. Senators McCain, Murphy join massive Ukraine anti-government protest, threaten sanctions. December 15, 2013. იხ.: https://www.foxnews.com/politics/senators-mccain-murphy-join-massive-ukraine-anti-government-protest-threaten-sanctions (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
223. Separatists Declare 'People's Republic' In Ukraine's Luhansk. April 28, 2014. იხ.: https://www.rferl.org/a/separatists-declare-luhansk-peoples-republic/25364894.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
224. Seventyfive were injured during Nov. 30 dispersal of EuroMaidan". Kievpost, december 05, 2013. იხ.: https://www.kyivpost.com/article/content/ukraine-politics/75-were-

injured-during-nov-30-dispersal-of-euromaidan-333103.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
225. Simon Shuster. Kiev Protester 'Crucified' as Ukraine's Crisis Gets Worse. Jenuary 13, 2014. იხ.:https://time.com/5732/kiev-protester-crucified-as-ukraines-crisis-gets-worse/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
226. Stent, Angela. Putin's Ukrainian endgame and why the West may have a hard time stopping him. March 4, 2014. იხ.: https://edition.cnn.com/2014/03/03/opinion/stent-putin-ukraine-russia-endgame/index.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
227. The towns in east Ukraine seized by pro-Moscow separatists. May 2, 2014. იხ.: https://www.france24.com/en/20140502-eastern-ukrainian-towns-seized-pro-russian-separatists (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
228. Ukraine appoints new PM as Yanukovich says 'I'm still president'. february 27, 2014. იხ.: https://www.france24.com/en/20140227-ukraine-yanukovich-still-president-russia-protection (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
229. Ukraine army helicopter shot down despite ceasefire. June 14, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-28002993 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
230. Ukraine Crimea: Rival rallies confront one another. February 26, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-26354705 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
231. Ukraine crisis: Military column 'seized' in Kramatorsk. April 16, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-27053500 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
232. Ukraine crisis: Military plane shot down in Luhansk. June 14, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-27845313 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
233. Ukraine crisis: Protesters declare Donetsk 'republic'. April 7, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-26919928 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
234. Ukraine frees all protesters detained during unrest. February 14, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-26187299 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
235. Ukraine helicopters shot down in Slovyansk. May 2, 2014. იხ.: https://www.aljazeera.com/news/2014/5/2/ukraine-helicopters-shot-down-in-slovyansk (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
236. Ukraine launches 'anti-terrorist' operation. April 13, 2014. იხ.: https://www.aljazeera.com/news/2014/4/13/ukraine-launches-anti-terrorist-operation (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
237. Ukraine troops leave Crimea by busload; defense minister resigns after Russia seizes peninsula. March 25, 2014. იხ.: https://www.cbsnews.com/news/ukraine-troops-leave-crimea-by-busload-defense-minister-resigns-after-russia-seizes-peninsula/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).

238. Ukraine: armed men patrol Simferopol airport in Crimea – video. February 28, 2014. იხ.: https://www.theguardian.com/world/video/2014/feb/28/ukraine-simferopol-airport-crimea-video (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
239. Ukraine: Pro-Russians storm offices in Donetsk, Luhansk, Kharkiv. April 7, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-26910210 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
240. Ukrainian president and opposition sign early poll deal. February 21, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-26289318 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
241. Vitaly Shevchenko. Ukraine conflict: The 'cyborg' defenders of Donetsk airport. October 31, 2014. იხ.: https://www.bbc.com/news/world-europe-29793696 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
242. Zaborsky, Victor. Crimea and the Black Sea Fleet in Russian- Ukrainian Relations. September 1995. იხ.: https://www.belfercenter.org/publication/crimea-and-black-sea-fleet-russian-ukrainian-relations (უკანასკნელად ნანახია 01 6, 2022).
243. В Крыму садятся российские самолеты и едут БТР. February 28, 2014. იხ.: https://vesti.ua/krym/40232-v-krymu-sadjatsja-rossijskie-samolety-i-idut-btr (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
244. В Луганске на митинге избрали "народного губернатора". март 5, 2014. იხ.: https://web.archive.org/web/20140315145349/https://korrespondent.net/ukraine/politics/3315551-v-luhanske-na-mytynhe-yzbraly-narodnoho-hubernatora (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
245. Во время Революции Достоинства 19 января 2014 года противостояния на Майдане из мирной фазы перешло в силовую.. January 19, 2021. იხ.: https://www.ukrinform.ru/rubric-society/3173485-majdan-sem-let-tomu-nazad-na-grusevskogo-v-etot-den-nacalis-stolknovenia-s-berkutom.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
246. Геноцид и уничтожение: жители Донбасса в ужасе от действий украинской армии. July 6, 2014. იხ.: https://www.ntv.ru/novosti/1107176/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
247. Илларионов, Андрей. Гибридная – это прежде всего информационная война. June 25, 2014. იხ.: https://aillarionov.livejournal.com/704653.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
248. Каппен, Франк ван. სოფია კორნიენკოს ინტერვიუ. Пиджак рвется по шву. Радио Свобода, 26 Апреля 2014. იხ.: https://www.svoboda.org/a/25362031.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
249. Крым призывает руководство областей Юго-Востока Украины «выступить единым фронтом против силового захвата власти». January 24, 2014. იხ.: https://regnum.ru/news/polit/1758533.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
250. Лященко, Виктор. «Крымская автономия 23 года спустя: как сберегли мир и не пустили в дом войну». *Kianews*, 2014. იხ.: http://www.kianews.com.ua/page/

krymskaya-avtonomiya-23-goda-spustya-kak-sberegli-mir-i-ne-pustili-v-dom-voynu (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
251. Митингующие блокировали Порошенко в луганском аэропорту. April 24, 2014. იხ.: https://ria.ru/20140424/1005283634.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
252. На сессии городского Совета утверждены результаты общекрымского референдума 16 марта 2014 года. march 03, 2014. იხ.: https://web.archive.org/web/20140722133147/http://sevsovet.com.ua/index.php/2011-06-30-23-44-03/12395-na-sessii_gorodskogo-soveta-utverzhdeny-rezultaty-obshchekrymskogo-referenduma-16-marta-2014-goda (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
253. На юго-востоке Украины прошла серия митингов против новой власти в Киеве. Март 1, 2014. იხ.: https://www.1tv.ru/news/2014-03-01/44975-na_yugo_vostoke_ukrainy_proshla_seriya_mitingov_protiv_novoy_vlasti_v_kieve (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
254. Над зданием администрации Луганска подняли российский флаг. March 1, 2014. იხ.: https://tvrain.ru/teleshow/novosti_sajta/nad_zdaniem_administratsii_luganska_podnjali_rossijskij_flag-364095/?autoplay=false (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
255. Начало Русской весны в Севастополе – 23 февраля 2014 года. Митинг Народной воли. February 23, 2020. იხ.: https://www.youtube.com/watch?v=tBFww0XVX-w (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
256. Начальника Генштабу Ільїна ушпиталили із серцевим нападом у Севастополі. February 28, 2014. იხ.: https://lb.ua/news/2014/02/28/257539_nachalnik_genshtaba_ilin.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
257. Об обращении Верховной Рады Автономной Республики Крым к Президенту Украины Януковичу В. Ф. December 2, 2013. იხ.: http://crimea.gov.ru/act/11432 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
258. Около шести тысяч человек участвовали в акции протеста в Севастополе. March 27, 2009. იხ.: https://ria.ru/20090327/166233904.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
259. Осипов, Николай. Страна потрошителей: как торгуют органами на Украине. April 12, 2017. იხ.: https://radiovesti.ru/brand/61178/episode/1490648/ (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
260. Парламент Крыма назначил референдум об автономии. February 27, 2014. იხ.: https://www.bbc.com/russian/international/2014/02/140227_crimea_parliament (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
261. Парламент Крыма принял Декларацию о независимости. March 11, 2014. იხ.: https://www.bbc.com/ukrainian/ukraine_in_russian/2014/03/140311_ru_s_crimea_rada_decisions (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
262. Партизанское движение в Отечественной войне 1812. იხ.: https://mil.ru/et/war/more.htm?id=11068671%40cmsArticle&fbclid=IwAR0PPt6Xv4G-MwqLEme6HoBQh2yJiyPg3Tr3xeM9WgbNXGURbD7aT03MFDo (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).

263. Подписан Договор о принятии Республики Крым в Российскую Федерацию. march 18, 2014. ob.: http://kremlin.ru/events/president/news/20604 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
264. Правий сектор – відправить до Криму "поїзд дружби" для боротьби із сепаратизмом. February 25, 2014. ob.: https://lb.ua/news/2014/02/25/257040_praviy_sektor_otpravit_krim.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
265. Правий сектор. 2022. ob.: https://pravyysektor.info/hto-my (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
266. Руководство борьбой народа в тылу врага. ob.: https://encyclopedia.mil.ru/files/morf/VoV_Vol11_Rukovodstvo_borboi_naroda.pdf (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
267. Руцкой, Александр. Вице-президент РФ А. Руцкой угрожает Грузии. 1993 год. ob.: https://www.youtube.com/watch?v=lLKV-r7muRU (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
268. Руцкой, Александр. Интервью бывшего вице-президента России Александра Руцкого о событиях в Южной Осетии. 2019. ob.: https://www.youtube.com/watch?v=MHffujyDdiA (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
269. Рыбка, Евгений. «Парубий: Власть готова разогнать Майдан, есть два сценария.» *NewsLiga*, 15.01.2014. ob.: https://news.liga.net/politics/interview/parubiy_vlast_gotova_razognat_maydan_est_dva_stsenariya (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
270. СКР заявил о геноциде русских на Украине. September 29, 2014. ob.: https://www.bbc.com/russian/rolling_news/2014/09/140929_rn_skr_genocide_charges (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
271. Сурков, Владислав. Без неба. March 14, 2014. ob.: http://ruspioner.ru/honest/m/single/4131 (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
272. Съезд депутатов всех уровней в Харькове. Текстовая трансляция. Mediaport, february 22, 2014. ob.: https://www.mediaport.ua/sezd-deputatov-vseh-urovney-v-harkove-tekstovaya-translyaciya (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
273. Украина. Президентские выборы. September 2010. ob.: https://www.electoralgeography.com/new/ru/countries/u/ukraine/ukraina-prezidentskie-vybory-2010.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
274. Хроніка кривавих сутичок у центрі Києва. თებერვალი 18, 2014. ob.: https://lb.ua/society/2014/02/18/255817_hronika_krovavih_stolknoveniy.html (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
275. Что такое Автомайдан: как активисты становятся лидерами. January 23, 2014. ob.: http://argumentua.com/stati/chto-takoe-avtomaidan-kak-aktivisty-stanovyatsya-liderami (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).
276. King William's War. *Encyclopaedia Britannica.* ob.: https://www.britannica.com/event/King-Williams-War (უკანასკნელად ნანახია 10.02.2023).